

შველი ქართული
აგოგრაფიული
ლიტერატურის ძეგლები

V

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ИНСТИТУТ РУКОПИСЕЙ ИМЕНИ К. КЕКЕЛИДЗЕ

ПАМЯТНИКИ ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ АГИОГРАФИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

КНИГА V

Текст к изданию подготовили, исследованием
словарем и указателями снабдили

Э. П. Габидзашвили и М. Н. Кавтария

Редактор М. А. Шанидзе

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1989

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

კ. კაკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები წიგნი V

დასაბუჟდალ მოამზადეს, გამოკვლევა, ბიბლიოგრაფია,
ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს.

ენრიკო ბაზიკაშვილმა და მიხეილ ჭავთარიამ

რედაქტორი მ. ზ. ქალაშანიძე

„ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლების“ V წიგნში ქვეყნდება XVIII ს. ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული თხზულებანი, რომელთაგან ერთი გრიგოლ ვახეაბიშვილის (დოდორქელს) ეკუთვნის, ხოლო ხუთი ბესარიონ ორბელიშვილის. დანართში შეტანილია გაბრიელ შვირის და სპირიდონ გრძელიშვილის თხზულებები. წინამდებარე წიგნში შესულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა გამოსაცემად მომზადებულ ტექსტებს ერთვის სამეცნიერო აპარატი: გამოკვლევა XVIII ს. ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიის შესახებ, ბიბლიოგრაფია „ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლების“ I—VI ტომებში შესულ თხზულებათა შესახებ, ლექსიკონი, საძიებლები.

აღნიშნული მასალის გამოქვეყნებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიის საკითხების შესასწავლად.

წინამდებარე წიგნით მთავრდება ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების პუბლიკაცია.

გამოცემულ ტექსტებში გვიან დედოფალური ხანის შვედური ბევირ საინტერესო მასალის იპოვის მხატვრული აზროვნების, ენის და ისტორიულ-პოლიტიკური საკითხების შესწავლისათვის.

რეცენზენტები: ფილოლ. მეც. კანდიდატები
 ე. გიუნაშვილი
 მ. დოლაჭიძე

4603010201

d _____ რუზ. 89 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1989
 M 607 (06)—89

ISBN 5—520—00573—7

ბრიგოლ ვახვასიშვილი (დოდორძელი)

წამებაჲ ყოვლად დიდებულისა მოწამისა დედოფლისა
ქეთევანისა¹, რომელი იწამა სპარსთა მფოსსა შაკვაბაჲ
უსჯულოსა მიერ ძალაქსა შირაზისასა*

საქმისა რაჲსმე კეთილსა დაძწყებელსა გონებაჲცა კეთილი 5
უქმს და ფრიადითა სიბრძნითა აღსაესე, რაჲთა, რაჲჲმს შემოიკ-
რიბნეს გონებანი მათნი გულისკმის-ყოფად წიგნთა მათ ღმრთივ-
სულიერთა და მის მიერ აღმოვისოს, მსგავსად მდინარისა, თაფლ-
მწოთლოვარენი სიტყუანი მათნი და მორწყოს პირი ყოვლისა ქუე-
ყანისა. რამეთუ, აჰა ესერა, მეგულეების შესლვად შეუვალთა მათ 10
და შეკადრებად შეუკადრებელისა მის ჩემ მიერ ძნიად მისაწოთმე-
ლისა საქმისა გელყოფად, პირველად ვევედრები ღმერთსა, დაძბა-
დებელსა ჩემსა, რაჲთა აღმისრულოს სავედრებელი ესე ჩემი და
მომცეს მე გონებაჲ გულისკმის-ყოფისა და ენა² წესიერად მეტყვე-
ლებისა, რაჲთა შეუძლო წინამდებარესა ამას სიტყუასა აღწერად 15
და ქადაგებად საკვრელებით ქმნულსა³ მას საქმესა წინაშე ყო-
ველთასა და ნესტკსაებრ⁴ ვოხრიდ⁵ ყურსა სმენის-მოყუარეთასა⁶,
რამეთუ არიან საქმენი ესე დიდ⁷ და ძალად და დიდთა მიერ აღსა-
წერელ, ხოლო სიტყუანი ჩემნი კნინ და შეურაცხ. არამედ არა ვი-
ნებე, რაჲთამცა არა აღვსწერ[ნ]ე ლუაწლნი მოღუაწებათა ნეტარისა 20
დედოფლისა ქეთევანისნი⁸, რამეთუ მაიძულეს მე კაცთა ვიეთმე
ღმრთისმოყუარეთა აღწერად საქმისა ამის, რაჲთა არა დავიწყებასა
მიცემულ იყო⁹ ცხობრებაჲ ესე ყოვლად სანატრელისაჲ, რამეთუ ყო-
ველნი. წმიდანი ღმრთისანი, აღმოსავალისა-დასავალისანი, თჳს-
თჳსთა ქუეყანათა და სოფელთა ილუწიან და შემწე და მეოხ არიან 25
მათთჳს და ყოველთათჳს წინაშე ღმრთისა, არამედ უმეტესად
თჳსთათჳს შუამდგომელ არიან ღმრთისა მიმართ საქმეთა მათთა
წარმართებისათჳს.

* ხელნაწერები: A: A—130 (1705—1713 წწ.), B: S—3269 (1720-იანი წლ.)
(C: A-170 (1733 წ.)).

¹ ქეთევანისა C. ² შაბაჲ A, შაბაჲ B. ³ ენის B. ⁴ ქმნისა C. ⁵ ნესტკსა-
ებრ C. ⁶ ოხრიდეს C. ⁷ სმენის მოყუარეთა AC. ⁸ დიდი A. ⁹ ქეთევანისნი C.
¹⁰ იყოს C.

ხოლო ჩუენცა, რომელნი ესე წლითი-წლად შესამით და ქებით
 საგალობელსა და დღესასწაულსა შეუენიერსა შეუმზადებთ კეთი-
 ლად მძღესა და ყოვლად სანატრელსა დედოფალსა, ეგევითარივე
 5 სასყიდელი მოვიდოთ მის მიერ, ვითარცა სხუათა მათ, და უფრო-
 სადცა ილუაწოს ჩუენთვის და ქუეყანათა თვისათვის, რამეთუ ვართ
 მკვდრნი სამეფოთა მისთანი და მსახურეულნი ძეთა მისთანი.

ხოლო ესე სამგზის სანატრელი მოწამე ქრისტესი დედოფალი
 116 ქეთევანს¹ აღმოეცენა ნათესაეთაგან ცხებ/ულთა, ქუეყანასა მას
 მუხრანისასა, კაცთაგან მორწმუნეთა და ღმრთისმოყუარეთა, დიდთა
 10 და დიდებულთა და სპასპეტთა ქუეყანასა მას ქართლისასა და აღი-
 ზარდა კეთილთა მშობელთაგან, ვითარცა შუენოდა სიკეთესა მათ-
 სა, სწავლითა ღმრთისმსახურებისათა და დლითი-დღე წარმატებო-
 და ჰასაკითა და აღიზრდებოდა, ვითარცა შვილი² იგი მამისა ზეცა-
 თასა. იყო ესე ნეტარი ხილვითა ხატისათა ფრიად შუენიერ და
 15 ბრწყინვიდა პირი მისი, ვითარცა მზე, და პაეროვნებაჲ მისი დაჰ-
 ფარვიდა პირსა ყოვლისა ქუეყანისასა.

და ოდეს-იგი იქმნა ათორმეტისა წლისა და მოიწია ჰასაკად
 ქორწინებისა, მიეცა იგი მამისა მიერ-თვისისა კახთა მეფისა ძესა,
 20 ევარტომობით პანკრატიონსა, კაცსა მორწმუნესა და ღმრთისმო-
 ყუარესა, ახოვანსა და ყოვლითა კეთილითა ზნერულიანსა, ძესა
 მეფისა ალექსანდრესსა დაეითს. და ვითარცა შუენოდა სიკეთესა
 და მეფობასა³ მათსა, ეგევითარიცა⁴ ქორწინებაჲ აღასრულნეს,
 რამეთუ ესეცა, წინაშე ღმრთისა არა უჯერო არს ქორწინებაჲცა,
 ვითარცა იტყუს პავლე ნოციქული, რამეთუ „რომელმან იქორწი-
 25 ნოს თვისი იგი ქალწულებაჲ, კეთილად ჰყოფს, და თუ იქორწინოს
 ქალწულმან, არა სცოდოს“. ვითარცა იყო წესი სიძე-სძღობი-
 სა, ესევეითარიცა აღასრულნეს ჟამნი ცხოვრებისა თვისისანი და გა-
 მოიხუნეს კეთილნი ნაყოფნი ყოვლად შუენიერნი და ისხნეს ძეებ
 და ასულებ და წარვლნეს ყოველნი დღენი ცხოვრებისა მათისანი
 30 შუეებით და განცხრომით და ღმრთისა მიმართ სათნოებათა აღ-
 სრულებითა. ამას თანა გარდახდეს ჟამნი რაოდენ[ნი]მე და თვთ
 კელმწიფე მეფე ალექსანდრე დიდსა საბერესა მიწევნულ იქმნა და
 უძლოურებისათვის და სიბერისა თვისისა ვერღარა განაგებდა კუერ-
 თხსა მეფობისა თვისისასა. და იყვნეს სამეფუფონი⁵ მათნი დიდსა ურ-
 35 ვასა და მწუხარებასა შინა, თავადნი, აზნაურნი და ყოველნი ერნი
 მათნი.

1 ქეთევან¹ C. 2 შკლი AB. 3 მეფობასა B. 4 ეგევითარიცა C.

5 სამეფონი BC.

- ამას ყოველსა თანა მოადგეს და თს, ძესა მისსა, ყოველნი ესე
 ერანი და პრეტეს მას სიტყუთა ეს-ოთხარითა, რამეთუ: „ჩვენ აქ-
 მომდე მონანი ვიყვენით მამისა შენსანი და ზორიილნი ბრძანებათა
 და აღმასრულებელნი მცნებათა მისთანი. აწ ესერა, იგა-სიბერესა
 დიდსა ნიწვენულ არს და არღარა უძლავს მოვლამ ჩუენი, ხოლო 5
 ჩუენ რამა! ვჰყოთ, რამეთუ ვარ უგამგეონი. აჰა ესერა, ძალ-გიც,
 აღდეგ და შე/მეწიენ და დაიბჰარ მეფობამ ჩუენი და მის წილ 6
 განაგე კუერთხი მეფობისა მისისა, რამეთუ ფრიად ურვეულ ვართ“.
- შეუძნდა ესე დავითს და მეუღლესა მათსა ნეტარსა ქეთევანს.
 და არა ენებათ, რამთამცა ცხოვრებასა მამისა მათისასა თუთ შეფე 10
 ქმნილიყო სამეფოსა მათსა, და ესრეთ პრეტუა მათ: „არა ჯერ არს
 ჩემდა, რამთამცა წინააღდეგ მამასა ჩემსა და მიუხუნე⁷ პატივნი
 მეფობისა მისისანი“. და არა ენება საქმისა ამის კელყოფამ და კუ-
 ალად თავადთა მათ აიძულეს და ეგვეითარივე სიტყუამ მოაჯენეს
 და ძლითლა სადმე დაარწმუნეს საქმისა ამის აღსრულებად. და 15
 წარვიდა მამისა თვისისა თანა და თაყუანისცემით შენდობასა ითხო-
 ვდა მისგან. ხოლო მამა მისი ჰხედვიდა⁴ რა ესევეითარსა მოკრძალებასა,
 მანცა ნება სცა გულითა არა ქეშმარიტითა.
- და შენდგომად ამისსა დაიბჰარა ჭეუყანამ ესე კახეთისა და კე-
 თილად განავო ცხოვრებას თვისსა, რამეთუ თუთ დედოფალი ქეთე- 20
 ვან იქმოდა, ვითარმცა შუენოდა, ყოველსა კეთილისა საქმესა: ეკ-
 ლესიათა შენებასა, ობოლთა შეწყნარებასა და ქურციეთა ნუვეში-
 ნისცემასა და გლახათა და დავრდომილთა კელის-აპყრობასა და
 თუთ პატივითა⁵ სამეფუთითა⁶ იყოფოდა და ამას ზედა გარდაცდეს
 დღენი მრავალნი და თუთ დავით მეფე დასნეულდა სნეულებითა⁷ 25
 სასიკუდინოთა და გარდაიცვალა ამიერ სოფლით და თანანაღებნი
 ბუნებისა ჩუენისა საქმენი აღსრულნეს მას ზედა, რომელ არს სი-
 კუდილი.⁸
- და ეინაოთგან უჯერო იყო მამისა წინააღდგომა, ღმერთმანცა
 არღარა⁸ დრო-სცა განგძობად დღეთა მისთა. რამა ვთქუა დღისა 30
 მისთეს და უამისა! ვითარნი გოდებანი და ტირილნი აღსრულებო-
 დეს უამსა მას, თუთოულად⁹ წარმოთქმა მათი შეუძლებელ არს ჩუენ
 მიერ. და თუთ ესე ნეტარი დედოფალი ქეთევან¹⁰, ვითარცა იყო წე-
 სი გლოვისა, აღასრულებდა და კეთილად მიითუალვიდა ქურობა-
 სა მათსა წესისა ნისებრ, რომელ-იგი წმიდასა სახარებასა შინა წე- 35

1 რამე B. 2 ქეთევანს C. 3 მიუხუნე AB. 4 ხედვიდა AC.

5 პატივითა+მით C. 6 სამეფოთა II.

7 სნეულობითა C. 8 არა B. 9 თუთუულად C. 10 ქეთევან C.

რილ არს: ანნა, რომელი იგი ცხორებულ იყო ქმრისა თვისისა თანა შეიდწულ სიქალწულითგან თვისით, რამეთუ მსგავსად მისსა სიმართლით და ღმრთისმსახურებით აღასრულებდა საქმეთა ქურობისათა, არღარა შეუღლებითა სხუათათა, არცა მიდევნებითა ამის სოფლისათა, 116 5 არამედ სიმშვიდითა, სიმდაბლითა და ღამე ყოველ ჳელგანწყობით ლოცვითა და ცრემლითა მჭურვალთა უძილად გარდასლვითა¹.

რამეთუ შეაქსოვა² თავი თვისი კითხვასა და წურთასა საღმრთოთა წერილთასა და მსოფლიონი განცხრომანი ყოველნი მოიძაგნა და სრულიად დაივიწყნა, / და ჰყვა მას ძე უსრული ჰასაკითა ყოველად 10 შუენიერი და მსგავსი ანგელოზისა, სახელით თეიმურაზ³, და მსოფლიოსა⁴ ამის განსაცდელისამიერსა ურვასა და მწუხარებასა იქარეებდა მის მიერ.

ამას ყოველსა თანა არა ინება ეშმაკმან განსაცდელი დაცხრომად მის ზედა, არამედ დასძინა კუალად განსაცდელნი უმწარესნი 15 პირველთასა და მისტაცა პაპამან თვსმან ჳელთაგან მისთა ყრმა ჩული ჰასაკითა თეიმურაზ³ და ძლუნად წარუგზავნა მეფესა სპარსთასა. რაღა⁵ ვთქუა მისთვს, რაოდენმან მწუხარებამან მოიკვა სანატრელი დედაი იგი მისი, რამეთუ არღარა ჰყვა მას ნუგეშინ⁶ — საცემელი სიხარულისა.

და მოთმინე იქმნა ამასცა განსაცდელსა, რამეთუ ასმიოდა წერილად წმიდასა შინა სახარებასა: „რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვრდესო“ და ამის პირისათვს არა ინება შეურაცხყოფა სიტყვისა ამის, არამედ თავი თვისი ღმერთსა მიანდო⁷ და სასოსა მისსა წმიდასა ღმრთისმშობელსა. და ოდეს-იგი ყრმა თეიმურაზ³ წარიყვანეს და მიართვეს მეფესა სპარსთასა, განიხარა სიხარულითა დიდითა ფრიად და აღზარდა იგი თავისა თვისისა შვილად და ჟამთა მრავალთა იყოფებოდა მის თანა. და ჰყვეს მას თავადნიცა და აზნაურნი მცირედნი, რომელნიმე წარეტანნეს პაპასა მისსა.

ამას ყოველსა თანა, უწინარეს მრავლისა. ეამისა, მამისა ძმა 30 ამის თეიმურაზისა⁷ კონსტანტინე მიზეზითა რადიმე წარსული იყო სპარსთა მეფისა და შინაგან სახლსა სამეუფოსა აღზრდილ იყო იგი და დაევიწყა მამული სარწმუნოება ქრისტიანობისა და ისმაიტელ და ბარბაროზ ქმნილ იყო და სრულიად დასამკვდრებელ არაწმიდათა ეშმაკთა და შეცვალებულ იყო იგი და ძალებერ იღრჳენდა კბილთა 35 მისთა დარღუევისათვს ქრისტეს სარწმუნოებისა. და ვინაძთგან ესევეითართა შეცვალებითა შეცვალებულ იყო იგი, სათნო უჩნდა

¹ გარდავლითა B. ² შექსოვა B | შაყო C. ³ თეიმურაზ B. ⁴ მსოფლისა B. ⁵ რაბ C. ⁶ მინდვა AB. ⁷ თეიმურაზისა B.

ესე მეფესა სპარსთასა: ძმად თვსად უწოდდა და ერთგულად თავისა თვისისა აღიარებდა და მრავალსა პატივსა უყოფდა და ჭეროვნად ისმენდა მისსა/ტკბილად.

არა ეგებოდა, ვინათგან¹ ცხორებამ და წამებამ აღესწერეთ დედოფლისა, რაათამცა ესევეთარი უსჯულო კაცი შემოვიხუენ და ამის მიერ განვაგრძენ² სიტყუანი ჩემნი და მათსა³ ცხორებასა მკირედ ეამ-დრო⁴ ვეც, არამედ რავდენცა მრავლის-ვმეტყუებდღე უსჯულომსა ამისთვის, ეგრეთცა უმეტესად იდიდოს სახელი მოწამისა ამის.

ხოლო ჩუენ პირველსავე გზასა ვიწყით სლვა და ზედამიწევნით გამოვაცხადოთ უსჯულომსა კონსტანტინეს ჳსენებამ რამეთუ იყო იგი სპარსთა მეფისა თანა, მრავალნი და ურიცხუნი წყალობანი მიენიჳნეს მის მიერ. და ამას ყოველსა თანა კჳალად მიანიჳა სამთავრო შირვანისა და მის გარეშემონი⁵ სოფელნი მრავალნი და განამდიდრა ფრიად და მეორადად თავისა თვისისა ყო საწყალობელი იგი: ამისთვის საწყალობელი, რომელმან-იგი დაიძკდრა ჳოჯობეთისა იგი უფსკრულნი, ბნელი გარესკნელი და ტარტაროზი განუტოფობელი. და ოდეს-იგი დაიპყრა სამთავრომ თვისი, რომელნი მიენიჳნეს მას სპარსთა მიერ, უნდა განცოფებულსა მას და ძაღლსა სისხლისმჳამელსა, რაათამცა მამისა და ძმის თვისისა ზედა აღდგეს მოკლვად. და დათხევად სისხლთა მათთა, ვითარცა ყო კან აბელის ზედა.

არამედ ესე უურჩულოესი კანისაცა და სხუათა მსგავსთა მისთა, რამეთუ კან ერთი ხოლო ძმა მოკლა, და ამან დასძინა სისხლსა მამისა თვისისასა თანა სიკუდილი ძმისა თვისისა, რამეთუ სპარსთა მეფისა მიერ ესრეთ ბრძანებულ იყო მისსა მიმართ. მოიწია იგი შირვანს და დაჯდა ტახტსა ზედა უსჯულოებისასა და იზრახა ჳრახვა⁶ ბოროტი გულსა შინა თვისსა და ენება ჳაკვთ, რაათამცა იხილნა⁷ მამა თვისი ალექსანდრე და ძმა თვისი გიორგი. წარავლინა⁸ მოციქულნი წინაშე მათსა და ესრეთ წარმოუთხრა: „ვინათგან ესოდენნი წელნი გარდასრულ არს და არღარასადა⁹ მიხილავს შუენიერება ხატისა თქუენისა და ახოვნება გუამისა თქუენისა, მოვიკსენე¹⁰ პირველი იგი სიყუარული ძმითურთ მამაშვილობისა და მინებეს, რაათამცა ადრე გიხილნე თქუენ¹¹“. და მოიწია ესე მოციქული წინაშე მათსა და იხილეს წიგნი იგი მის მიერ მოწერილი¹¹ და აღმოკითხ[ნ]ეს სიტყუა-

1 ვინათგან+ესე C. 2 ჳანავგურძენეს C. 3 მათსა+მას C. 4 ეამ-დრო| ეამ B. 5 გარეშემონი| გარემონი C. 6 ჳრახვა A. 7 იხილა C. 8 წარავლინა A. 9 არღარა და—AC. 10 მოვიკსენე C. 11 მოწერილი ABC.

117 ნა ჩემებნთ სიყუარღლისანი და განიხარნეს ფრიად, რამეთუ სწად/-
ოდათ¹ მათუა ხილვა იგი მისი.

მეფემან ალექსანდრე და ძემან მისმან გიორგი და ყოველთა თა-
ვადთა კახეთისათა იკმიეს იგი, რამეთუ საქმესა მისსა შინაგან და-
5 ფარულსა უმეცარ იყვნეს² და არა უწყოლეს, თუ რასა ბოროტსა
ზრახას გულსა შინა თუსსა. წარავლინეს ამათაჲთა კაცი სარწმუ-
ნო და გონიერი და პატვიით მოიპატვიეს⁴ თუსთა თანა. და რაჲმს
იხილნა მან მოციქულნი ამათ მიერ წარვლენილნი⁵, განიხარა სიბა-
რულითა დიდითა ფრიად და მასეჲ ეამსა მსწრაფლ წარმოვიდა
10 გულმგნისხლედ მამასა და ძმასა თუსსა ზედა და მოიწია კახეთს. და
ესენიცა მგზავრ მიეგებნეს მას და შუა ოდენ გულსა კახეთისასა შე-
იყარნეს და გარდახდეს ცხენთაგან⁶ ორნივე და ამბორს-უყოფდეს
ურთიერთას. და ამათ⁷ ვითარცა უძღვები იგი შეილი⁸ შეიტკბეს და
20 შეიყვარეს, ხოლო იგი ტყუილის სიხარულით⁹ სიყუარულსა მათ-
სა იჩემებდა. და მოვიდეს შინაგან სახლსა სამეუფოსა და დაჰკლ-
ვიდეს ზუარაკსა მას ჰამებულსა და დღითი-დღე იშუებდეს და სი-
ხარულსა აღასრულებდეს და იტყოდეს: „ძე ესე ჩუენი მომკუდარ
იყო და განცოცხლდა, წარწყმეულულ იყო და გუეპოვა“ და სხუასა
ესევეითარსა მრავალსა იტყოდეს.

25 ხოლო მას ბოროტსა ესევეითარნი განცხრომანი და სიხარულნი
არა სათნო-უჩნდეს, არამედ მასვე იგონებდა, რომელი-იგი შინაგან
შურიტა საეშნაკომათა შეიწუებოდა, და საქმესა ასწრაჲვებდა და
ენება, რამათამცა მსწრაფლ აღასრულა წადიერებაჲ თუსი. დღესა
ერთსა ყო მანცა სერი დიდი და მოუწოდა მამასა და ძმასა თუსსა
30 და დასხდეს სერობად და იწყეს ჰამად პურისა და აღესრულებოდა
მათ ზედა წინასწარმეტყუელებაჲ იგი დავითისი, რომელსა იტყუს:
„რომელი ჰამდა პურსა ჩემ თანა, მან განადილა ჩემ ზედა შეტყუ-
ვილი¹⁰“. და ჰყვეს მას ბოროტსა კაცნი შემსგავსებულნი სიხენქისა
თუსისანი¹¹ და განეზრახა¹² მათთს, რამათა ფარულად განგუმირონ¹³
35 ლახურიტა მამა და ძმა მისი. ოდეს იყო შუა სერობად, მოვიდეს
ავაზაკნი იგი ბოროტნი და უხეთქეს თავსა მეფესა ალექსანდრეს და
მასეჲ ეამსა აღმოუტევა სული თუსი. ეგრეთეჲ ძესა მისსა გიორგის
და მანცა დაუტევა ცხორებაჲ ესე წარმავალი და მიიწია წარუვალ-

1 სიტყუა A. სიტყუაჲ+რეცა C. 2 სწადოდა C. 3 იყვნეს C. 4 მო-პატვიეს
AB. 5 წარვლინებულნი C. 6 ცხენისაგან AC. 7 მათ C. 8 შელი AB. 9 ტყუილის
სიხარულით ზაკთ C. 10 შეტყუილი C. 11 თუსისა B. 12 განეძრახა C. 13 განგ-
ვირმონ A. განგვირმონ C.

სა ნას განსუენებასა. წარვიდეს ორნივე ესე ნეტარსა ცხოვრებასა იშუებენ მსი/არულნი სამარადისოდ.

v

და მკუდარნი ესე, მის მიერ მოკლულნი/აღვიღა აქლენსა აქ- და თვსსა და წარგზავნა ალავერდს სასაფლაოსა¹ მათსა. და დამარბეს, ვითარცა ჭერ იყო, და აღასრულეს მცირე რაიმე წესი დაფლვისა, რამეთუ შემსგავსებულისა პატივისა მათისასა ვერ შემძლებელ იყვნეს² ამბობებითა მით უსჯულოსათა.

5

რამ ვსთქუა მის ბოროტისა კოსტანტინესთვის, თუ რასა არა იქმნოდა და რასა არა იტყოდა და ყოველსა ბოროტსა³ საქმესა სრულ-ლიად აღასრულებდა. სოლო ესე სანატრელი დედოფალი ქეთევან⁴ სეღდიდა რამ ამას ყოველსა ბოროტსა მის მიერ აღსრულებად, აღივსებოდა გული მისი ფრიადითა მწუხარებითა და იტყოდა უჟ-ლისა ღამართ, ღმრთისა ჩუენისა: „ნუ მიმცემ ჩუენ სრულიად სა-იელისა შენისათვის. ნუ განაქარებ აღთქმასა შენსა და ნუცა გან-მამოროებ წყალობასა შენსა ჩუენგან“⁵. და მარადდღე დაჟამ ყოველ ამას. გვედრებოდა სულთქმით დაუცხრომელად სასოსა მისსა წმი-დასა ღმრთისმშობელსა და ცხოველსყოფელსა ჭუარსა, ქრისტიანეთა შესავედრებელსა, რამთა უენებელად დაიცვას ბოროტისა ამის განსაცდელისაგან და თვსაგან ერთსა ადგილსა მტკიცესა და შეუ-ვალსა⁶ იყოფოდა იგი⁷. რამეთუ ფრიადი შიში და მღელვარება სოფლისა ამის შეაურებდა მას და სასოდ აქუნდა მას წმიდაი ღმრთისმშობელი და უბიწოდ შობილი ძე იგი მისი იესუ ქრისტე და ესე იყო სასობება და ნუგეშინისცემა მისი.

10

15

20

შენდგომად ამისსა დაიპყრა კოსტანტინე სამკვდრებელი მამი-სა თვისისა და წარმოვიდა ბილწი იგი საყოფელთაგან თვსთა და აბ-ლოს მისსა მოიწია და ენება, რამთაშუა შეირთო იგი ცოლად, ვი-თარცა ყო ჰეროდე იროდიას თანა, ცოლისა ფილიპეს, ძმისა თვისი-სა, და არა ინება სანატრელმან ამან დედაკაცმან, რამეთუ არა კად-ნიერებად მიჩნს დედაკაც წოდებად მისი ამისთვის, რამეთუ დასას-რულსა სიმკნე მამაკაცობრივი აჩვენა, მოივსენა ქადაგება იგი ნათ-ლისმცემელისა, რომლისა თავი⁷ მოკუეთილიცა „არა⁸ ჭერ არსო“ დაღაღებდა, და ფრიად წინააღუდგა და არა ინება ნებისა მისისა აღსრულებად, არამედ აღირჩია სიკუდილი, ვიდრეღა ბოროტისა მის კაცისა თანა შეერთებასა.

25

30

ვინამთვან არა მორჩილ ექმნა და მტკიცედ ღუა მცნებათა ზე-და ქრისტესთა, იძლია იგი ძალითა ქრისტესითა და წარვიდა

35

¹ სასაფლაოსა B. ² იყვნეს C. ³ ბოროტისა AB. ⁴ ქეთევან C. ⁵ შევალსა AB. ⁶ იგი — B. ⁷ თავ C. ⁸ — დაღაღებდა: არა ჭერ არსო“ C.

იგი¹ ტახტსა² ზედა თუსსა, მგსავესთავე მისთა³ უსჯულოთა თანა შირ-
 118 ვანს და, ვითარცა შუენოდა სჯულსა მათსა⁴, ეგვეითარსა მრავალსა
 ბოროტსა აღასრულებდა და ყოველსა სარცხუენელ/სა საქმესა იქ-
 მოდა.

5 ამას რაჲ ზედვიდეს თავადნი კახეთისანი, იტყოდეს გულსა შინა
 თუსსა და ურთიერთსა⁵ ეზრახებოდეს⁷: „არავინ არს მომთხრობელ
 ანუ მაწსოვარ ძუელთა კაცთაგან, რომელთა ასმიოდა, რომელმანცა
 კელმწიფემან⁸ ესევეითარი ურიცხვ ბოროტი აღასრულა: მოგვკლა
 მეფე ჩუენი ალექსანდრე და ძე მისი გიორგი. და ამისსა უმეტესსა
 10 რასლა ვიტყოდეთ⁹ ჭერ იყო ჩუენდა, რადთა ჩუენცა მის თანა
 მოწყუედილ ვიყვენით¹⁰, და არღარა ესეოდენნი¹¹ ბოროტნი გუე-
 ბილნეს ცხორებასა ჩუენსა“.

ამას ზედა შეითქუნეს კაცნი ესე ქრისტეს მორწმუნენი და ინე-
 ბეს, რადთამცა განუდგენ და არღარა აუფლონ მათ ზედა. და ესეცა
 15 განიზრახეს, რადთამცა ფარულად მოკლან იგი ღამით, რამეთუ
 ცხადად ვერ ჭელეწიფათ ესე მისი¹² სიმრავლისა მისგან ჯარისა¹³.

ღამესა ერთსა წარვიდეს¹⁴, სადაცა იყო სავანე მისი, და იხილ-
 ნეს სარეცელნი მისნი ცალიერნი, რამეთუ აღდგომილ იყო იგი და
 საფლავად მაჰმადისა* წარსულიყო და საწსენებელსა მისსა აღას-
 20 რულებდა. და ვერ¹⁵ პოვეს, რადთამცა საწადელი თუსი აღესრუ-
 ლათ და მოეკლათ განცოდებული იგი. მასვე¹⁶ ეამსა აღვდეს ჰუნე-
 თა ზედა¹⁷ თუსთა და მსწრაფლ სრბით ქუეყანად თუსად კახეთად
 წარმოემართნეს და მოიწივნეს. რამეთუ ესე ყოველი შირვანს¹⁸ გა-
 ნიზრახეს¹⁹. აგრძნა²⁰ ესე და²¹ დევნა უყო ყოვლად საძაგელმან მან,
 25 რადთამცა პირითა მახვლისადთა მოსრნა ივინი, არამედ ვერღარა
 ეწია მათ და ვერცა უძლო შეპყრობად მათდა. და მოიწივნეს ნეტა-
 რისა დედოფლისა და ესე ყოველნი აუწყეს მას. და დიდთა²² და
 მცირეთა²³ ერთკრება ჰყვენეს²⁴ და ფიცითა²⁵ აღუთქუმიდეს, რადთა
 ამიერითგან არღარა მორჩილებდენ მას. და იყვენეს²⁶ ერთგულეზა-

¹ იგი — AC. ² ტახტსა ზედა] სამეფოსა C. ³ მისთა] თუსთა B. ⁴ მათსა] მას
 ზენესა C. ⁵ მრავალსა — B. ⁶ ურთიერთარს B, ურთიერთას C. ⁷ ეზრახებოდეს]
 ზრახვიდეს C. ⁸ კელმწიფემან] მთავარმან C. ⁹ ვიტყოდეს C. ¹⁰ ვიყუენით C.
¹¹ ესეოდენნი AB. ¹² მისი — C. ¹³ ჯარისა] ერისა C. ¹⁴ წარვიდეს AB. ¹⁵ ვერ]
 არა B. ¹⁶ მას B.

¹⁷ ზედა — B. ¹⁸ შირვანს] შირაზს B. ¹⁹ განიზრახეს C. ²⁰ გრძნა ესე — AB.
²¹ და დევნა უყო — C. ²² დიდთა B. ²³ მცირეთა+მინდობილთა პირველთა C.
²⁴ ყვენს BC. ²⁵ ფიცით C. ²⁶ იყვენეს C.

* ამოიხე: „რომელსა ასხენ ყურნი, სმენად ისმინენ“ B. C ნუსხაში „და საფ-
 ლავად... აღასრულებდა და“ გადახაზულია, ნაცვლად სწერია: „გარე განსლვად
 ვნებითთა წესთა“.

სა' ნეტარისა დედოფლისასა და ესრეთ მოაწესნებდეს მას: „ვინა-
მთგან მეფე ჩუენი მრავალმოწყალე ალექსანდრე და ძე მისი გი-
ორგი ალგვსრულა² და პირითა მახვლისადათა მოსწყყუნა ივინი და
შენ ესევეითარისა პატიოსნისა უპატიო-ყოფა განიზრახა³. ჩუენ
არღარა ვიუფლოთ იგი და არღაცა⁴ ვერჩდეთ სიტყუათა მისთა,
არამედ ვიყვენთ⁵ ჩუენ მორჩილნი ბრძანებისა შენისანი“.

5

ვინამთგან არცა მეფე ჰყავთ⁶ და არცა ძე მეფისა, ესე ნეტარი
იყო იმედი და ნუგეშისცემად მათი, რამეთუ ესე ყოველი შეთქმუ-
ლებად⁷ ყოველივე ღმრთისა მიერ განეგებოდა და ამას ნეტარსა
დედოფალსა ქეთევანს⁸ ჰფარავიდა ძალი ღმრთისა და მარჯუენე
ძლიერებისა მისისა, რამეთუ⁹ დასასრულსა ამისსა ჰხედვიდა მეუ-
ფე იგი დიდებისა, თუ ვითარ-ძი სათნო-ეყოფვის მას. და ამასცა
ნეტარსა მისადმი დაედვა სასოება ცხორებისა თვისისა და ყოველსა,
რაოდენსა იქმოდა, სადიდებელად ღმრთისა აღასრულებდა.

✓

v

10

და იყვენს¹⁰ კაცნი ესე კახეთისანი სრულიად შეკრებულ ერ-
თსა ადგილსა დედოფლისა მის თანა და ამას საქმესა განიზრახვი-
დეს¹¹ ყოველნი, რადთა უშიშად დადგენ ერთგულებით¹² დედოფლი-
სა წინაშე და ღმერთსა შემწედ თვსად¹³ გადოდეს და ერთი ერთსა
განანტიციებდეს და განძლიერებდეს, რადთა არავის მათგანისა
გონებად შეცვალებულ იყოს შიშისა მისთვის ბილწისა კოსტანტი-
ნესსა.

15

✓

20

და ესე ყოველნი¹⁴ ჰამბავნი¹⁵ მიიწიენს¹⁶ ყურთა კოსტანტინესა
და სხუად უმრავლესნი ამათსა, რამეთუ არა ენებათ მეფეებად¹⁷ მი-
სი მათ ზედა. შეიპყრა ესე ფრიადმან მწუხარებაჲმან და ღამე ყოველ
და დღე ყოველ¹⁸ ამას იგუნებდა, თუ რომლითა სახითა, ანუ რომ-
ლითა საქმითა წარმართოს საქმე თვისი, რამეთუ მას დიდად
სირცხულ უჩინდა და შურითა შეიწუებოდა¹⁹, რომელ ერთისა უძ-
ლურისა დედაკაცისაგან ესოდენნი საქმენი შეემთხუეოდეს მას.

25

რამეთუ ფრიად შეაურვებდა²⁰ საქმე ესე და ვერღარა უძლო
დათმენად, არამედ იქმო სრულიად სპანი თვისნი და სხუანიცა თა-
ნაშემეწენი სარწმუნოებისა თვისისანი და ძალითა მძიმითა და ლაშ-
ქრითა²¹ უჰამრავითა წარმოემართა კახეთსა ზედა, ვითარცა ხალხ
სტამბოლს²² ზედა, სრვად და წვად და მოოჯრებად ქუეყანისა ამის.
და თუთ დედოფალსა ამას ექადოდა, უკუეთუ კელად იპყრას, მრავ-

30

1 ერთგულებასა AB. 2 აღესრულა AC. 3 განიძრახა C. 4 არცადა C. 5 ვი-
ყუნეთ C. 6 ჰყავდა C. 7 შეთქმულობა AC. 8 ქეთევანს A, — C. 9 რამეთუ — B.
10 იყუნეს C. 11 განიძრახვიდეს C. 12 ერთგულობით. 13 თვისად A. 14 ყოვე-
ლი A. 15 ამბავნი A. 16 მიიწიენს A. 17 მეუფეებად B. 18 ყოველ — C. 19 შეიწ-
უებოდა C. 20 შეაურვებდა + მას C. 21 ლაქრითა C. 22 სტამბოლს| სკითი სამეფო-

ვალსა სატანჯველსა და ცეცხლსა მიცემასა მისსა განზრახვიდა. და ბოროტი იგი წარმოვიდა¹ ძალითა მძიმითა და ურიცხეთა ერთსა სიმრავლითა და მრავალსა ბოროტსა² განზრახვიდა³ გულსა შინა თვისსა და მინდობილ იყო სიმრავლეთა⁴ მას ჯარისასა და არა უწყოდა საწყალობელმან⁵ მან⁶, თუ ვითარ განაგებს ღმერთი საქმესა კაცთასა.

და მოიწივნეს ესე ჰამბავნი⁷ წინაშე დედოფლისა და ყოველთა თავადთა კახეთისათა და სრულიად ერთკრება ყვეს ყოველთა დიდთა ო მკირეთა წინაშე დედოფლისა ამის ღმრთისმოყუარისა და მოვიდეს და მოაწივნეს: „ნუ გეშინინ და ნუცა შეძრწუნდები საქმისა ამისათვის, რამეთუ წინაშე ღმრთისა არა არს მამაკაცებაჲ, არცა დედაკაცებაჲ, არამედ ყოველნი⁸. ერთი არიან ქრისტეს⁹ იესუს¹⁰ მიერ“ და ნუგეშინისცემასა ესევეითარსა ეტყოდეს მას./არამედ მან, ვითარცა ჯერ იყო, ესევეითარი სიტყუაჲ წარმოსთქუა მათ წინაშე და ყოველივე საქმე თვისი ღმერთსა მიანდო და სასოსა მისსა წმინდასა ღმრთისშობელსა. და უბრძანა მათ: რაოდენი რაჲ ჯერ იყოს¹¹ ანუ რაჲ ღმერთმან განაგოს, ეგრეცა ვყოთ“¹². ხოლო მათ ჰრქუეს მას: „წარმოვედ თქუენცა ჩუენ თანა და უფალმან ღმერთმან წარმართოს სლუაჲ¹³ ჩუენი“.

ხოლო ამან სანატრელმან, ვითარცა დებორა, დამან მოსესმან¹⁴ შეიმოსა სიმწუნე მამაკაცობრივი და განაწყო სპარაზენნი თვისნი და წინამბრძოლად წარიძლუნა ჯუარი პატიოსანი და განწირნა თავი თვისი. და არღარა იყო მაშინ დედობრივი უძლეურებაჲ, გინა შიში ზარებისა მის უსჯულოთასა და სიმრავლესა¹⁵ არა მიხედვიდა, არამედ ზე აქუნდა თუალნი და გონებაჲ მისი. და ევედრებოდა ღმერთსა სანატრელი ესე მარადის დაუცხრომელად და განამწნობდა და განამტკიცებდა სპაათა¹⁶ თვისთა და ესრეთ ეტყოდა მათ: „მწუნე იყვენით¹⁷ და განძლიერდით და ნუ ხედავთ სიმრავლესა¹⁸ მათსა, რამეთუ უფალი ამპარტეანთა შემუსრავს და მიდაბლთა მოგუტემს¹⁹ ძლევისა მათსა, ამისთვის, რამეთუ: პირველად მტერი არს ქრისტესი და დაქსნა ნებაჲს²⁰ ქრისტიანეთა სარწმუნოებისა, მეორედ ესე, რამეთუ სისხლი იგი ღმრთისმოყუარისა მეფისა, მსგავსისა დიდისა

1 წარმოვიდა... სიმრავლითა — C. 2 ბოროტსა] ძერსა C. 3 განზრახვიდა C. 4 სიმრავლესა მას ჯარისასა] ძალსა თვისსა C. 5 საწყალობელმან] უზადრეკმან C. 6 მან — C. 7 ანბავნი A. 8 ყოველნივე C. 9 ქრისტე C. 10 იესუს+ი+ვ A. 11 იყოს C. 12 ვყოთ C. 13 სლუა C. 14 დამან მოსესმან] ღმრთისა ქმალმან C. 15 სიმრავლესა+მათსა C. 16 სპაათა+მათ C. 17 იყუშნით C. 18 სიმრავლესა AB. 19 მოსეტემს C. 20 კნებაჲ BC.

კოსტანტინესა, ალექსანდრესი, მამისა მისისა, ვითარცა სისხლი აბე-
ლისი, დაღადებს ქუეყანასა ზედა¹, და ესე ვითარად განამტკიცებდა.

და მოვიდეს იგინი უსჯულონი გაღმართ პირსა აღაზნისასა და
აღმოვიდეს ზემორე მინდორსა მაკაბელისასა და დაიბანაკეს მათ და
შემოიზღუდნეს ეზონი თჳსნი მაგრიად და გუმილნი მათნი კუმილ- 5
ვიდეს საკმილავსა ღამისასა. და ესენიცა ჭუარშემოსილნი ქრის-
ტიანეთა ერნი, მსახურნი სანატრელისა მის დედოფლისანი, მცირედ-
მცირედ წარმოდგეს და დაიბანაკეს მათცა პირისპირ მათსა, რაათა
იხილვებოდენ ურთიერთას იმიერ და ამიერ. განათენეს ამათ ღამე
იგი ლოცვითა და ვედრებითა ღმრთისადათა და ძღვევასა მათსა ევედ- 10
რებოდეს. ხოლო განთენა რაჲ ღამე იგი და მზემან ნათელი თჳსი
მოჰქინა პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, აღდგეს ესე ყოველნი და
აღიღეს პირველად საჭურველად მადლი² უფლისა ჩუენისა იესუ³
ქრისტესი და ცრემლით ეზიარნეს წმიდათა⁴ საიდუმლოთა გორცთა
და სისხლთა ქრისტესთა და ყოველნი ნაწილნი⁵ გუამისა⁶ თჳსისანი⁷ 15
ჭუარითა ქრისტესითა დაიბეჭდეს და შეიმოსეს ჯაჭვები და ძალი
ღმრთისა მის თანა და ყოველნი საჭურველნი აღიღეს და ლახურები
იპყრეს ველთა თჳსთა და აღწდეს ჰუნეთა ზედა მათთა და განაწყუ-
ნეს სპარაზენნი თჳსნი მარჯულ⁸ და მარცხულ⁹.

ხოლო დედოფლისა მისთჳს რაჲღა ვსთქუა¹⁰, თუ ვითარსა შიშსა 20
და ძრწოლასა შეეპყრა იგი? და განიპყრობდა გელთა თჳსთა და
დამბადებელსა¹¹ ღმერთსა ცრემლით¹² ევედრებოდა და დასდებდა
პირსა თჳსსა მიწასა ზედა და იტყოდა: „უფალო, ნუ მისცემ ერსა
ამას შენსა უსჯულოთა მათ¹³ ისმიიტელთა, არამედ მოხედენ¹⁴ თუ-
ალითა მოწყალითა და დაუმორჩილე ქუეშე ფერჯთა ამათთა¹⁵ ყო- 25
ველნი ძალნი და ძლიერებანი მათნი, რაათა გმსახურებდეთ ყოველ-
თა ღღეთა ცხორებისა ჩუენისათა“.

ამას ზედა მზა იყვნეს¹⁶ იგინიცა უსჯულონი და იწყეს მცირედ-
მოირიოდ წარმოდგომად. და ესენი ქრისტეანენი მდგომარე იყვნეს¹⁷
მაგრიად¹⁸ და, ვითარცა არს წესი მათი უსჯულოთა — მიდევნებამ 30
ეტლისა და ვარსკვლავთ-მრიცხველობისა, იხილა ბილწმან კოსტან-
ტინე¹⁹ რამელი თჳსი და არა უნდა ღღესა მას, რაათამცა ბრძოლა
უყონ მას.

1 რაჲ — AB. 2 მადლი ქუარი C. 3 იესუს AB. 4 წმიდათა — AB. 5 ნაწილ-
ნი — C. 6 გუმი C. 7 თჳსნი C. 8 მარჯულნი C. 9 მარცხენი C. 10 ვსთქუათ B,
ვთქუა C. 11 დამბადებელსა — C. 12 ~ ცრემლით ევედრებოდა ღმერთსა C,
ცრემლით — AB. 13 ამათ B. 14 მოხედენ C. 15 ამათთა ჩუენთა C. 16 იყვნეს
C. 17 იყუნეს C. 18 მაგრიად მტკიცედ C. 19 კონსტანტინემ B.

და აღწდა¹ ცხენსა თჳსსა ზედა და სრბით დევნა უყო სპათა თჳსთა. და ვითარცა გამოვიდა ახლოს მათსა, იცნეს იგი თავადთა კახეთისათა, რამეთუ² მრავალყამ ეხილვით იგი და კეთილად მეცნიერ იყვნეს ჰაეროვნებასა მისსა, და წარემართნეს³ და მიეტევნეს სწრაფით სრბით მას ზედა. და მიუტდეს მას⁴ სამნი კეთილცხენოსანი: დავით, თამაზ და ბებურ და ჰკრეს⁵ მას შუბი და გარდამოაგდეს იგი. ცხენისაგან და დააკუეთეს⁶ ძლიერად. და ვიდრე ჯერეთ სულიერდა იყო, იცნა⁷ კაცნი ესე და ჰრქუა მათ: „ნურღარა მომკლავთ მე, რამეთუ ვარ დღეს ქუეშე⁸ კელთა⁹ თქუენთა“. ევედრებოდა¹⁰ ფრიად და სხუას¹¹ მრავალსა წყალობასა უქადებდა მათ. და მათ არა ინებეს ყურის¹² მიპყრობად მისსა, არამედ უხეთქნეს თავსა მისსა, ვითარცა მან მამასა თჳსსა, და ორად განაპეს თავი მისი და ნაწილი მისი დადევს ორგულთა თანა. და დიდნი ძლევენი შეიმოსნეს უამსა მას და, ვითარცა თავი ოლომფორესი, ივლითის მიერ მოკუეთილი, ეგრეთ მიართვეს დედოფალსა ქეთევანს და ძლევეთ ქებასა შეასხმიდეს. განიხარა დედოფალმან საქმესა ამას ზედა საყვარელსა და დამბადებლსა ღმერთსა მადლობასა შესწირვიდა¹³, რამეთუ დაიგნა¹⁴ კელთაგან მის მკეცისა ბოროტისათა.

მაშინ ძლევაშემოსილთა ერთა ქრისტიანეთა დევნა უყვეს უსჯულოთა მათ და განაბნივნეს და აკოცნეს¹⁵ ყოველნი¹⁶ საცთურნი მათნი. და იოტა ერთმან ასი და ასმან ათასი და მოსარნეს იგინი პირითა მახვლისათა და ნატყუენავი მათი დაიონარეს. და აღესრულებოდა მათ ზედა სიტყუად იგი წინაწარმეტყუელისა, რომელსა იტყჳს: „ვიხილვე უღმრთოდ ამალღებული და აღმატებული, ვითარცა ნაძვ¹⁷ ლიბანისაჲ, და, აჰა, ვიხილვე და ვერ ვპოვე¹⁸ ადგილიცა¹⁸ მისი“.

ესე რამ ესრეთ განაგო ყოველთა განმგებელმან, მაშინ უბრძანა დედოფალმან ამან¹⁹ მორწმუნემან ერთა თჳსთა, რამთა მოვინებე-იყვანონ თანამყოფნი მის უსჯულოსანი და წარიღონ სასაფლაოსა²⁰ სპარსთასა, ვითარცა უბრძანა მეუფემან მან ქრისტი მოწაფესა ერთსა ვისმე, რომლისა მამაჲ²¹ უსჯულოებასა შინა მომკუდარ იყო, ვითარმედ „დააცადენ მკუდარნი დაფლვად თჳსთა მკუდართა“, და წარიღეს მკედართა²¹ მათ ურწმუნოებისათა მკუდარი იგი და დაფლეს არდაველს.

1 აქდა A. 2 რამეთუ... მისსა და—C. 3 წარემართნეს C. 4 მას—B. 5 ჰკრეს განაწონნეს C. 6 დააკუთნეს AB. 7 იცნა AC. 8 ქუეშე—C. 9 ზელთა+შინა C. 10 ევედრებოდა ფრიად—AB. 11 სხუასა—C. 12 ყურისა C. 13 შესწირვიდეს B. 14 დაიგნა განერა C. 15 და აკოცნეს—AB. 16 ყოველნი საცთურნი მათნი—C. 17 ეპოვე A. 18 კდგილი C. 19 ამან—B. 20 სასაფლაოსა B. 21 მეუფემან—C. 23 მკუდართა მკუ

მაშინ თანაწარიტანნა მოციქულნი, კაცნი სარწმუნონი, მეფესა თანა სპარსთასა და შეუთულა¹ ესრეთ² დედოფალმან, ამან მორწმუნემან³, ვითარმედ: „მეფეო, ყრმაჲ ეგე ძე⁴ ჩემი, რომელი მოგცა მამის მამამან მისმან შურითა, აწ მომანიჭე⁵ ეგე და თუთ მეფე ყავ ქუეყანასა ამას, რადთა ერთგულად გემსახუროთ და ვიყვნეთ⁶ მშუღობით ბრძანებასა ქუეშე თქუენსა და ხარკთა და ძღუენთა სამეფოთა⁷ მოგიძღუნი- დეთ⁸ წლითი-წლად, ვითარცა ჯერ⁹ არს უმრწემესისაგან უხუცესსა ზედა და, უკუეთუ არა მომცე ძე ეგე ჩემი, უწყოდენ მეფობამან თქუენმან, ვითარმედ ვერღარა ვიყვნეთ¹⁰ ჩვენ, ქართველნი და მეფე მორჩილ ბრძანებათა შენთა და წელთ-უგდოთ ქუეყანაჲ ესე კეისარსა, რომელ არს ხვანთქარი¹¹. და ნიჭიცა და ძღუენი დიდნი წარატანნა¹² მათ.

და ვითარცა მიიწივნეს მოციქულნი იგი¹³ წინაშე უსჯულოსა მის მეფისა, აუწყეს ყოველივე, რაჲცა¹⁴ მიემცნო დედოფალსა და ერთა¹⁵ საქართველოთასა¹⁶. ხოლო ვითარცა/ესმა მეფესა მას მძღავრსა, v 15
განიზრახა გულსა თვისსა, ვითარმედ: „უკუეთუ არა მივსცეთ ყრმა ესე, ნუჟუეუ განმიდგენ ქართველნი და მოირთონ¹⁷ ზურგი კეისრისა. და წინააღმდეგმ იქმნას ჩემდა საქმე ესე“. მაშინ ერჩდა მეფე¹⁸ სიტყუასა მათსა და განუტევა ყრმაჲ იგი და მისცა დედოფალსა. იყოცა განგებაჲ ღმრთისაჲ და სარწმუნოებაჲ შეურყეველად¹⁹ და- 20
ცული. გამოვიდა ყრმა იგი, კაცნი ვინმე მკცოვანნი²⁰ ჰყვნეს მის თანა თავადთაგან კახეთისათა და ბერიცა ერთი, რომლისა სახელი ადარნასე. და²¹ ესრეთ იყოფებოდა ყრმაჲ იგი და წარმოიყვანეს და მოიწივნეს ქუეყანასა ამას. და მოეგებოდა დედა იგი მისი ეპისკოპოსითა²², თავადთა²³ და აზნაურთა²⁴ თანა. და იყო მადლობაჲ²⁵ და დი- 25
დებაჲ ღმრთისაჲ გამოცნისათჳს კელთაგან სარკინოზთასა ყრმისა მის²⁶. და²⁷ იყო²⁸ იგი²⁹ ათხუთმეტ³⁰ გინა ათექუსმეტისა წლის. და მიერთაგან კელთ-უსხნა დედამან მისმან³¹ ყოველნივე სამეფონი. ციხენი და საგანძურნი ყრმისა მას. და აკურთხეს ყრმაჲ იგი³² და³³

სა ქალაქსა C. 1 შეუთულა] მიემცნო C. 2 ესრეთ — B. 3 მორწმუნემან+ესრეთ B. 4 ძე—C. 5 მონიჭე A. მოგანიჭე C. 6 ვიყუნეთ C. 7 სამეფოთა C. 8 მოგიძღუნიდეთ AB. 9 ჯერ — AB. 10 ვიყუნეთ C. 11 ხვანთქარი AC. 12 წაატანა A. წაატანნა B. 13 იგინი B. 14 რაცა B. 15 ერცა C. 16 ქართველთა C. 17 მოირთონ ზურგი] მოვიდენ C. 18 მეფე AB. 19 შეურყეველად — B. 20 მკცოვანნი+თანა C. 21 და — C. 22 ეპისკოპოზით AB. 23 თავადით AD. 24 აზნაურთთურთ AB. 25 მადლობაჲ და დიდებაჲ ღმრთისაჲ] მაშინ სიხარული დიდი და მადლობდეს და ადიდებდეს ღმერთსა C. 26 გამოცნისა+მისითჳს C. ზმისთჳს C. 27 და — C. 28 იყო +ყრმა C. 29 იგი+თჳსა მას C. 30 ათხუთმეტ. C. 31 მიერთმან — AB. 32 იგი — B. 33 და ლოცვა ყო — C.

ლოცვად ყო კათალიკოზმან მცხეთის ამან და¹ ყოველთა ეპისკოპოსთა
 და მეფედ დასვეს. და პრქუა დედამან მისმან² შვილსა მას: „შვილო,
 აქამომდე ვიყავ მე საქმითა მამაკაცობრივითა, ვიდრემდის დასცხრა-
 ლეღვა-გუემულეზებაჲ სამეფოსა ამას. აწ ნებითა და განზრახვითა
 5 ღმრთისაათა იქმნა მეფობაჲ შენი და არა უგულუბელ³ ყო ღმერ-
 თმან ლოცვანი⁴ და ვედრებანი⁵ ცოდვილისა ამის მჭევვალისა⁶ მი-
 სისა და⁷ სათხოველი ჩემი წინაშე მისსა⁸ ესე⁹ იყო¹⁰: კურთხევაჲ
 აბრაჰამისი და¹¹ ისაკისი და იაკობისი იყავნ¹² თავსა შენსა¹³, მიიღე
 დასაბამად სიბრძნისა შიში უფლისაჲ, სიმდაბლე¹⁴ და¹⁵ სიმართ-
 10 ლე¹⁶, წყალობაჲ და ჭეშმარიტებაჲ ნუმცა მოგაკლდები ნუნ. ხოლო
 მე ამიერითგან¹⁷ ვჯდე მყუდროებით¹⁸, ვითარცა შუენის დედათა, და
 მოვიცალო¹⁹. ამიერითგან²⁰ ვიზრუნო სულიცა²¹ ჩემი ანუ²² შენებო-
 თა²³ ეკლესიათასა²⁴ ანუ²⁵ მიცემითა²⁶ გლახაკთა“, რომელი —
 ესე²⁷ ყო მანცა დედოფალმან: სამკაულნი სამეუფონი ყოველნივე²⁸
 15 სამსახურებლად საეკლესიოდ²⁹ შესცვალნა³⁰, მრავალნი³¹ და ურიცხვ
 ნი ქველისმოქმედებანი აჩუნნა გლახაკათაჲს³² მიზღუევად³³ და ვას-
 ხებლად ქრისტესა, რომელიცა მიიღო³⁴ აღნაღგინებითურთ, და სამწირ-
 ველნიცა შუენიერნი³⁵ აღაშენნა³⁶ და³⁷ მისცემდა ზოგადსა მეფობისა
 მისისასა მღუდელთა და დიაკონთა. რაათა მემსხუერპლეობდენ
 20 მისთვის წლითი-წლად, ვითარ³⁸ ათასნი, გინა ბევრნიც. მისთვის ეკუ-
 დერიცა³⁹ აღაშენა სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა დედოფლისა⁴⁰
 დიდებულისა⁴¹ ღმრთისშშობელისა⁴² და⁴³ მარადის ქალწულისა მა-
 რიამისა და შეამკო იგი თუალითა და ქვითა⁴⁴ საფიროვანითა⁴⁵, შიგ-
 ნით⁴⁶ და გარეთ მარმარილოთა⁴⁷ და ოქროთა და ლაქვარდითა გა-
 25 ნაშუენა იგი უმეტეს⁴⁸ და ფრიად წარაგო ყოველნი მონაგებნი მის-
 ნი, ვითარცა თქუა ქრისტემან, ვითარმედ⁴⁹: „განყიდენით⁵⁰ მონაგებ-
 ნი თქუენნი და მიეცით ქველის⁵¹ საქმედ და ყავთ თავისა თქუენისა

¹ და ყოველთა ეპისკოპოსთა — AB. ² მისმან — AB, ³ უგულუბელს BC.
⁴ ლოცვა C. ⁵ ვედრება C. ⁶ მჭევვალისა C. ⁷ და — AB. ⁸ მისსა+ იყავნ C.
⁹ ესე იყო—C. ¹⁰ იყო—B. ¹¹ და—C. ¹² იყავნ C. ¹³ შენსა+ აწ C. ¹⁴ სიმდაბლე—
 AB. ¹⁵ და — AB. ¹⁶ სიმართლე — AB. ¹⁷ ამიერითგან — AB. ¹⁸ მყუდროე-
 ბით — AB. ¹⁹ მოვიცალო — C. ²⁰ ამიერითგან — C. ²¹ სული C. ²²—C.
²³ შენებოთა] შემკობითა C. ²⁴ ეკლესიასათა C. ²⁵ ანუ] და C. ²⁶ მიცემითა] მოწ-
 ყალბებითა C. ²⁷ ესე — B. რომელი — ესე... დედოფალმან — C. ²⁸ ყოველივე
 AB. ²⁹ საეკლესიოდ B. ³⁰ სცვალნა C. ³¹ მრავალნი... აჩუნნა — C. ³² გლახაკთა
 C+ზედა C. ³³ მიზღუევად და] წარაგნა C. ³⁴ მიიღო A, მიიღოს C. ³⁵ შუენი-
 ერნი — AB. ³⁶ აღაშენნა A. ³⁷ და — AB. ³⁸ ვითარ... მისთვის] კუალად სხუად C.
³⁹ ეკუდარი C. ⁴⁰ დედოფლისა — C. ⁴¹ დიდებულისა — C. ⁴² ღმრთის-
 შშობელისასა C. ⁴³ და მარადის... მარიამისა — C. ⁴⁴ ქვითა — B, ქვთა C.
⁴⁵ საფირონითა C. ⁴⁶ შინათა C. ⁴⁷ მარმარილოთა A. ⁴⁸ უმეტეს — C. ⁴⁹ ვი-
 თარმედ — C. ⁵⁰ განყიდეთ C. ⁵¹ ქუშლის C.

საფასე მოუკლებელი“. მიერთვან განავრძო ძემან მისმან თეიმურაზ¹ სამეფოა თესი ღმრთისმოყუარით² დედითურთ. წინასწარმეტყველებდნენ³ ეკლესიანი ღმრთისანი, დაღრმდებოდა⁴ საღმრთოა თესლი ღმრთისმსახურებისა და განძლიერდებოდა ერი ქართველთა და ვითარცა ესე ესრეთ იქმნებოდა, ვერ თავს-იდებდა მტერი იგი მოშურნე ქრისტეანეთა ეშმაკი ეგეოდენსა⁵ დაწყყნარებასა და უშფოთველობასა ეკლესიათასა. ამისთვის აღჭურა მბრძოლი იგი მარადის და განმრყუნელი წესთა კეთილდაწყყნარებისასა საქართველოსა ზედა, მეფე სპარსთა უსჯულო, უკეთური, მკეცი და ყოველთა არაწმიდებითა აღსავსე, მახული იგი ორპირი, ჭური ყოველთა მანქანებთა ბოროტისათა, მპოვნებელი ყოველთა ცბიერთა⁶ მეფე შაჰაბაზ⁷, რამეთუ მას ჟამსა მოცალებოდაცა, რამეთუ დასუსტებულ იყო კეისარი. ამისთვისა განიზრახა⁸ თანაშემწეობითა მამისა თვისა⁹ ეშმაკისათა, ვითარცა ეტყოდა უფალი ჰურიათა, ვითარმედ: „თქვენ მამისა თქუენისა¹⁰ ეშმაკისანი ხართ და გულისთქუმათა მამისა თქუენისათა გნებავსთ აღსრულებად, რამეთუ იგი დასაბამითგან კაცისმკვლელი იყო და არა დაადგრა ჰეშმარიტებასა ზედა და ჰეშმარიტებაჲ არა არს მის თანა“. და შემდგომი ამისი. და წარმოემართა სიდიდითა¹¹ მრავლითა და სპითა უმრავლესითა შურისათჳს კახთა მეფისა თეიმურაზისა¹², რაჲთამცა აღაოჯრნა და დააქცივნა ეკლესიანი და ასწყუდა¹³ თესლი ღმრთისმსახურებისა, რამეთუ ამიოდა ჰეშმარიტი სარწმუნოებაჲ და მართლალსარებაჲ¹⁴ სამებისა წმიდისა მეფისა და ყოველისა ერისა საქართველოსა.

/ამისათჳსცა უფროს შურითა საეშმაკოთა შეიწყუებოდა¹⁵ ბოროტი იგი მეფე სპარსთა, მსგავსი ივლიანესი, გინა თუ დეოკლიტიანესი და მსგავსადვე მათსა მბრძოლი და შემმუსრველი ქრისტეანობისა¹⁶. მაშინ მოესმა ყოველნი ესე ამბავნი¹⁷ მეფესა თეიმურაზს და წარავლინა¹⁸ ყოველსა საბრძანებელსა თჳსად ქადაგი თესი და ყოველნი შემოკრიბნა სიბრავლე ჭარისა¹⁹ თვისისა²⁰ ეპისკოპოზით²¹, თავადით, აზნაურით და უაზნოთურთ. მოვიდეს ესენი წინაშე მეფისა თეიმურაზისა და, ვითარცა ჭერ იყო, ეგრეთ თაყუანისცეს და რა-

1 თაიმურაზ B. ~ თეიმურაზ მეფემან C. 2 ღმრთისმოყუარით B. ღმრთისმოყუარით C. 3 წინასწარმეტყველებდნენ] უყოლდენ C. 4 დაღმრდებოდა] ვითარცა შროშანი და განმრავლდებოდა C. 5 ეგეოდენი BC. 6 ცბიერთა] უსჯულობათა C. 7 შაჰაბაზ C. 8 განიძრახა C. 9 თვისისა—BA. 10 თქუენისა — AB. 11 სიდიდითა C. 12 თაიმურაზი B. 13 აღმისწყუდა C. 14 აღსრება B. 15 შეიწყუებოდა C. 16 ქრისტეანობის C. 17 ჰამბავნი C. 18 წარავლინა ABC. 19 ჭარისა] C. 20 თვისისა — AB. 21 ეპისკოპოზით B, ეპისკოპოსი C.

მცა ენება მეფესა, ყოველსავე გულქეშმარიტებით¹ დაუმტკიცებდეს და ფიცით აღუთქუმიდეს ერთგულებასა მისსა.

5 მოვიდა მეფე იგი უსჯულოა ქუეყანასა მას განჯისასა და წარმოავლინა მოციქულნი წინაშე მეფისა თეიმურაზისა და წარმოუთხრა ესრეთ: „ვინათგან მოვიწივე აქასა² ამას ქუეყანასა, შენდაცა ჯერ არს მოსლვად ჩუენდა და³ თაყუანისცემად წინაშე ჩუენსა, ვითარცა არს წესი უმრწემისისა უხუცესისა მიმართ. ენება უსჯულოსა მას მეფესა, რამთამცა ზაკეთ შეეპყრა⁴, ანუ მახვლითა მოიკლა, ანუ ცეცხლითა დაეწუა⁵ მეფე ესე ღმრთისმოყუარე.

10 ცნა ამანცა მანქანებამა კაცისა მის ბოროტისა და თვთ არა მიენდო განზრახვასა⁶ მათსა, არამედ იგმო თავადნი თუსნი და უბრძანა მათ: „მე განზრახვებულ ვარ წყობად უსჯულოთა მათ სარკინოზთა, ვითარცა მოწამე ქრისტესი ნესტორ ლეოსა ზედა. უკუეთუ ღმერთი ჩუენ კერძო არს, ვინ შემიძლოს ჩუენ⁷ ენებად რამსამე?!

15 ამისა შემდგომად მოილო წიგნი და შემოთვლილობამ⁸ მეფისა მის უსჯულოსა და ყოველთა⁹ შორის საანჯმნოდ ყო. ყურად-იღეს ყოველთა ბრძანებამა¹⁰ იგი სავსე მანქანებითა და ზაკვთა ბოროტითა, შიში და ძრწოლა შეედევთ ყოველთა მუნ მდგომარეთა და ზოგი რომელიმე განიზრახვიდა¹¹ ყოფასა¹² ბრძოლისასა და განზრახვა¹³

20 მათი, რამეთუ არა კეთილ და ქეშმარიტ იყო.

ამას ზედა შეწუხნა მეფე ესე მორწმუნე, მსგავსი კოსტანტინესი, გინათუ თეოდოსისი, და შთაეარდა დიდსა ზრუნვასა გულისსიტყუათა¹⁴ თუსთასა და ვერა რომელი¹⁵ ღონე ეპოვა¹⁶ ნუგეშინისცემისა მათისა. მოაჯსენეს თავადთა კახეთისათა: „ვინათგან ჩუენ ვერ შეუძ-

122 25 ლებთ/ბრძოლისა ყოფად მისსა, მოვიპოოთ¹⁷ მიზეზი მშუდობისა რამსამე ყოფისა მათისა: წარვგზავნოთ დედოფალი ქეთევან¹⁸ და თანა წარვატანოთ იგი თქუენი ალექსანდრე და მიეგებოს წინაშე მისსა და გვიქსნას პირისა მისგან მვეცისა ბოროტისა“.

30 შეწუხნა მეფე სიტყუასა ამას ზედა მათსა და აღდუღნა გული მისი და თუალნი¹⁹ ცრემლითა აღევსნეს და მწარითა ტყებითა და ტირილითა დიდითა მოუთხრა ესე ყოველი²⁰ დედასა თუსსა. მაშინ

¹ გულქეშმარიტებით დაუმტკიცებდეს] ზედა მოსწოაჲედ მორჩილობდეს C. 2 აქას A. ³ და თაყუანისცემად... ჩუენისა — AC. ⁴ შეეპყრა BC. ⁵ დაწუა C. ⁶ განზრახვასა C. ⁷ ჩუენ — B. ⁸ შემოთვლილობამა] აღმოკოთხეს ბრძანებამა C. ⁹ ყოველთა... ყო — C. ¹⁰ ბრძანებამა] წერილი C. ¹¹ განიზრახვიდა] იტყოდა C. ¹² ~ ბრძოლისა ყოფასა C. ¹³ განძრახვა C. ¹⁴ გულისსიტყუათა თუსთა] დიდსა ზრუნვასა C. ¹⁵ რომელი] რამა C. ¹⁶ ეპოვა B. ¹⁷ მოვიპოოთ] მოვილოთ B. ¹⁸ თუ-
აღნი+მისინი B. ²⁰ ყოველი — B.

შეწუნა დედოფალი ქეთევან და მანცა¹ იწყო ტირილად და თქვა ესრეთ: „შვილო ჩემო სასურველო და ნათელო თუალთა ჩემთაო, მრავალჯერ მივსნია ქუეყანა ესე კახეთისა დედობრივითა უძლურებითა ჩემითა. უკუეთუ წარვიდე მეცა, არა ინებებს შეფე იგი უსჯულო მშუდობის ყოფად ჩუენდა, რამეთუ არს იგი მოუმლოცრებელ². მაშინ ყოველთა ერთა აღმოუტევეს³ ერთობით საწყალობელად კჳმა მათი და თქუეს: „დაგვსენ⁴, დაგვსენ, დედოფლო, ბოროტისა მისგან მჭეცისა მომსრველისა“.

მაშინ განეზადა⁵ და წარვიდა მწუხარებითა⁶ და ტირილთა ფრიადითა. და გამოესალმნეს მეფე და დედოფალი ხვარაშან, ასული ქართველთა მეფისა, და ყოველნი თავადნი კახეთისანი, რამეთუ დიდნი გოდებანი⁷ და მწუხარებანი აღესრულებოდეს ეამსა მას. და ფრიადნი ცრემლნი დაითხოოდეს⁸ და ემსგავსებოდა დღე იგი ტირილსა მას რაქაელისსა, ანუ გოდებასა იერემიასსა.

და წარვიდა ესევეთართა მწუხარებითა შეპყრობილი თანამყოფით შვილისშვილითურთ აღექსანდრეთ და მიიწია, სადაცა ბილწი იგი დაბანაკებულ იყო. და მიესმა ესე მეფესა მას უსჯულოსა მისლვა დედოფლისა ამის და განიხარა სიხარულითა დიდითა⁹ და მასვე ეამსა წინაშე თუსსა მიიყვანა¹⁰ თანამყოფით ძითურთ. აღდგა მეფე იგი უსჯულო და წინამოეგება და სიხარულით შინაგან ტახტსა¹¹ მას სამეუფოსა შეიყვანა და დასხდეს და იწყო სიტყუად მათდა და ჰრქუა: „რამათუს არა მოვიდა ძე შენი მეფე თეიმურაზ და არა ყო მშუდობაჲ შორის ჩუენსა და მისსა, რამეთუ ჩუენ ესრეთ წადიერ ვართ, რამათა მოვიდეს და გვხილნეს ჩუენ და იყოს მორჩილებასა ქუეშე ჩუენსა ანუ კუალად წარმოგვგზავნოს ძე თუსი წინაშე ჩუენსა“.

/ მაშინ ცნა¹² დედოფალმან ამან ღმრთისმოყუარემან მცბიერებაჲ¹³ იგი მისი და ზაკუა¹⁴ გულისა მისისა. მწუხარებითა შეპყრობილმან მოუწერა ძესა თუსსა, მეფესა თეიმურაზს ყოველნი ესე¹⁵ ხილულნი თუსნი და ბრძანებამ მეფისა მის უსჯულოსა.

და მოიწია ესე ამბავი¹⁶ წინაშე მეფისა და ფრიად მწუხარე იქმნა საქმესა ამას ზედა, არამედ არარაჲ იყო სხუჲ ამისსა გარეშე. და წა-

1 მან B 2 მოულოცრებელ B. 3 აღუტევენ C. 4 დაგვსენი შემწე გუეყან. C. 5 განეზადაი ფრიადისა მეს იძულებასთუს მორჩილ ექმნა და დადვა სული თუსი ერისა თუსისათუს C. 6 ~ ფრიადითა მწუხარებითა და ტირილთა C+მწარითა C. 7 გოდებანი გლოვანი C. 8 დაითხოოდეს B. 9 დიდითა+ფრიად B. 10 მოიყვანა B. 11 ტახტსა პალატსა მას C. 12 იცნა B. 13 მცბიერობაჲ C. 14 ზაკუა BC. 15 ესე — C. 16 ამბავი C.

რუგზავნა მეორეცა ძე თვის ლევან. და შემდგომად კელთგდებისა ორთავე ამთ ძეთა მისთა იცვალა¹ სახე და საქმე სიყვარულისა წილ სიძულვილისა² და სიმართლის წილ სიტყუილისა³ და აღიძრა გულისწყრომითა და რისხვთა დაუპყრობელითა. და შეიპყრა დედოფალი ესე ყოვლად სანატრელი და ექსორიობად დასაჯა: შორად ქალაქად შირაზად წარგზავნა და ორნი ესე ძენი მისნი პატყითა გამოსაქურისნა.

და ვითარცა იხილნა წმიდამან ამან ძის ძენი იგი მისნი ესრეთ დასჯილნი, რომელმან ენამან გამოთქუნეს ტყვილნი გულისა მისისანი ანუ ნაკადულნი ცრემლთა მისთანი? განიშალნა⁴ თმანი⁵ და იგლეჯდა⁶ სახესა პირისა მისისა და იტყოდა: „დიდებამ შენდა, მეუფეო ყოველთაო ქრისტე, რამეთუ ცოდვათა ჩემთათჳს მოიწივნეს სასტიკნი ესე განსაცდელნი“. და იტყოდა, მსგავსად იობისა, ვითარმედ: „უფალმან მომცა და უფალმან წარმიღო, იყვენ სახელი უფლისაჲ კურთხეულ უკუნისამდე“, და თანა-ახლდეს მკვევალნიცა მცირენი და ბერი ერთი, სახითა მღდელი, რომელი უკუანასკნელ ცილისწამებითა რაბთმე ცეცხლითა დასაჯეს⁷. ხატნი⁸, წიგნნი და ნაწილნი წმიდანი⁹ თანა აქუნდეს¹⁰ მკვევალ¹¹ თვსად¹ და ეკუდერიცა¹³ მცირე აღაშენა სალოცველად თვსად და იყოფებოდა¹⁴ ლოცვითა და ვედრებითა¹⁴ დღე და ღამე წინაშე ღმრთისა¹⁵, რომელი¹⁶ მოგიბხრა ყოველივე ცხორებამ¹⁷ მისი.

ხოლო მეფე იგი უსჯულო შემდგომად შეპყრობისა¹⁸ წმიდისა ამის შევიდა საქართველოდ და აღაოჯრა იგი, აოჯრებითა¹⁹ ცხელითა წარტყუნა ფრიად, რამეთუ აღესრულა სიტყუა ფსალმუნისა, ვითარმედ²⁰: „ღმერთო, შევიდეს წარმართნი სამკვდრებელსა შენსა და შეაგინეს ტაძარი წმიდაჲ შენი“, და შემდგომი ამისა. და ივლტოდა მეფე²¹ გელთაგან მისთა. რამეთუ ვერ ეძლო ბრძოლად, ვითარცა ზემორე ვთქვ²², განერა მცირით კაცითა და²³ წარვიდა ქუეყანად ლიხთიმერად²⁴. დაწუეს²⁵ ცეცხლითა ქალაქი, შუენიერი

1 იცვალა+სხუაჲ C. 2 სიძულვილისად B. 3 სიტყუილისა C. 4 განიშალნა| განიშოშულნა C. 5 თმანი| თამნი B. თავნი C. 6 იგლეჯდა... მისსა| იფხურადა თათათა თავისა თვისათა და დაიბძარვიდა სახესა პირისა მისისათა C. 7 დასაჯნეს A+და ყოველნი საღმრთონი C. 8 ~ წიგნნი და ხატნი C. 9 ~ წმიდათა ნაწილნი AC. 10 აქუნდა B. 11 მკვევალ AB. 12 თვსად+და C. 13 უკუდარიცა AC. 14 ვედრებითა+და A. 15 ღმრთისა| უფლისა C. 16 რომელი... მისი — C. 17 ცხორებამ A. 18 შეპყრობისა| ექსორიობისა C. 19 აოჯრებითა ფიცხელითა| და წარტყუნა ფრიად C. 20 ვითარმედ — C. 21 მეფე+და ერი მისი C. 22 ვთქუ C. 23 და — AB. 24 ლიხთიმერად A, ლიხთ იმერეთად C. 25 დაწუეს C.

კახეთი და დაქციენეს ყოველნივე და იატაენეს ფერკითა ბილწითა ადგილნი წმიდათანი, სალოცველნი, ვითარცა მეფემან ხოსრო ქალაქი იერუსალიმი, და მოიწია კირი დიდი ქუეყანასა ქართველთასა, რომელი არა მოწვევულ იყო დასაბამითგან სოფლისათა¹. და იყო კირი იგი² განგრძელებულ ვიდრე ათხუთმეტ³ წელ, და მოვიდა⁴ უსჯულო იგი მეფე ქუეყანად ქართლად, ვითარცა⁵ ასწყუნდა⁶ კაცნი⁷ კახეთს⁸. 5

მას უამს მეფობდა ქართლს მეფე ლუარსაბ, ძე მეფისა გიორგისი, კაცი მკნე და ახოვანი⁹, შუენიერი უფროს ყოველთა ძეთა კაცთასა და იყო ჭერეთ ყრმა და გამოუცდელი¹⁰. დაშთომილ იყო ივრ მამისა მისგან ღმრთისმოყუარისა და მორწმუნისა. 10

ხოლო მეფე იგი სპარსთა ლიქნიდა მას ფრიად და ეტყოდა¹¹ ფიცით, ვითარმედ: „უკუეთუ¹² მოხუდე და მერჩდე მე, მეგობრად ჩემდა გყო შენ და მიგცნე ყოველნივე სამეფონი საქართველოსანი, შენნი და უშენნი, რამეთუ მიყუარ შენ ფრიად პასაკისათუს და შუენიერებისათუს¹³ და ახოვნებისათუს გუამისა შენისა. რამეთუ მეფე იგი კახთა და ადგილი მისი ამისთუს მოვოაჭრე, რამეთუ იყვნეს¹⁴ იგინი მეგობარ კეისრისა, ხოლო შენ დაგიჭირავე¹⁵ სწორად თავისა ჩემისა და მეორედად მეფობისა ჩემისა გყო¹⁶“. ამით ესევეითარითა სიტყუთა მოალორა მეფე ესე უსჯულომან და მივიდა¹⁷ მის თანა, ხოლო ვითარცა კელთ-ივდო, აღუსრულდა ყოველივე საწადელი მისი და იტყოდა მეფე ლუარსაბ, ვითარმედ¹⁸: „იესუ ქრისტე, უწყი, ვითარმედ¹⁹ ყრმა ვარ და უსწავლელ. გარნა უწყი, ვითარმედ შენ ხარ ღმერთი ყოველთა და სჯულთა შენთათუს მზა ვარ სიკუდილად“. 20 25

დღესა ერთსა ჯდა მეფე უსჯულო და უჯდა მეფე იგი მორწმუნე დღეთა მათ მარხვისათა წმიდათა²⁰ ორმოცთა და აიძულა მას ჭამად თევზისა. ხოლო მან ჰრქუა: „არა ვკამო წმიდათა ამათ მარხუათა, რამეთუ ესრეთ განწესებულ არს, და უკუეთუ²¹ ვკამო თევზი, კუალად მაიძულებდე ჳორცსაცა²² ჭამად მარხვათა შინა არა უწყია, მეფე. რამეთუ მე ქრისტიანი ვარ?“ და ივლტოდა მისგან. 30

1 სოფლისად A. 2 იგი+და განსაცდელი C. 3 ათხუთმეტ C. 4 მივიდა AC. 5 ვითარცა] შემდგომად C. 6 ასწყუნდა, მოწყუადისა C. 7 კაცნი] და მოსრულადა C. 8 კახეთისადა C. 9 ახოვანი+და C. 10 გამოუცდელ C. 11 ეტყოდა+მას C. 12 უკუეთუ C. 13 უშენიერებისა C. 14 იყვნეს C. 15 დაგიჭირავე] გყოფ C. 16 გყო — C. 17 მოვიდა B. 18 ვითარმედ+უფალო C. 19 ვითარმედ] რამეთუ C. 20 წმიდათა+მათ B. 21 უკუეთუ C. 22 ჳორცსაცა AC.

- ხოლო ვითარცა განთენდა¹, შეიპყრეს მეფე იგი შუენიერა, ცხებული ღმრთისაჲ, და წარგზავნეს საპყრობილედ იგიცა ქალაქსა მას/შირაზისა². და ვითარცა იხილა უსჯულომან მან მიუდრეკელობაჲ საჩუქუნობისაგან, განიზრახა³ გულსა შინა თვისსა: „უკუეთუ ვაძიელო უარის-ყოფად⁴ ქრისტესსა⁵, არა მერჩიდეს ზიარებად სჯულთა ჩემთა“. და წარავლინა კაცნი საპყრობილესა შინა და საპლითა მოაშთვეს⁶ წმიდაჲ იგი და გვრუნშემოსილი წარვიდა წინაშე ღმრთისა, შემკული ღუაწლითა წამებისათა. და განიზრახეს⁷, რამთა დაძალონ წმიდაჲ იგი შუენიერი გუბამი მისი, ნუუკუე წარიპარონ ქრისტეანეთა ნაწილნი მისნი. თუესა⁸ მარტსა ერთსა აღესრულა ღმრთივ-გვრგვონოსანი ესე მეფე ღუარსაბ. ამისა შემდგომად დაიპყრნა⁹ უსჯულომან მან ქუეყანანი ქართლისანი და კახეთისანი და სამცხეცა მიულო კელთაგან ბერძენთა, დააყენა ნოინნი და წარვიდა.
- ხოლო ჩუენ აღვიდეთ პირველსავე მას სიტყუასა ზედა. წმიდაჲ იგი მოწამე ქრისტესი დედოფალი ქეთევან¹¹ იყო საპყრობილესა შინა და სცუდეს მას კრძალულად და მისცემდიან¹² როქიკსა რამასამე კმასაყოფელად საკმართა, ხოლო იგი განუყოფნ უღონოთა და გლახაკთა და განამტკიცებნ მუნ მყოფთა ქრისტეანეთა მწირთა, რამთა არავინ უარ-ყოს¹³ ქრისტე. ხუცესიცა ვინმე ზღდელი ჰყვა თანა, რამთა, ოდეს ეგმარებოდნენ¹⁴, მისცეს¹⁵ მათ საიდუმლო ქრისტესი. და იყო წმიდაჲ იგი ღუაწლსა შინა, ნუუკუე იქმნას განსლვა მისი წორცთაგან ადგილსა მას უსჯულოთასა, და ევედრებოდა უფალსა ცრემლით¹⁶ დღე ყოველ¹⁷ და მიავლენდა¹⁸ მეოხად ჯა შუამდგომლად¹⁹ უხრწნელსა მას მშობელსა მისსა, მეოხსა და მქსნელსა ქრისტეანეთასა. მარხვასა ეგეზომსა მისცა თავი თვისი, ვიდრე წორცთა საზომსა თანა წარკდა. აღუთქუა²⁰ აღუთქმითა²¹ საშინელითა, უკუეთუ განეროს²² კელთაგან მათთა და მივიდეს სამეფოდ თვისად, განშიშულდეს სოფლისაგან და აღილოს ჭუარი და იქმნეს მონაზონ და დაუწესოს მოწესეთა თანა. ხოლო ყოველთა ზედა-მხედველი იგი და უმჯობესად განმარწესებელი მონათა თვისთასა, უმ-

1 განთენა AC. 2 შირაზისასა B, შირაზსა C. 3 განიძრახა C. 4 უვარის-ყოფად C. 5 ქრისტესსა A. 6 მოაშთვეს A. 7 განიძრახეს C. 8 ~ შუენიერი იგი და წმიდაჲ გუბამი მისი C. 9 ~ აღესრულა ღმრთივ-გვრგვონოსანი ესე მეფე ღუარსაბ თვისა მარტსა ერთსა C. 10 დაიპყრა ABC. 11 ქეთევან C. 12 მისცემდიან+მას C. 13 უვარ-ყოს C. 14 ეგმარებოდნენ AB. 15 მისცენ AB. 16 ცრემლით+და AB. 17 ყოველ და დამე C. 18 მიავლენდა| ხადოდა C. 19 შუამდგომელად+ყოველად C. 20 აღუთქუა| C+დიდი C. 21 აღუთქმითა| აღუთქვა C. 22 განერეს C.

კირესისა მეძიებელსა მისცემდა უზეშთაესსა, ვითარცა თუთ ბრძანებს სახარებასა შინა, ვითარმედ: „უკუეთუ თქუნენ, უკეთურთა, იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შეილთა თქუნენთა, რავდენ მამან თქუნენან ზეცათამან იცის მოცემად, რომელნი სთხოვდენ მას“. სული წმიდაჲ იგი ითხოვდა/ვორციელად განრომად საბრძანებელსა და შერთვად გუნდსა² მონაზონთასა, ხოლო მსმენელი იგი თხოვისა უქადებდა მას სულთა განრომად ბრძოლათაგან სულთა მომსრევლისა და გუნდსა თანა ანგელოზთასა შერთვად მოუგონებელთა მათ კეთილთა მინიკებასა და გვრგვნთა მათ უბრწუნელთა აღუთქუმიდა მას მოთმინებისათჳს მისისა, რომელსა ჩუენებად იყო სიყუარულისათჳს მისისა.

ამისა შემდგომად წარკდეს რამ ჟამნი რაოდენნიმე, იკითხა უსჯულომან მან და ბოროტთა სადგურმან მეფემან, თუ: „ვითარ იყოფების და³ ვითარ ამას ცხორებს⁴ დედოფალი, რომელს⁵ ტყუე ვყავ ქუეყანასა⁶ შირაზისასა?“. ხოლო მათ ყოველივე აუწყეს კეთილი იგი მოქალაქობაჲ მისი და შეურყეველად და მტკიცედ დგომა სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა. აღშფოთდა სულითა ბილწი იგი და აღმოუტევებდა ორთქლთა შავთა პირისაგან მისისა შეჭირვებითა დიდითა, ფიცით დაამტკიცა⁷ და თქუა⁸, ვითარმედ: „ანუ განვაყენო სჯულისაგან ქუარცმულისა და ანუ¹⁰ სიკუდილითა მწარითა განვიყვანო¹¹ საწუთოსაგან¹²“. აქუნდაცა სასოებაჲ ამისი, კითარმედ ბუნებითა დედათათა იქმნას მომედგარებაჲ სატანჯველთაგან. და არა უწყოდა უგუნჯრმან შინაგან დამკვდრებული იგი ცეცხლი¹³ მოტყინარე, სიყუარული ქრისტესი მის შორის, ანდა მატებრ მტკიცე სარწმუნოებაჲ, რამეთუ საძირკველი¹⁴ იგი სახლისა მისი[საჲ] არა ქვშასა დამყარებულ იყო, არამედ კლდესა მას შეურყეველსა. ამისა შემდგომად საქმით სრულყო სიტყუაჲ იგი უსჯულომან მან და წარავლინნა კაცნი ვინმე შემსგავსებულნი საქმეთა მათ ბოროტთა, მიუმცნო პირველად ლბილნი სიტყუანი, ვითარმედ „ში, დედოფალო; უწყი პატიოსნებაჲ და წესიერებაჲ შენი და სიბრძნე და¹⁵ და სიმკნე და მნებავეს, რადთა იყო ჩემდა დედად საყუარელად¹⁶ და¹⁷ მე ვიყო შენდა შეილი და მორჩილ სიტყუათა შენთა, და განაგებდე პალატსა ჩემსა, ვითარცა ჟერ-გიჩნდეს. მო-

1 ~ იგი წმიდაჲ B. 2 გუნდსა| ხოროსა A ვოროსა B. და ვითარ—C.
 4 ცხორებასა C. 5 რომელი C. 6 ქუეყანისა| ქალაქსა C. 7 დაამტკიცებდა C.
 8 თქუ A| იტყოდა C. 9 და — C. 10 ან A. 11 განვიყვანო C. 12 საწუთოსაგან BC. 13 ცეცხლი| ცხორებაჲ AB. 14 საძირკველი... დამყარებული იყო| არა დავუძლე სახლს მისი ქვშასა ზედა C. 15 და სიმკნე — 16 საყუარელად C. 17 და — AB.

ვაქციო შენდა¹ ძე შენი და მოვიყვანო² სამეფოსა თუსსა და მივ-
სცნე სამეფონი თუსნი და იყოს იგი ძედ საყუარელად ჩემდა, უკუ-
ეთუ მოხვდე სჯულსა ჩემსა და იქმნე მუსურმან, რომელსა³
პრქეიან განწმენდილ⁴. და⁵ უკუეთუ არა ერჩდე ბრძანებასა ჩემსა,
v 5 ვფუცავ მოჰმადსა, არა ვრიდებ⁶ მე/ფობასა და პატიოსნებასა შენ-
სა და სატანჯველთა⁷ სასტიკთა⁸ გ. ნგიყვანო ამის ცხორებისა-
გან⁹. მიიწიენეს⁹ რაჲ მივლინებულნი იგი, სადა-იგი იყო წმიდაჲ,
და პირველად შეიპყრეს ხუცესი, რომელი ჰყვა წმიდასა მას, აუწ-
ყეს ყოველი ბრძანებული მეფისა. უწინ¹⁰ წმიდისა მის აიძულეს
10 ხუცესსა მას დატევებად სჯულისა¹¹ ქრისტესა და პრქეუს მას: „ანუ
აღირჩიე სიკუდილი და ანუ უარ-ჰყავ ქრისტე“. ხოლო ვითარცა
ნახა¹² ხუცესმან თავი თუსი ესე ვითარსა განსაცდელსა, შეშინდა ში-
შითა მწარითა¹³ და უარ-ყო¹⁴ ქრისტე და იქმნა საპრიც და არა ნიკი-
ფორე¹⁵. ამის საქმისათვისცა აღესრულა სიტყუა იგი სახარებისაჲ,
15 რომელსა იტყვს მთესერისად¹⁶ აგარაიკისათვს, ვითარმედ¹⁷: „რა-
ჲამს მოიწევიან ჰირნი და ანუ განსაცდელნი, მეყსეულად დაუტე-
ვიან¹⁸ და უნაყოფო იქმნიან“, რომელიცა შეემთხვია ხუცესსა
ამას¹⁹ საწყალობელსა. და რაჲ²⁰ აღსრულეს გულისნებაჲ²¹ თუსი
20 ხუცესსა მას ზედა მტარვალთა მათ, აღმოათქმევინეს სიტყუანი²²
ბილწისა სარწმუნოების მათისანი²³. მაშინ წარავლინეს ხუცესი
წინაშე. დედოფლისა და შესთვალეს ყოველივე ბრძანებაჲ მეფისა²⁴,
განგებაჲ იგი მათი²⁵ უმსჯავროჲ²⁶.

ხოლო შევიდა ხუცესი და ტირილითა მწარითა ყოველივე
v იკადრა წინაშე დედოფლისა. ხოლო ესმა რაჲ ესე წმიდასა მას,
25 აყვედრა პირველად ხუცესსა მას უარისყოფა²⁷ ქრისტესი, საწუ-
თოსსა²⁸ ამის წილ განსუენებაჲ და აღიპყრნა კელნი თუსნი ზეცად
და ნაკადულნი ცრემლთანი გარდამოუტევენა და თქუა სიტყუად
იგი წინასწარმეტყუელისა ელიასი, რაჲამს სდევდა მას აქაბ და

1 შენდა — AC. 2 მოვიყვანო C. 3 რომელსა... განწმენდილ] შრავალი კე-
თილი მოვანიყო C. 4 განწმენდილ — A. (ამოფხეკილია). 5 და — C. 6 ვერიო C.
7 სატანჯველთა C. 8 სასტიკთა C. 9 მიიწიენეს A. 10 უწინ] პირველად C.
11 სჯულსა C. 12 ნახა] იხილა C. 13 მწარითა + დიდითა A] დიდითა C. 14 უარ-
ყო C. 15 ნიკიფორე C. 16 მთესერად C. 17 ვითარმედ — B. 18 დაუტევიან...
იქმნიან] დაბრკულდონ C. 19 მას C. 20 რაჲ] ვითარ C. 21 გულისნებაჲ] ნებაჲ C.
22 სიტყვანი A. 23 მათისა AB. 24 მეფისა — C. 25 მათი — AB. 26 უმსჯავრო +
მათ AB. 27 უარისყოფა C. 28 საწუთოსა... ფანსუენებაჲ — C. 1

ცოლი მისი იეზაბელ¹ სიკუდილად: „წინასწარმეტყუელნი მოსწყუნენს, საკურთხეველი შენი დაარღვევს², მე მარტო დაშთომილ ვარ და სულსაცა ჩემსა ეძიებენ მოკლვად“. ესე რაჲ თქუა, ჰრქუა ხუცესსა მას: „წარვედ, არქუ³ მათ, მოვიდენ და აღასრულონ ბრძანებული მათი ყოველივე, რამეთუ მე მზა ვარ ქრისტესთვის სიკუდილად“.

ვითარცა ესმა⁴ მათ⁵ სიტყუაჲ ესე, შემოვიდეს წინაშე წმიდისა მის⁶ და უთხრეს ყოველივე ბრძანებული მეფისა და თვთ თავით თვსით ლიქნიდენ⁷ მას და აწუევდენ⁸ უარყოფად⁹ ქრისტესა. ხოლო მან რეცა განიციინა¹⁰ ნელიად და ჯუარი ქრისტესი გამოისახა პირსა თვისსა და თქუა განკურებით: — რაჲ არს ცუდი ეგე ზრახვა თქუენი, მე მაწუევთა დატევებად სარწმუნოებისა? არა უწყისა ბილწმან მან, რამეთუ ყრმანიცა და უსწავლულნიცა წინააღულდგებიან სიტყუათა მისთა, მე ვითარ მაწუევს, ვითარ გამოუცდელსა, ზღაპართა და ცუდთა წარწყმენდულთა¹¹ სჯულსა მისსა მისლვად? გარნა არა უწყისა, რამეთუ ვერ ძალუც შერყევად ჩემდა ძალითა ქრისტესითა? არამედ ნებაეს¹² დაღურაცა¹³ სისხლისა ჩემისა სისხლისმსმელსა მას. პირველად ასწყუდა¹⁴ სამეფო ჩემი და ექსორია ყო ძე ჩემი და მოსწყუნდა ყრმანი მისნი სულიერად და კორციელად, იავარ-ყო საუნჯენი და მონაგებნი მეფეთანი და დააქცივნა ყოველნი. აწ ჩემიცა ნებაეს მოკლეა, რაჲთამცა იყოს¹⁵ შეძინებაჲ სისხლითა ჩემითა უსჯულოსა მას, გარნა ვევედრები ღმერთსა დამბადებელსა, რაჲთა იძიოს ყოველივე, რაჲცა შეგვემთხვა¹⁶ სახელისათვის¹⁷ მისისა¹⁸. ავინა და განბასრა სჯული და სარწმუნოებაჲ და მათი მოჰამედ¹⁹ და მოყუასნი მისნი. წარმოთქუა მრწამსი²⁰ სრულიად თვთოეულად ბრწყინვალედ და აღიბეჭდა ყოველივე გუამი მისი სასწაულითა ჯუარისათა. თქუა: „მრწამს მამაჲ ძისა თანა სულით²¹ წმიდითურთ და უხრწნელი იგი დედოფალი, შშობელი²² სიტყუსა ღმრთისაჲ. ამას²³ სარწმუნოებასა ზედა აღვესრულო და დავლუარო²⁴ სისხლიცა ჩემი, უკუეთუ ენებოს ქრისტესა. აწ რაჲცა გენებოს²⁵, ყავთ ყოველივე“ ესმა მათ სიტყუაჲ მისი,

¹ იეზაბელ B. ² დაარღვიეს C. ³ არქეი A. არქუ C. ⁴ ესმით B. ⁵ მათ — B. ⁶ მისქ მას B. ⁷ ლიქნიდენ B. ⁸ აწუევდეს C. ⁹ უარის-ყოფად C. ¹⁰ განიციინა B. ¹¹ წარწყმენდელთა C. ¹² ჰნებაეს C. ¹³ დაღურაცა] დათხევა C. ¹⁴ ასწყუდა] აჟოცა C. ¹⁵ იყოს] ეყოს C. ¹⁶ შეგვემთხვა A. ¹⁷ სახელისა C. ¹⁸ მისისათვის C. ¹⁹ მოჰამედ A. მოჰამად C. ²⁰ გურწამსი C. ²¹ სული A. ²² შშობელი + იგი C. ²³ ამა AB. ²⁴ დავლუარო] დათხოი C. ²⁵ ვნებაესთ R.

განკვრდეს მტარვალნი იგი და¹ ევედრებოდეს მას, რადთა არა გან-
წიროს სული თვისი, ხოლო მან შენერწყუჲ და განბასრნა იგინი.
✠ ამისა შემდგომად შიშისათჳს წმიდისა მის მოილეს შამფურნი
და შესხნეს ცეცხლსა შინა. ხოლო ამანჲ ჰრქუა⁴ მათ უშიშითა ჳმითა,
5 ვითარმედ: „მაცადეთ მცირედ⁵, რადთა ვილოცო, და⁶ რადცა გი-
ნებსთ⁷, ყავთ ყოველივე“. ხოლო მათ მიუშუეს⁸ და⁹ შევიდა წმი-
დაჲ იგი სახლსა მას სალოცველსა, მოიყარნა¹⁰ მუქლნი და აღიპ-
ყრნა კელნი და იტყოდა ცრემლითა. აღმოიღო ხატი წმიდისა
ღმრთისმშობელისა, დაალტო იგი ცრემლითა¹¹ და ესრეთ იტყოდა:
10 „უფალო „იესუ ქრისტე, მოიხილე მკვეალსა ამას“ შენსა ზედა
ღღეს¹², რომელსა ნებაჲს სიკუდილი¹³ სახელისათჳს შენისა. ნუცა
იქმნებიან დამაბრკოლებელ კეთილისა ამის ღუაწლისა ჩემისა
v ც/ოდვანი ჩემნი, არამედ ვითარცა ბრძანე: „რომელი მოვიდეს
ჩემდა, არა განვაძო ვარე“, და აღუთქჳ¹⁴ აღმსარებელთა, ვითარ-
15 მედ: „ნუ გეშინირო, რამეთუ მე მოგცე თქუენ პირი და სიბრძნე
და სული მამისა, [რომელი] იტყოდეს¹⁵ თქუენ წილ“. აჲ გვედრებ-
ბი, რადთა არა განმაშიშულო¹⁶ შეწვევისაგან შენისა, შემრთე
მეცა აღმსარებელთა თანა სახელისა შენისათა, იყავნ განმაძ-
ლიერებელი¹⁷ ძალი შენი უძლურებათა ამათ დედობრივთა, რადთა
20 იდიდოს ღმრთეებაჲ შენი და სირცხულეულ იქმნენ მბრძოლნი წმი-
დათა შენთანი“. ევედრებოდაცა¹⁸ ქალაქისა¹⁹ თვისსაჲს და ძისა
თვისისა, რადთა შემდგომად სიკუდილისა მისისა მიჰმადლოს განთა-
ვისუფლებაჲ. დაასრულნა²⁰ რაჲ ყოველნი ესე სიტყუანი, მაშინ გა-
მოიღო წმიდაჲ იგი საიდუმლოჲ, შენახული²¹ მის მიერ ჳურქველსა
25 რაჲსამე²² წმიდასა, და აღიღო კელითა თვისითა და თქუა: „უფალო
იესუ ქრისტე, რომელმან მოგუყიდენ პატიოსნითა სისხლითა შენი-
თა, აწცა მიითუალე²³ სისხლი ცოდვილისა მკვეალისა შენისა და შე-
ივედრე სული ჩემი, თანამედრე მეყავ²⁴ მოღუაწეთა შენთა თანა.
აღასრულა ყოველივე და გამოვიდა განძლიერებული ძალითა სალ-
30 მრთომთა და²⁵ დაჲდა წინაშე მტარვალთა მათ თანა. და ბრწყინვი-
და²⁶ პირი მისი, ვითარცა პირი ანგელოზისა, და ჰრქუა: „მოვედით

1 და — A. 2 შენერწყვა BC. 3 მან — A. 4 ~ მათ ჰრქუა A. 5 მცირე A.
6 და — A. 7 გნებაჲს BC. 8 მიუშუენს B] აცადეს C. 9 და — AB. 10 მოიყარნა
მოიღობნა C. 11 ცრემლითა — AB. 12 ღღესა AC+ამას C. 13 სიკუდილი+ჩემი
C. 14 აღუთქჳ C. 15 იტყოდის C. 16 განმაშიშულო C. 17 გნებარებელ B. 18 ევედ-
რებოდა C. 19 ~ ძისა და სამეფოსა მისისათჳსცა C. 20 დაასრულა A. დაასრულა
B. 21 შენახული] დამარხული C. 22 რაჲსამე B. 23 მიითუალე AC. 24 თანამედრე]
და ღირს C. 25 და — B. 26 განბრწყინდა B.

და¹ აღასრულეთ, რააცა გენებოსთ, რამეთუ მე მზა ვარ დათმენად ყოველთავე სატანჯველთა². შემოკრებოდა ყოველი იგი ქალაქი³, ტიროდეს მწარითა ტირილითა და ეტყოდეს: „რამ არს საქმე ესე, ანუ ხილვამ საშინელისა ამის სახილველისა?“ მთავარი იგი ქალაქისა მის ივლტოდა გარეგან ქალაქისა და იტყოდა: „არა ვიხილავ მე საქმესა ამას უმსჯავროსა, რომლისა ბრალისათვის ევენების დედოფალსა ამას ქართველთასა“.

ხოლო ტარიგი იგი⁴ შუენიერი გამზადებულ იყო დაკლვად ქრისტესთვის⁵. დაასხნეს ჯელნი იგი ბილწნი მტარავლთა⁶ მათ, განაშიშველეს წმიდამ იგი და პატიოსანი ბრწყინვალე გუამი მისი და განურთხნეს ჯელნი მისნი და განბასრეს⁷ იგი და მოიხუნეს მარწუხნი და⁸ განაჯურენეს და დახლიჩნეს ძუძუნი სანატრელისანი. ეგო იგი, ვითარცა კლდე შეურყევლად, მერმე მკლავნი დაპგლიჯნეს, ხოლო⁹ იგი იტყოდა: „უფალო იესო ქრისტე, მსწრაფლ¹⁰ განიყვანე სული ჩემი!“ და ნაკუერცხალი აღგზნებული დააყარეს სისხლმწითოლვარესა მას ჯორცთა მისთა. მერმე მოიღეს/ქუაბი განჯურეებული და დახურეს¹¹ წმიდასა თავსა მისსა. მეყსეულად შეპვედრა სული თვისი უფალსა¹² და ვითარცა აღესრულა წმიდამ იგი და ყოვლად სანატრელი მოწამე ქრისტესი და¹³ წარვიდა¹⁴ წინაშე ქრისტესა, შემკული გვრგვინითა მრჩობლითა¹⁵, ხოლო იხილა რამ კრებულმან მის ქალაქისამან უღუაწად¹⁶ დებად წმიდისა¹⁷ მის¹⁸ სისხლმწითოლვარისა¹⁹ გუამისა²⁰ მისისა²¹, შეუძნდათ ყოველთა და ტიროდეს მწარედ²² და იცემდეს მკერდსა თვისსა. ვერვის ეძლო აღებად პატიოსნისა გუამისა მისისა შიშისათვის მეფისა.

და ვითარცა შემწუხრდა დღე იგი, აღიდა მეუფემან ლუაწლი იგი მოწამისა თვისისა და მოვიდა ნათელი ბრწყინვალე და ვიდრე განთენებამდის²² მოფენილ იყო წმიდასა მას ზედა. იხილეს ყოველთა მუნ მდგომარეთა და აღიდეს²³ ღმერთი²⁴ და იტყოდეს: „ესე²⁵ არს ღმერთი ჭეშმარიტი, რომლისათვის მოკუდა წმიდამ ესე დედოფალი“. მაშინ კაცთა ვიეთემე შორწმუნეთა განაგდეს შიში მძლავრისა და იხილეს რამ სასწაული ესე საკვრველი, მივიდეს და

¹ და — AB. ² სატანჯველთა — AB. ³ ქალაქი + და C. ⁴ იგი — A. ⁵ ქრისტის AB + მის A. ⁶ მტარავლთა მათ — AB. და — AD. ⁷ განბასრეს იგი — C. ⁸ და — AB. ⁹ ხოლო — AC. ¹⁰ მსწრაფ C. ¹¹ დახურეს | დაარქუეს C. ¹² უფალსა | ღმერთსა C. ¹³ და წარვიდა... ქრისტესა — B. ¹⁴ მივიდა C. ¹⁵ მრჩობლითა + მხიარულ იქმნეს ზეცისა კრებულნი მოსლვასა მისსა C. ¹⁶ უღუაწად + უპატიოდ C. ¹⁷ წმიდამ C. ¹⁸ მის — C. ¹⁹ სისხლმწითოლვარე C. ²⁰ გუამის. ²¹ მისი C. ²² მწარედ — C. ²² განთენებამდე C. ²³ აღიდებდეს C. ²⁴ ღმერთსა C. ²⁵ ესე | იგი C.

მოწლედ ამბორს-უყვეს წმიდასა მას და იცხებდეს სისხლსა მას ქრისტესთვის დათხუვლსა, და ცრემლითა აღიღეს გუამი მისი და დაფლეს მისგანვე აღშენებულსა მას ეკუდერსა¹, რომელსა შინა იყენეს ორნიცა იგი მკვევალნი მისნი ფერჯთა თანა წმიდისა მის, და წარვიდეს.

მაშინ² ქალაქსა³ მას შინა იყენეს მწველებელთაგანნი ვინმე, რომელ არიან ფრანგნი, კაცნი მღღელნი, და მოიპარეს გუამი წმიდისა მის და წარიღეს ფრიადითა კრძალულებითა. და ლუსკუმაჲ შეუმზადეს მას ფრიალ კეთილი სურნელთა თანა მრავალთა და⁴ დახსნეს საკურთხეველსა⁵ ზედა. იქმნა⁶ სასწაული სხუაჲ, რამეთუ მიიღეს⁷ წმიდაჲ იგი მოწამე საფლავად⁸, ვინაცა⁹ წარიღის¹⁰ მიწა იგი საფლავისა და¹¹ ვინაცა¹² ვინ იყვის სნეული, განიკურნის¹³. ცხროიანი¹⁴ გინა წყლით-მანკიერნი¹⁵, სხუთა სენითა¹⁶ რაჲთმე¹⁷ შეპყრობილნი¹⁸ სვის¹⁹ გინა²⁰ დაიცხის, მყის განიკურნის ბრძნებითა ღმრთისათა და²¹ მეოხებითა მოწამისათა. ამისა შემდგომად გარდავდეს რაჲ ეამნი არაფრიალნი²², ყოველთა დამბადებელმან და კაცთმოყუარემან და აღმასრულებელმან თხოვათა მისთამან არა უგულუბელს ყო თხოვა²³ მოწამისა მისისა²⁴, ოდეს ილოცვიდა²⁵ წმიდაჲ ეამსა ლუაწლისასა განთავისუფლებისათვის ქალაქისა თვისისა და მოქცევისა²⁶ მისა თვისისა კუალად სამე/ფოდ თვისად, აღუსრულაცა²⁷ სათხოვარი²⁸ მოწამისა²⁹ მისისა³⁰.

ვითარცა ბრძანებს იგივე თავადი სახარებასა შინა, ვითარმედ „არა ისმინის ღმერთმან, რომელნი ღაღადებენ რჩეულნი მისნი?“³¹ ბრძანებითა³¹ ღმრთისაჲთა განუდგეს ქართველთა ერნი და ერისთავნი მეფესა სპარსთასა, რამეთუ ძალი და ნებაჲ ღმრთისაჲ აწუევედა მას საქმესა მას, მოსწყვიდნეს ნოინნი³² მისგან დადგინებულნი და მოკლეს სპასალარიცა ფრიადითა ლაშქრითა. ვერღარა უფლებდა

1 ეკუდერსა AC. 2 მაშინ — AB. 3 ~ მას ქალაქსა AB. 4 და — B. 5 — ზედა საკურთხეველსა AB. 6 იქმნა... სხუაჲ — C. 7 მიიღეს + რაჲ C. 8 საფლავად + იქმნა სასწაული დიდი C. 9 ვინაცა] რამეთუ რომელთა C. 10 წარიღეს AC. 11 და — AB. 12 ვინაცა ვინ იყვის სნეული] რომელთაც ვინ იყვიან შეპყრობილი სნეულებითა, მყის C. 13 განიკურნინან C + გინა C. 14 ცხროიან A, ცხროვიანი C. 15 მანკიერნი B. მენკიერი C. 16 ~ რომლითმე სენითა C. 17 რაჲთმე] რომელიმე C. 18 შეპყრობილთა C. 19 სვის A, სვან] C. თვის B. 20 გინა დაიცხის — C. 21 და — AB. 22 არაფრიალი A. 23 თხოვა] ვერღებაჲ C. 24 მისისა] თვისისა + მას ეამსა C. 25 ლოცვიდა] ევედრებოდა C. 26 მოქცევისათვის C. 27 აღასრულაცა B. აღუსრულა C + ღმერთმან C. 28 თხოვა C. 29 მოწამესა C. 30 მისისა] თვისსა C. 31 ბრძანებითა ღმრთისათა] ამისა შემდგომად C. 32 ნოინი AB. ნოინნი C.

მათ ზედა მეფე სპარსთა. წარგზავნეს¹ კაცნი ქართველთა მოწოდებად² მეფისა³ თეიმურაზისა⁴, რამათა შეჰვედრონ სამეფონი საქართველოსანი. და მოიყვანეს იგი და მიეგებოდეს მას და⁵ დასვეს მეფედ⁶ მცხეთას⁷ დედაქალაქსა, ველთ-უსხნეს სამეფო⁸ არა ხოლო კახეთისა, არამედ ქართლისაცა და ფიცით დაუმტკიცებდეს, ვითარმედ არლაროდეს⁹ განუღვენ ჭეშმარიტებისაგან¹⁰, არცა ეცრუვნენ მეფობასა მისსა. მიერითგან წარემატებოდა შარავანდელობა მეფობისა მისისა მადლითა და მეოხებითა დედისა მისისათა, რამეთუ შეიმკვებოდა და განშუენდებოდა მეწამულითა სისხლისა მის ნეტარისათა ქალაქი იგი მისი და წმიდანი ეკლესიანი განახლებოდენ, რომლისათვისცა¹¹ ძალი ზეგარდამო მიეცემოდა მეფესა და ერსა¹² ქართველთა¹³.

ამისა შემდგომად რისხვთა ღმრთისადათა დასნეულდა მეფე სპარსთად და ჭირითა სასტიკითა განვიდა ცხორებისაგან და განსივნა და განსქდა საუნჯე იგი არაწმიდათა, მუცელი მისი¹⁴ და დაეფლა ჯოჯოხეთს. იქმნეს¹⁵ რამ მოუცლელ სპარსნი, არა დაუტევნა¹⁶ ღმერთმან¹⁷ წმიდანი იგი ნაწილნი მოწამისანი¹⁸ ველთა შინა მწველებელთასა, აგონა მღვდელსა მას მწველებელსა ფრანგთასა¹⁹, რამათა²⁰ ძლუნად²¹ პატიოსნად მიართვას ზოგი რომელნიმე ნაწილნი დედისა მის წმიდისა ძესა მისსა მეფესა. და წარიღო თავი წმიდისა მის და ფერჯი მარჯუენე²² და მოართვა მეფესა: თავი იგი, რამათა გურგვნოსან²³ იქმნას²⁴ მადლითა მით თავისათა, ფერჯი მარჯუენე²⁵, რამათა აიძულოს დედამან მან²⁶ ყოვლად ნეტარმან ძესა მას²⁷ მისსა, რამათა საქმეთა მარჯუენითა²⁸ იქმოდეს ცხორებასა მისსა. ფერჯი სახე არს, რამათა აუწყოს ძესა თვისსა კეთილი იგი მორბედობა ლუაწლისა მისისა და მისლვად ადგილსა მას წმიდათასა.

/და ვითარცა ესმა მეფესა მოღებად ნაწილისა²⁹ დედისა თვისსა³⁰, განიხარა სიხარულითა მიუთხრობელითა და შეკრიბნა ყოველნი ერნი საქართველოსანი და კახეთისა კათალიკოზი ზაქარია, სწორი ანგელოზთა და შემკული ყოვლითა წესიერებითა, ეპისკო-

¹ წარმოგზავნეს B. ² მოწოდებად ქრამათა მოუწოდა AB. ³ მეფესა AB ⁴ თეიმურაზს AB. ⁵ და—AC. ⁶ მეფედ—AB. ⁷ მცხეთად C. ⁸ სამეფონი C. ⁹ ოდენ C. ¹⁰ ჭეშმარიტებისაგან მისგან C. ¹¹ რომლისათვისცა — AB. ¹² ერთა AB. ¹³ ქართველთასა BC. ¹⁴ მის C. ¹⁵ იქმნეს რამ... სპარსნი ხოლო ღმერთმან ნებისყოფელმან მოშიშთა მისთამან C. ¹⁶ დაუტევნა AB, ¹⁷ ღმერთმან — C. ¹⁸ მოწამისა AB. ¹⁹ ფრანგთასა — AB. ²⁰ რამათა — A. ²¹ ზღუნად AB. ²² მარჯუენე C. ²³ გურგვნ. ²⁴ იქმნას — C. ²⁵ მარჯუენე C. ²⁶ მან მისმან C. ²⁷ მას — B. ²⁸ მარჯუენითა C. ²⁹ ნაწილსა C. ³⁰ თვისისასა C.

პოსნი¹ და მღდელნი და დიაკონნი, შემოსილნი ლამპრებითა². და თუთ მეფე და დედოფალი მკვრცხლ მიეგებოდეს, ვითარ დღის სავალ, ცრემლითა და სიხარულითა დიდითა შეემთხვენეს³ წმიდასა მას თავსა მოწამისასა, განიბანებოდა⁴ ნაწილნი⁵ იგი ცრემლითა ყოველთაგან. ქებაჲ⁶ შეუმზადეს მოწამესა მას და შესხმა სულიერი სადიდებლად, გალობითა⁷ და კეროვანითა⁸ მიიღეს დიდსა მას ეკლესიასა ალავერდს მთავარმოწამისა გიორგისსა⁹, რომელ არს სამარხო მეფეთა კახეთისათა, და დაასუენეს ზედა საკურთხეველსა. და დღესასწაული შუენიერი შეუმზადეს მას დღესა სატფურებისასა, რომელ იქმნა სოლომონ ტაძრისა მის, მისგან აღშენებულისა, რომელი აღესრულების წინადლით ჭუართა აპყრობისასა, რამეთუ დღესა მას აღსრულებულ იყო წმიდაჲ იგი მოწამე ქრისტესი. ამის შემდგომად წარგზავნეს მთავარეპისკოპოსი¹⁰ იოანე, კაცი წმიდაჲ და გონიერი, და¹¹ მშუდობაჲ¹² ყვეს მეფისა¹² სპარსთასა და იქმნა დაწყნარებაჲ დიდი. და მოითხოვეს¹⁴ ნეშტი იგი ნაწილნი წმიდისანი და პატივითა დიდითა მიიღეს ადგილსა მას, სადა ისხნეს სხუანი იგი ნაწილნი, მივიდიან წლითი-წლად დღესასწაულსა მას წმიდისასა, ფშოდის¹⁵ სულნელებაჲ¹⁶ მიუთხრობელი და ვიეთნი¹⁷ მივიდიან სარწმუნოებით, არა ხუებულ იქმნიან სათხოველისაგან¹⁸ თვისსა, რამეთუ მორწმუნეთა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს.

ხოლო აღიწერა ცხორებაჲ ნეტარისა ამის, რამთა არა სიგრძემან ჟამთამან დავიწყებულ ყოს საქმე ესე საღმრთოჲ და ყოვლად შუენიერი. აღესრულა ჟამთა უკუანასკნელთა სადიდებლად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და¹⁹ მარადის უკუნითი²⁰ უკუნისამდე, ამინ.

1 ებისკოპოსნი B. ლამპრებითა+კეროვნებითა C. 3 შემთხვენეს BC. 4 განიბანებოდეს C. 5 ~ ცრემლითა ნაწილნი იგი. C. 6 ქებაჲ+შემსგავსებელი C. 7 გალობითა] დიდებითა C. 8 კეროვნითა] პატივითა და გალობითა C. 9 გიორგისა A. 10 მთავარეპისკოპოსი A. 11 და—C. 12 მშუდობაჲ ყვეს] მშუდობის-ყოფად C. 13 მეფესა C. 14 მოითხოვეს B. 15 ფშვიოდეს A, ფშვიოდეს B. 16 სურნელებაჲ C. 17 ვიეთნი] რომელნი C. 18 სათხოველისაგან B. 19 ~ მარადის და C, და მარადის — B. 20 უკუნითი] საუკუნეთა A+მიერ A.

ბესარიონ ორბელიშვილი

ლუაწლისა წმიდისა და სანატრალისა მოწამისა და 285 ▼
 მეფისა ლუარსაბისი, რომელი იწამა შაჰაბაჲ
 უსჯულმოსა მიერ სპარსთა მეფისა*

ღმრთისმოყუარეთათჳს ვსენებამა წმიდათა სიხარულ არს, რა- 5
 მეთუ არა არს განძლომამ სურვილისა მათისა მათდა მიმართ, რა-
 მეთუ იგინიცა განუძლომელითა სიყუარულითა ღმრთიანათა ცეცხ-
 ლებრ მოტყინარე იყვნეს, ამისთვისცა მოთმინე იქმნნეს მოუთმე-
 ნელთა სატანჯველთა და შეჰკადრეს შეუჰკადრებელ უძლურიითა ამით
 ბუნებითა და ზეშთა ექმნნეს ცეცხლსა და მახულსა მოკუდა- 10
 ვითა ამით ჳორციითა. და აწ¹ „უკუდავებითა საგსე არს საქსენებე-
 ლი მათი“, ვითარცა იტყჳს ბრძენი სოლომონ, და გულს-მოდგინედ
 მაქებელთა მათთა აღაესებენ უკუდავებითა და ცხორებითა, რამე-
 თუ წყარომ იგი უკუდავებისა და ცხორებამ დაუსრულებელი.
 მკედრ არს მათ შორის, და ელის, უკეთუ ვინმე ღირს იპოს 15
 შესხმად და ქებად საკუთართა მოწამეთა მისთა, რამეთუ ე-ოწამენი
 საკუთარნი მონანი მისნი არიან, არათუ ოდენ მონანი, არამედ მე-
 ვობარნი საკუთარნი და სარწმუნონი, ვითარცა იტყჳს ჳეშმარიტი
 იგი სიბრძნე მოწაფეთა მიმართ თჳსთა, ვითარმედ: „თქუნ მეგო-
 ბარნი ჩემნი ხართ, რამეთუ არა ვეტყჳ თქუნენ მონად, არამედ მე- 20
 გობრად“, და მერმე იტყჳს: „არა ამათჳს ხოლო გკითხავ, არა-
 მედ ყოველთა, რომელთა ჳრწმენეს სიტყჳთა მათითა ჩემდა მო-
 მართ“.

ჰხედავთა, მორწმუნენო, ნიჳთა ამათ სიდიდესა? იზილეუა 25
 უფსკრული იგი განუძლელი სახიერებისა და კაცთმოყუარებისა
 მისისა? ვითარ განდგომილნი ესე და რისხვეულნი მონანი, რომელ-
 ნიცა ღირს ვიყვენით ყოველისა დასჯისა, ესრეთ შემოიყვარნა ტჳბილ-
 მან მან-მეუფემან, რომელნი ესე მონის მონადცა არა ღირს-ვიყ-

* ხელნაწერები: A: S — 326^ბ (1720-იანი წლ.), B: A — 170 (1733 წ.).

¹ აწ — B.

- ვენით, აწ ვითარ მეგობრად და თანაზიარ სუფევისა თვისისა მყენა კაცნი მიწისაგანნი და მიწად მიქცეულნი და ვითარ ზეცისა მოქალაქედ გამოგუაჩინნა, რამეთუ იტყვს: „მამაო, მნებავს, სადაცა მე ვიყო, მუნცა მსახურნი ჩემნი იყვნენ“. აწ მოწამეთათვის
- 5 რაღა საექველ¹ არს, ვითარ თუმცა არა სავსებით მიიღეს აღთ-
286 ქუმ/ულნი იგი კეთილნი, რომელი ზეშთა მატს ყოველსა მოგონე-
ბასა, რამეთუ სადა-იგი სუფევს მეუფე, ბევრის-ბევრეულთა ან-
გელოზთა მიერ თაყუანისცემული, მუნცა მსახურნი მისნი არიან, რამეთუ იგინი გამოჩნდეს სარწმუნოდ მეგობრად მეუფისა თანა-
10 ზიარ ქმნითა ვნებითა მისთაჲთა, რამეთუ სისხლი მათი შეზავეს სისხლთა სამეუფოთა და სულნი მათნი მისთვის დასხნეს და აწ თანაზიარ და თანა-მემკვიდრე მისსა იქმნნეს. ამისთვის ჩუენცა თანამედებ მყვენს და აღმადგინნეს დიდებად და ქებად ახოვნებათა და ღუაწლთა მათთა.
- 15 რამეთუ ვინ არს ესრეთ საქებელ და ღირს ყოველისა პატივისა, ვითარ ჩუენი ესე დიდებული მოწამე, ახალი ესე მსხუერპლო და ნებსით დაკლული საკუერთხი, რომელმან დაკლებული იგი ჳ:რი ქრისტესი კორციითა თვისითა² აღავსო და თავ-დგმულ ექმნა სავსებასა მოწამეთასა. ვიტყვ უკუე ჩუენსა ამას და ჩუენთა ქუეყანათა შორის აღმოცენებულსა, მსგავსად³ მთიებისა, საჩინოდ აღმობრწყინებულისა ძირთაგან სამეფოთა და საწინაწარმეტყუელოთა, აღმოსრულსა შარავანდედობითა მეფობისაჲთა და უფრო-
20 მსად ღმრთისა-მსახურებითა შემკობილსა და აწ მოწამობისა ღუაწლითა განშუენებულსა მეფესა ღუარსაბს, შუენიერსა მას და
25 ყოვლად ბრწყინვალესა და უხრწნელობისა გვრგვნითა ელვარექმნილსა.

- ესე ძე იყო ღმრთისმსახურისა მეფისა, რომელსა ეწოდებოდა გიორგი, ხოლო დედასა — თამარ, რამეთუ ესე მარტოჲ ესვათ ორთა ასულთა თანა. ამათ ღმრთისმსახურთა ძირთაგან აღმოსცენდეს
30 წმიდაჲ ესე და ორნი ასულნი, ვითარცა ვიტყოდე, პირველსავე ეწოდა ელენე და უმრწემესა — ხუარანშა, მისვე და ერთისა მეუღლისაგან სამნივე აღმოცენებულნი, სამნივე ბრწყინვალენი და უსწორონი სიკეთითა და შუენიერებითა უფროჲს მას უამსა კაცთაგან, ვითარცა ყოველთა შორის მიმოითქმოდა. და უმეტესად
35 სანატრელისა ამისათვის ითქმოდა შუენიერებაჲ და ბრწყინვალე-
v ბაჲ სახისა და/ანაგებისა სიტურფე, ხოლო აღზარდეს იგი ღმრთისმსახურთა მათ მეფეთა კეთილად სწავლულებითა და უფროჲსად

¹ საექველ B. ² თუთა A. ³ მსგავსად B.

ღმრთისმსახურებითა და ასწავეს სწავლაჲ ყოველი ღმრთივ-სული-
ერთა წერილთა¹, რომელი შეეტყუებოდა² სიმტკიცესა სარწმუნო-
ებისა მათისასა. და არცაღა საეროთა და სამჭედროთა სწავლუ-
ლებათა და სიმარჯვეთაგან დაკლებულ ყვეს, რამეთუ ყოველივე
სრულებით შემოიკრება ნეტარმან მან მცირედსა ოდენ ჟამსა და
ესრეთ წარემატებოდა მას შინა და აღორძინდებოდა სიბრძნითა და
პასაკითა წინაშე ღმრთისა და კაცთა.

და ვითარ გარდაიცვალა მამა ამის ნეტარისა მეფე გიორგი,
რამეთუ დედოფალი თამარ პირველვე გარდაცვალებულ იყო, და
ესე მხოლოდ დაეტევა ობლად ორთა თანა ასულთა. ხოლო აღეს-
რულებოდა რაჲ მეფე გიორგი, მოუწოდა ძესა თჳსსა ლუარსაბს,
დალოცა იგი და აკურთხა ყოვლითა კურთხევეითა და შემოსა შარა-
ვანდელი მეფობისა. და ამას სანატრელსა კელთ-უღვა განგებაჲ
სამეფოქმასა თჳსისა და თუთ შეეძინა მამათა თჳსთა.

ხოლო, ვითარცა უწყით ყოველთა აღრითაგანვე მტერობაჲ
და მძლავრობაჲ სპარსთაგან საქართველოსი³, დიდსა ხარკსა და
მძლავრებასა ქუეშე იყვნეს ქართველნი. მას ჟამსა გამოჩნდა სპარ-
სთა შორის შაჰაბაზ უსჯულოჲ, რომელმან დაიპყრა მეფობაჲ სპარ-
სთა, რამეთუ იყო კაცი ესე უკეთური და ყოვლისა ბოროტისა
მომპოვებელი და მანქანა და ეუფლა მრავალთა თემთა და ნათე-
სავთა გარემოთა მისთა. მაშინ ქართველთაცა უმეტესითა მძლავ-
რებითა აჭირვებდა, ხოლო* სანატრელი ესე მეფე ჭერეთ ჳაბუკ
იყო და გამოუტყდელ და არავინ ყვა თანა-შემწე ანუ თანა-მდგომ,
არცა მამა, არცა ვინ სხუად სახლეულთაგანი. ამისთვის მრავალთა
ლუწლთა შინა იყო, რამეთუ მრავალნი ბოროტნი აღდგომილ იყ-

ვნეს საქართველოსა ზედა: პირველად ოსმანთაგან, რომელთა და-
ეპყრა მეფობაჲ ბერძენთა, მერმე სპარსთაგან და მერმე მახლო-
ბელთა ჩუენთა მთიულთა ოვსთაგან, რომელნი დამკვდრებულ იყ-
ვნეს მახლობელად ჩუენსა, რამეთუ იგინიცა ფრიად აჭირვებდეს,
რამეთუ/მოწევნასა ზაფხულისასა ვიდრე ჟამამდე ზამთრისა 226 ა 30
წოდდეს და ტყუე ჳყოფდეს⁴ ცხადად და იღუპალ. და ესოდენთა
ძვრთაგან მოცულ იყვნეს ქართველნი.

მას ჟამსა, ოდეს ხუანთქარმან აღილაშქრა ბაბილონს ზედა ჩა-
ლითა დიდითა, მუნ თანა-ყვეს მჭედრობა თათარხანთა, რომელ
არიან ყირიმნი. მაშინ შეითქუნეს მუნ მყოფნი იგი თათარხანი, ვი-

1 წერილთა+და AB. 2 შეეტყუებოდა A, შეეტყუშბის B. 3 საქართველოსი+
და AB. 4 ყოფდეს A.
* „ხოლოს“ შემდეგ გადაშლილა „ესე“ A.

- თარ ოთხშეოცი ათასი მწედრობაჲ რჩეული, რადთა მოვიდენ საქართველოსა ზედა და წარტყუნონ და სრულიად ასწყვდონ და სავსენი ტყვთა და ალაფითა მიიქცენ მუნვე, რამეთუ უპეფოდ ჰგონებდეს ქართველთა და ყრმისა ამისთვის არარაჲს გულობდეს, რამეთუ ჯერეთ ყრმაჲ იყო ნეტარი ესე, ვითარცა ვთქუ.
- 5 ხოლო იგინი უგრძნულად მოიწინეს. და მეფე მდგომარე იყო დაბასა ცხირეთისასა, მცირესა მას ციხესა, მცირედითა ოდენ კაცითა და არარაჲ უწყოდა. იყო ეჲმი ჰარისა, თუე მაქცი, ოდეს ესე იქმნა. რამეთუ მაშინ ქუეყანაჲ აბოცისა, ტაშირი, ჯავახეთი და
- 10 თრიალეთი სრულიად ოჯერ იყო და უშენ კაცთაგან, და მიმდგომნი ყოველნი ამათ თემთანი.
- ხოლო მათ უგრძნულად კაცთაგან გარდმოვლენს ადგილნი ესე, ჩამოვლენს თრიალეთი და მოიწინეს ჳევსა მანგლისისა. რამეთუ განგებითა ზეგარდამოთა ვერ იხილეს დიდებული იგი ეკლესია¹ მანგლისისა ღმრთისმშობლისა, რამეთუ ესევეითარმან ღრუბელმან
- 15 ზრქელმან და ნისლმან დაჰფარაჲ იგი, ვიდრეღა პირის-პირ მისსა ჩაულეს ესოდენმან სიმრავლემან მწედრობათამან და ეკლესია იგი სოფლითურთ ვერ იხილეს.
- ხოლო მახლობელად მისსა არს მცირე დაბაჲ, რომელსა ეწოდების ყოველთაჲ. მუნ შეიპყრეს ხუცესი ერთი მის დაბისა, სახელით სუმონ და იგი წარიქციეს იძულებით, რადთა ასწაოს, თუ სადა მდგომარე არს მეფე. ხოლო მან სანატრელმან ხუცესმან აღირჩია სიკუდილი, ვიდრე განცემად მეფისაჲ და განწირვად სრულიად საქართველოჲსა. მაშინ წარუძლუა ხუცესი იგი და წარიყვანა იგინი
- 25 უგზოთა ადგილთა, აჲდა მათსა მას ზედა და გარდაუქცია გზა იგი ცხირეთად მიმყვანებელი. და წარიყვანნა და შთაჲდა ჳევსა რკონისასა, გზათა ძნელთა და იწროთა და კლდოვანთა. და სლვასა მათსა ცხენნი მრავალნი და კაცნი შთაიჭრნეს კლდეთა და კაპანთა და მოსწყდეს. იხილნეს რაჲ თავნი თჳსნი ესრეთ მოცთომილნი და
- 30 შეიწრებულნი კაცთა მათ სახელოვანთა, შეიპყრეს ხუცესი იგი და თავი წარკუეთეს. და თუთ ჩაულეს ჳევი იგი თემისა დიდითა ჳირითა და იწროებითა, განვიდეს და განეფინნეს ველსა დოესისასა და მიმოდებიინნეს მიდამოთა ადგილთა, ვითარცა არს წესი გზისა უმეტართა. მაშინ მდინარე იგი მტყუარა³ ფრიად მდიდროოდ, რამეთუ შეუძლებელ იყო განვლად მისი. და ვითარცა მიმორბიოდეს
- 35 იგინი და ეძიებდეს გზასა ყოვლითურთ შეცთომილნი, მუნცა იხი-

¹ ეკლესია A. ² დაჲფა A. ³ მტუარა A.

ლეს ხუცესი ერთი შორით უფლისციხელი სომეხი ველსა მას ზედა დოესისასა, სრბით დევნა უყვეს, რაათა შეიპყრან და ასწავოს მათ გზაჲ, თუ სადა იქცევის მეფე და ქართველნი. იხილა რაჲ ხუცესმან სიმრავლე იგი ლაშართა, ვითარცა მკალნი სიმრავლითა მოფენილი ველსა ზედა, ივლტოდა სრბით მათგან და შეესწრა ვიდსა ზედა, უფლისციხისასა და იწყო შლად ვიდისა მის და წყალთა შინა ყრაჲ. მივიდეს თათარნიცა და მიჰკრფეს ვიდსა მას ზედა და ვერლარა უძლეს განვლად. კუალად უკუმოიქცეს და უკუმოფენნეს მუნვე ველსა მას დოესისასა. ხოლო ხუცესმან მან სომეხთამან მიისწრაფა და ჰამბავი ესე განჰფინა იმიერ მტკუარსა¹ ქართველთა შორის, რა- 10

ათა მყის მიისწრაფონ მეფისა მიმართ. ხოლო მეფემან, ცხირეთს მდგომმან, და ქართველთა მუნ მყოფთა იხილეს რაჲ სიმრავლე ესოდენისა მის მწედრობისა, განჰკრთეს მოულოდნებელისა მის საქმისაგან, რამეთუ მცირედითა ოდენ ტარეულითა კაცითა მდგომარე იყო მეფე, ამისთვის უღონოებამან მო- 15

იცვნა. გარნა მინდობილმან ღმრთისამან და სასოებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისათა განიზრახა² განზრახვაჲ³ რჩეული, მსგავსი სიმკნისა და ღმრთისმსახურებისა თვისისა: არა იგზია სივ- 287

ლტოლაჲ⁴, არცა დამალვაჲ ციხეთა შინა, არამედ მყისწარავლინნა მალემსრბოლნი, რაათა მსწრაფლ მოიწივნენ ტასისკუარს და ვიდსა ზედა ახალდაბისასა. ხოლო მოურავი გიორგი სააკის ძე, ქველი იგი მწედარი და უშიში გონებითა, რომელი სიმკნითა და ახოვნე- 20

ბითა ზეშთა ჰმატდა ყოველთა კაცთა, თანა-ჰყვა მეფესა და იგი- 11
ნიცა მუნ მიიწივნეს. ხოლო მწედრობაცა იგი თათართაჲ მუნითვე წარემართნეს, რამეთუ სხუთ გზით უღონო იყო წარსლვაჲ მათი წყლისა სიდიდითა და გზისა უმეტრებითა, ხოლო ქართველნი ამი- 25

ერ და იმიერ განწყობილ იყვნეს. და იქმნა ომი ფიცხელი და იწყეს კოცად და სრვად და შთამოყრად თათართაჲ, ვიდრელა ვერ შემძ-
ლებელ იყვნეს თათარნი პირის-მოქცევედ ქართველთა. და ესევი-
თარი ძლევაჲ მოსცა ღმერთმან სანატრელსა ამას მეფესა და ქარ- 30
თველთა, რომელ ესოდენნი სიმრავლითა კნინლა და სრულიად ასწყუდეს, წარიქცინეს და დევნა უყვეს უკანა მათსა. ხოლო უმ-
რავლესი მათი წყალთა შინა დაინთქნეს რჩეული ცხენები და მკედრები, მსგავსად⁵მეგვპტელთა მათ, და, რომელნი ვმელსა ზედა იყვნეს, გამოვიდიან მცირენი ყრმანი და დედანი და რჩეულთა 35

¹ მტუარსა A. ² განძრახვაჲ B. ³ განძრახვაჲ B. ⁴ სილტოლაჲ B. ⁵ მსგზავ-
ხად B.

მკედართა მათთა ცოცხალთა შეიპყრობდეს და მიზიდვიდეს და განსაარცვიდეს. და ესრეთ სრულიად ასწყვდეს, ვიდრეღა ითქმოდან და ესეოდნთა ლაშქართაგან ათოთხმეტთა ოდენ კაცთა განლტოლვა და სხუათა მათ ყოველთა მოსრევად სრულიად და ქართველთა არცა თუ ერთისა სიკუდილი.

5

ხოლო აწ პირველსავე სიტყუასა¹ მოვიდეთ, რომელი დაუტევეთ. რამეთუ შაჰბაზ, უღმრთო მეფე იგი სპარსთა, დიდითა გულისწყრომითა ჰბორგდა ქართველთა ზედა და ენება სრულიად აკოცა ქრისტეანობისა. მაშინ მიზეზისათჳს ზაკვით მოსთხოვა სანატრელსა ამას მეფესა დაჲ ერთი, სახელით ელენე, რამეთუ შუენიერებისა და უზომოჲსა სიკეთისა მისისათჳს წმადგანსმენილ იყო, რამეთუ ჰგონებდა მძლავრი იგი არა მიცემასა მისსა ქრისტეანობისა მიზეზითა. ხოლო მეფემან, ვინამთგან არა იყო ღონე, მისცა იგი დიდითა პატივითა და საწვლმწიფოთა განგებითა და ელოდა მისგან თანაშემწეობასა და დაცვასა ქუეყანისა თჳსისასა. ხოლო მას კუალად უსჯულოებამ შეეკრიბა გულს თჳსსა და ზაკვიდა წინაშე თჳსსა მოპო/ვნებად უსჯულობისა თჳსისა, ხოლო მან კუალად შემდგომად მცირედისა მეორისაცა დისა მისისა კელ-ყო მოთხოვნად, რომელსა ეწოდა ხუარანშა, იგიცა ცოლად, რომელი-ესე სასმენელადცა უცხო იყო ქრისტეანეთა შორის, დადაცათუ ბილწსა მას სჯულის-მდებელსა მისსა ეგრეთ განეწესა. და ესეცა უმ/ეტვისისა მიზეზისათჳს ყო, რამეთუ მეცნიერ იყო, ვითარმედ ესევეითარი ესე წესი ძნელ არს ქრისტეანეთა შორის. ხოლო ამან სანატრელმან ესევეითარი უჯეროდ ესე საქმე სმენადცა არა თავს-იდვა, არამედ მეყსეულად ემზახა² კახთა მეფესა თეიმურაზს და მიათხოვა იგი ცოლად.

15

v

20

25

ესმა რამ ესე მძლავრსა მას უკეთურსა, აღივსო გულის-წყრომითა და ეძიებდა ჟამს მარჯუესა, რამთა შური იგოს ორთავე მეფეთაგან, რამეთუ აღრითგანვე დანერგილი შური და ზაკვამ აწ გაქმოაცხადა მიზეზითა ამით.

30

მაშინ წარემართა ძალითა დიდითა და სპითა ურიცხვთა და მოიწია არეთა ქართლისათა და მოვიდა განძას და დადგა მცირედსა ჟამსა ქალაქსა მან განძისასა. მაშინ შიში დიდი მოიწია საქართველოსა ზედა, რამეთუ ვერვის ძალ-ედვა წინა-დადგომად მისსა. ხოლო მეფემან კახთამან დედა თჳსი და ორნი ძენი წინა მიაგებნა

35

¹ სიტყასა AB. ² ემზახა] ეძრაბა B.

და ძღუენი ურიცხვ და ითხოვა მშვედობით დაცვა ქუეყანისა თვისი-
ხამ. ხოლო მან უსჯულომან* აღუთქუა მშვედობამ და რისხვით ზაკ-
ვასა განიზრახვიდა: ეცრუვა ფიცითა, რომელ ფიცებულ იყო, შე-
იპყრა სანატრელი იგი დედოფალი და წარგზავნა ქალაქსა შირაზი-
სასა და მუნ ტყუე ყო და ორნი იგი ძენი მისნი გამოსაჭურისნა, 5
მერმე შევიდა კახეთად და იწყო წუვად, დაქცევად და ოჯრებად და
სრულიად უმკვდრო ყო კახეთი.

ხოლო მეფე თეიმურაზ და მეფე ესე ლუარსაბ ივლტოდეს
იმერეთად და მუნ დაადგრეს მყოვარ ეამ, რამეთუ განგრძელდა ეა-
მიცა იგი ოჯრებისა. და ოდეს ასწყვდა კახეთი სრულიად, მერმე 10
და შემოვიდა ქართლად არა მსგავსად კახეთისამ, არამედ სიმშ-

უდით მოვიდა და უვნებელად დაიცვნა საზღუარნი ქართლისანი, 288
რამეთუ მეფე ქართლისა იმერეთად¹ ლტოლვილ იყო, ვითარცა
ეთქუ. არამედ ფრიად შეუძნდა ესე უსჯულოსა მას შაჰაბაზს გან-

ლტოლვამ² მეფისა მის ჯელთაგან მისთა. შემოვლო ქართლი და და- 15
იბანაჲა მახლობელად იმერეთისა სოფელსა აღს და ენება, რამთაჲ-

ცა ღონითა რამთმე ჯელთ იგდოს სანატრელი ესე. და ძღუენთა და
ნიჰთა მრავალთა და დიდთა წარგზავნიდა წინაშე ამის ნეტარისა
და სიტყვთა ლიქნისათა აღუთქმიდა უდიდესთა ნიჰთა და პატივთა,

რამთა ერჩიდეს და მოვიდეს მის თანა, და ზედადს-ზედა მიუწერ- 20
და ესრეთ: „უკუეთუ მოხვდე ჩემ თანა, გყო შენ შეილად ჩემდა
საყუარლად³ და მეგობრად სარწმუნოდ და მოგცნე ყოველნივე სა-

ჰეფონი შენნი: ქართლი, კახეთი და სამცხე და არცაღა სჯულისა
შენისათჳს სიტყუამ გიგო. ვითარცა გენენოს, ეგრეთ იქცეოდე, და
ყოველნი საჯელმწიფონი ჩემნი შენ განტრიდენ და გმორჩილებდენ,

რამეთუ დიდად მიუჲარ შენ ტომ-კეთილობისა შენისათჳს, რამეთუ 25
წინაასწარმეტყუელთა ნათესავი ხარ შენ, და კუალად სიკეთისათ-

ჳსცა შენისა და შუენიერებისა, და მნებაჲს ხილუამ შენი. ხოლო
ქუეყანამ იგი თეიმურაზისი⁴ კახეთი ამისათჳს მოვაოჯრე, რამეთუ
ურჩ იყვნეს ბრძანებისა ჩემისა და იყვნეს მეგობარ კეისრისა, მე-

ცა ამისთჳს გულითად მოვიძულე იგი. ხოლო შენ უკუეთუ მერ- 30
ჩდე და მოხვდე ჩემდა, გყო შენ დიდებულ და მეორედად მეფო-

ბისა ჩემისა განგაჩინო და ყოველნი შენ გმორჩილებდენ“. ამათ და
ესევითარათა მრავალთა აღუთქმიდა სიცრუით მეფე იგი ცრუ-სჯუ-

1 იმერეთად B. 2 განტოვა A, გალტოვა B. 3 საყუარლად B. 4 თეიმური-
ზისი A.
* „უსჯულომან“ შემდეგ გადაწლილია „ზაკვით“ A.

ლი და მერმეცა ეტყოდა: „უკუეთუ არა მერჩღე და არცა ისმინო ჩემი, მეცა მტერ გექმნე და მოვაოწრო ქუეყანაჲ შენი, ვითარცა მოვაოწრე კახეთი, და უმკვდრო ვყო კაცთაგან“.

- ესმა რაჲ ესე ყოველი ნეტარსა მას მეფესა, განიზრახვიდა
 5 თუსაგან და საკუთართაცა თუსთა თანა: „უწყი ესე ვითარმედ სი-
 10 რუვითა იჩემებს ამას ყოველსა/და ზაკუვით ჰნებავს შეტყუებამა ჩემი. ხოლო, უკუეთუ არა ვერჩღე და მხოლოდ თავი ჩემი დავი-
 15 ცვა უვნებელად, რაჲ იყოს სარგებელი, და ქუეყანაჲ ჩემი წარჩღეს და ეკლესიანი მოოწრდენ, უმჯობეს არს სიკუდილი ჩემი ესევი-
 20 თარსა ცხოვრებასა. დაღაცათუ წეს არს სპარსთა მიერ სიცრუე და უფროსად სჯულისდება ცრუ-მოციქულისა მათისაჲ, არამედ ვერჩღე მას და მივიდე მისსა, ნუუკუე აღმისრულოს აღთქმული ესე და სარწმუნოებისა ჩემისა მტკიცედ დაცვითა დამიმტკიცოს სამეფოა ჩემი და ქუეყანაჲცა¹ ჩემი უვნებელად დაიცვას“. ესე
 25 თქუა და წამოვიდა იმერთ და მოვიდა შაჰაბაზისა, რამეთუ დაბა-
 ნაკებულ იყო შორის აღისა და ნაბახტევისა. ხოლო იხილა რაჲ სანატრელი ესე მეფე მწლავრმან მან უკეთურმან, დიდად განიხა-
 30 რა, რამეთუ სრულ იქმნა საწადელი მისი. განჰკვრდა სიკეთესა მის-
 სა და შუენიერებასა პირისა მისისასა და სისრულესა ჰასაკისასა და
 35 მრავლითა პატივითა და ნიჭითა სიმრავლითა პატივსცა.

- მერმე აღიძრა მიერ მძლავრი იგი და წარვიდა ქუემოთ კერ-
 ძოჲ და მივიდა ტფილისად და იგიცა თანა-ყვა, რამეთუ ზაკუვით
 ეტყოდა წმიდასა მას: „ვიდრე ქალაქად ტფილისადმდე მოვედ ჩემ
 25 თანა, რაჲთა ერთბამად ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ, და მერმე მი-
 ითუალენ ყოველი სამეფონი შენნი და მე განმიტევე სამეფოდ ჩემ-
 და და შენ მშუდობით და ნებაერად სუფევდი ქუეყანასა შენსა“.

- ხოლო ვითარცა მიიწინეს ქალაქად ტფილისად და მუნ დაად-
 გრენ დღე რაოდენმე, მერმე კუალად აიძულა ლიქნით და ზაკვით,
 რაჲთა მუნითცა თანა-წარჰყვეს ქუეშეთ² კერძო, ვიდრე საზღე-
 30 რანდმდე საქართველომასა³ და ესევითართა ლიქნითა არა განუტევე
 და ეტყოდა: „მნებავს ნადირობისა ხილვად ყარაიასა ზედა, თუ ვი-
 თართა წესითა ჰყოფთ ნადირობასა მის ადგილისასა. მოვედ მუნ-
 ცა და მერმე განგიტეო მშუდობით“. და ვითარცა წარჰყვა მუნცა
 და იწყეს ნადირობად, მაშინ შაჰაბაზ რეცა მიზეზად ნადირობასა
 35 მის მიუძღუნა მშუდლი ერთი ნეტარსა ამას. და ვითარცა განიყა-

რა ნადირობად იგი, ღამესა ერთსა მანვე უღვთომან შაჰაბაზ უბრ-
 ძანა მპარავსა და წარპარეს მშუღლი¹ იგი მეფესა მას ღმრთისმსა-
 ხურსა. მაშინ შაჰაბაზ რეცა თუ დიდად რადმე იწყინა და სირცხ-
 ვლად თვსად შერაცხა. წარგზავნა კაცნი მკუმილაენი და გარემო
 კარვისა დაუდგინა წმიდასა მას, რეცა არღარამსა წარპარეად. ხო- 5.
 ლო გულსა მისსა ესე იყო ზაკვად, რადთა არა განერეს ჳელთაგან
 მისთა წმიდად იგი. მაშინღა² გულისწმყო წმიდამან მან მზაკვრო-
 ბად იგი მისი, იწყო მწუხარებად და ურვად, რამეთუ არღა იყო
 ღონე განრომად ჳელთაგან მისთა. მაშინ მისცა თავი თვისი ნებსით,
 რადთა დაიცვას ქუეყანად თვისი მშუღობით/და, უკუეთუ იყოს ნე- 10.
 ბად ღმრთისაჲ, წამებითაცა შეიმკოს. ილოცვიდა ნეტარი იგი ცრემ-
 ლით და სულთქმით და იტყოდა: „უფალო, იესუ ქრისტე, ღმერ-
 თო ჩემო, შენ უწყვი, რამეთუ არავინ მივის თვნიერ შენსა, არცა მა-
 მად, არცა დედაჲ, არცა ძმანი, არცა სხუად რად შენსა გარეშე და
 დაუსაბამოსა მამისა შენისა და თანა-სამარადისოსა ყოვლად წმი- 15.
 დისა სულისა შენისა, რომელმან არარამსაგან მომიყვანენ ყოველნი
 არსნი, ხილულნი და უხილავნი, და შენითა ძლიერებითა გიპყრიეს
 დაბადებულნი და წამის-ყოფითა შენითა განაგებ ყოველთა არსთა.
 შენ უწყვი, რამეთუ ყრმა ვარ და გამოუცდელ ესევითართა მანქანე-
 ბათა და სივერაგეთაგან. შენ დამიციე, ყოვლად ძლიერო, ჳელთა- 20.
 გან ამის მზაკვრისათა, რადთა არა მიდრკეს გონებაჲ ჩემი ამის უკე-
 თურისა ლიქნათაგან, რამეთუ მე არაოდეს განვეშორო სიყუარულ-
 სა შენსა, არცა უარ-ვყო სახელი შენი. იყავნ ჳელი შენი მტკიცე
 მაცხოვრად ჩემდა, რამეთუ შენ გესავს სული ჩემი და შენდა მი-
 მართ არს ყოველი სასოებაჲ ჩემი და მზა ვარ მე სიკუდილად სა- 25.
 ხელისა შენისათჳს წმიდისაჲ“. და მიერთგან შესძინა ლოცვად და
 მარხვად უმკურველესად პირველისა.

ღღესა ერთსა ჳდა მეფე იგი უსჯულოჲ პურობად მოსმურთა
 თვისთა თანა შუებითა და განცხრომითა მრავლითა და მოუწოდეს
 ამასცა ღმრთისმოყუარესა მეფესა და ინაწით ჳდა იგი მახლობე- 30.
 ლად მისა. ხოლო იყვენს ღღენი იგი წმინდანი ორმეოცთა მარხვა-
 თანი. და ვითარცა სხდეს იგინი და იყო განცხრო[მად] ფრიადი, მა-
 შინ აიძულა მას ჳამად თევზისა და ფრიადცა აიძულებდა, რადთა
 ერჩდეს ბრძანებასა მისსა და ჳამოს თევზი. ხოლო მას ნეტარსა
 უცხოდ აღუჩნდა სიტყუად იგი მძლავრისა. რამეთუ სიჩჩოთგან 35
 მარხვითა აღზრდილ იყო და განპოხებულ მსგავსად⁴ დანიელისა⁵,

1 მშუღლი — B. 2 მაშინ B. 3 მიმართ B 4 მსგავსად B. 5 დანიელისა B.

- და ეტყოდა: „არა ჭერ არს, მეფეო, დღეთა ამათ შინა წმიდათა ორმოცთასა ჰამად თევზისა, რამეთუ ესრეთ განწესებულ არს წმიდათა მიერ, და მე არაოდეს გარდავქდე საზღუარსა¹ მამათასა და არცა დავესნა სჯულისდებამ მათი. და უკუეთუ აწ გერჩდე და
- v 5 ვკამო თევზი, მერმე კუალად მაიძულო ჰამად კორცისა და ე/სრეთ მცირედ-მცირედ დაივსნას ყოველი წესი. არა უწყია, მეფეო, რამეთუ მე ქრისტეანე ვარ და არაოდეს ვერჩდე ესევეითარსა ბრძანებასა შენ-სა, არცა ვისმინო ამის ჭერისათვის სიტყუაჲ შენი. უმჯობეს არს სიკუდილი ჩემი, ვიდრე მცირედისადა სარწმუნოებისა ჩემისა შეც-ვალებამა“.
- 10 და ვითარ კუალადცა აიძულებდა, მყის აღდგა და ივ-ლტოდა პირისაგან მისისა და წარვიდა კარვად თვისა. და ვითარცა ესე ქმნა, დიდად შეუძნდა მეფესა მას უსჯულოსა და გინებად თვისსა შერაცხა, რამეთუ მიზეზთაცა ეძიებდა მძლავრი იგი ესევეითართა, რამეთუ ენება შეპყრობამ მისი.
- 15 და ვითარცა ენება, ეგრეთცა ქნა, რამეთუ განთენებასა თანა დღისასა წარავლინნა კაცნი და შეიპყრეს მეფე იგი ღმრთისმოყუ-არე, ცხებული უფლისამ, შუენიერი იგი შროშანი, ორკერძოვე ბრწყინვალე ქმნილი, ნებსით მისრული საკუერთხი, დაკლვად განმ-ზადებული ტარიგი. რამეთუ მძლავრმან მან უკეთურმან არა მოიჯ-სენა ფიცი იგი საშინელი², რომლითა ფიცებულ იყო, და აღეთქუა
- 20 ალთქმანი დიდნი, არცა შეიკდიმა დიდებულებისაგან მისისა, არცა ჰკრიდა შუენიერებასა მისსა, არცა პატივ-სცა ცხებულებასა მისსა და თვისებასა წინაწარმეტყუელთასა. ესე ყოველი დაივიწყა უკე-თურმან მან და მყის უბრძანა განშიშულებამ მისი ყოველისავე პა-ტივისა და დიდებისაგან და წარგზავნეს ქუეყანასა შირაზისასა, ყოვლისა ნუგეშინისცემისაგან დაკლებული, თვნიერ ორთა მონა-თასა, რომელნი იგი თანა-წარატანნეს და მერმე ივინიცა უქანა-მსკნელ მის თანავე წამებითა შეიმკვნეს.
- 25 და მუნ შეაყენეს საპყრობილესა შინა მრავლითა ჰირითა და იწროებითა წელიწად ერთ. ჰგონებდა უსჯულო იგი ჰირითა მით ღაჴსნად სიმტკიცესა სარწმუნოებისა მისისასა და იტყოდა: „ნუ-კუაუე ამით ესევეითართა და სხვთაცა მრავალფერთა სატანჯველთა მნიშვნითა ვერჩდეს ბრძანებასა ჩემსა და უარყოს სახელი ქრის-ტესი“.

¹ საზღუა A.

² „საშინელის“ შემდეგ. გადმზღილი. „უსჯულომან მან“ A.

ხოლო სამგზის. სანატრელი იგი, მსგავსად¹ ანდამატისა, მტყი-
 ცე იყო ყოვლისაგან კუეთე/ზისა განსაცდელთასა. მაშინ უმეტესსა 340
 ლუაწლსა და შრომასა მისცა თავი თვისი და შეაყო გონება თვისი
 მიმდგმსა ლოცვასა და მარხვასა. და ევედრებოდა უფალსა, რაჟთა
 მოსცეს შეწევნაჲ მის მიერი და განაძლიეროს ლუაწლსა მას შინა. 5

ხოლო მძლავრი იგი დლითი-დღე იკითხვიდა საქმეთა და გან-
 ზრახვათა მისთა, თუ ვითარ არს და ვითარ იქცევის, ანუ რაჲ გა-
 ნუზრახავს, რამეთუ ჰგონებდა გარდაქცევასა მისსა ქრისტეს სი-
 ყუარულისაგან და ელოდაცა შედგომად ბილწსა მას სჯულსა მის-
 სა. ხოლო ცნა რაჲ სიმტკიცე მისი და შეურყეველი გონებაჲ, რომელი 10
 აქუნდა ქრისტეს მიმართ, რამეთუ მოაჯსენებდეს², ვითარ-
 მედ: „შეუძლებელ არს განშორებაჲ მისი სიყუარულისაგან სჯუ-
 ლისა მისისა, რამეთუ რაოდენსაცა ექადიან მის ზედა ძურთა მო-
 წვენასა, ანუ აღუთქუმენ ნიჭთა და პატივთა დიდ-დიდთა, ესე ყო-
 ველი არარად შეურაცხეს, და არცალა ვჰგონებთ, თუმცა ითქმო- 15
 და, ანუ მოიგონებოდა ჰირნი ანუ სატანჯველნი, ანუ პატივნი, გინა
 დიდებანი, თუმცა დაემორჩილა ბრძანებასა შენსა და უარყომცა
 სარწმუნობაჲ თვისი და სახელი ქრისტესი“.

ესე ყოველი ესმა რაჲ უსჯულოსა მას მძლავრსა, აღეგზნა გუ-
 ლის-წყრომითა დიდითა, მსგავსად საჯმილისა მძაფრისა, და 20
 აღუტევებდა კუამლსა რისხვისასა ხენეშით პირით მისით. და გა-
 ნიზრახა საკუთართა თვისთა თანა და იტყოდა: „უკუეთუ მოვიყვა-
 ნოთ და პირის-პირ ვეზრახნეთ, კუალად წინა-აღუდგეს ბრძანე-
 ბასა ჩუენსა და არა გუერჩდეს, დიდად სირცხულ არს ესე ჯელ-
 მწიფობისა ჩუენისა, რამეთუ მაღალ არს სიტყუთა და ბრძენ გო- 25
 ნებითა, და ვერ უძლოთ ძლევად მისსა. და უკუეთუ ერთჯერ არა
 გუერჩდა, ვაიძულეთ რაჲ ჰამა თევზისაჲ, აწ ვითარმცა ისმინა ჩუ-
 ენი და დაუტევეამცა სჯული თვისი? არამედ წარგავლინოთ კუალად
 სხუანი შერაცხილნი მთავართა ჩუენთაგანნი და მუნვე ვაიძულოთ
 სჯულისა დატევებაჲ უკუეთუ გუერჩდეს და/უარ-ყოს³ ქრისტეს v 30
 სარწმუნობაჲ, იქმნას ნებაჲ ჩუენი და ჩუენცა არავე უგულუე-
 ბელს-ვეყოთ აღუთქუმა⁴ იგი, რომელი აღუთქუთ პირველ, ხოლო
 უკუეთუ კუალადცა შეურაცხყოს ბრძანებაჲ ჩუენი და წინა-აღ-
 ვდგეს, მუნვე საყრობილესა შინა მიილოს მისაგებელი ურჩები-
 სათჲს ჩუენისა და მუნვე. მწარითა სიკუდილითა დავსაჯოთ, რამეთუ, 35

1 მსგავსად B. 2 მოახსენებდეს A, 3 უარ-ყოს B. 4 აღუთქმა B.

ვინამთვან მომკუდრისა მიმართ აქუს სასოებად, მანცა მიიღოს ბოროტად სიკუდილი“.

ესე თქუა და მყის წარავლინა კაცნი, მსგავსნი მისისავე სობოროტისანი. პირველად შესთულან პირველისავე მსგავსად ზაკუ-
 5 ვითნი და ლიქნითნი სიტყუანი, ქადებანი მრავალთა ნიქთა და პატივთანი და მერმე შინებანი ჳირთა და სატანჯველთანი. და უკუ-
 ეთუ არცა ერთი ისმინოს, მერმე ამცნო, რაათა მასვე საპყრობი-
 10 ლესა შინა განიყვანონ ამის ცხორებისაგან. ჰგონებდა უგუნური იგი მძლავრი, ვითარმედ ესეოდენთა ნიქთა და პატივთა¹ აღთქუ-
 მითა ერჩდეს ბრძანებასა ჩუენსა, ანუ განგრძობითა სატანჯველთა-
 ათა და ქადებითა სიკუდილისაათა შეიწყალოს სიკაბუჯე თვისი და
 პატივ-სცეს შუენიერებასა თვისსა და მწარისა სიკუდილისა წილ
 აღირჩიოს სიცოცხლე საწადელი და დაემორჩილოს ბრძანებასა ჩუ-
 15 ენსა. არამედ უგუნური იგი მძლავრი ისარჩჩვლითა ჰგონებდა მოწყ-
 ლვასა ანდამატისა უმტკიცესისა კლდისასა, რამეთუ მას ყოვლი-
 თურთ ქრისტე აღერჩია და სიკუდილი მისთვს ფრიად საწადელ
 უჩნდა, ვიდრეღა ეამიერსა ამას ცხორებასა და საწუთოსა აჳის მე-
 ფობასა, რაათა საუკუნოდ ქრისტეს ღმერთსა თანა სუფევდეს და
 იხარებდეს.

20 ხოლო მი-რამ-იწივნეს კაცნი იგი შაპაზის მიერ წარვლენილ-
 ნი და მოაწესენებდეს ბრძანებასა მის უსჯულოსასა და წინა და-
 უდებდეს სოფლისა ამის საშუებელთა პატივთა და ღიდებათა,
 მეფობათა და ჳელმწიფობათა და სხვათა მრავალთა ნიქთ-ღიდო-
 ბათა მოაწესენებდეს. და კუალად ექადოდეს მწარითა სიკუდილითა
 25 აღსასრულსა, უკუეთუ ურჩ ექმნეს ბრძანებასა თვთმპყრობელთა-
 241 სა. ესე და სხუანი უმრავლესნი ამისა მიუთხრნეს და/აწუეეცდეს და
 განაზრახებდეს² და რამსა არა ეტყოდეს და რამსა არა იქმნოდეს,
 რაათამცა შეუძლეს ცთუნებად ნეტარისა მის. ხოლო იგი ყოველსა-
 ვე სიტყუათა მათთა უკუნ-აქცევდა. არცა ღიდებათა და პატივთა მი-
 30 ხედვიდა, არცა სატანჯველთა და სიკუდილთა ეშიშვოდა, არამედ
 ყოვლისა წილ ქრისტესა აღირჩევდა, რამეთუ მისსა სუროდა და
 მისა მიმართ ესეღა, მას ხადოდა და მას მიერსა შეწევასა ილოც-
 ვიდა და ისწრაფდა მოღებად გვრგვნთა ზეცისა ჩინებისასა.

მაშინ იხილეს რამ სიმტკიცე მისი, ფრიად უსასო იქმნეს მი-
 35 სისა გარდაქცევისაგან, მოიღეს სახელი მშუღლისაჲ, რაათა მოშ-
 თობისა მიერ განიყვანონ ამის ცხორებისაგან. ხოლო იგი ევედრა,

¹ პატივთა AB. ² განაძრახებდეს B.

რა, რა მთა მცირედ ეამად დრო სცენ, რა მთა ილოცოს. და ვითარცა მოილო¹ სათხოველი თვისი, დაეარდა პირსა ზედა თვისსა და გარდა-
 მოადინებდა ნაკადულსა ცრემლთასა, ილოცვიდა და იტყოდა: // 5
 „უფალო, იესუ ქრისტე, შენ უწყვი, დადაცათუ ცოდვილ ვარ, არა-
 შედ შენსა გარეშე სხუა არა ვინ ვიცი თანა-დაუსაბამო მამით 5
 შენითურთ და ყოვლად წმიდით სახიერით და ცხოველ-მყოფელით
 სულითურთ. და შენ შეგიყუარე და შენ შეგიდგე და სახელისა შე-
 ნისათვის წმიდისა მეგულების დღეს სიკუდილი, რამეთუ ყოვლისა
 წილ შენ აღვირჩიე და შენდამი დავსდევ ყოველი სასოებაჲ ჩემი.
 და აწ² გვედრები. მეუფეო³. შეივედრე სული ჩემი და იესენ პერის- 10
 მცველთა კელთაგან. შენ, სახიერო, შეიწირე უნდო ესე ლუაწლი
 ჩემი და ღირს მყავ წმიდათა შენთა თანა და ნუ დამაკლებ დიდე-
 ბისაგან მათისა. გვედრები შენ, ყოვლად ძლიერო, დაიცვენ⁴ ეკლე-
 სიანი საქართველოსნი შეურყეველად და იესენ უსჯულოთა მძლავ- 15
 რებისაგან და მწვალებელთა სიბორჯილისა და სარწმუნოებაჲ უბი-
 წოჲ, ვითარცა ყოვლადე და აწცა, მიილსასრულამდე შეურყევე-
 ლად დაამტკიცე, რა მთა ყოველთა მიერ იდიდებოდის ყოვლად წმი-
 დამ სახელი შენი — მამისა და ძისა და წმიდისა სულისა ერთღმერთე-
 ბისა და მეფობისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“.

აღდგა მიერ ლოცვისაგან და მერმე მოილო წმიდა⁴ საიდუმლოჲ 20
 ჳორცი და სის/ხლი საუფლოჲ; რომელი აქუნდა მის თანა დაკრძალუ-
 ლი, რამეთუ უღონო იყო მუნ მდღლისა პოვნილობაჲ, და მით ეზი-
 არა თვთ. და მერმე აზიარნა ორნიცა იგი მონანი თვისნი, რომელთა 25
 მისთვის დაედგა თავნი თვისნი და უფროსად ქრისტესთვის. და რა-
 მეთუ მასცა და ამათცა ღმრთისათვის დაესხნეს სულნი თვისნი, რა-
 მთა მის⁵ თანაცა სუფევდენ საუკუნოდ. მერმელა უბრძანა მტარ-
 ვალთა, რა მთა აღასრულონ ბრძანებული მათდა. მყის გარდააცუეს⁶
 საბელი მშუღლისაჲ და ესრეთ მოაშთუეს სამგზის სანატრელი იგი 30
 მოწამე ქრისტესი და მის თანა ორნიცა იგი მონანი მისნი.

და ესრეთ აღესრულა ყოვლად ქებული იგი მოწამე და ესრეთ 30
 მიიწია თვისსა საწადელთასა და აღვიდა ზეცისა მას სუფევასა წინაშე
 ყოველთა მეფისა, სადა-იგი მჯდომარე არს მეუფე მეუფეთა⁶ და
 უფალი უფლებათა, რომლისა წინაშე დგანან შიშით და ძრწოლით
 ათასნი ათასთანი და ბევრნი ბევრთა უსხეულოთა მწედრობათანი,
 სადა-იგი ბრწყინავს თუალთშეუდგამი ნათელი წმიდისა სამებისაჲ. 25
 მუნ იხარებენ გუნდი წმიდათა მოციქულთანი, იშუებენ კრებულნი
 წინაწარმეტყუელთანი, სადა-იგი სუფევენ ბანაკი მღვდელ-მოძღუ-

1 აწ -- B. 2 მეუფეო A. 3 დაიცვენ A. 4 წმიდაჲ] ლ-სა B. 5 გარდაცუეს A, გარდაცუეს B. 6 მეფეთა AB.

ართა და მამათანი და უფრომსად მვედრობაჲ ყოვლად ბრწყინვა-
 ლეთა მოწამეთანი, რომელთა თანა შეერთო და რომელთა თანა იქ-
 ცევის და იხარებს მუნ, სადა-იგი არს ოხრაჲ დღესასწაულთა, ნათე-
 ლი მიუჩრდილებელი, ბრწყინვალეობაჲ თუალთშეუდგამი, შუებაჲ
 5 სამარადისოჲ და სიხარული დაუსრულებელი, სიმდიდრე მოუკლე-
 ბელი და დიდებაჲ აღმატებული, მუნ იშუებს ძელითა მით ცხო-
 რებისათა და მუნ იხარებს და იდიდების დიდებითა ჩუენგან მიუწ-
 დომელითა და გამოუთქმელითა.

აწ კვალად მოვაქციოთ სიტყუაჲ ჩუენი და ვიტყოდით ნემ-
 10 ტთა მათ დიდებულებათა მისთასა, რომელი-იგი ზემო დაჯვშთა,
 და ვახაროთ სასმენელთა თქუენთა. იხილეთ მძლავრისა მის უს-
 ჯულომსა სიბორცილუ და მოწამისა ბრწყინვალე ახოვნებაჲ, თუ ვი-
 თარ ერთი იგი ემსგავსებოდა უწყალობითა და ბოროტითა მანქა-
 248 ნებითა მაქსი/მიანე მძლავრსა, ხოლო მოწამე — დიდებულსა და
 15 ბრწყინვალესა მოწამეთა შორის დიმიტრის, რამეთუ ვითარცა-იგი
 მან შეაყენა საპყრობილესა და მერმე¹ პირის-პირ ვერღარა იკადრა
 წარმოდგინებაჲ, რამეთუ ჰრცხუენოდა დიდებულებისაგან მისისა
 და სიბრძნით სიტყუს-გებისა მისისა ეკდიმებოდა, და მუნვე საპყ-
 რობილესა შინა ბრძანა სიკუდილი, ეგრეთვე სახედ ამან უსჯულო-
 20 მან განაჩინა ამისი საპყრობილესა შინა აღსრულებაჲ მოშთობისა
 მიერ.

მ, სიბრძნით ჯანგებულებასა შენსა, მაცხოვარ! მ, უფსკრულსა
 მოწყალებისა შენისასა, ვითარ აღიდებ მადიდებელთა შენთა, რამე-
 თუ არა დააკლე ესეცა სანატრელი დიდთა მათ წმიდათა შენთა
 25 მსგავსებისაგან² წინასწარმეტყუელთა შორის დიდსა დანიელს მარხ-
 ვითა და წმიდათა სამთა ყრმათა საღმრთოთა შურითა. ვითარ
 ერთმან მან მვეცთა პირი დაუყო მარხვითა, ხოლო სამთა მათ ალი
 ცეცხლისა დაშრიტეს, ეგრეთვე ამან მვეცთა უმძვნვარესოსა მის მე-
 ფისა პირი სირცხულულ ყო და მსგავსად³ წმიდათა მათ ყრმათა
 30 ცეცხლი იგი სიჰაბუქისა დაშრიტა და მეფობაჲ და დიდებაჲ ქუ-
 ეყანისა შეურაცხ-ყო, ეგრეთვე ემსგავსა დიდსა მას მოწამესა დი-
 მიტრის, ვითარცა ვიტყოდე⁴, სიკუდილითა და მუნვე საპყრობი-
 ლესა შინა აღსასრული მიითულა.

ნუუკუე იტყოდის ვინმე, ვითარმედ: „დაღაცათუ ქრისტესთვის
 35 და სიუყარულისა მისისათჳს მოიკლა წმიდაჲ ესე, არამედ, ვითარ-
 ცა გუასმიეს, სხუანი იგი ამისა უწინარესნი მოწამენი უცხოთა და

¹ მერმე — B. ² მსგავსებისაგან B. ³ მსგავსად B.

* „ვიტყოდეს“ შემდეგ გადაშლილია „ემსგავსა“ A.

თითო სახეთა სატანჯველთა მიერ მძვნეარედ განიცადნეს და გვრგვ-
 ნოსან იქმნნეს და სასწაულთაცა¹ დიდთა აღსრულებასა მიემთხ-
 ნეს. ხოლო ამისთვის, რომელსა შენ იტყვ, არარაა გუასმიეს ესევეითა-
 რი“. ხოლო ჩუენ ამის ყოვლისა წილ მიუგებთ: „სასჯელთა ღმრთი-
 სათა უმეცარნო, მ ესევეითარნი დიდთა მათ განკითხვათა ღმრთი-
 საათა სულ მცირედ აღმწონელნო, რავდენთა წმიდათა მცირედი 5
 რამე გულსმოდგინებაა დიდად და სრულად საზომად შეერაცხა,
 ვითარცა თუალით ხილული და წიგნსა მისსა შთაწერილი სიტყვ-
 საებრ წინაწარმეტყუელისა, რომელი-იგი არ მექმნა, იხილ/ეს თუ-
 ალთა შენთა და წიგნსა შენსა ყოველივე² შთაიწერნეს. რამსა ჰგო-
 ნებთ თქუენ ამის ყოვლად ქებულისა და სამგზის სანატრელისა მე-
 ფისათვს? არა დაუტევა ნებსით თუსით მეფობაა ესე ქუეყანისა და
 ვითარ სხუასაცა მრავალსა აღუთქმიდეს და ნიჭთა სიმრავლესა და
 სიმდიდრეთა უხუებასა წინა დაუფენდეს? ესე ყოველი არა ნაგე-
 ვად შეერაცხა? ნუუკუე პატივ-სცა შეენიერებასა თუსსა და ახოვნე-
 ბასა? არა მოიძულაა სიჭაბუკე თუსი ბრწყინვალე ტომ-კეთილო-
 ბაა ზემოთგანვე შთამომავლობით წინაწარმეტყუელთა თუსობი-
 საა? ნუუკუე შეიწყალა სიობლე თუსი და არღარავისი მონაცვალე-
 რობაა სამეფოთა თუსისაა? ანუ რამცა რამ ითქმის და მოიგონების
 სოფლისა ამის საშუებელთაგანი, რომელი სოფლისა ამის მოყუა-
 რეთა საწადელად უჩნს, ესე ყოველი არა სრულებით მოიძულაა?
 და ვითარცა მტუერი არა განიყარაა და ამის ყოვლისა ქრისტე შე-
 იყუარა და სიკუდილი დაუსრულებელად ცხორებად განსცვალა? და
 მსგავსად დიდისა პავლე აღმსაარებელისა საპყრობილესა შინა მოშ-
 თობისა მიერ ამის ცხორებისაგან განვიდა, ვითარცა და ესეცა ნე-
 ტარი იგი არიანოზთა მიერ მართლისა აღსარებისათვს მოიკლა, ხო-
 ლო ესეცა მართლისა სარწმუნოებისათვს წმიდისა სამებისა უსჯუ-
 ლოთა ამის მიერ მოიშთო. 25

მომეციოთ კადნიერებაა, რამათა ვიტყოდლია მცირედრე და ეს-
 რეთდა აღსასრული ვყო სიტყვსა ჩემისა. 30

ვინ იყო უზეშთაესი იოანე ნათლისმცემელისა, რომელი-იგი
 თუთ წამა ჰეშმარიტებაჲმან მან უმეტესობაა მისი ყოველთა ნაშობ-
 თა დედათასა, რამეთუ ვიდრელა ჳორცთა შინა იყო, არარაა გუას-
 მიეს სასწაული მის მიერ ქმნილი, რომელი-იგი უსჯულოთა პერო-
 დეს მიერ თვნიერ სხუათა სატანჯველთასა საპყრობილესა შინა მახ-
 ვლისა მიერ აღსასრული მიილო. ეგრეთვე სამგზის სანატრელმან
 ხაპყრობილესა შინა მიილო აღსასრული, რამეთუ აღესრულა მცი- 35

1 სასწაულთა B. 2 ყოველივე — B.

248 რედთა დღეთა და აღავსნა ჟამნი/გრძელნი სიტყუსაებრ სოლომონისა, რამეთუ სიბერისა პატიოსნებაჲ არა მრავალ ჟამ, არცა რიცხვ წელთა აღრაცხილ, არამედ მკცოვნებაჲ არს გონიერებაჲ კაცთაჲ და ჰასაკ სიბერის ცხოვრებაჲ უბიწოა.

5 ესრეთ აღესრულა მცირეთა დღეთა, უკუეთუ ითქმის მცირედ დიდი იგი ღუაწლი მისი, და აღავსნა ჟამნი მრავალნი, რამეთუ ყოველსავე მეცნიერმან და გულთა და გონებათა განმკითხველმან უწყოდა გონებისა მისისა სიმტკიცე და უქცევლობაჲ და ცეცხლებრ მოტყინარე იგი სიყუარული მისი, რომელი აქუნდა მისა მიმართ. ერთითა ამით სიკუდილითა მრავალფერად და მრავალბევრად სიკუდილად შეურაცხა, რამეთუ, უკუეთუ მოწვენილ იყო მის ზედა ყოველი სახე სატანჯველთა, ყოველთავე სიმწნით შოითმენდა.

15 და ეგრეთცა იქმნა, რამეთუ ექადოდეს რამ უსჯულონი იგი ბევრთა და მწარეთა სატანჯველთა, ხოლო ესეცა სიმწნითა და უშიშითა გონებითა აწუევდა მათ მის ზედა მოწვენად უმრავლესთა და უმძუნვარესთა სატანჯველთა და სიკუდილთა. არათუ ერთსა, არამედ, თუმცა შესაძლებელ იყო, ბევრჯერმცა მიითუალვიდა სიკუდილსა¹ და უღმრთოთაცა მათ ამისათჳს ისწრაფის ადრე სიკუდილი მისი, რამეთუ ჰრცხუნროდა პატიოსნებისაგან მისისა და ახოვნებისა, ამისთვისცა წარიკუეცაჲ სასოებაჲ გარდაქცევისა მისისა და მაშინდა მოაკუდინეს ყოვლად სანატრელი ესე მოწამე ჰრისტესი ღუარსაბ და გვრგუნ-შემოსილი აღვიდა ზეცისა სუფევასა წინაშე ყოველთა მეუფისა.

25 ხოლო მასვე ჟამსა გარდამოცდა ზეცით სუეტი ნათლისა და დაადგრა სახლსა მას. რომელსა შინა მდებარე იყო ღუაწლით-შემოსილისა მის მრავალ-მოღუაწე გუამი, სასწაულად სიმწნისა და ახოვნებისა მისისა და პატივად ღუაწლთა მოწამისათა. და ესე სუეტი მრავალ ჟამ იხილვებოდა ღამე და დღე. და, რომელნიცა ხედვიდეს, იტყოდეს: „დიდ არს ღმერთი ჰრისტეანეთა, რომლისათჳს ესე მოიკლა“.

v ხოლო ნაწილნი ამის მოწამისანი მუნვე მდებარე არიან აკლდამის² სახედ შექმნილსა სახლსა შინა და ვიდრე დღეინდელად დღედმდე ვერვის უკადრებიეს აღებად იგი მაშინ შიშისათჳს სპარსთასა და აწცა ჰკებს მუნვე შეუძრველად და შეურყევლად მდებარე, ვიდრემდე ინებოს თუ ღმერთმან გამოცხადებაჲ მისი და მონიკებად ჩუენდა საუნჯე იგი დიდძალი მადლითა³ საღმრთოთა⁴ მომ-

1 სიკუდილსა—B. 2 აკლდამის B. 3 მადლითა A. 4 საღმრთოთა B.

ნიკებელი. ხოლო ჩუენი ვადიდებდეთ განმადლიერებელსა მისსა და გვრგუნოსანს-ყოფელსა ქრისტესა, რომელსა ჰშვენის ყოველი დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემაჲ თანადაუსაბამოდ მამით და ყოვლად წმიდით სულითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ*.

5

შესხმაჲ წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელისბარისი და უწყებამა წამებინა მათისა. გუაპურტხენ, მეფეო.**

მოწამეთა სიმრავლემან გარემოიციეს ჩუენ მრავლითა რამემ ბრწყინვალებითა და გარდამატებულთა ჰაეროვნებითა და ჰნებავს ჩუენმიერი რამემ შესხმად დიდებულთა ; ლუაწლთა მათათვს და ახოვნებათა, რომელი-იგი მათ სიმწესითა აჩუენეს სიყუარულისათვს მეუფისა მათისა. არა თუ მათდა რამემ საწმარ არს, ანუ თუ ჩუენ მიერ შეიძინეს რამემ, რომელი-იგი სრულნი არიან და მდიდრად აღსავსენი გარდამატებულთა ნიქთა უხუებათაჲ და კამკამებენ ელვარებითა მზისა უბრწყინვალესითა წინაშე მეუფისა მათისა, დაღაცათუ უწყიან ჩუენიცა უძლურებაჲ და ვერმიმწობამა ღირსებითსა ქებასა, რომელი-იგი მათ შუენის, არამედ, რამეთუ ძმამოყუარენი არიან, ვითარცა ქრისტეს მოყუარენი, და ესე არს ნებაჲ მათი, რამთა ჩუენცა არა უნაწილო ვიყვენთ კეთილთა მათთა. რომელსა შინა იგინი იხარებენ, უკუეთუ ვეზიარნეთ¹ ჩუენცა წსენებასა მათსა და გულსმოდგინე ვიქმნეთ სმენად ლუაწლთა და ახოვნებათა მათთა. რამეთუ უკუეთუ მარადის მაქებელ ექმნე მოწამეთა და ჰნატრიდე სიმწნეთა მათთა, ოდეს მოიწიოს ჟამი, შენცა ებამო ღვაწლთა მათთა, და უკუეთუ გინდეს, აწცა და სამარადისოდ, წინა/მდებარე არს ჩუენდა ლუაწლი გვრგუნოსნობისა, რამეთუ ვითარცა-იგი მათ მძლავრნი უღმრთონი აიძულებდეს უარის-ყოფად, ეგრეთვე ჩუენ უხილავნი მძლავრნი ღამე და დღე გუაიძულებს უარის-ყოფად საქმეთა მიერ ბო-

1 ჩუენ B. 2 შესხმა B. 3 აიუშნეს A. 4 ვეზიარნეთ AB.

* ხელნაწერები: A: S—3269 (1720-იანი წლ.), B: A—170 (1733 წ.).

* ამინ+თქმული ქართლისა კათალიკოზისა ბესარიონის მიერ (მხედრულით, ბესარიონის ხელით) A.

როტთა. წინა აღუდგეთ ეშმაკსა და მისმიერნი ენებანი, რომლი-
თა გუეწყუების, უკუნ ვაქცინეთ და მაქებელ ვიქმნეთ მოწამეთა
ძალისაებრ, რაათა მათ თანაზიარ ვიქმნეთ, რამეთუ ძალისაებრნი
ყოველნი მისათუალველ არიან მათ მიერ და სათნომ წინაშე
5 ღმრთისაჲ.

- აწ მოვედით, მარტვლთმოყუარენო, და შემოვკრბეთ კსენება-
სა მათსა და გულსმოდგინედ უძნობდეთ სიმჴნეთა მათთა. არათუ
ძუელთა და ადრინდელთა მოწამეთათჳს არს სიტყუაჲ ჩემი, არცა
შორთა და ჩუენგან უცხოთა ქუეყანათა შინა გამობრწყინებულ-
10 თათჳს, რომელნი-იგი დაღაცათუ ადრინდელნი და უწინარესნი
არიან ეამითა და ადგილითა ჩუენგან შორს, არამედ წინაშე ყო-
ველთა მხედველისა ახალ და ცხოველ არიან და მარადის უახლესი-
თა და უბრწყინვალესითა დიდებითა განახლებულ და ბრწყინვალე
ქმნილ არიან. და ვითარცა ხილული ესე მზე ყოველთათჳს სწო-
15 რად მახლობელ არს, ეგრეთვე წმიდანი მოწამენი ერთგზის რაჲ
მსხუერპლ იქმნეს და სისხლითა მათითა განახლეს ეკლესიაჲ, შო-
რიელნი და მახლობელნი, პირველნი და უკანაჲსკენლნი ყოველნი-
ვე ყოველთათჳს მაქებელთა მათთა და სარწმუნოებით მვედრებელ-
თათჳს მახლობელ და თანაშემწე არიან, არამედ¹ უმეტეს ჩუენი
20 ესე ახალნი მოწამენი ნამდვილვე ჩუენნი და ჩუენთა ქუეყანათა ში-
ნა გამობრწყინებულნი ახლით ღუაწლითა და უახლესითა გულს-
მოდგინებითა ელვარედ ბრწყინვენ და ვითარცა მნათობნი დაუ-
ვალნი მარადის კამკამებენ და ვითარცა შროშანი სულნელი და ვი-
თარცა ვარდნი ფერითა მეწამულნი სისხლითა ძოწულ ქმნილნი
25 მდიდრად ყუავიან და სულნელებასა მათსა ეკლესიათა ჩუენთა
v უხუე/ბით მოჰფენენ.

- ხოლო ვთქუა რაჲმე არა უცხოჲ ჳეროვნისაგან თხრობისაჲ,
რომელსა-იგი თქუენცა მეწამნეთ ფრიადცა ჳეროვნად, რამეთუ
პირველთა მათ მოწამეთა მრავალნი აქუნდეს უპირატესნი ახლოს
30 მისაბაძველად და პირშორდ მაგალითად, ვიტყჳ უკუე წმიდათა მო-
ციქულთა. თუალით მხილველთა ღმრთისაჲ სიტყუსაჲთა², და შემ-
დგომთა³ მათთა ურიცხუებასა მოწამეთასა, რომელნი-იგი ურთი-
ერთას ჰვდებოდეს და ერთი ერთსა ებაძვებოდეს და გულსმოდგი-
ნედ იღუაწიდეს და ვითარცა საფასეთა დიდძალთა სატანჳველთა.
35 ესრეთ მოიტაცებდეს და უბრწყინვალესად სახედ და ჳეშმარიტად
მაგალითად ჳეშმარითი იგი ჳეშმარიტებაჲ ღუაწლისა დამდებელი.

¹ არამედ] აწ D. ² სიტყუსათა B. ³ შემდგომად B.

მეფე ქრისტე აქუნდა, რომელი-იგი წინამძღუარ ექმნა მოწამეთა და მიხედვითა მისითა ჩივლნიცა უსაკონი და დედანი უძღურნი მგნე იქმნებოდეს და დამვიწყებელ ბუნებათა.

ხოლო ჩუენთა ამათ ახალთა მოწამეთა, ჟამითაცა და საქმითა ფრიად უკუანამსკნელთა, რომელთა არავინ ჰყვა ახლომს სახისა დამდები, არცაღა ლუაწლისა დამწყებნი, თვნიერ მცირედთასა, რომელნი-იგი მცირედ უწინარეს გვრგვინთა წამებისათა შეიმკუნეს. მცირედნი ვთქუ რიცხვთა, არამედ არა მცირედნი სიმკნითა და ახოვნებითა, არამედ დიდნი და ბრწყინვალენი მოწამობისა სიკეთითა, ვიტყვ უკუე საჩინოსა მას მნათობსა ქართველთაჲსა მეფისა ლუარსაბს და ბრწყინვალედ გვრგვინოსანსა მოწამესა დედოფალსა ქეთავანს¹, რომელთა-იგი მცირედ უწინარეს ჟამითა ილუაწეს ლუაწლი იგი უკუდავებისა და მიიღეს გვრგვინი უბრწინელებისა უსჯულოჲსა შაჰაბაზის მიერ და განსცვალეს ჟამიერი ესე მეფობაჲ ზეციერად და დაუსრულებელად სუფევად ერთმან მან მრავლისა ჰირისა შემდგომად მოშობისა მიერ აღსასრული მიიღო და მეორემან მან ცეცხლისა მიერ სრულ ყო საბიძიელი თესი.

ხოლო შემდგომად დიდთა ამათ მნათობთა შეუდგეს სამნი ესე მოწამენი, საქმებისა რიცხუნი, რომელთათჳს არს სიტყუჲა ჩუენი, რომელნი მიზეზად შესხმათა ჩუენთა წარმოდგომილ არიან, შეგუეწევინ და გელსა აღგვპყრობენ. ვიტყვ უკუე ჩუენთა ამათ ახალთა მოწამეთა: ბიძინას სანატრელსა, ელისბარს ახოვანსა და შალვას ყოვლად ჭებულსა, მგნეთა და მათ სულითა და ახოვანთა გონებითა უძღვეველთა მბრძოლთა ქრისტეს მიერ ჰურვილთა, სპარაზენთა ღმრთივ აღჰურვილთა, რომელთა დასცნეს ბევრეულნი მბრძოლნი და ათასეულნი ბანაკნი უსჯულოთანი და მათ თანა უხილავნი მტერნი. მთავარნი ბნელისანი, სულნი უკეთურებისანი, რომელნი-იგი სრულიად აოტნეს და განაბნინეს და ძღვევისა გვრგვინი ქრისტეს მიერ მოიხუნეს და შემდგომთა მათთა სიმკნისა და ახოვნებისა ძეგლ იქმნნეს და ჩუენ დაგვტევეს ვითარცა ხატი და სახე აღუწოცელი სიჭველისა მათისაჲ, რამეთუ ვიდრე დღეინდელად დღედდე ქრისტეს დიდებული იგი სახელი ჩუენ ქართველთა შორის მათ მიერ იგსენების და ბრწყინვალედ იდიდების და სისხლითა მათითა სარწმუნოებაჲ ჩუენი მტკიცედ წარემატების.

უწყით ყოველთა, ძმანო, თუ ვითარ უფლობდეს ჩუენ ზედა სპარსნი და ქუეყანად ჩუენი მათ მიერ ბოროტად იძღვარებოდა, და უფრომსლა ქუეყანად კახეთისაჲ, რამეთუ უღმრთომან შაჰა-

¹ ქეთავანს B.

- ბაზ, რომელი იყო მეფე სპარსეთისა, სრულიად ოჯერ და უმკედ-
რომ ყო კაცთაგან. და სხუად ვერვინ შემძლებელ იყო წინააღმდგო-
მად მათდა და 'ყოველნივე შიშსა და მძლავრებასა ქუეშე ვიყვნით,
რამეთუ წმიდაი დედოფალი ქეთავან¹ კახეთისა და მერმე წმიდაი
- 5 ლუარსაბ მეფე ქართლისა ორივენი ზაკვით შეიპყრნა და სახელი-
სათუს ქრისტესისა მწართა სატანჯველითა სიკუდილ დასაჯნა და
მოწამებითა გვრგვინოსან იქნეს. ხოლო არა ყოვნა სასჯელმან ზე-
გარდამომან, რამეთუ უკეთური იგი მეფე შაჰაბაზ მწართა აღსას-
რულითა განეჭუა ცხორებისაგან, რამეთუ მსგავსად იუდასსა გან-
- 10 სივ/ნა და განსქდა. ხოლო ძემან მისმან მცირემან შაჰაბაზ ინება
სრულიად აღმოფხურად ქრისტეანობისა კახეთსა შინა და მის წილ
განმრავლებად და განძლიერებად ბილწისა მის სასჯელისა თვისისა.
- რამეთუ დიდისა შაჰაბაზის ოჯრებითგან მცირედ-მცირედ იწ-
ყეს შენობად ოჯერთა ადგილთა კახეთისათა, თუ სადამელა იპოე-
- 15 ბოდეს კაცნი. ხოლო ესმა რამ სპარსთა კუალადცა შენობა კახე-
თისა, ფრიად შეუძნდა ესე და იწყეს მისთვის კუალად განზრახვა
ბოროტისა. მაშინლა წარმოგზავნეს ურიცხვ ულუსი თათართა დე-
დაწულითურთ მათით და ფალანგებითა მათითა და ყოვლითა სიმ-
დიდრითურთ და თავად მათდა უჩინეს სულტანი არდალანისა და
- 20 იგიცა ყოველით სახლეულით მისით, რადთა სრულიად აღტოცონ
ქრისტეანობად. მყის აღიძრნეს და მიიწივნეს კახეთად, დაიბანა-
კეს მუნ და დაემკვდრნეს იგინი. და აღივსო სრულიად კახეთისა
თემი, რამეთუ ვერვინ შემძლებელ იყო წინააღმდგომად მათდა სიმ-
რავლისათუს მათისა.
- 25 იწყეს დაშენებად ზემო ბახტრიანით, რომელსა აწ შენ არს
ციხე მათ მიერ აგებული, ვიდრელა ნუჯადამდე, რომელსა აწ ფად-
რობით უწმობენ, იმიერ და ამიერ ალაზნის პირსა და ყოველთა
ადგილთა კახეთისათა.
- რამეთუ არღარა სადა იქსენებოდა სახელი ქრისტესი, თვნიერ
- 30 მცირედთა ოდენ მთით კერძო თუშთა შორის და ხუჯთა და მის
კერძოთა ადგილთა.
- მაშინ გამობრწყინდეს წმიდანი ესე ახოვანი მოწამენი, რამეთუ
ლმერთმან საკვრველებათამან და ყოვლისა შემძლებელმან და ულო-
ნოთა ღონიერ მყოფელმან მოსცა გონებასა სანატრელისა ბიძინასსა
- 35 განზრახვა კეთილ და გონიერებაი შემსგავსებული ღმრთისმსახუ-
რებისა და ახოვნებისა მისისა: წარვიდა წინაშე ორთავე ერისთავ-
თა მიმართ ქართლისა — არაგვისა და ქსნიისათა და აუწყა ყოველი

¹ ქეთევან B. 2 განძრახვა B.

- ძარი მოწვევული მათ ზედა და ითხოვდა შეწევნასა მათ მიერ. რამეთუ მაშინ ერისთაობდა ჳეესა არაგვსასა, რომელსა ეწოდებოდა 246
ზაალ, და ქსანსა ზედა წმიდაჲ ელისბარ და წმიდაჲ შალვა, რამეთუ ელისბარ უშვილო იყო და მოხუცებულ დღითა და წმიდა შალვაჲ ძმისწული მისი შვილად მიიყვანა და ესრეთ ერისთობდენ ორნივე ქსანსა ზედა. ხოლო წმიდაჲ მოწამე ბიძინა იყო კახეთით დიდთა თავადთაგანი, ნათესავით ჩოლოყაშვილი. ესე წარვიდა, ვითარცა ვთქუე, ერისთავთა მათ მიმართ და აუწყა მათ ყოველი ძარი მოწვევული მის ზედა და ეტყოდა: „იხილეთ ჩუენი ესოდენი ჳირი და განსაცდელი, ვითარ მწარე ესე ოჯრებაჲ კახეთისა და აწ სრულიად დაპყრობაჲ თათართაგან და ავოცა ქრისტეანობისაჲ. დღეს ჩუენ ზედა არს მოწვევული ესე ძარი, მცირედლა და თქუენ ზედაცა უეჭუელად მოიწვევის განსაცდელი ესე. აწ უკუე აღვდგეთ მათ ზედა, დაღაცათუ შეუძლებელ არს ჩუენ მიერ, არამედ ძალითა და შეწევნითა დამბადებლისა და ღმრთისა ჩუენისათა და წინაძღომითა და განძლიერებითა ცხოველსმყოფელისა ჳუარისათა და თანადგომითა ახოვნისა მჳედრისა წმიდისა გიორგისათა, რამეთუ დიდებული ტაძარი მისი დაიპყრეს და შეაგინეს და ბატოსანი ხატი მისი შემუსრეს. აწ აღვდგეთ მათ ზედა და ბრძოლა ვყოთ. ნუთუ ინებოს ღმერთმან და ესძლოთ და ვიოტოთ, ანუთუ მოვსწყდეთ სახელისა მისისათს, რამეთუ ვითარცა-იგი ქრისტემან მეუფემან ჩუენმან დაღვა სული თვისი ჩუენთს და რაჲ საკერველი არს, უკუეთუ ჩუენცა დავდვათ სულნი ჩუენნი მისთს და ძმათა ჩუენთათს და მოვსწყდეთ სახელისა მისისათს. დაღაცათუ მრავალ არიან იგინი და უფროჲს რიცხსაჲ და ჩუენ შემეცირებულ ვართ დღეს ცოდვათა ჩუენთათს და არა არს აწ ჩუენ თანა მთავარ და წინამძღუარ, არცა მჳედართა განწყობილებჲ და ძალი საჳურველთა, არამედ თავითა დამდაბლებულითა და სულითა გლახაკობისაჲთა აღვდგეთ მათ ზედა და, უკუეთუ ინებოს ღმერთმან, ერთითა იოტოს ათასეულნი და ორმან წარაჳციოს ბევრეულნი. და უკუეთუ ესე არა ინებოს ღმერთმან და ვერ მძლე ვეჳმნენთ, ეგრეთცა მოვსწყდეთვე სახელისა მისისათს. იყავნ სახელ/ი უფლისაჲ კურთხეულ უკუენისამდე“.
- ესჲა რაჲ ესე ორთავე მათ ერისთავთა, ჳმნეს განზრახვაჲ! ურთიერთას და აღუთქუეს შეწევნაჲ. ხოლო ერისთავი არაგვსა ცხადად ვერ იკადრებდა შეწევნასა შიშისათს სპარსთასა, არამედ მცირედნი ოდენ კაცნი რჩეულნი მჳედრები მოსცნა თანაშემწედ საიდუმლოდ. ხოლო ახოვანთა მათ და ღმრთისმსახურებით განშუენე-

ბულთა ელისბარ და შალვა დიდითა გულსმოდგინებითა მოირთეს ძალი, რაჲც ოდენ შემძლებელ იყვნეს, სპითა თუსითა მოვიდეს თიანეთს და ივმნეს თუშნი და მთეულნი და მცირედნი კახნი, თუ სადამელა იპოებოდა, და ღამესა ერთსა ბნელსა და უმთუაროსა გარდავლნეს მთა იგი და ჩავლეს ახმეტა და მივიდეს უგრძნულად მათ ზედა და დაესხნეს მუნ მდგომთა თათართა ზედა ძალითა პატრიონისა ჭუარისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და მინდობითა და წინაძღომითა წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისათა და დაუწყეს სრვაჲ და ჭოცაჲ და ესოდენ ასწყუდეს, ვიდრე სრულიად მოსპოლვადმდე, და აოტეს და განაბნინეს და მოსრნეს პირითა მახვლისათა. და თვთ სულტანი იგი მთავრად მათდა ჩინებული ძალითა შეესწრა ცხენსა და მცირედითა ოდენ კაცითა ივლტოდა დამტევებელი ცოლთა და შეილათაჲსთა. ხოლო მათ ყოველივე ასწყუდეს და იავარ ყვეს და სრულიად მოსპეს და განაბნინეს. ესრეთ ძლევამოსილნი მადლობდეს ღმერთსა და წმიდასა და დიდებულსა მოწამესა გიორგის, რამეთუ ცხადად იხილებოდა მთავარმოწამე გიორგი ცხენსა ზედა სპეტაკსა ელვის სახედ მიმომსრბოლი წინამაჲლად მათდა.

ხოლო ესეოდენი ძლევა მისცა ღმერთმან ამათ სამგზის სანატრელთა მცირედითა კაცითა, ვიდრელა არასადა სმენილ არს სხუათა ნათესავთა შორის ესევეითარი, რამეთუ თათართა მათ ითქუჲმოდა ოთხმეოცი ათასი სახლი, რომელთა დაებანაკა კახეთს შინა, და ესეოდენ ასწყუდეს და განაბნინეს, ვიდრელა არცა თუ ერთი იპოებოდა კა/ხეთსა შინა. და ესრეთ განუმარჯვა ღმერთმან და ესევეითარი ძლევა მოანიჭა ამათ ახოვანთა, რამეთუ ყოვლისა სიბრძნით განმგებელმან წინასწარ უწყოდა სიმტკიცე გონებისა მათისა და სიყუარული იგი, რომელი აქუნდა მისსა მიმართ სარწმუნოებაჲ უქცეველი და უცვალებელი, ამისთვის თანაშემწე ეყო და მოსცა ესევეითარი შეწევნა და წინათვე დაუსახა, თუ ვითარ ყოფად აჩიან ბრძოლად წინააღმდეგომთა მათ უხილავთა მტერთა.

ხოლო მცირედნი ვინმე მათ თათართაჲგან ლტოლვილნი და თვთ სულტანი იგი უკუნ-იქცეს სპარსეთად. და განითქუა ესე ყოველი სპარსთა შორის ესევეითარი მოსაწევაჲ. ფრიად შეუძნდა მათ ესე და დიდად სირცხულად და ზღუევად შერაცხეს.

მაშინ უბრძანეს მთავარსა განძისასა მთავრობაჲ კახეთისა და, მი-რა-ვიდა კახეთად ზემოთა ქუეყანათა, ვერ იკადრა შესვლად შიშით, არამედ დაიბანაკა ალაზნის პირსა დამართებით კოეთისაჲ და მუნით განაგებდა და იპყრობდა კახეთსა.

მაშინ მეფემან სპარსთამან, მცირემან შაჰაბაზ, მოუწერა მეფე-

სა ქართველთასა ვახტანგს, რომელსა სპარსნი შაჰნავაზობით უკ-
მობდეს, რაათა მის წინაშე წარგზავნენს ახოვანნი ესე მკედარნი
ქრისტესნი, რომელთაცა საქმე ესე ყვეს. ხოლო მეფემან შაჰნავაზ
შეიპყრნა იგინი და წარგზავნა სამნივე ესე სანატრელნი წინაშე
შაჰაბაზისა სპარსეთს.

5

ხოლო შაჰაბაზ მისცნა იგინი სულტანსა მას არდალანისასა,
რომელი-იგი ამათ¹ მიერ ლტოლვილ იყო მოწყუედასა მას თა-
თართაჲსა, და ესრეთ უბრძანა მეფემან მან სპარსთამან სულ-
ტანსა მას და ამცნო, ვითარმედ: „დიდად მეწყალიან ეგენი სიკე-
თისა და ახოვნების მათისათჳს და არა მნებავეს სიკუდილი მათი;
რამეთუ დიდად საჭმარ არიან ეგენი მტერთა და წინააღმდეგობთა
ჩუენთა ზედა. აიძულენ დატევებად სჯულისა თჳსისა: უკუეთუ უარ-
ყონ სარწმუნოებაჲ თჳსი და იქმნენ მუსულმან, ჩუენ მიერ დიდთა
პატივთა და ნიჭთა სიმრავლესა ღირს იქმნენ, ხოლო უკუეთუ ესე
არა ყონ და ურჩ ექმნენ ბრძანებასა ჩუენსა, მწარითა სატანჯველი-
თა დასაჯენ და მერმე ამის ცხორებისაგან განიყვანენ“.

10

v

15

მუნ წარიყვანნეს წმიდანი ესე და წარადგინნეს წინაშე სულ-
ტანისა მის არდალანს. და იხილნა რაჲ სულტანმან მან წმიდანი
ესე მის წინაშე მიგურილნი შეკრულნი და დასჯილნი, დიდად გა-
ნიხარა მათთჳს და პატივით მოიკითხნა. პირველად^{*} შეიწყნარნა
იგინი კეთილად, რამეთუ ბრძანებაჲცა ესრეთ იყო შაჰაბაზის მი-
ერ. რამეთუ სიმჯნისა² და ახოვნებისა მათისათჳს არა ენება მოწყუ-
ედა მათი. არამედ ესე იყო ნებაჲ უღმრთოჲსა მის მეფისა, რაათა
დატევებითა სჯულ-ისაჲთა სამარადისოდ დგენ წინაშე მეფისა და
ებრძოლონ მტერთა მისთა, ამისათჳს ნიჭთა და პატივთა დიდ-დიდ
თა აღუთქუმიდა მათ, რაათა უარყონ სახელი ქრისტესი. ხოლო
წმიდათა მათ ვითარცა ერთითა პირითა მიუგეს და პრქუეს: „ჩუ-
ენ ნიჭთა და პატივთა თქუენთათჳს არა გული გუთქუამს, არცა ვე-
ძიებთ საბოძვართა თქუენთა, რამეთუ ჩუენ ზეცათა მეფისა მო-
ნანი ვართ და მკედრად ქრისტესა განწესებულნი, რომელმან მომ-
ცნა ესევეითარი ძლევაჲ ჩუენგან შეუძლებელი, და მისგანვე მო-
ველით ნიჭთა უხრწნელთა და საფასეთა მოუკლებელთა. ხოლო
ნიჭნი და პატივნი თქუენნი აღრე დასრულებადნი და მსწრაფლ
წარმძვალნი არიან, ვითარცა სიზმარი განქარდების და ვითარცა
ჟუთვილი დაჰქნების და მერმე რაჲღა იყოს სხუაჲ ყოვლად ამისა,

25

30

35

1 მათ B.

2 სიმჯნისა A.

* მომდევნო „კეთილად“ გადაშლილია.

- არამედ ცეცხლი უშრეტი და სხუანი სატანჯველნი ურიცხუნი და-
 უსრულებელნი, რომელთა შინა დაისაჯნეთ თქუენ და ყოველნი
 უარისყოფელნი ძისა ღმრთისანი. ხოლო ჩუენ არცა პატივნი და
 ნიჭნი თქუენნი, ვერცა ჭირნი და სატანჯველნი თქუენნი და სიკუ-
 5 დილისა ქადებანი შემიძლებენ განშორებად ქრისტესგან, არამედ
 მზაა ვართ ყოვლისავე დათმენად, რამთა მის თანა ვსუფევდეთ
 და მის თანა ვიხარებდეთ“.
- ხოლო პირ სიტყუათა ამათ იყო წმიდაა ბიძინა¹ და იგი მიუგებ-
 და ყოველსავე, ხოლო ნებაა და განზრახვამ სამთავე ერთი იყო და
 10 სწორ, რომელთაცა ერთადცა და სწორ ილუაწეს, სწორადცა მიი-
 ლეს გვრგუნნი. ესმა რაა ესე უსჯულოთა მათ, ფრიად განკვრდეს
 248 სიმ/ვნესა და ახოვნებასა მათსა და კადნიერებით სიტყუსაგებასა.
 კუალად აიძულებდეს უარისყოფად და აღუთქუმიდეს უდიდესთა
 ნიჭთა და პატივთა და საკუთრებასა მეფისა მის მათისასა და მოახ-
 15 სენებდეს სიკეთესა და შეუენიერებას მათსა სიმვნესა და სიქველ-
 ესა მათსა და ეტყოდეს, რამთა შეიწყალონ თავნი თვისნი და არა
 მიეცნენ უჟამოსა სიკუდილსა და არცა გამოეკუენ ტკბილისა ამის
 საწუთოსა ცხორებასა. ხოლო წმიდათა მათ ყოვლისა ამის წილ
 მიუგეს, ვითარმედ: „ჩუენ არა რომლითა სახითა განვეყენნეთ
 20 სჯულსა ქრისტესსა, არცა უარვეით სახელი მისი, რამეთუ არა-
 რაა უტკბილეს არს ქრისტესთს სიკუდილისა. არაოდეს ვისმინოთ.
 ცრუმსა მის ბილწისა მოციქულისა² თქუენისაა. თქუენ რამცა გე-
 ნებოს, ჰყავთ, არა გუეშინის ცეცხლისა და მახვლისაგან, არცა
 25 სხუათა სატანჯველთაგან, რომელნი თქუენ მიერ მოპოვებულ არი-
 ან“. მაშინ წარიკუეთეს უღმრთოთა მათ სასოებაა გარდაქცევისა
 მათისა, მყის შეიპყრნეს საპნივე იგი მვედარნი ქრისტესნი და
 შეკრულთა ითრევდეს უწყალოდ ქუეყანისა ზედა, ვითარცა ძვრის-
 მოქმედთა ვისმე სახელოვანთა მათ კაცთა, რომელთა სულნი
 თვისნი პირველვე დაესხნეს ქრისტესთს და შჭულისა მისისათვის
 30 და მერმე ძმათათვის, ვითარცა ბრძანებს წმამ სამეუფომ, ვითარ-
 მედ: „უფროდნი ამისა სიყუარული არავის აქუს, უკუეთუ ვინ დად-
 ვას სული თვისი მეგობართა თვისთათვის“. ხოლო ამათ ნეტართა აღ-
 რევე სიკუდილი შეურაცხ-ეყო, რამეთუ ვიდრე დღეინდელად
 დღედმდე, ვითარცა უწყით, ყოველთა სარწმუნოებაა ქრისტესი და
 35 მართლმადიდებლობაა წმიდისა სამებისაა განუმტოცების ჩუენ
 შორის და სისხლითა მათითა ყუავის ეკლესიანი ჩუენნი. რამეთუ
 არა თუ ერთისა და ორისა ძმისათვის, არცა ათისა და ოცისათვის,

¹ ბიძინა AB. ² მოცილისა A.

გინათუ ასისა და ათასისათჳს დასხნეს სულნი თჳსნი, არამედ მსგავსად მკსნელისა ჩუენისა აურაცხელთა და ბევრეულთა ერთათჳს და სრულიად საქართველოსათჳს თავნი თჳსნი სიკუდილად განსცენს და იჳს/ნეს იგინი. რამეთუ უკუეთუმცა ესე არა ქმნილ იყო, სრულიად- v
მცა აღკოცილ იყო ჩუენ შორის ქრისტიანობად. ესევეითარნი ღუ- 5:
აწლნი და ესევეითარნი სიმჳნენი აჩუენეს ახოვანთა მათ და ჩუენ ღიდად ქველისმოქმედ გუექმნენეს.

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ და მოვიტყენოთ მათი იგი ქრისტეს მიმართი მიუღრეკელი სარწმუნოება და სახელისა მისისათჳს სიკუდილისა მიმართ უშიშროება და ბრწყინვალედ განვატყუდოთ სიმჳნე იგი მათი უძლეველი და ღუაწლი 10:
ღმრთივ-შუენიერი.

და ვითარცა სცემდეს და ითრევედეს წმიდათა მათ და კულადცა აიძულებდეს, რაათა უარყონ ქრისტე, და იგინი მასვე იტყოდეს და უმეტესსაცა აჩუენებდეს სიმტკიცესა თჳსისა სარწმუნობისასა და სრულსა სიყუარულსა მეუფისასა, რამეთუ მოყუასი მოყუასასა! განამჳნობდა და ერთი ერთსა აღლესეიდა, რაათა არა მომედგრდენ წინამდებარეთა ღუაწლთაგან და რაათა სიხარულით შეიწყნარონ ყოველი სატანჯველი მათ ზედა მოწვენული. ილოცვიდეს და ევედრებოდეს ღმერთსა, რაათა მოუვლინოს მათ შეწყვენად მის მიერი და განაძლიეროს დათმენად წინამდებარეთა მათ ღუაწლთა სახელისა მისისათჳს და იწურთიდეს სარწმუნობასა წმიდისა სამებისასა. დაღაცათუ საეროთა და სამჳედროთა საქმეთა. შინა აღზრდილ იყვნეს და არა ზედა მიწვენით მეცნიერ საღმრთოთა წერილთად, არამედ რომელსა-იგი მეცნიერ იყვნეს ანუ ზეგარდმო სული აწუევედა, მას იწურთიდეს და მას იტყოდეს და ბაგენი მათნი არა დასჯარებოდეს ღიდების მეტყუელებად ღმრთისა და დაუცხრომელად მეტყუელებდეს მრწამსსა, საზღუარსა სარწმუნობისა ჩუენისასა. 15
20:
25:

მაშინ მსახურნიცა მათნი, რომელნიცა თანა ყვეს მცირედნი 30:
ოდენ, იგინიცა ფრიად აიძულებდეს და ეტყოდეს, რაათა დაემორჩილნენ ბრძანებასა მათსა და იკსნან სულნი მათნი ესოდენთა ძვრთაგან და რაათა არა მოსწყდენ ბოროტად, არამედ აღრე განერნენ ჳელთაგან მათთა.

ხოლო მათ თუალითა მკსინვართა მი/ხედნეს მათ და ფიც- 349.35
ლად შეჰრისხნეს და შორს წარდევნენ მათგან და ეტყოდეს: „უკუეთუ ერთგულნი ხართ ჩუენნი, ვითარ გუაიძულებთ უარისყოფად. ქრისტესა და შედგომად ბილწსა მას და ხენეშსა სჯულსა. მოჰამე-

დისსა და გნებავსთ მიცემაჲ! ჩუენი საუკუნეთა მათ სატანჯველთჲ, არა კმა არიანა მაიძულებელად ჩუენდა მძულვარნი ესე უღმრთონი და მათ თანა მტერნი იგი უხილავნი მძენვარედ მბრძოლნი იგი ნათესავისა ჩუენისანი?“

- 5 ხოლო უღმრთოთა? მათ მოიპოვეს სხუად ღონე და კუალად ლიქნით ეტყოდეს: „ნუ ჰყოფთ თავთა თქუენთა სახელოვანთა სა-
 ცინელ მტერთა, ნუცა აღირჩევთ სიკუდილსა ტკბილისა სიციოცხ-
 ლისა წილ, არამედ ერჩილით ბრძანებასა თვთმპყრობელთასა? უარ-
 ყავთ სჯული თქუენი და იქმნენით მუსულმან და მიიღეთ ნიჭთა
 10 სიმრავლე და საკმართა უხუებად, დაემორჩილენით სჯულისდება-
 სა მოჰამედ მოციქულისა ჩუენისასა“. ხოლო იგინი მასვე იტყო-
 დეს და მასვე დაამტკიცებდეს და უქცეველ იყვნეს განზრახვისა
 თვისისაგან და მიუგეს: „ნიჭნი და პატიენი თქუენნი საწუთოდ
 15 არიან და ადრე განქარვებადნი, ხოლო აღთქუმულნი იგი კეთილნი
 მეუფისა ჩუენისანი, რომელნი აღუთქუა მოყუარეთა თვსთა და
 მოთმინეთა სახელისა მისისათა, საუკუნო და დაუსრულებელ არიან,
 რომლისა მსგავსი თუალმან კაცისამან არასადა იხილა, ყურსა არა
 ესმა და გულსა კაცისასა არა მოუჭდა. ეგრეთვე ჰირნი და სატან-
 20 ჯველნი მოუთმენელ და დაუსრულებელ არიან, რომელნი მიელი-
 ან უარისმყოფელთა მისთა“. ესე ყოველნი ესმა რამ უღმრთოთა
 მათ და წარიკუეთეს სასოებაჲ მათისა გარდაქევისაჲ, შესძინეს
 სხუად სატანჯველი უმძენვარესი პირველისა: განაშიშულნეს წმი-
 დანი იგი და სიციხესა შინა მზისასა ჰაერსა ქუეშე განყარნეს შეკ-
 25 რულნი ჳელით და ფერკით და ყოვლისავე ნუგეშინისცემისაგან დაკ-
 ლებულნი, შიმშილისა და წყურვილისაგან განკაფულნი და ბუზთა
 v და ბზიკთა მიერ უწყ/ალოდ წერტილნი.

- კუალად მოუჭდეს მტარვალნი იგი და მრავალსახედ ექადოდეს
 და უთქუმიდეს სხუათა სატანჯველთა უფიცხესთა და სიკუდილსა
 მწარესა. ხოლო იგინი უახოვნეს იქმნებოდეს და ყოვლად ბრძნითა
 30 სიტყუთა მათითა, რომელი მოედო ზეგარდამო აღთქუმისა მისებრ
 უტყუელისა, უკუნ-აქცევდეს სიტყუათა მათთა. მაშინდა მოუხ-
 დეს მტარვალნი იგი პირველად ორთავე მათ ერისთავსა — ელის-
 ბარს და შალვას — და უწინარეს მათი ეგულვა წარკუეთა თავთაჲ,
 რათათა ამით ოდენ ზარი განჯადონ ახოვანსა ბიძინას და სიკუდი-
 35 ლითა მათითა შიმნეულ ყონ უშიში იგი გონებითა და ანდამატი-
 სა უმტკიცესი, ჰგონებდეს ამით განშორებასა მისსა ქრისტესგან.
 ხოლო წმიდაჲ იგი არა თუ ოდენ შეშინდა, არამედ მათცა უშიშ

ყოფდა სიკუდილისა მიმართ და განამწიბობდა, რაათა სიხარულით მიითუალონ სიკუდილი უკუდავებისა მომატყუებელი და ეტყოდა მათ ვითარმედ: „არარაჲ უტკბილეს არს ქრისტესთჳს სიკუდილისა, რომელი დასაბამ უკუდავებისა და სამარადისოჲსა ცხოვრებისა გუექმნების“. მაშინ სანატრელთა მათ სიხარულით წარუბყრ- 5
ნეს ქედნი მათნი მახულსა, ხოლო მტარვალთა მათ, ვითარცა აღი-
მალლნეს მარჯუენენი მათნი, რაათა ძლიერად უხეთქონ ქედთა მათ-
თა, არამედ ვერ შეუძლეს აღწდომად, რამეთუ ნეტარნი იგი ახო-
ვან და მალალ იყენეს ჰასაკითა უმეტეს სხუათა კაცთასა, არამედ
პირველ წვეთა მათთა ზედა უხეთქენს მახულნი და მუგლთა ზედა 10
დასცნეს ქუე და ეგრეთლა წარკუეთნეს თაენი მათნი. და ესრეთ
სანატრელი აღსასრული მიითუალეს და აღვიდეს ზეცისა დიდე-
ბასა წინაშე ყოველთა მეუფისა გვრგუნშემოსილნი.

კუალადცა მოუტდეს ნეტარსა ბიძინას, აწლა თუ დამტკიცებით
ჰგონებდეს შიშნეულობასა მისსა, და ესვიდეს ტყუილით მომედგ- 15
რებასა მისსა, აშინებდეს და ექადო/დეს უღმრთონი იგი უმძუნვა- 250
რესითა სიკუდილითა. ხოლო იგი უმეტეს განმხნდებოდა და აწუ-
ედა მათ, რაათა ადრე განიყვანონ საწუთროჲსა ამის ცხოვრებისა-
გან, რამეთუ სუროდა და ისწრაფდა ადრე მიწვენად სასურველი-
სა თვისისა და შერთვად მოყუასთა თვსთა თანა, რაათა არა დააკლ- 30
დეს რიცხუსა მას პატივცემულსა წმიდისა სამებისასა და რაათა
აღავსოსცა რიცხუ იგი მათგან დაკლებული. კუალად მოუტდეს და
პატივთა და ნიჭთა უდიდესთა წინა უყოფდეს და სიმდიდრეთა
ფრიადთა აღუთქუმიდეს, რაათა უარყოს ქრისტე და შეეძინოს
სჯულსა მათსა. და იგი კუალად მასვე სიტყუასა ეტყოდა და აგი- 25
ნებდა სჯულსა მათსა და ბილწსა მას სჯულსმდებელსა მათსა და
უკუნ-აქცევდა სიტყუათა მათთა მადლითა მით, რომელი მოცე-
მულ იყო მისა ზეგარდამოჲ. და ვითარცა ამასცა ზედა წარკუეთეს
სასოებამ და ვერა რომლითა სახითა და ღონითა უძლეს მიდრეკა 30
მისი ქრისტეს სიყუარულისაგან, იწყეს კიცხვად და ბასრობად
მისა, მოილეს კუბასტი დედათა და მოასხეს ახოვანსა მას მწედარ-
სა ქრისტესსა, ვითარცა გასმიეთ წმიდათა მათ სერგის და ბაქოსთჳს
და უფროსლა ქრისტეს მეუფისა ჩემისა, ვითარ-იგი ქლამინდი მე-
წამული და კიცხვისა სამოსელი ჩემთჳს შეიმოსა უღმრთოთა ჰუ- 35
რიათა მიერ, ეგრეთვე ამას არა სირცხულ უჩნდა სამოსელი იგი.
კიცხვისად, რაათა იდიდოს ქრისტეს თანა საუკუნოდ დიდებითა
მით ჩუენგან მოუგონებელითა. მერმე მოიგონეს სხუად ღონე კი-

- ცხევისა და ბასრობისა, ნუუკუე ამით ოდენდა უძლონ მიდრეკად მისსა, მოიყვანეს ვირი და აღსუეს მას ზედა და მიმოავლებდეს უბანთა და ფოლოცთა¹ შორის. ეკიცხვიდეს და ბასრობდეს და აგინებდეს, რამეთუ სპარსთა შორის დიდად რაადმე სირცხულად უჩნს მამაკაცთაჲ, უფრომდა მთავართა მათთადა შერაცხილთა, ვირსა ზედა დაჯდომად, ხოლო დედანი, ცოლნი დიდებულთა მათთანი ჰუნეთა და ცხენთა წილ ვირთა ზედა მსხდომარე არიან. ამის-
 5 თვისცა მოიპოეს უღმრთოთა მათ კიცხევად წმიდისა მის, ხოლო იგი უფრომსად იხარებდა და მადლობდა/ღმერთსა ამასცა ზედა მსგავსებისათს მეუფისა, რამეთუ ამითცა გამოჩნდა მსგავს მისსა, ვითარ-იგი იხილვებოდა მჯდომარე კიციუსა ზედა ვირისასა შემავალი იერუსალიმს ვნებად კაცთათს, ეგრეთვე ესე მჯდომარე ვირსა ზედა ისწრაფდა შესლვად ზეცისა იერუსალიმსა, სადა-იგი მჯდომარე არს მეუფემ მეუფეთა და უფალი უფლობათა, ქერობინთა, საყდართა
 15 ზედა ბევრის-ბევრეულთა ანგელოზთა ძალთა მიერ თაყუანისცემული. ხოლო თუთ წმიდადცა იგი ემღერდა თავსა თვისსა განცხრომის-სახედ და იტყოდა: „ეჰა, ვითარ ქველისმოქმედ მექმნენს მტერნი ესე უღმრთონი, კნინდა და მეგულეების ვირითა ამით შესლვად სამოთხედ“.
- 20 ხოლო უსჯულოთა მათ შემდგომად კიცხვისა მის და ბასრობისა² მოიყვანეს კუალად და იწყეს შინებად და ექადოდეს მწარითა სიკუდილითა, უკუეთუ არა უარყოს ქრისტე. ხოლო იგი უშიშითა და მადლითა ვმითა კუალადცა ბასრობდა ხენგმსა სჯულსა მათსა და აგინებდა ცრუ მოციქულსა მათსა და უფრომსად განად-
 25 ცხებდა მათ და აღსძრვიდა მის ზედა გულისწყრომად, რაათა აღრე განიყვანონ ამის ცხორებისაგან და მიიწიოს სასურველსა მას თვისსა და რაათა აღრე შეერთოს ყოვლად ბრწყინვალეთა მათ გუნდსა მოწამეთასა.
- 30 ხოლო მტარვალთა მათ მოიხუნეს მრავალსახე მახულები აღლესულეები და იწყეს უწყალოდ ჰრად და კუეთად ასოთა და ნაწევართა მათ წმიდისაათა და ეტყოდეს: „გუერჩიდი, მ ბიძინა, კუერჩიდი და უარყავ სჯული შენი და ქრისტე იგი, რომელი შენ ღმერთად გრწამს, და ნუ გნებავს ბოროტად სიკუდილი“. ხოლო იგი იაუცხრომველად მეტყუელებდა მრწამსსა და ზედა დაურთვიდა
 25 სამეუფოსა მას ლოცვისა. პირველად მოჰკუეთნეს მარჯუენე თითნი ველთანი თითოეულად და მერმე მარცხენე და ეტყოდეს: „ადვილ

¹ ფოლოცთა B.

² წამლილი მომდევნო „მისისა“ A.

არს კურნებამ ამისი, უკუეთუ დაემორჩილო ბრძანებასა თვთმპყ-
 რობელთასა“. ხოლო იგი დაუცხრომელად ილოცვიდა და მათ არ-
 ლა რაჲს მიუგებდა. მერმე მოკუეთნეს თითნი ფერჯთანი თითო/ე- 251
 ულად მარჯუენე და მარცხენე და თითოეულსა ზედა ეტყოდეს:
 „ადვილ არს კურნებამ უკუეთუ გინდეს და უარყო ქრისტე“. და 5
 იგი რაჲ უქცეველ იყო თვისისა სიმტკიცისაგან, მერმე მოკუეთნეს
 კელნი მარჯუენე და მარცხენე მაჯითურთ და ეგრეთვე ფერჯნი ვიდ-
 რე კოჭთამდე და ესრეთლა წურილ-წურილად იწყეს ჭრად და კუ-
 ეთად ყოველთა ასოთა და ნაწევართა მისთა, ვითარცა გასმიესთ
 იაკობისთვის დაჭრილისა, რომელი გამობრწყინდა მათვე სპარსთა 10
 შორის, და ესრეთ უწყალოდ სჭრიდეს და კუალად წყლულსა ზედა
 დასძინებდეს წყლულთა მისთა და ყოველთა ნახამთა მისთა შე-
 ეხებოდეს, დასჭრიდეს და ჰკუეთდეს და ვითარცა ორნატთა განა-
 პებდეს წორცთა მისთა. ხოლო ამისთვის ჰყოფდეს ამას უღმერთონი
 იგი, რაჲთა უმძაფრესი ტკივილი შეუტდეს შინაგან გულსა მისსა და 15
 ნუუკუე ამით მომედგრდეს სიმკნე მისი და გუერჩიდეს. ხოლო იგი
 ხადოდა მადლითა ჳმითა სახელსა ქრისტესსა და სურვილითა მი-
 სითა აღისუბუქებდა ტკივილსა მას მწარესა და ითხოვდა მისგანვე
 მოთმინებასა, რაჲთა მცირედ ჟამითა ამით ტკივილითა თანაზიარად
 გამოჩნდეს ვნებათა მისთა და ეგრეთცა სუფევასა მისსა აღტქუმი- 20
 სა მისებრ უტყუველისა, რომელი-იგი არა უგულუბელს-ყოფს
 მისთვის ძვრხილულთა, რომელიცა-იგი შეეწოდა და ღირს-ყოფ-
 და მოუთმენელთა მათ წყლულებათა დათმენად. მერმე მოკუეთი-
 ნეს ორნივე მკლავნი ვიდრე იდაყუთამდე და მერმე ორნივე წუჯ-
 ვნი ვიდრე მუკლთამდე და კუალად ორნივე მკარნი იდაყუთაგან 25
 ვიდრე ბეჭთამდე, მარჯუენე და მარცხენე, და¹* ესრეთლა უწყა-
 ლოდ დაჭრილთა მათ ასოთა მისთა ითრევდეს მიწასა ზედა. და
 კუალად მოიყვანიან და იწყიან ჭრად დანარჩომთა მათ ასოთა და
 მოკუეთნეს მერმეცა სხულ² ბარკალნი ორნივე და ჯერეთ ცოცხალ-
 ლა იყო და თავი ოდენ ეგო უვნებელად დაჭრილსა გუამსა ზედა. 30
 და საზარელ იყო/მხილველთაგან და რაოდენ ეძლო, ბაგითა და
 თუალითა აჩუენებდა ნიშნა ლოცვისასა და შემწედ ხადოდა შე-
 წვენასა მას ყოველთასა. და კუალად ითრევდეს კერძოსა მას გუ-
 ამისასა უპატიოდ ქუეყანასა ზედა. ჯერეთ სულიერდა იყო, მიხედ-
 ნა ერთმან მტარვალთაგანმან და თითოეულად განიცდიდა მოჭრილ- 35
 თა მათ ასოთა მისთა და შინაგან რაჲთა შთაიხედნა, რამეთუ ცხა-
 დად ჩნდეს უშინაგანისნი ასონი, და იხილა გული იგი სამგზის სა-

1 და — B. 2 სხვ B. 3 განიცდიდნა A.

* მომდევნო „მერმე“ გადაშლილია A.

- ნატრელისა მის, რამეთუ ჯერეთ ცოცხალ იყო და იძრვოდა ჩუე-
 ულებისაებრ და მიმოკრთებოდა, და ვპკონებ თუ სიყუარულითა
 მით ღმრთისადასათა, რომელითა ცეცხლებრ ეგზებოდა და ზეშთა
 5 ჰყოფდა ყოველთა მათ ტკივილთა იგი, კრთებოდა და ეგზებოდა.
 და ესე იხილა რად მტარვალმან მან, ვმა-ყო ვმითა მალლითა: „იხი-
 ლეთ, აჰა, ჯერეთ ცოცხალ არს ღორი ესე, რამეთუ გული მისა
 იძრვის და მიმოკრთის და ესოდენმან ამან სასტიკებამან ჰირთა და
 ტკივილთამან ვერ უძლეს დაცხრომად“, მოილო ლახუარი და რაო-
 დენ ეძლო, განაწონა გულსა მისსა.
- 10 შ სამგზის სანატრელისა მის აღსასრული, შ ყოვლად ქებუ-
 ლისა მის ღუაწლი, შ წყალობად აურაცხელისა მის მადლი და ნიჭნი.
 ვითარ საქმითაცა ამით და სახითა მობაძეად ვნებათა თესთა გამო-
 აჩინა ნეტარი იგი და ამითცა გვრგვნითა გვრგვნოსან ყო ყოვლად
 15 ქებული იგი, ვითარ-იგი მან ჩუენთუს ჯუარსა ზედა მიილო ლახუ-
 რისამიერი წყლულებად, ეგრეთვე ეს მისთუს ლახურისა მიერ
 განიგუშირა. დიდ არს დიდებად ესე, ძმანო, დიდ ნიჭნი და პატივნი
 ესე, რომლითაცა აღიდა და შეამკო მოწამე თესი.
- ესე რად იქმნა და თავილა დაშთომილ იყო ღმერთშემოსილისა
 მის, მერმე იგიცა წარკუეთეს და ესრეთ აღესრულა და ესრეთ
 20 შეიძკო და ესრეთ გვრგვნოსან იქმნა და სული იგი ყოვლად ბრწყინ-
 ვალე მრავალ ვნებულსა მას გუამსა მისსა შინა მკვდრი განვიდა
 რად, ყოველთა მათ ყოვლისა მპყრობელისათა შეიწყნარეს და დაემ-
 25 კვდრა ზეცისა იერუსალიმსა/უხილავთა მათ შინა კეთილთა, სადა-
 იგი არს განწყობილი უკორცოთა და იშუებენ გუნდნი მოციქულ-
 თანი და განსცხრებიან კრებულნი წინასწარმეტყუელთანი და სუ-
 ფევენ დასნი მდღელთა და მამათა და უფრომად განწყობილი მო-
 წამეთანი ბრწყინვენ და ყოველნი საუკუნითგანი წმიდათა შუე-
 ნიერებანი, რომელთა თანა შეერთო და რომელთა თანა დაემკვდრა
 და იშუებს და ბრწყინავს ნათლითა მით უსხეულოთა და განიც-
 30 დის თნიერ სარკისა და სახისა დიდებასა მას თუალშეუდგამსა
 ღმრთეებისასა და იშუებს ძელითა მით ცხორებისადათა და ჩუენთუს
 ჰყოფს მეოხებასა, რომელი-ესე ვაქებთ ვსენებასა მათსა და ვდღე-
 სასაწაულობთ სიმკნეთა და ღუაწთა მათთა.
- ხოლო წურილ-წურილად დაჭრილნი იგი ასონი მის სამგზის
 35 სანატრელისანი და ორთა მათ წმიდათანი განყარეს უპატიოდ ჰა-
 ერსა ქუეშე, რამეთუ ვერვინ იკადრებდა აღებად შიშისაგან მათ
 უღმრთოთადასა. ხოლო მას ღამესა პატივად მათ! მოწამეთა? მოე-

ფინა ნათელი ბრწყინვალე სამთავე. მათ გუამთა ზედა წმიდათასა სახილველად პირველად ყოველთა მიერ, ვიდრეღა საგონებელ იყო მხილველთაგან ლამპართა სიმრავლისა აღნთებად და, სადა-იგი მიცხებულ იყვნეს სისხლნი იგი ქრისტესთვის დათხეულნი, მუნ თითოეულსა ადგილსა კამკამებდა ნათელი იგი. და რომელთა იხილეს ესე, აღიდებდეს ღმერთსა და იტყოდეს: „დიდ არს ღმერთი ქრისტეანეთა და რომელთათვის ესენი მოიკლნეს“. ხოლო მიმყოვრებასა ღამისასა, ოდეს ყოველთა დაიძინეს, მოვიდეს მუნ მყოფნი ქრისტეანენი სომეხნი და აღილეს გუამნი იგი მოწამეთანი წარპარავით და წარიღეს და დაკრძალნეს იღუმალ ეკლესიასა¹ შინა მათსა. და მრავალსა კურნებასა ჰყოფენ და ეშმაკთა იოტებენ მვედრებელთა მათთაგან, რომელნი სარწმუნოებით შეუვრდებიან მათ.

ხოლო შემდგომად ამისა წარ-რა-გდეს რაჲ წელნი არა მცირედნი², ცოლმან წმიდისა შალვასმან ღმრთისმოყუარემან ქეთავან³ და ძემან მისმან/ერისთავმან დავით წარგზავნეს კაცნი სარწმუნონი მუნ, სადა-იგი დაკრძალულ იყვნეს გუამნი იგი წმიდათანი. აღმოიღეს იგინი და იხილნეს რაჲ, რამეთუ სამნივე იგი განუყოფელ იყვნეს და ურთიერთას შეერთებულ, ხოლო თავები იგი მათ წმიდათანი არცა ერთსა ზედა იყო მდებარე, რამეთუ სომეხთა და ფრანგთა განეყო, რომელთაცა დაეკრძალნა იგინი, მაშინ აღიხუნეს კაცთა მათ და მოიხუნეს იგინი ქართლად. ხოლო ცნეს რაჲ მოხუმა მათი სახლეულთა მათთა და სხუათა მრავალთა, მაშინ დიდითა სურვილითა და სარწმუნოებითა მიეგებნეს და შეიტკობოდეს და ამბორს-უყოფდეს. ხოლო სამნივე იგი წმიდანი არა განირჩეოდეს, არცა იცნობებოდეს სახელდებით, ვინაჲთგან უთავოდ იხილვებოდეს, ამისთვის სამნივე იგი ერთბამად განუყოფელად მიიხუნეს და დასხნეს ერთსა სამარხოსა შინა იკორთას, დიდებულსა მონასტერსა შინა მთავარანგელოზთასა, ჩრდილოჲთ კერძო, დამართებით წინაშე სუეტისაჲ, სადიდებელად მამისა და ძისა და სულისა წმიდისა ერთღმრთეებისა და განუყოფელისა, რომელსა შეუენის ყოველი დიდებდა, პატივი და თაყუანისცემად აწ და მარადის და უკუნიით უკუნიამდე, ამინ.

¹ ეკლესია A. ² მცირენი A. ³ ქეთავან B.

367 **წამება და ღუაწლი წმიდისა დიდისა მოწამისა რაშდენისი, რომელი იწამა ჰამთა დიდისა მეფისა ვახტანგისათა სპარსთა მიერ ქართლს შინა, სოფელსა შინა წრომს მამარ, გუაპურთხან*.**

5 მოწამეთა წსენებითა ვითარცა იქმნა განძლომა ღმრთისმოყუ-
 არეთაგან და მარტულმოყუარეთა, რამეთუ მოწამენიცა განუძლო-
 მელითა სიყვარულითა მყოფისა მათისათა მოტყინარე იყვნეს უმ-
 10 ძადრეს ცეცხლისა, ამისთვისცა ახოვნად შეჰკადრეს ფიცხელთა სა-
 ტანჯველთა და ძურ-ძურთა სიკუდილთა და ვერარამან განჰკუე-
 15 თა მათი იგი ღმრთისა მიმართ სურვილი, ვერცა ცეცხლმან და მახ-
 ვლმან, ვერცა განთსამან ასოთამან და ზუეტამან ჳორცთამან, ვერ-
 ცა ურმისთუალთა სიფიცხემან, ვერცა მვეცთა მძვნვარებამან, ვერ-
 ცა ნაკუერცხალთა მოტყინარებამან, ვერცა ლანძუთა და ტაფაკთა
 20 მჳურვალებამან და ვერცა მძლავრთა გულისწყრომამან და ვერცა
 15 სხუამან რაჲმანმე სიძნელემან და სიფიცხემან ჳირთა და სატანჯ-
 ველთამან შეუძლო განკუეთად და დაშრეტად მათ შორის დანერ-
 გულისა მის ცეცხლებრ მოტყინარისა სიყუარულისა ღმრთისა,
 არამედ ყოველსავე ერეოდეს და ზეშთა ექმნებოდეს და არა თუ
 ოდენ სიხარულით ისწრაფდეს, არამედ ფრიადითაცა სურვილითა
 20 და დიდითა წადიერებითა მოითმენდეს და მრავლითა გულისმოდგი-
 ნებითა მირბიოდეს წამებისა მიმართ და სატანჯველთა, ვითარცა
 საფასეთა**³, მოიტაცებდეს.

რამეთუ ცეცხლსა შინა შეთხევად და განჳურვებულთა რკინისა
 ცხედარსა ზედა განრთხმად, ვითარცა ლბილთა სარეცელთა ზედა
 25 განსუჭნებაჲ, ესრეთ მიითუალეს¹ და დაჳრა მახულთა მიერ და
 შანფურთა განჳურვებულთა განცუმაჲ***³, ვითარცა სურნელთა ყუ-
 ავილთა ზედა ფრწვი-მავალობაჲ და არათუ სხუთა, რამეთუ რომ-
 ლითამე ბუნებითა, არამედ ჩუენითა ამით უძლურიითა ჳორცთა ბუ-
 30 ნებითა და გუამითა ამ/ით კაცობრივითა მიითუალვიდეს ესეოდენტა
 v მოუთმენელთა სატანჯველთა და ახოვან იქმნებოდეს დათმენად სას-
 ტიკთა წყლულებათა, რამეთუ საცნაურიითა მით თუალითა მიხედ-
 ვიდეს აღთქმულთა მათ კეთილთა, რომელი-იგი აღუთქუა ტკბილ-
 მან მან მეუფემან და უმეტესად განიცდიდეს ცხოველს მყოფელთა

* ხელნაწერები: A: S—3269 (1720-იანი წლები), A:—170 (1730 წ.).

** მომღვენო „ესრეთ“ წაშლილია, A.

*** მომღვენო „ესრეთ შერაცხა“ წაშლილია A.

1 მიითუალეს B.

ვნებათა მაცხოვრისათა, რომელი-იგი დაითმინა ჩუენ ცოდვილ-
ათს უვნებელმან მან ღმრთეებითა ჭუარი და სიკუდილი და სხუ-
ანი იგი ვნებანი უკუდავყოფელნი ჩუენნი. ესე ყოველი მტკიცე
დაიდვეს გონებასა შინა და თვთ ნებსით თვისით მისცნიან თავნი
თვისნი ესევითართა ფიცხელთა სატანჯველთა და ძვრ-ძვრთა სიკუ- 5
დილთა, ხოლო იხილის რაა სახიერმან მან და ზეშთა სახიერებისა
უფსკრულმან მათი იგი მკურავალე სიყუარული და ცეცხლებრ'
მოტყენარებაჲ, ვითარ-იგი უშიშად შეჰკადრიან ცეცხლსა და მახ-
ვლსა, მყის მოვიდის უხილაჲდ შეწევნად მათდა, განაძლიერნის
იგინი და შემოსის ახოვნებაჲ უძლეველი და აღსკურის ბრძოლად 10
მტერათა მათ უხილაჲთა და მერმე ხილულნიცა იგი მტერნი
მოაუბლურნიან და დასცნიან მოთმინებითა საკრველითა, რამეთუ
მძლავრთა მათ უწყალოთა ნება თვისი ვერ აღასრულიან, რაჲამს ყო-
ველი ღონე დაელიის*, ხოლო მოწამენი სასურველსა თვისსა და სა-
წადელსა ადრე მიემთხუოდეს. იხილეთ სიბრძნე იგი ყოველად 15
ძლიერისა ღმრთისაჲ, ვითარ განაძლიერნა მიწისა ესე ბუნებაჲ
და მათ მიერ დასკა ზუაფი იგი და დიდად მოქადულობაჲ უჯორ-
ცოდასა მის მტერისა და ესენი შემძლებელ ყუნა საქმეთა უზეშ-
თაეს ბუნებათასა**, რამეთუ სადა დაემკვდროს უზეშთაესი იგი
ბუნებათა, მუნ უზეშთაესნიცა ბუნებათა საქმენი იქმნებიან. ნუ ვინ 20
ჰგონებნ, თუმცა წყრომამან მან სახიერებისაჲმან და უფსკრულმან
მოწყალებისაჲმან ზოგნიცა ესრეთ განაძლიერნის, ვითარ-ესე ხე-
დავთ და გეს/მისთ მოთმინებასა წმიდათაჲსა, და სხუანი იგი შე- 268
უწევნელადმცა დაუტევნა, ნუ იყოფინ ესე. რამეთუ მადლი მისი
და შეწევნანი და ზეგარდმო მოხედვანი ყოველთათს უშურველ 25
არს, რომელნი ხადიან მას ჰეშმარიტებით, ვითარცა წერილ არს,
არამედ მიზეზი იგი მათ შორის დამკვდრებისა ღმრთისანი წმიდანი
იგი იყვნეს. რაჲამს შეესაკუთრნეს სიყუარულსა ღმრთისასა და
სრულიად განუკუთნეს თავნი თვისნი და მცნებათა მისთა გულსმოდ-
გინე იქმნნეს დამარხვად. მაშინ მოვიდის, დაემკვდრის მათ შორის, 30
ვითარცა იტყვს წყაროჲ იგი ჰეშმარიტებისა, ვითარმედ: „უკუეთუ
ვისმე უყუარდე მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხნეს და მაჰმანცა ჩემ-
მან შეიყუაროს იგი და მოვიდეთ მისსა და მის თანა სავანე ყოთ“.
ესე იყო მიზეზი, ვითარცა კოქუ, ღმერთსა მათ შორის დამკვდრე-
ბისა.

1. ცეცხლებრ' E.

* მოძღვენო „და წმიდანი ესე უახლოენეს იქმნებოდეს“ წაშლილია A.

** მოძღვენო „რამეთუ სადა დაემკვდროს უზეშთაესი ბუნებითა“ წაშლი-

იხილეთ, რაჲსა ვიტყვ, მორწმუნენო, ანუ რაჲ არს ღღეს. მი-
ზეზი სიტყუსა ჩემისა და თქუენისა აქა შემოკრებისაჲ: არამედ
საჩინო იგი მნათობი, თუალი და დასაბამი მოწამეთა, წმიდაჲ იგ-
და სამგზის სანატრელი მოწამე რაჲდენ. დასაბამი მოწამეთა რაჲ
5 ვთქუ, არა თუ სახით ყოველთა მოწამეთა დასაბამად ვთქუ, არა-
მედ ჩუენთა ამათ და ქართველთა შორის გამობრწყინებულთა
მოწამეთა დასაბამ იქმნა სანატრელი ესე.

რამეთუ ვითარცა ახალსა ამას მადლსა შინა პირველმოწამო-
ბითა! ბრწყინავს და იწსენებისცა პირველმოწამედ სტეფანე და კუ-
10 ალად მის თანა დედათა შორის წმიდაჲ თეკლა, ეგრეთვე ქუეყანა-
სა ამას ჩუენსა პირველად ამან განულო კარი წამებისა შემდგომთა
მისთა მოწამეთა და პირველად ამან დასთხია სისხლი და ექმნა მი-
ზეზ სხუათაცა ახოვნებისა და სიქველისა, რამეთუ პირველ ამის
ნეტარისა არა ვისი სმენილ არს მარტულობაჲ ქუეყანასა ამას სა-
15 ქართველოსასა.

რამეთუ ვითარცა ღამესა შინა ბნელსა აღმობრწყინდეს რაჲ
მთიები და შემდგომად მისსა სხუანი ვარსკულავნი შუედგიან და მის
თანა გამობრწყინდიან, ეგრეთვე ესე ექმნა წინამძღუარ მოწამეთა,
რამეთუ ამან რაჲ ილუაწა ქრისტესთვის ღუაწლი იგი უკუდავებისა,
v 20 შემდგომად მისა უძლეველმან მან მეფე/მან ვახტანგ. რამეთუ მან-
ცა გვრგვნი მოწამობისა შეიმოსა ჳელითა უღმრთოთა სპარსთაჲთა
ქრისტესთვის და სკულისა მისისათვის. მერმე შემდგომად მცირე-
დისა მოსლვასა მას ყრუჲსასა ორთა ძმათა მთავართა მათ არგუ-
ეთისათა დავით და კოსტანტინე ახოვნებაჲ სრული აჩუენეს და
25 გვრგვნოსან იქმნნეს მოწამობითა. მერმე შემდგომად დიდმან მეფე-
მან არჩილ, და ესრეთ შემდგომითი შემდგომად მოწამენი მრავალნი
მეფენი და მთავარნი გამობრწყინდეს, არა ზოლო თუ ესევითარნი
მგნენი მამაკაცი, არამედ დედანიცა უძლურნი, მდედარნი ბუნები-
თა ახოვან იქმნნეს და ბუნებაჲ იგი უძლური დაივიწყეს და ფი-
30 ცხელთა და სასტიკთა სატანჯველთა უშიშად შეჰკადრეს და არა თუ
უნდოთა ვიეთმე და მდაბიურთა, არამედ დედოფალთა და პალატ-
სა შინა სამეუფოსა მყოფთა. დამაკლებს მე ჟამი ესე აღრიცხუად
სიმრავლესა მათსა, რომელნი გამობრწყინდეს შემდგომად წმიდი-
სა ამის მოწამისა, რომელნი აღწერილ არიან წიგნთა შინა უწყე-
35 ბისა მათისასა და ჩუენდა საცნაურ ქმნილ არიან. და რომელნი ჩუენ
არა უწყით, იგინი ზეცას აღწერილ არიან წიგნსა შინა ცხოველთა-
სა. და ნუუკუე საწყინოცა თქუენდა იქმნეს განვრცელებაჲ სიტყუ-
საჲ, ესოდენნი და ესევითარნი კეთილნი შეუდგეს ღუაწლსა წმი-

დისა რაედენისსა, რომელმან ესრეთ ილუაწა და ესრეთ ახოვან იქმნა, ვიდრელა ყოველნი ქართველნი მეფენი და მთავარნი, მღდელნი და მოწესენი და ყოველი ჰასაკი თანამდებ ყო შესხმად ბრწყინვალეთა ლუაწლთა მისთა და ქებად ახოვნებისა მისისა და უფროსად დიდებისმეტყუელებად¹ განმძლიერებელსა და გვრგვინოსან მყოფელსა მისსა ქრისტესსა. 5

გნებავსთ თუ, რაათა ვიტყოდი კულად კერძოებითსა ცხორებასა მისსა, და უწყი მეცა, ვითარმედ სურვიელ ხართ სმენად ზედა-მიწვენილობასა¹ მოქალაქობისა მისისასა, ლუაწლთა და სიმკნეთთა მისთა, და მე ვიტყოდი ძალისაებრ ჩემისა და წარმოვთქუა ვითარ და ვინაობად მისი², მამული და ნათესაობად, უამი და ადგილი და მერმე ლუაწლთა მიმართ სიმკნით განწყობად, არამედ მეშინის უღირსებისაგან ჩემისა და ნუუკუეცა დაკნინებად რამე ეცეს უნდოებითა სიტყვსა ჩემისაითა დიდთა მათ და ბრწყინვალეთა ლუაწლთა მისთა, რომელი-იგი თანა-წარჰკდა ყოველსა სჯულსა მაქებელთასა და ანგელოზნი განაკვრნა და ეშმაკნი სირცხველულ ყო, გარნა ვესავ ლუაწლთშემოსილსა მას და გვრგვინშემოსილსა, რაათა ძალისაებრნი ესე სიტყუანი არა უღირს იჩინოს. 10
205
15

✓ იყო ესე სამგზის სანატრელი, ვითარცა ძუელნი მატიანენი გუაუწყებენ და მიმოგანთესილობანი ესევითართა უწყებათანი, ვითარმედ იყო ნათესავით სპარსი, დიდთა და დიდებულთა მთავართაგანი და საკუთართა შორის სპარსთა² მეფისათა წარჩინებულ და შჯულითა იყო იგი ცეცხლის მოსავ და მსახურ შვისა და მთოვარისა³, რომელსაცა არწმუნეს ასული მეფისა აღსაზრდელად, რამეთუ წესი იყო მაშინ სპარსთა შორის, ვითარცა ჩუენ ქართველთაცა შორის, რომელსა მამამძუძედ უკმობდეს და დიდად რადმე პატივად ანიკებდეს ესევითართა საქმეთა მთავართა და დიდებულთა თვსთა. 20
25

მას უამსა დიდმან მეფემან ვახტანგ ინება მზაობად სპარსთა მეფისა და მოსთხოვა ცოლად ასული იგი, რომლისადა მამამძუძე ქმნილ იყო სანატრელი იგი. და ოდეს ქმნეს ქორწილი და მოიწივნეს ქართლად, თანა-ყვა ნეტარიცა ესე. და მეფემან ვახტანგ დიდითა პატივითა და შემსგავსებულითა არზანიგთა⁴, ვითარ მშუენოდა მთავრობასა მისსა, ეგრეთ პატივ-სცა ნეტარსა მას და დიდნი სოფელნი და აგარაკნი მიანიჭნა და საკუთარ და თანამზრახველ თვსსა ყო იგა. და არა მხოლოდ ოდენ მთავრებრივისა და დიდებულუბისა მისისა შესატყუესობისათვს, არამედ სიკეთისა და სათნოებათა მისთა ღირსებისათვს, რამეთუ ჯერეთ მამულითა შჯულითა 30
35

1 მიწვენილობასა. A. 2 სპართა A. 3 მთვრისა AB. 4 არზანიგთა A.

მყოფი არა უდარეს ნათელღებულთასა იქცეოდა, რამეთუ ყოვლი-
 5 თა სათნოებითა შემკულ იყო, რომელსა გუჟაწავებს სახარებისა
 10 შჯული: სიმართლითა და ჭეშმარიტებითა, მოწყალებითა და სიმდაბ-
 15 ლითა და სიმშვიდითა და სხუთა ყოვლითა სათნოებითა, რომელ
 20 საყუარელ და სათნო არს ღმრთისა. ამისთვის საყუარელ იყო ყო-
 25 ველთა მიერ და უფროას/ად მეფისა მიმართ აქუნდა საკუთრებაჲ
 30 ესეოდენთა კეთილთა მისთათვს, არამედ ფრთხილ იყო და მახვლცა
 35 გონებითა ნეტარი რაედენ. იხილა რამ წესი ქრისტეანობისა და
 40 სარწმუნოებაჲ მტკიცე და შჯული ქართველთა, იწყლა გული მისი
 45 სიყუარულითა ქრისტესითა და ცეცხლებრ მოტყინარე იყო სარ-
 50 წმუნოებისათვს და სუროდა ნათლისღებისათვს, რომელი-იგი პირ-
 55 ველივე განათლებულ იყო საქმეთა მიერ კეთილთა და აღბეჭდულ
 60 ღმრთისმსახურებითა. ზედაას-ზედა მივალნ იგი ეკლესიად და ის-
 65 მენნ სიტყუათა საღმრთოთა და ჭადაგებათა შჯულისათა. და პირ-
 70 ველ ნათლისღებისა, ვითარცა ვთქუ, არა უდარეს გამოჩნდა იგი
 75 ადრიდგან ნათელღებულთასა, ხოლო ნათელს-ილო რამ, უმეტესად
 80 წარებატა სათნოებითა და მ.ს ზედა მოფენილი იგი მადლი სულისა
 85 უმჯურვალესად აღატყინა მის შორის, რამეთუ მარადის გამოიკუ-
 90 ლევდა ცხობებასა წმიდათასა და უფროასად მოწამეთათვს სურ-
 95 ვიელ იყო და ნატრიდა ცხობებასა მათსა და აღსასრულსა, ვითარ-
 100 ცა იტყვს ბრძენი სოლომონ, და კლოციდა, რამათა იგიცა ღირს
 105 იქმნეს, ინებოს თუ ღმერთმან, ღუაწლსა მას წამებისასა და შესუ-
 110 მად სასუმელსა უკუდავებისასა. და ესრეთ განშუენებულ იყო და
 115 შემკულ ღმრთისმსახურებითა, ვიდრედა თანა-წარჭდა სიყრბითგან
 120 ღმრთისმსახურებასა შინა აღზრდილთა და ამისთვის საყუარელ იყო
 125 ყოველთა მიერ და საკუთარ მეფეთა და მთავართა.

ხოლო ოდეს მიშუებითა ღმრთისაათა აღდგეს სპარსნი ქრის-
 130 ტეანეთა ზედა და აღიძრნეს ურიცხვთა მწვედრებითა, რამეთუ დი-
 135 დი იყო მაშინ ბრძოლაჲ და დაუცხრომელი მტერობაჲ ქრისტეანე-
 140 თა ზედა და უფროასად ბერძენთა მიმართ*, ხოლო ჩუენს ქართ-
 145 ველთა მომართ ამისთვის, რამეთუ ეძნებოდა ჩუენი ბერძენთა მი-
 150 მართ სიყუარული და ერთობაჲ, და ესე იყო ნება მათი, რამათა ჩუ-
 155 ენცა მათ თანა მტერ ვექმნნეთ ბერძენთა.

მაშინ აღილაშქრეს, ვითარცა ვთქუ, მეფემან სპარსთამან
 160 ურიცხვთა მწვედრობითა და დიდითა ძალითა თვისითა. პირველ მო-
 165 იწიენეს საზღუართა ქართლისათა და ენება/დამორჩილება მათი,
 170 რამათა ესენიცა თანა წარიტანოს, ხოლო ქართველთა ესე არა ენება

* მომდევნო „იყო მტერობაჲ მათი“ გადახზულია A.

და არცა მიერთნენ, არამედ შეივლტოდეს ციხეთა და ქალაქთა შინა, რამეთუ მაშინ ბერძენნი უცალო იყვნეს და ვერ ეძლო შეწევნაჲ ქართველთა. მაშინ მეფემან ვახტანგ განაშაგრა ციხენი და ქალაქნი და თვთ დადგა მცხეთას, სამეუფოსა მას ქალაქსა შინა. შოვიდეს სპარსნი და ადაგეს ქართლი სპათა სიმრავლითა და გარემოიციეს მცხეთა. მაშინ განიყვნეს იგინი, რამეთუ ზოგნი დადგეს ავქალას, ზოგნი ნაქულბაქვეს, დილუამით კერძოჲ, და უმრავლესი მვედრობაჲ მუხრანით კერძოჲ და შიდა ქართლს, იმიერ და ამიერ მტკურისა. და იყო მიმდემი ბრძოლაჲ და ურთიერთას კუთეებაჲ, რამეთუ გამოვიდიან მცხეთით რჩეული მვედრები და დაუცხრომელად ებრძოდნან და ზოგჯერ სძლევედნ სპარსთა და მშუდობით შემოიქციან ქალაქად და ზოგჯერ იძლინიან ქართველნი და მოისრვოდეს მათ მიერ. და განგრძელდა ბრძოლა იგი ვიდრე ოთხ თუემდე.

დღესა ერთსა ჩუეულეებისაებრ განვიდა წმიდაჲ რაქდენ ბრძოლად, რამეთუ იგი უმეტეს¹ სხუათა ქართველთასა უმჭურვალეს იბრძოდის სიყუარულისათჳს ქრისტესა, რამეთუ იყოცა წმიდაჲ ესე ახოვან წყობათა შინა და გამოცდილი და რჩეული მებრძოლი, რამეთუ მრავალგზის განსრული და მძლე ქმნილი ძალითა ქრისტესითა, ძლევამემოსილი უვნებელად შემოიქცის. კჳალად განვიდა არმაზით კერძო და ბრძოლა ყო მათდა მიმართ. ხოლო იგინი მარადის უმზირდეს და ენება ცოცხლივ შეპყრობაჲ მისი, რამეთუ დიდად ქლევად შეერაცხა შეპყრობაჲ მისი ცოცხლივ, რამეთუ ექუნებოდა მათ ქრისტეანობაჲ მისი და მამულისა სჯულისა დატევნებაჲ და ახოვნებისათჳსცა მისისა ენება ველთგდებაჲ მისი. ცნეს რაჲ სპარსთა მუნ დაბანაკებულთა, მზირ უყვეს იმიერ და ამიერ და გზისა სივიწრითა ვერღარა ეძლო პირის-პირ შეტევებაჲ და შეიპყრეს სანატრელი იგი მვედარი ქრისტესი და შეკრული წარიყვანეს წინაშე სპარსთა მეფისა. ხოლო ცნა რაჲ მე/ფემან შეპყრობაჲ წმიდისა რაქდენისი, განიხარა ფრიად, ვითარმცა სრულიად მძლე ქმნილ იყო ყოველთა წინააღმდეგობთა თჳსთა და ვითარცა წარადგინეს წინაშე მისსა, იხილა იგი მეფემან და ეტყოდა მხიარულითა პირითა: „გიხაროდენ, მვნეო რაქდენ, მშუდობაჲ შენდა! სადა უქუე იყავ ესოდენთა ამათ ეამთა, რაჲსათჳს უარ გიქმნიეს მამული შჯული და შედგომილ ხარ შჯულსა უცხოსა, რომელი არა გასწავეს მამათა შენთა, და ბრწყინვალისა მზისა წილ და ცეცხლისა და სხუათა მათ მნათობთა მსახურებ ჭუარცმულს: კაცსა, რო-

¹ უმეტეს ა.

მელი ჰურიათა მოაკუდინეს და შენ იგი ღმრთად შეგირაცხიეს, ანუ არა ესე ყოველი ესრეთ არსა?⁴*

- ბოლო წმიდამან მიუგო⁵: „ჰე, ჰეშმარიტად ეგრე არს, ვითარცა სთქუ, მეფეო, რამეთუ მე ქრისტეანე ქმნილ ვარ და დამიტევებიეს მამული უღმრთოებამ¹ და არღარა თაყუანის-ვეცმ ცეცხლსა შემწუველსა², არცა მზესა კაცთათჳს სამსახურად დიდებულსა, არამედ ღმერთსა ცხოველსა, რომელმან ქმნა ცანი და ქუეყანაჲ და ყოველნი, რაჲ არს მათ შინა ხილულნი ანუ უხილავნი, რომელსა აქუს უკუდავებამ და მკედრ არს³ იგი ნათელსა შინა თუალშეუღდამსა, რომელი-იგი არაჲინ იხილა, ვერცა ხილვად შემძლებელ არს³“. ესე არს ღმერთი ჩუენი, რომელსა მე შევემეცნე სამეუამოვნებით დიდებულა და ერთღმრთეებით აღსარებულა, რომელი უკანაჲსკნელთა ამათ უამთა მოვიდა წსნისათჳს კაცთა ნათესავისა, ერთი წმიდისა სამებისაგანი კორციელ იქმნა და დაემკვდრა ჩუენ შორის და იქმნა მსგავს კაცთა თჳნიერ ცოდვისა და ყოველივე განგებულებამ ცხორებისა ჩუენისა აღასრულა და უკანაჲსკნელ ჭუარს ეცვა და მოკულა ბუნებითა ჩუენითა და ჩუენ უკუდავებამ მოგუანიჲა და დაეფლა და აღდგა მესამესა დღესა და ამაღლდა ზეცად მუნვე წიალთჲ, ვინა-იგი გარდამოჳდა და მჯდომარე არს მამისა თანა, და კუალად მოველით დიდებითა ღმრთიე-შუენიეროთა მაცხოვრად მორწმუნეთა მისთა დასჯად მათდა, რომელთა არა ჰრწამს⁴ ღმრთეებამ მისი“.

- ესე რაჲ წარმოთქუა ქრისტეს მოწამემან ბრწყინვალითა ჳმითა დიდთა მათთჳს საიდუმლოთა მოკლითა სიტყუთა, აღივსო გუ-
 271 25 ლისწყრომითა დაუპყრობელითა მძლავრი/იგი. არამედ ჳერეთ ჰგებდავე და სიმშუდესა იჩემებდა, ჰგონებდა, ნუუკუე ნიჳთა და პატივთა მიერ შეუძლოს მოქცევაჲ მისი ჰირველისავე უსახურებისა მიმართ და მორჩილებამ ბრძანებისა მისისა და ეტყოდა კუალად: „ისმინე, რაჲდენ, და დაუტევენ უჳმარნი ეგე სიტყუანი და ერჩდი
 30 ბრძანებთა ჩუენთა და მიგანიჳნეთ პატივნი და დიდებანი უფროჲს პირველისა და გყოთ თანა-ზიარ დიდებისა ჩუენისა და იყო სჯუთარ, მეგობარ და საყუარელ ჩუენდა. და უკუეთუ ესე არა ყო, სიკუდილითა მწართა და სატანჯველითა მრავალფერითა მოგაკუდინოთ შენ.

- 35 მაშინ მოწამემან მცირედ განიღიმა, ესმნეს რაჲ სიტყუანი ესე მეფისანი, მიუგო და ჰრქუა: „რაჲ არიან ნიჳნი და პატივნი შენნი,

¹ უღთოებამ B. ² შემწუველსა B. ³ არს A. ⁴ რწამს AB.

* მომდევნო „ანუ თუ არა“ გადახაზულია A. ** მომდევნო „მხიარულითა პირითა“ გადახაზულია A. *** მომდევნო „სამებით“ გადახაზულია A.

მეფეო, არა საწუთრონი¹ არიანა და მსგავსად სიზმრისა განქარვე-
 ბადნი და აჩრდილებრ წარმავალნი? რამეთუ ვითარცა კუამლი
 განქარდების² და ვითარცა მტუერი განიბნევის, რამეთუ მიწანი ვართ
 და მიწადცა მივიქცევით, ხოლო სული უკუდავ არს, უკუდავადცა
 ჰკიეს. და უკუეთუ ვისმინო ბრძანებისა შენისა და ვერჩდე თქმულ-
 თა შენთა, არა მოვკუდეა მეცა ვითარცა ზოგად ყოველნი კაცნი?
 და მერმე საუკუნოდ ვიტანჯებოდი ცეცხლსა შინა უშრეტსა და
 სიმდიდრე შენი აქავე დაუტეო. ხოლო უკუეთუ³ მოვკუდე ქრის-
 ტესთჳს, უკუდავ ვიქმნე საუკუნოდ და მის თანა ვსუფევდე და
 მის თანაცა ვიდიდო დიდებითა დაუსრულებელითა. ესე არს განზ-
 რახება ჩემი უცალეებელი და თქუენ, რომელიცა სათნოა არს, თქუენ
 იგი ყავთ, არა რომლითა სახითა ვერჩდე ბრძანებასა შენსა⁴.

მაშინ უმეტესითა გულისწყრომითა აღიესო მეფე იგი უსჯუ-
 ლოა და უბრძანა წინაშე მდგომელთა, რამთა სცენ პირსა მისსა
 ძლიერად. და სცემდეს უწყალოდ ესეოდენ, ვიდრე კბილთა სრული-
 ად შემუსრვადმდე. რამეთუ განირყვნა და შეიბუსრა პირი მისი და
 აღმოიფხურნეს კბილნი მისნი და აღიესო ადგილი იგი მძაფრ მომ-
 დინართა მით სისხლითა. ხოლო იგი მადლობასა აღუარებდა
 ღმერთსა, რომელ სახელისათჳს მისისა ღირს იქმნა ესოდენსა და
 ესევეითარსა გუემასა. კუალად განსძარცვეს იგი/და შიშუელსა ით-
 რევდეს ქებათა მახვლთა ზედა და სცემდეს უწყალოდ არგნებითა.
 და მყოვარ ეამ რაა ითრის⁴, მერმე შეკრეს ჳელით და ფერჯით
 და რკინითა მაგრად შეჭედილი საპყრობილესა ბნელსა შეაყენეს,
 თჳნიერ ყოელისა ნუგეშინისცემისა.

ხოლო შე-რა-ვიდა საპყრობილესა მას შინა, უმეტესითა და
 გულსმოდგინებითა და უმხურვალესითა სურვილითა მადლობდა
 ღმერთსა, რომელ ესევეითარსა ღირს იქმნა გუემასა ქრისტეს სა-
 ხელისათჳს, რამეთუ დადაცათუ ჳორცითა შეკრულ იყო ნეტარი
 იგი, არამედ სულითა ჳსნილი და თავისუფალი. ილოცვიდა და
 ვევედრებოდა უფალსა, რამთა განაძლიეროს და არა დაუტეოს შე-
 წევნისაგან მისისა წინამდებარეთა მიმართ ლუაწლთა, რომელი
 ეგულებოდა დათმენად, და ღირს-ყოსცა მათ მიერ გვრგვნსა წმი-
 დათა თანა ჳეცის ჩინებისასა, რომელთა-იგი მისთჳს ივნეს და ვიდ-
 რე აღსასრულამდე სრულ ყვეს სრბაა წამებისა მათისა. მყოვარ
 ეამ რაა იცეებოდა საპყრობილესა მას შინა, ვერ მიდრეკეს გონე-
 ბად მისი სიყუარულისაგან ღმრთისაჲ. მაშინ მოვიდეს მთავარნი
 ქართველთანი, რომელნიცა მაშინ სპარსთა თანა მისრულ იყვნეს,

¹ სწურონი A. ² გწქნდება AB. ³ უკუეთუ A უკუეთუ B. ⁴ ითრე-
 დეს B.

ვეედრნეს მეფესა მას უღმრთოსა გამოყვანებად წმიდისა მის საპრობილით და ეტყოდეს: „ჩუენ თავსმდებ ვექმნეთ რაჟედნს ახოვანსა“ და მოახსენებდეს სიკეთესა მისსა და სიბრძნესა და სიქველესა მისსა, რამეთუ მრავლისა პატივისა ღირს არსო კაცი იგი და არა ჯერ-არს ესრეთ უპატიოდ და უწყალოდ სიკუდილი მაგისი. „განუტევე ეგე მცირედ ჟამ, რაჟთა წარვიდეს მამულსა თვისსა და იხილნეს ცოლი და შვილნი თვისნი, მეგობარნი და მოძმენი, ნუჟუკუე სიწყალულობითა მათითა და მათმიერთა განზრახვითა¹ ერჩდეს ბრძანებასა თქუენსა და არა მიეცეს ესრეთ უწყალოსა სიკუდილსა, რამეთუ დიდად გუელმისო მაგისტუს, და, ოდესცა ბრძანოთ, მსწრფალ წარმოვიდგინოთ წინაშე თქუენსა“.

შემდგომად მრავლისა ვედრებისა ისმინა მათი მძლავრმან მან და ბრძანა/გამოყვანებაჲ წმიდისა მის საპრობილით და მიჰმადლა იგი მათ და განუტევე იგი სახიდ თვსად და ამცნო მათ, რაჟთა ადრე წარმოადგინონ წინაშე მისსა. ხოლო წმიდასა მას უძნდა ესე და არა ენება განტევებაჲ, რომელ არა ადრე მიემთხვა სასურველსა თვისსა და ეტყოდა, ვითარმედ: „ესე ყოველი ღონე არს ჩემ ზედა ეშჰაკისა, რაჟთა ღონისძიებით დამიხრწიოს წინამდებარე ესე ღუაწლი და დამაჰირვოს აღთქმულნი იგი კეთილნი წმიდათათვს განმზადებულნი“.

მაშინ წარვიდა წმიდაჲ იგი სახიდ თვსა და პირველად მივიდა ხილვად მეფისა ვახტანგისა და იხილნა და მოიკითხნა მეფე და დედოფალი. ცნა რაჲ ესე მეფემან ღმრთისმოყუარემან, განიხარა ფრიად და მიეგებნეს წინა სიხარულით და მოწლედ ამბორს-უყოფდეს და სიყუარულით მოიკითხვიდეს ამბორისმოყოფელნი თუალთა და პირთა მისთანი; ქრისტესთვს შემუსრვილთა, და ყოველთა ასოთა მისთა მოწყლულთა ნატრიდა და ეტყოდა: „ნეტარ ხარ შენ, მვნეო რაჟედნ, და სამგზის სანატრელ არს ღუაწლი შენი, რომელ სახელისათვს ღმრთისაჲ თავს-ისხენ ესევითარნი ვნიებანი. რამეთუ საწერტელნი ქრისტესნი ჳორკთა შინა შენთა გიტკრთავს“. და ესრეთ განაძლიერებდა და ახოვან ყოფდა უმეტესთა² ღუაწლთა მიმართ და ითხოვდა მისგან, რაჟთა მეოხ ექმნას წინაშე ღმრთისაჲ.

შემდგომად ამისა წარვიდა სახლეულითა მიმართ თვსთა³ და მოიკითხნა, ხოლო მათ მზილველთა მისთა და სიხარულითა უზომოთა⁴ აღვსებულთა მადლობა შეწირეს ღმერთსა, რამეთუ არღარა ელოდეს ხილვასა მისსა. შეიტკობობდეს: და ამბორს-უყოფდეს

¹ განძრახვითა B. ² უბტესთა A. ³ უზომთა A.

⁴ მომღვენო „იხილნა იგინი“ გადახაზულია A.

ველთა და ფერჯთა მისთა და ეტყოდეს „მ სანატრელო რაედეს, ოდეს-ღა ვესვიდით ცოცხლებით ხილვასა შენსა, რამეთუ განეწირე ყოველთა და ყოველნი სიკუდილსა შენსა ვკპონებდით. აწ ვინაჲ განცოცხლებით გიხილეთ, ნურღარა დაგვტევებ“. ხოლო მას არაჲდ შეერაცხა, არცა სუროდა ხილვად მათი და ზრახვად, არა- 5
 მედ იგი სასურველსა თვს; იგონებდა, მას განიციდიდა გონებითა /
 და იგი ეოცნებოდა. მერმე შემდგომად მცირედისა ბირებითა ეშ-
 მაკისათა აღიძრა მეუღლე მისი მსგავსად პირველისა მის დედისა,
 განაზრახებდა! წმიდასა მას და ეტყოდა: „რად ესრეთ განვიწირავს
 ცხორებაჲ თვისი და მივიციემიეს თავი შენი სიკუდილად და ჩუენცა 10
 სრულიად ოწერ და ობოლ გუყოფ?/ერჩიდი ბრძანებასა მათსა და
 იწსენ თავი შენი და ჩუენცა, რადთა არა ბოროტად მოკუდე შენ
 და ჩუენ სიკუდილითა შენითა მივეცნეთ განსაცდელსა მწარესა და
 მწუხარებასა ძნელსა“. და სხუასაცა მრავალსა ეტყოდეს და აწუ-
 ევდეს შეტკობად წუთ-ჟამისა ამის ცხორებისა და დიდებისა 15
 მისთვის წარუალისა არა სუროდა მათ, არცა ცხორებისა მისთვის
 დაუსრულებელისა გონებდეს, რამეთუ არა ემსგავსებოდა? მაკა-
 ბელთა დედასა, არცა წმიდა ნატალიას, მეუღლესა წმიდისა ანდრი-
 ანესა, არცა დედაკაცსა მას ღმრთისმოყუარესა ერთისა მის ორმე-
 ოცთაგანისსა, არამედ სხუათა უმცნოთა და დაცსნილთა დედათა 20
 მსგავს იყო. ხოლო ესჲა რად ზრახვა ესე წმიდასა მას მეუღლისა-
 გან თვისისა, მიხედა მას მკსინვარედ გულისწყრომით და ეტყოდა:
 „რად ესრეთ ბოროტისა განმზრახ³ მექმნები, მ დედაკაცო, ვ-
 თარცა ევ⁴, ანუ ვითარცა ცოლი იგი ობისი, რადთამცა ვინმინე
 შენი და ვიქმნმცა, ვითარცა ადამ, უკუდავებისა წილ მოკუდავ და 25
 უხრწნელებისა წილ განხრწნილ და მიწად მიქცეულ. ნუ იყოფინ
 ესე ჩემდა სმენადმცა სიტყუათა შენთა, რადთა მივეცე წარსაწყმედ-
 ლად და გამოვეწუა ცხორებისა მისგან საუკუნოჲსა. რად არს უტკ-
 ბილეს ქრისტესთვის სიკუდილსა, ვინაჲთგან მანცა ჩუენთვის სი-
 კუდილისა გემო იხილა და ჩუენ უკუდავებაჲ მოგუანიჭა. რად- 30
 დიდ არს, უკუეთუ ჩუენცა მოგკუდეთ მისთვის, მიწანი ესე და
 მტუერნი, და რადთა მის თანაცა ვსუფევდეთ“. და მყის აღდგა და
 განეშორა მათგან, ხოლო იგინი აღივსნეს მწუხარებითა და მოიცი-
 ნა ტირილმან და გოდებამან მწარემან. და ესრეთ გამოვიდა ნეტა-
 რი იგი მათგან და წარვიდა თვთ უწოდებელად მუნვე, სადა-იგი 35
 პირველ ელუაწა ლუაწლი¹ იგი უკუდავებისა, მძლავრთა მათ მი-

¹ განაძრახებდა B. ² ემსგავსებოდა B. ³ განმზრახ B. ⁴ ევად AB.

მართ უღმრთოთა, რომელთა მიმართ აღეთქუა მუნვე მიქცევაჲ.

- ხოლო იგინი, ვინაჲთგან მცირედ და-რამ-ეყოვნა წმიდასა მას, ჰგონებდეს არღარა მიქცევასა მისსა მუნვე. უბრძანეს გუნდსა მკედრობათასა მყის წარსლვად და რაჲთა იძულებით და ჰირით მოიყვანონ. ხოლო ნეტარი იგი თუ უწოდებულად მივიდოდა ნებ-
 5 278 სით თვისით დაკლვად, ვითარცა კრავი. ხოლო იგინი შეემთხვნ/ეს წმიდასა მას და ვერ იცნეს იგი ფრიადისა მის შეურაცხებისაგან და მის ზედა შემთხუელთა მათ სატანჯველთაგან და ჰკითხვიდეს მას, თუ სადა არს რაჲდენ მათ მიერ საძიებელი. ხოლო იგი მიუ-
 10 გებდა, ვითარმედ: „მე ვარ, რომელსა თქუნენ მეძებთ“. მყის შეიპყრეს უღმრთოთა მათ, სცემდეს თავსა მისსა უწყალოდ არგნებითა, შეკრეს და ესრეთ წარიქციეს წინა და მიჰგუარეს იგი მეფესა მას. იხილა რაჲ მძლავრმან მან, კულად ეტყოდა და აიძულებდა უარისყოფად ქრისტესა და ჰკითხვიდა: „ვითარ ხარ, მვნეო რაჲ-
 15 დენ, და რაჲ განიზრახე ესეოდენტა ამათ დღეთა, ნუჟუჟე აწცა არა გულისკმა-გიყოფიესა უმჯობესი თავისა შენისა? და რამეთუ ესოდენტა ამათ ეამთა სულგრძელ გექმნენით, რამეთუ გუეწყალის სიკეთე შენი და არა გუნებაეს უჟამოდ სიკუდილი შენი“. ხოლო წმიდაჲ იგი მოუგებდა: „მე მეფეო, განზრახეა¹ ჩემი უცვალებელ
 20 არს და უქცეველ, რამეთუ ვინაჲთგან ერთგვის დაუტევე მამული უღმრთოებჲა და ვიცან კეშმარტებჲაჲ. არღარა ჯერ არს მუნვე მიქცევაჲ ჩემი უღმრთოებად და დატევებად ცხოველი ღმერთი და არცა ესოდენტა ამათ ღუაწლთა, რომელ თავს ვისხენ ქრისტესთჳს, მისი უქმად წარწდომად“. ხოლო მეფე იგი
 25 აღუთქმიდი კულად ნიკთა და პატივთა უდიდესთა უფროჲს პირველისა და იგიცა უმტკიცეს იყო უფროჲს პირველისა მის ღუაწლისა და უმეტესითა კადნიერებითა მიუგებდა და ეტყოდა: „ვერარამან განმაშოროს სიყუარულსა ქრისტესსა, ჰირმან ანუ იწროებამან, დევნამან ანუ პყრობილებამან, სიკუდილმან ანუ ცხო-
 30 როებამან, სიმდიდრეთა ანუ სიგლახაკეთა, ვერარამან შეუძლოს განყენებაჲ ჩემი სიყუარულსა ღმრთისასა, რამეთუ მზა ვარ ყოვლისავე დათმენად“.

კულად შეიპყრეს წმიდაჲ იგი, პირველისაებრ სცემდეს უწყალოდ და ითრევდეს და აიძულებდეს, რაჲთა დაემორჩილოს ბრძანებასა-მეფისასა. ხოლო იგი დუმნა და არარას მიუგებდა. და იხილეს რაჲ უქცევლობაჲ მისი, შეკრეს იგი და წარგზავნეს სხჳსა მთავრისა-მიმართ, რომელი დაბანაკებულ იყო ზემოსა სოფელსა

1. მიგუარეს. AB. 2. განზრახე. B.

წრომს, და მიუძეცნო ესრეთ, რადთა აძულლო/ს რომლითაცა ღონითა და შეუძლოს განშორებამ მისი ქრისტესგან და მორჩილებამ მეფეთა და, უკუეთუ ისმინოს მისი, დიდითა პატივითა მისდავე მოაქციოს. ხოლო უკუეთუ ეგოს პირველსავე მას ურჩებასა ზედა, თვნიერ ყოვლისა წყალობისა მწართა სატანჯველითა განიყვნოს ამის ცხოვრებისაგან, ესრეთ უწყალოდ, ვიდრე—ლა არცა თუ გორცთა მისთა შემდგომად სიკუდილისა ექმნას მიწასა შინა დაფლვად. წარიყვანეს კუალად შეკრული და წარუდგინეს წინაშე მთავრისა მის ზემოკსენებულისა.

იხილა რამ წმიდა იგი მთავარმან, განიხარა ფრიად, რამეთუ სუროდა ხილვად მისი, რამეთუ ასმიოდა პირველივე სიკეთე და ახოვანება მისი. მოწლედ მოიკითხა იგი და ეტყოდა: „გიხაროდენ, მწნეო რაუდენ, შენ ხარ, რომელმან აჩუენე სიმწნე უძლეველი და წინა-აღუდეგ ბრძანებასა თეთმპყრობელთასა და აგინებ შჯულსა მამულსა და შედგომილ ხარ შჯულსა ჰურიათაგან მოკლულისა კაცისასა? აწ მოვედ და ისმინე ჩემი: უარ-ყავ საცთური ეგვ, რომლითა შეცთომილ ხარ, და მსახურე მზესა და მთოვარესა და ცეცხლსა ამას ბრწყინვალესა, რომელ შჯულ გიდევს მამათა შენთა, და მიიხუენ პატივნი და დიდებანი უმეტესნი პირველთასა და იყავ ცოცხლებით და ნუ აღირჩევე სიკუდილსა ტკბილისა ამის საწუთრომასა წილ“.

ხოლო წმიდა იგი მიუჯებდა: „რასა მაიძულებთ, უსჯულონო, ცხოველისა ღმრთისა დატევებად, რომელმან დაბადა ცა და ქუეყანა და ყოველი, რამ, არს მათ შინა, და მსახურებად ცეცხლსა შემწუელსა და სხუათა მათ უნდოთა ნივითა აღრევე უარქმნილთა ჩემ მიერ? მე პატივნი თქუენნი და ნიჭნი გინებად შემი-რაცხიან, რომელი დღეს არს და ხვალე—არღარა. ხოლო თქუენ და ყოველთა მორჩილთა თქუენთადა, რომელნი სჯულსა თქუენსა აღიარებენ, მიელის ცეცხლი დაუშრეტელი და სხუანი იგი სატანჯველნი საჯუნოდ მტანჯველნი. არა უწყით, რამეთუ, რომელი მოკუედეს ქრისტესთვის, უკუდავებამ და უხრწნელებამ და დაუსრულებელი ცხოვრებამ მიელის ზეცათა შინა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თვსთა? აწ რომელიცა გენებოსთ, ყავთ იგი, რამეთუ მე მზა ვარ დათმენად ყოველთა ძურთა ქრისტესთვის“. ესმა რამ მსაჯულსა მას სიტყუანი წმიდისანი, აღივსო გულის/წყრომითა, უბრძანა ცემად თავსა და პირსა მისსა უწყალოდ და კუალად შემუსრნეს ვბილნი და ლაწუნი მისნი და ესეოდენნი ტკივილნი მოიწია წმიდისა მის ზედა, ვიდრელა არცაღა შემძლებელ არს ენამ გამოთქუემად, ხოლო იგი მადლობასა აღუარებდა

v
5
10
15
20
25
30
35
274

ღმერთსა და იხარებდა სულითა მსგავსებისათჳს ქრისტეს ვნება-
თასა.

5 კჳალად წარიყვანეს შეკრული ჳელით და ფერტით და შეაყე-
ნეს საპყრობილესა მწართა ტკივილითა მოცული და იგი ყოველ-
სავე მადლობით მოითმენდა. ხოლო მეუფე ქრისტე არაოდეს და-
უტეობდა შეუწევნელად მონასა თჳსსა, არცა განეშორებოდა,
არამედ საპყრობილესა შინა გამოუჩნდებოდა, ნუგეშინის-ცემდა და
განაძლიერებდა და წმიდაჲ იგი უახოვნეს იქმნებოდა და უმწურ-
ვალეს წინამდებარისა ღუაწლისა მიმართ.

10 ხოლო შემდგომად დღეთა არა მცირედთა კჳალად გამოიყვა-
ნეს ნეტარი იგი და აიძულებდეს კჳალადცა უარის-ყოფად პირვე-
ლისაებრ და წინა უყოფდეს პატივთა და ნიჭთა დიდ-დიდთა და ეგ-
რეთვე პატივთა და ჳირთა უფიცხესთა და სიკუდილსა მწარესა უძ-
ვრეს პირველისა მის, უკუეთუ არა ისმინოს. ხოლო ახოვანი იგი
15 და ყოვლად უშიში გონებითა კჳალადცა შეურაცხებით უკუნ-აქ-
ცვედა სიტყუათა მათთა და სიმწნით განეწყობოდა სატანჯველთა
უმძწვნვარესთა და კჳალად იტყოდა: „ვერა რომლითა სახითა გან-
მაშოროთ სიყუარულსა მისსა“. მაშინდა უსასო იქმნნეს გარდაქ-
ცევისათჳს მისისა, რამეთუ ყოველი ღონე დაელია მძღავრთა მათ
20 უღმრთოთა.

ბრძანეს მოხუმად ძელთა, რამთა მით მოაკუდინონ სამგზ-
სანატრელი იგი, რამეთუ თქუეს უსჯულოთა მათ: „ვინაიფთგან ძელ-
სა ზედა მოკლულისა მიმართ აქუს სასოებაჲ, ჳერ არს, რამთა ესე-
ცა ძელითა აღესრულოს“. აღმართეს ძელი იგი და მას ზედა ღამ-
25 სჳულეს ტარიგი ქრისტესი.

ნერმე მოიყვანეს სხუანი ხუთნი ძვრის-მოქმედნი ავაზაკნი, აღ-
მართეს ძელები და მის თანა დამოკიდნეს და შორის მათსა ნეტა-
რი იგი, ვითარცა ჩუენი იესუ შორის ავაზკათასა ჳუარცმული. და
v მერმე განაწყევეს მოისარნი იმიერ და ამიერ და იწყეს სრო/ლად.
30 და ესეოდენ უწყალოდ ესროდეს უღმრთონი იგი, ვითარცა მწეც-
ნი განძწნებულნი და არა კაცნი პირმეტყუელნი, რამეთუ ისარ-
ნი იგი მათ მიერ ტყორცებულნი! და ჳორცთა შინა წმიდისათა ძლი-
ერად განწონილნი აღმოსწუადიან და იგივე კჳალად განაწონიან,
რამეთუ მრავალგზის ყვეს ესრეთ უღმრთოთა მათ და ძლიერი
წყლულებჲა მოაწიეს მის ზედა და ყოველნი ჳორცნი მისნი აღავ-
35 სეს წყლულებითა. და ესრეთ დაწრეტილი და დაგუმერილი ძელსა
ზედა დამოკიდებულად იხილვებოდა და ვერღარა ეძლო წმიდასა

მას მრავალ ჟამ ცხორებდად, ვინამთგან კაცი იყო, მასცა თანა-ედვა ბუნებით იგი სიკუდილი. მაშინლა კმა-ყო: „ველთა შენთა, უფალო, შევეპედრებ სულსა ჩემსა“ და ესრეთ განუტევა სული და აღესრულა.

მ სამგზის სანატრელისა მის ლუწლინი! მ დიდებული იგი სიკუდილი, უკუდავად გარდაცვალებამ! მ მსგავსებამ იგი მისი, რომლითა ემსგავსა მეუფესა თვსსა. სხუათა თითოსახეთა! სატანჯველთა თანა ესეცა პატივად და ნიჭად მოემადლა წმიდასა მას, რამათა მსგავსად მცხნელისა ესეცა ჭუარითა აღესრულოს და შორის ძვრას-მოქმედთა, ვითარცა ესეცა მათ მიერ ძვრის-მოქმედად შერაცხილი, ყოვლისა პატივისა და ქებისა ზეშთა ქმნილი.

კუალად აქაცა იქმნა რამე მსგავსი ვნებისა მის მეუფისა, რომელი-იგი უვნებელმან მან ჩუენთვის დაითმინა მსგავსად დღისა მის ჭუარკმისა: გარდამოვდა ბნელი წყუდიადი შუადლე და იქმნა ბნელი, მსგავსად ღამისა, და ქარი სასტიკი, ვიდრელა განიბნინეს ყოველნი მუნ შემოკრებილნი და შერბიოდეს შინაგან და იმაღვოდეს. ხოლო მცველნიცა იგი, რომელნი დაედგინეს უსჯულოსა მამთავარსა, რამათა არა აუფლონ არავის ქრისტეანეთაგანსა წარლებად გუამი იგი წმიდისა მის და არცა დაფლვად მიწასა შინა, არამედ რამათა მვეტთა და მფრინველთა შეკამონ, იქმნა რამ საშინელი იგი დლე და ბნელი წყუდიადი და ქარი სასტიკი, ვერვინ შემძლებელ იყო მუნ დგომად. მაშინლა მოვიდეს მორწმუნენი მის დაბისანი და მათ თანა მღდელი ერთი და აღიღეს გუამი იგი მრავალმოდლუაწე შიშით და კრძალულებით და დაკრძალეს ადგილსა ფარულსა.

ამის შემდგომად იქმნა მშუდობამ დიდი შორის/სპარსთა და ქართველთა, რამეთუ მეფემან სპარსთამან მიავლინა მოციქულნი ვახტანგისა მიმართ მეფისა მშუდობისათუს და ერთობისა და ქმნეს ზავი ურთიერთას და იქმნა მშუდობამ შორის სპარსთა და ქართველთა. გამოვიდა მეფე ვახტანგ და იხილნეს ურთიერთას ორთავე მეფეთა და დიდნი პურობანი გარდაიჭადნეს და ძლუენნი სამეუფონი ურთიერთას ანიჭნეს, რომელსა იგი გუაუწყებენ ცხობებანი ქართველთანი.

ხოლო მეფე სპარსთა შეიქცა მუნვე და წარვიდა სამეფოდ თვსად და მიერთგან იქმნა მყუდროებამ დიდი ქართველთა შორის. ესე ყოველი მადლმან ქრისტესმან ქმნა მეოხებითა წმიდიანა და ყოვლად ქებულისა რაქდენისადათა, რამეთუ ვითარცა იგი სისხ-

ლმან სამეუფომან ქმნა მშვდობაჲ დიდი შორის ცისა და ქუეყანისა, ანგელოზთა და კაცთა, ეგრეთვე მისთვის დათხეულმან სისხლმან ქმნა ქართველთა შორის და დაიცვნა ეკლესიანი ჩუენნი და შეზღუდა მშვდობითა.

- 5 შემდგომად მისა გარდაცდეს წელნი რაოდენნიმე და იქმნა დაწყნარებაჲ. მეფემან ვახტანგ იწყო ძიებად ნაწილთა მათ წმიდისათა, რამეთუ ფარულად იყო დაკრძალულ მცირედთა ვიეთმე კაცთაგან და არავინ უწყოდა თვნიერ მღდელისა მის, რომელი ზემო ვაჟსენეთ, რომელსა დაეკრძალა იგი. ხოლო არცაღა მოწამესა
- 10 მას ენება დაფარვად მრავალ-მოღუაწე იგი გუამი მისი, არამედ მინიჭებად იგი მეფისა მის ღმრთისმოყუარისა. და, რაჲთა ცხადად წარმოიჩინოს საკვრველებაჲ მისი, ღამესა ერთსა ეჩუენა მღდელსა მას წმიდაჲ იგი დიდებითა დიდითა და ბრწყინვალეებითა შემოსილი, რომლისა თუალთშემდგომად ვერ შემძლებელ იყო, და ეტყოდა: „ხუცესო, აღდეგ და ნურღარა ჰყოვნი, რამეთუ სურის მეფესა ნაწილნი ჩემნი ხილვად და შემთხუევად. წარვედ და აუწყესადა იგი სხენან და, სადაცა თვთ ენებოს, მუნ დასხნეს იგინი. მაშინ აღდგა ხუცესი იგი აღვსებული შიშითა და სიხარულითა დიდითა და მყის წარვიდა მეფისა მიმართ და შე-რა-ვიდა წინაშე მისსა, აუწყა ესე ყოველი, თუ ვითარ და ოდეს და სადა-იგი დაეკრძალა და აწ ვითარ გამოუჩნდა და რაჲ იგი ამცნო, ესე ყოველი ზედა მიწვენითა აუწყა მეფესა.
- 15 v ესმა რაჲ ესე მეფესა, აღივსო სიხარულითა გამოუთქმელითა. და მადლი შეწირა ყოვლად ძლიერსა ღმერთსა და სანატრელსა¹
- 25 მას² მოწამესა³. მყის ივმნა ეპისკოპოზნი სამეფომასა თუსისანი და სიმრავლე სამღდლომასა მწყობრისა და წარავლინნა იგინი სამეუფოთა ნიჭთა სიმრავლითა სოფელსა მას, რომელი ზემო ვაჟსენეთ, წრომს, სადა-იგი იყო დაკრძალულ მრავალმოღუაწე იგი გუამი ღუაწლით-შემოსილისა მის მოწამისა. და ვითარცა მიიწინეს მუნ
- 30 და იხილნეს ნაწილნი იგი წმიდანი, დიდითა შიშითა და სურვილითა შეემთხვნეს და აღმოიღეს მიერ სამაროჲთ. და სურნელებაჲ ძიუთხრობელი გარდაეფინა და აღავსო ყოველი იგი ადგილი. და აღიღეს მუნით და წარემართნეს ვალობითა ფსალმუნებითა სანთელთა და კერეონთა სიმრავლითა და საკმეველთა სურნელებითა და
- 35 წარიღეს ნიქოზს საეპისკოპოზოსა მას ეკლესიასა, მისვე მეფოსა ვახტანგის მიერ აღშენებულსა. ცნეს რაჲ ესე მეფემან და დედოფალმან, ვითარ შუენოდა ღმრთისმსახურებასა მათსა და სიყუა-

¹ სანატრელისა AB. ² მის AB. ³ მოწამისა AB.

რული იგი მოწამისა აწუევდა, შორს მიეგებნეს დიდითა სურვილითა და სარწმუნოებითა, ცრემლით ამბორს-უყოფდეს და შიშით შეემთხუეოდეს მთავართა და დიდებულთა თვსთა თანა და ქუეითნი ფრკივ თანა ყვებოდეს ცხედარსა მას წმიდისასა. და მიიწიენეს¹ ნიქოზს და მუნ დაკრძალნეს დიდითა დიდებითა და პატივითა სამგზის სანატრელისა შინ გუამი და დღესასწაული შუენიერი შეუმჯადენს თუესა აგვსტოსა სამსა, დღესა წამებისა მისისასა. ხოლო შემდგომად ამისა, ვითარცა აწუევდა სურვილი მოწამისა მეფესა მას ღმრთისმსახურსა, ტაძარი შუენიერი აღუშენა ციხესა შინა უჯარმოსასა, სახელსა ზედა წმიდისა რაუდენისსა, და ერთი სხუად ეკლესია ველსა ზედა უჯარმისასა, რომელსა სამგორობით უჯმობენ, სადიდებელად² ყოვლად ძლიერისა ღმრთისა, სამებისა ერთღმრთეებისა განუყოფელისა და შეურევენელისა, მამისა და ძისა და ყოვლად წმიდისა სულისა, რომელსა შუენის ყოველი დიდებამ, პატივი და დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა უკუნისამდე, ამინ³.

5-
10
15

დაძინებაჲ წმიდათაგანისა მამისა ჩუენისა იხა წილკანელჲ ვახ: ვაიხკოკოსისა საკვირველთმთოჲმადისა, რომელი იყო ერთი ათორგობთა მამათაგანი, რომელინი უზამდინარით მოიწინეს. მამათ, გვაპურთხან.

ბრძენთა მაქებელნიცა ბრძენნი უჯმს და წმიდათა შემასხმელი წმიდაჲ ჯერ-არსო, იტყუს ვინმე ბრძენთაგანნი. ხოლო მე ვითარ კაღნიერ ვიქმნე შესხმად წმიდათა, ანუ ვითარი ქებითაჲ შეუმზადო უზეშთაესთა⁴ მათ ქებათასა, მე, რომელი ესე გლახაკ ვარ სიტყვთ და საქმით, ნანდულევე გლახაკ და უსწავლელ ჯორციელთა სიბრძნეთა და უფრომსად სულიერთაგან, არამედ რომელმან-იგი მეთევზურნი და მეპრატაკენი, უწიგნონი და უმეცარნი აღავსო ზეგარდამოდთა სიბრძნითა, ვიდრელა ჰრცხუნენა ყოველთა ბრძენთა და მეცნიერთა, მანვე თავადმან სიბრძნემან და ძალმან მამისამან აღახუნეს ბაგენი უნდონი და განმარტოს ენაჲ მძიმე ჩუენი, რომელთა ესე ჯუნებავს შესხმად წმიდათა მისთა, რაითა, უკუეთუ

20
25
30

¹ მიიწინეს A. ² სადიდებელად ღმრთისა ყოვლად ძლიერისა B. ³ წილკანელ B. ⁴ უზეშთათა A.
* ხელნაწერები: A: S—3269 (1720-იანი წლები), B: A—170 (1733 წ.).

- ლირსი რაჟმე იპოოს მათისა მის ნეტარებისა, თქუნენ მიერცა სკე-
 ზელ იქმნენ წმიდანი და საკვრველ. ხოლო უკუეთუ სიტყუა ჩუენ-
 ნი დაკლებულ იქმნეს და ვერ მიმწოთმ მათისა მის ღირსებისა
 და საკვრველებისა, თქუნენ მიერცა უდიდებულეს და უსაკვრველეს
 5 გამოჩინებულ იქმნეს წმიდანი ესე და ჩუენ¹ ქუე² დაშთომილ და
 უძლურ ვერ მიწოთმითა საქებელთადათა, რამეთუ მას თავადსა ნე-
 ბავს, რაათა, ვითარცა იგი იდიდების ჩუენ მიერ, ეგრეთვე წმი-
 დანი მისნი იქებოდენ მარადის და ღირსნი მისნი იპატივებოდენ.
 დაღაცათუ ჭერისაებრნი და ღირსებითნი ზეშთა არს ძალისა ჩუენი-
 10 სა და ღირსებისა, რამეთუ, რომელი-იგი მათ აჩუენეს სიყუარული
 მეფისა მიმართ და საკუთრებაჲ, ვგონებ³, ვითარმედ ყოვლისა ფი-
 ლასოფოსთა კელოვანებისა და რიტორთა მრავალ თხზულებასაცა
 ზეშთა მატდეს, ვინაითგან თვთ ბუნებითი იგი სიბრძნე და ყოვლი-
 v სსა კემშარიტებისა წყაროჲ თანამდებად მოუგიეს/წმიდათა შემასხ-
 15 მელად და მაქებელად, რამეთუ იტყვს: „მე მადიდებელნი ჩემნი
 ვადიდნენ და შეურაცხისმოფელნი ჩემნი შეურაცხევეუნი“⁴. და კუ-
 ალად: „ვითარ-იგი მრავლითა ნეტარებითა შეამკობს სათნოთა და
 რომელთა ნებაჲ მისი ყონ“. აწ ჩუენ მიერ რაჟმეცა ღირსი ქებისა
 მოპოვნებულ იქმნეს, რომელნი-იგი ვიდრე დღესამომდე ბრწყინ-
 20 ვენ, ვითარცა მნათობნი დაუვალნი, ვითარცა დღენი დაუღამებელ-
 ნი, ვითარცა ცისკარნი უბინდონი და ვითარცა ყუავეილნი დაუქნო-
 ბელნი, რომელნი-იგი დუმილით დაღადებენ საქმეთა საკვრველთა და
 ყოველთა ცნობასა განაკვრევენ და ყოველთა დიდებად ღამბადებე-
 ლისა აღადგენენ.
- 25 ეგრეთვე ჩუენცა, უღირსნი ესე აღგუადგინენს და მოგვწოდ-
 ნეს ქებად საკვრველებათა თვსთა და დიდებად შემოქმედისა და
 განმაძლიერებელისა მათისა. დაღაცათუ უნდო არს სიტყუაჲ ჩუენი
 და გლაზაკ, ეგრეთცა არავე ვდუმნე, არცა დავიცონო, ნუუკუე
 კნინოდენმან ამან სიტყუამან ჩემმან მიზეზი გკეს თქუნენ ხედვად
 30 საკვრველებათა მისთა, რამეთუ თვალნიცა პატიოსანნი, რომელთა
 სახელი მრავალსასყიდლობისა მოაქუნდეს. ოდეს ოქროსა ზედა
 წარმოაჩინოს ქუეშ⁵ დადებითა უნდოჲსა რაჟსამე ნივთისა, უბრწყინ-
 ვალესად ფერშუენიერ-ყოფს. ეგრეთვე შესხმანი და ქებანი წმი-
 დათა საკვრველებასა და ღმრთივ შუენიერთა ღუაწლთა და ოფლთა
 35 უმეტესად და ასაჩინოებენ, დაღათუ მათი დიდებაჲ და ქებაჲ უზ-
 ლავთა მათ შინა კეთილთა, რომელთა შინა იგინი ბრწყინვენ და

1 ჩუენ B. 2 ქუე A. 3 კონებ A. 4 შეურაცხევეუნი B. 5 ქუეშ B.

კამებენ უფროს მზის თულისა. რაა ვინ თქუას მათთვის, რომელი კაცთაგან მოუგონებელ არს და მიუწდომელ და თულათაგან უხილავ, არამედ ამავე საწუთოსა მანვე თავადმან შეუმზადა და ზედა მოურთო დიდებამ მადიდებელთა თესთა, რამეთუ იტყვს: „რომელთა დაუტევენსო ყოველნივე ჩემთვს, ასწილად მიიღოს და ცხორებამ საუკუნო დაიმკუდროსო“. კულად ბრძანებს ვამა სამეფომ: „რომელსა ვრწმენე მე და სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, რომელნი მე/ვქმენ, მანცა ქმნეს და უფროსი ამის ქმნეს“. იხილეთ 254

ქეშმარიტებამ სიტყუათა მისთა, დაღაცათუ მან თავადმან უზეშთავს კაცთა ბუნებისნი ქმნა საკვრველებანი, ვითარ მკუდართა სიტყუთ წარმოდგინებამ, კეთროვანთა განწმედად, ეშმაკთა განჭდად და ცოდვათა დაჯსნად და სხუანი ურიცხუნი სასწაულნი, რომელთა თითოეულად¹ წარმოთქმასა ვერ დაიტევს სოფელი ესე. ხოლო წმიდათა მისთა მოციქულთა და შემდგომად მათსა მობაძავთა წმიდათა იგი ყოველნი ქმნეს, რაოდენნი გესმა წმიდისა სახარებისაგან. ხოლო აჩრდილი გუამისა წმიდისა პეტრესი და ოფლი პავლესი ძალთა დიდთა საკვრველებათა ურიცხუთა ჰყოფდა. ესე არა უქმნიეს ქრისტესსა, დაღაცათუ შეუძლებელ მისა არა რაა არს. იხილეთ ქეშმარიტებამ სიტყუათა მისთა, ეგრეთვე შემდგომითი — შემდგომად მობაძვთა მათ წმიდათა მოციქულთასა ქმნეს ძალნი ურიცხუნი და საქმენი საკვრველნი. აწ ჩუენ მიერ რაიდა ითქუას ღირსებითი რამე ანუ ჭეროვანი, არამედ ძალისაებრთა შესხმათა არა უღირს იჩენენ, ვითარცა ქეშმარიტისა მეუფისა მონანი, ვითარცა-იგი მან ქეროვისა მის გლახაკისა მწულოლნი. ამისთვს მეცა კადნიერ ვიქმენ გლახაკისაგან გულისა მცირედსა რაჟსამე და კინოდენსა დიდებულებათა ამის საკვრველისა კაცისათვს, რომელი ბრწყინავს მადლთა საკვრველებითა და ნათობს ქართველთა სავსებასა და აღავსებს უხუებითა კეთილთადა შორიელთა და მახლობელთა, რომელი-იგი ეამთა მიმყოვრებითი და წელიწადთა სივრცითა არა დაფარულ არს. არცაღა საფლავი, რომელი-იგი არს მიზეზი დუმილისა*, ვერ დაუდუმებთი ნიშთა და საკვრველებათა მისთა იალა, არამედ უფროს საყურისა ღაღადებს და შემოკრებს ერთად დიდებად დამბადებელისა. მეცა მისთვსე და მისა მიმართ ვყოფ სიტყუათა ჩემთა, ხოლო ვიტყვ ჩუენსა ამას არა შორიელსა, არცა უცხოთა ვისმე, არამედ ჩუენსა ამას და ჩუენთა ქუეყანათა შინა გამობრწყინებულსა, დაღაცათუ შორით მოივლინა და უცხოთა ქუე-

¹ თითოეულად B.

* მომდევნო „და დავიწყებისა“ გადახაზულია A.

- ყანასა აღმოეცენა, არამედ ვითარცა მნათობი დიდი არათუ აღმო-
სავალით¹, არამედ სამკრეთით ჩუენდა მომართ წარმოვიღინა სხუათა
მათ თანა მნათობთა და ჩუენ მდიდრად და უხუებით განგუ-
ნათლნეს მრავალფერითა რაჲთმე ბრწყინვალებითა და ელვითა
5 საკვრეველბათათა.
- იესეს ვიტყვ საკვრეველსა, ტკბილსა მას და საწადელსა სახე-
ლითა და უფრომსად საქმით და სიტყვით. ამისთვის ვთქუ სახელით.
რამეთუ ამას მხოლოსა მოაქუს სახელისდებამ ესე და სხუა არავის,
თვნიერ ერთისა მის ძუელად მსაჯულთა შორის წსენებულისა ისოს,
10 რომელმან-იგი მოსეს წილ იერუსალემელთა შემყვანებელ ექმნა
ქუეყანად აღთქუმისა საკვრეველბათა და ნიშთა სიმრავლითა. ხო-
ლო მაცხოვრისა ჩუენისათუ ვინმე იკადროს თქუმად, რომელი-იგი
არს ღმრთეებით სახელუდებელი, ხოლო კაცებით ყოვლითურთ
მსგავს ჩუენდა ქმნილი თვნიერ ცოდვისა, რომელი-იგი ეწოდა სა-
15 ხელი იესუ ანგელოზისა მიერ, ვიდრელა იყო იგი მუცელსა შინა
დედისა თვისისა. ხოლო ახალსა ამას მადლსა შინა ამას სანატრელ-
სა მოენიჭა სახელისდება ესე, რომელი სხუსა არავისი სმენილ არს,
რომელი-ესე წინამდებარე არს მიზეზად შესხმისა ჩუენისა.
- ესე სამგზის სანატრელი მღვდელთმოძღუარი იყო ნათესავით
20 ასური, შუა-მდინარით, ვინამ-იგი სხუანიცა ათორმეტნი მამანი მნა-
თობნი ქუეყანისა ჩუენისანი. ხოლო თუ რომლისა ქალაქისა ანუ
დაბისაგან აღმოეცენა, ანუ მშობელნი ამის ნეტარისნი ვინა იყვნეს
სახელდებით, ჩუენგან უცნაურ იქმნა, რამეთუ ვინამთგან ამას საკ-
ვრეველსა კაცსა უარ-ექმნა ყოველივე მშობელნი და სიმდიდრენი,
25 დაბანი და აგარაკნი, არამედ² ყოველივე ხილულნი ესე სოფელი
და ვითარცა მტუერი განეყარა და ვითარცა სიზმარი დავიწყებულ
ექმნა. ბრძანებისაბერ საუფლოსა და ზენასა მის დაუსრულბელი-
სა სუფევისა და დიდებისა მოსურნე ქმნილ იყო და შედგომილ
სიტყუასა მას ცხორებისასა და ყოვლითურთ ჭუარს-ეცვა თავი
30 თვისი სოფლისა და საქმე/თა მისთა. ამისთუცა დავიწყებით დავიწყ-
ებულ ექმნა მშობელნი და მამულნი, სიმდიდრენი და საფასენი,
რამეთუ რაჲთამცა უქმდა წარმავალითა ამით და მსგავსად აჩრდი-
ლისა განქარებადითა დიდებითა შემკობამ, რომელი-ესე აღრევე
ქმნილ იყო მისგან. და ოდეს ესე ყოველი დაეტევა, მუნთქუესვე
35 შედგომილ იყო კუალსა მწყემსისა მის კეთილისასა, ვიტყვ უკუე³
იოანეს ნიშებზემოსილსა მნათობსა დიდსა მონაზონთასა, რომე-

1 აღმოსავალით A. 2 არამედ] ყოვლად A. 3 უკუე B

* მომდევნო „იყო“ ტექსტში წაშლილია A.

ლი-იგი მახლობელად დიდისა მის ქალაქისა ანტიოქისა მონასტერ-
სა შინა ერთსა მკვდრ იყვნეს, ვითარ და სხუანიცა მრავალნი მამა-
ნი და ძმანი, რომელთაგან ითქუმოდეს¹ საქმენი საკვრველნი და
მოლუაწებანი ბუნებითა უაღრესნი. ამისთვისა ღმერთმან, რომე-
ლი-იგი განიკითხავს გულითა და თირკმელთა და გამოეძიებს ზრახ-
ვასა კაცთასა, წინასწარ უწყოდა ამათ საკვრველთა კაცთა ზეშთა
ქმნა ყოველთა კაცობრივთა საქმეთა. ამისთვის გამოირჩინა ესე
ათორმეტნი სიმრავლისა მისგან მუნ შეკრებულთასა, ვითარცა ძუ-
ელ ოდესმე ათორმეტნი მამათმთავარნი იაკობისგან აღმოცენე-
ბელნი და ვითარცა თვთ მისვე ღმრთისა უქცეველად კაცქმნი-
ლისა² ათორმეტნი მოციქულნი, ეგრეთვე ესენი მისივე ღმრთისა
სიბრძნისაგან³ ათორმეტნი მნათობნი გამოირჩინეს მსგავსნივე და
მობაძვნი მათნი და ჩუენდა მომართ წარმოვლინნეს მეუფისა მიერ.
ვითარცა იგინი ეგრეთვე ესენი უჭამლონი, უკუერთხონი, ურვა-
ლონი, უბლანტონი, უვაშკარონი, ერთითა სამოსლითა მოსილნი
და მითცა და დაბეკულებითა მოიწინეს არეთა ქართლისათა ვითარ-
ცა გასმიესთ, მითვე სულითა ძლომილნი „ვითარცა ცხოვარნი შო-
რის შველთა, მათვე სასწაულთა მოქმედნი, უძლურთა მკურნალი,
მკუდართა აღმადგინებელნი, ეშმაკთა გამჯდელნი, კეთროვანთა
განმწმუნდელნი და ბრმათა აღმხილველნი და სხუათა ურიცხუთა
ძალთა და საკვრველებათა აღმასრულებელნი. რამეთუ ერთი და
იგივე იყო⁴ მათიცა და მათიცა⁵ წარმომავლინებელი, განმბრძო-
ბელი და განმყოფელი ნიჭთა და მადლთა თითოსახეთა, დაღაცათუ
მათ კაცთა ათორმეტთა სივრცე ყოვლისა სოფლისა მოიბრინნეს
და ქადაგეს სიტყუაჲ ცხოვრებისა და კერპთა საცთური განფხრეს⁶
განანათლნეს კაცნი ბნელსა შინა უმეცრებისასა დანთქმულნი.
ხოლო ამათცა⁷ წმიდითა ათორმეტთა მოაქუნდა სიტყუაჲ ცხოვრე-
ბისა მითვე სულითა და მითვე საკვრველებითა, რამეთუ მათი იგი
დაკლებული ჭირი ამათ ჯორცთა მათითა ჭირითა აღავსეს და თავ-
დგმულ ყვეს სარწმუნოებაჲ განანათლნეს ქუეყანაჲ ესე ჩუენი,
ეშმაკნი განჯადნეს, სენნი თითოსახენი კაცთაგან იოტნეს, ბრმანი
განანათლნეს. ვეშაპნი მოაკუდინეს, მვეცნი ველურნი მოამდოვრ-
ნეს და უმშუდეს ცხოვართა შესცვალნეს და სხუანი ურიცხუნი
ძალნი და საკვრველებანი ქმნნეს და ჩუენ გუასწავეს მრავალნი
ღმრთივ-შუენიერნი სწავლანი და გზა გუექმნნეს და წინამძღუარ-

¹ ითქმოდეს B. ² იყო+მათი A. ³ ამათი A (ტექსტში წერებულა „მათიცა“, „ცა“ ამოფხევილია). ⁴ განფრეს A. ⁵ ამათ B.

⁶ მომდევნო „ესე“, გადახიზნულია.

- ზეცისა სუფევისა მიმართ. არა დაკლებულ არიან მოციქულთაგან
ესენი, ძმანო, ვითარცა¹ ვთქუ, რამეთუ იგინიცა და ესენიცა ერ-
თისა ვენაჯისა მუშაჲნი არიან და ერთისა ვაზისა რტონი, დალაცა-
თუ² მათ დაასხეს, არამედ ამათ მორწყეს, ხოლო ღმერთმან აღაორ-
5 ძინა მისვე მუშაკმთავრისა მიერ სპეტაკთა ყანობირთა მიმართ
მოსამკალად მოვლინებულნი, დალაცათუ³ სხუანი დამაშურალ არიან,
არამედ შროპილსა მათსა ზედა. ესენი შემოვიდეს, რაფთა მთესველ-
სა და მომკალსა ერთბამად უხაროდის. ნუუკუე იტყოდის ვინმე,
10 ვითარმედ: მათ ათორმეტთა სიონს ქორსა მას ზედა ცხადად სული
წმიდაჲ მოიღესო და ცეცხლისა ენათა განყოფითა იქმნნეს მეტყუ-
ელ უცხოთა ენათა.
- მელოდეთ მცირედ, ძმანო, და ამათუხცა ცხადად წარმოგიდ-
გინო უწყებაჲ ესევეითარი, ვითარმედ არცა მისგან იქმნნეს დაკლე-
ბულ ჩუენნი ესე წმიდანი, რამეთუ ჟამსა მას „ოდეს მოიწინეს ქუ-
15 ეყანასა ამას ჩუენსა ათორმეტნი ესე კაცნი და მახლობელ იქმნნეს
250 დედაქალაქსა მცხეთისასა, მასვე ჟამსა დაადგრა/ანგელოზი საკუ-
რველსა კაცსა წმიდასა და ესევეითართა მადლთა ღირს ქმნილსა ავ-
ლავიოს კათალიკოზსა⁴ და აუწყა მოსლვამ მათ სანატრელთა სახე-
ნი და სამოსელნი, ქცევამ და მორტყმულობამ მათი და ადგილიცა
20 იგი, რომელსა ზედა ფერჯთთა შუენიერითა მავალობდეს და მოწეე-
ნილ იყვნეს. მაშინ მათდა მიმართ განსრულმან წმიდამან მამათ-
მთავარმან, სამღდლოთა დასთა თანა და ეკლესიის სავესებასა⁵
იხილნა იგინი და შეიმთხვნეს ურთიერთას მახლობელად ციხედი-
ლისა, მცირესა მას ველსა ზედა, ამბორს-უყევს სიყვარულით სიწ-
25 მიდითა სულისათა და მათ მიერ ქუე⁶ დავრდომით მომკითხველნი
და ამბორისმყოფელნი პატრიაქისანი იხარებდეს სულითა, ვითარცა
დასწერს დავით, ვითარმედ: „წყალობამ და ჭეშმარიტებაჲ შე-
იმთხვნეს და სიმართლემან და მშუდობამან ამბორს-უყევს“. ხოლო
პირველსავე მას შემთხუევასა ზედა გარდამოცდა სული იგი ჭეშ-
30 მარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს და მამისა და ძისა თახა
სამარადისოდ ჰგიეს განუშორებელად, რომელსა ღმრთაებისა ძლი-
ერებითა და უსაზღურობითა⁷ და გარეშეუწერელობითა ყოველგან
არს და ყოველივე აღუვისიეს, რომელი-იგი მაშინ წმიდათა მოცი-
ქულთა⁷ ზედა, ეგრეთვე ამათ ზედა გარდამოცდა და უხუებით და
35 მღიდრად მოეფინა და აღავსნა ესენი მადლითა და მისცა პირსა
მათსა ენაჲ ცეცხლისა. და იწყეს მეტყუელებად უცხოთა ენათა,

¹ ვითარცა — B. ² დალათუ B. ³ დალათუ B. ⁴ კათალიკოსა A. ⁵ სავესებათა-
სა B. ⁶ ქქუშ B. ⁷ მოციქულთ A.

ვითარცა სული იგი მისცემდა კაცთა უმეცართა ყოვლითურთ
 და უცხოთა ჩუენთა ენათა და სიტყვათა, ეგრეთვე ავლავი-
 ოს კათალიკოზსა¹, მათთა ენათა სიტყუათა სრულიად უცხო-
 სა² და უმეცარსა, მოეცა სიტყუად მათი მობერვითა ზეგარ-
 დამოხთა და მეტყუელებდეს სიტყუათა უცხოთა იგინი ჩუენ- 5
 თა და ჩუენნი მათსა. აჰა, გამოგისახე ჰეშმარებებით, ვი-
 თარცა კაცნი ესე წმიდანი არაარად დაკლებულ იქმნნეს მსგავსებასა
 წმიდათა მოციქულთასა, რამეთუ იგინიცა და ესენიცა მის-
 ვე და ერთისა ჰუეყენისაგან და სოფლისა იყვნეს, ვითარცა მეტყუ-
 ელებს ჰეშმარიტი იგი სიბრძნე, რამეთუ რაოდენთა ნიჭთა და პა- 10
 ტივთა და მოცემათა და მათ თანა სამარადისოდ განუშორებელი-
 ბასა³: აღუთქუამს ზოგად ყოველთავე და სწორებით აღუთქუამს
 მათცა და ამათცა, რამეთუ იტყვის: „მამაო, მნებავს, რადთა სადა მე
 ვიყო, მუნცა მსახურნი ჩემნი იყვნენ“ და სხუად ესევეითარი. და 15
 მერმე იტყვის: „არა ამათჱს ხოლო გკითხავ, არამედ ყოველთათჱს,
 რომელთა რწმენეს ჩემდა მომართ“⁴ სიტყუთა მათითა. რამეთუ იტყვის:
 „იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ, რომელი არა ვიცეალები“. მან
 თავადმან წარმოავლინა ესენი, მან თავადმან აღავსო სულითა წმი-
 დითა და მანვე თავადმან შეამკუნა ნიშთა და სასწაულთა მიერ. ესე- 20
 ნი⁵, ვითარცა ვთქუ, მოიწინეს ქართლად, ხოლო ესე საკვრველი
 კაცი — ისე უმეტეს ბრწყინავდა მათ შორის, რამეთუ მასცა მდიდ-
 რად მოელო მადლი იგი სულისა წმიდისა მის ზედა მოფენითა უბუ-
 ებისათა და შეიმკო სასწაულებითა და ნიშთა სიმრავლითა. ხოლო
 მერითგან არა დაადგრეს კაცთა სიმრავლესა თანა, რამეთუ იყვნეს 25
 დაყულებისა და მიმოგაწუნბეველობის მოყუარე, აღწდეს მთასა მას
 ზედა ზადენისასა, რომელი დამართებით მცხეთისა იხილუების, აღ-
 მოსავალით კერძო, რომელი პირველ ეშმაკთა საოცრებითა დაბნე-
 ლებული იყო, რამეთუ მუნამდე არაწმიდათა სულითა სამკვდრებელ
 ქმნილ იყო და მრავალსა რასმე ოცნებასა და ვნებასა კაცთასა⁶
 ჰყოფდეს, ხოლო მიერითგან მოსლვითა კაცთა ამათ წმიდათათა ეთა 30
 იგი პატროსან და წმიდად იქმნა. მას ზედა დაშკვდრებითა საკვრე-
 ლთა ამათ მიერ სულნი არაწმიდანი წარიდევნნეს და სენნი თითო-
 სახენი იოტნეს და ყოველთა კაცთა მიზეზ ცხორებისა საუკუნო-
 სა ექმნნეს.

ხოლო განისმა რად ყოველთა შორის მათთა საკვრველებათა ამ- 35
 ბავი⁷ და სათნოებათა ბრწყინვალეობად, მოვიდოდეს კაცნი არამცი-
 რენი და დაემკვდრებოდეს მათ თანა და მობაძეად სათნოებათა

¹ კათალიკოსა A. ² უცხოთა A. ³ განუშორებლობასა A. ⁴ მიმართა A.
⁵ ენენი A. ⁶ კაცთასა A. ⁷ ამავი B.

მათა გამოჩნდებოდეს, ვითარცა ვრცელი იგი უწყებაჲ მათი მოგ-
ვთბარობს.

- ხოლო შემდგომად არამცირედისა ჟამისა აღესრულნეს ეპის-
კოპოსნი ნეკრეს ქალაქისა და წილკანისა ეკლესიისანი. ეუწყა ესე
5 წმიდასა კათალიკოზსა ავლავიოსს, მყის აღდგა და წარვიდა წმიდათა
მათ თანა მთასა მას ზედა, სადა იგი მკვდრ იყვნეს. და ვითარცა
267 დასხდეს/და მოიკითხნეს ურთიერთას, მრავალი რამე სულისა სარ-
გებელნი. სწავლანი პირთა მათთაგან აღმოდიოდა მსგავსად მდინა-
რისა ედემით მომდინარისა. ხოლო მეორესა დღესა, მოიწია რამ
10 ჟამი წმიდისა ჟამისწირვისაჲ, უბრძანა მამამან იოანე მსხუერპლისა
შეწირვად წმიდასა ისეს, რამეთუ მღდელობისა პატივი მას აქუნდა,
რომელი-იგი წმიდითა გონებითა და უბრალოებითა გელთაჲთა მა-
რადის განკრძალულ იყო მსახურებასა მას მღდელობისასა, ეგრეთ-
ვე წმიდაჲ აბიბოს დიაკონობითა მსახურებდა უბრალოდ ღმერთსა.
15 მაშინ, დღესა მას მუნ ყოფასა წმიდისა მის კათალიკოზისასა მათ
წილბუდა მსხუერპლისა მის საუფლომსა შეწირვად. და ვითარცა
აღესრულა უსისხლო იგი მსხუერპლი და ეზიარნეს ყოველნივე შემ-
დგომად ერის განტევებისა, უპყრა ჳელი კათალიკოზმან ავლავიოს
სანატრელსა ისეს და ჰრქუა: „გიხაროდენ, ეპისკოპოსო! წილკანი-
20 საო“, და მერმე წმიდასა აბიბოს უპყრა ჳელი და ჰრქუა: „გიხა-
როდენ, აბიბოს ეპისკოპოსო ნეკრეს ქალაქისაო“. ხოლო მათ ნე-
ტართა ესმა რამ ესე, უცხოდ აღუჩნდა საქმე ესე და იწყეს თითო-
ეულმან ჳმნად და სიელტოლად. და უფრომსად წმიდაჲ ისე იჳმნი-
და საქმისა მისგან და უღირსად და ცოდვილად შვიდა თავსა თეს-
25 სა და რაოდენ ეძლო, ცრემლით და ტირილით ითხოვდა განტევება-
სა, რამეთუ იყოცა წმიდაჲ ესე ფრიად დაყუდების² მოყუარე და
სრულისა სიმდაბლისა მუშაკი და ყოველთა სათნოებათა³ წესი და
კანონი. ხოლო კათალიკოზი იგი ფრიად აიძულებდა და არა განუ-
ტევებდა გელთაგან და ეტყოდა: „წმიდაო და სანატრელო მამაო,
30 ამისთვის მოგავლინნა თქუენ ღმერთმან ჩუენდა მომართ, რაჲთა
თქუენ მიერ დაიმწყსოს ქუეყანაჲ ესე ჩუენი და ბნელსა შინა
მსხდომარეთა თქუენ მიერ აღმოგვბრწყინდეს⁴ ნათელი ღმრთის-
მეცნიერებისა და ქედფიცხელთა და ურჩთა მოუღრიკონ ქედნი მათ-
ნი უღელსა მას ტკბილსა სახარებისასა, რამეთუ ერი ესე ახალ ნერგ
35 არს და მოქენე არს სწავლათა თქუენ მიერთა. ნუ ურჩ მქენები,
შვილო, რომელი-ესე უმჯობესსა განიზრახებ, რამეთუ ესე არს ნე-

1 ეპისკოპოსო A. 2 დაყუდებიდების A. 3 სათნოებათა — B. 4 აღმოვბრწყინდეს A.

ბაჲ/ღმრთისაჲ. ეგრეთვე მამაცა იგი საკვრველი იოანე, მოძღუარი v
 მათი, ეტყოდა, რაჲთა დაემორჩილოს წმიდასა მას მამათმთავარსა,
 რამეთუ „ამისთვის მოგუავლინა ღმერთმან-ო — ეტყოდა — რაჲთა
 ჩუენ მიერ მიეთხრას ყოველთა ღმრთისმეცნიერებაჲ, რამეთუ ახალ 5
 ნერგ არიან ესენი და მოქენენ სწავლისაჲ, რამეთუ ჰნებავს ღმერთ-
 სა, რაჲთა მორჩილ ვექმნეთ წმიდასა ამას მამათმთავარსა და ბრძა-
 ნებითა ამისითა ყოველსა ადგილსა ვქადაგებდეთ სიტყუასა მას
 ცხორებისასა და ზოგნი დაყუდებითა და ზოგნი განშორებითა და
 ზოგნი ეპისკოპოსობითა ვპმონებდეთ¹ და სათნო ვეყვენთ ღმერთსა,
 რაჲთა ნუუკუე ჩუენ ცოდვლთა მიერ სათნო იყოს ღმერთმან-ქუ- 10
 ეყანასა ამას ქართლისასა ღმრთისმსახურებისა წარმართებაჲ. ის-
 მინე, შეილო, ბრძანებაჲ მწყემსისა ამის კეთილისა და ნუ ურჩ ექ-
 მნები, რამეთუ, მსგავსებაჲ მოაქუს ამას² ქრისტესი, რამეთუ, უკუ-
 ეთუძეცა არა უწყებულ იყოს მისა ზეგარდაჲო, არამცა ვაპოერჩიე 15
 თქუენ“. მაშინ ძალითა დაემორჩილა ბრძანებასა მათსა, მოუდრი-
 კა ქედი და მიილო კურთხევაჲ მამათმთავრისა მიერ. ხოლო მან
 წარავლინა იგი საყდარსა წილკანისასა, რომელსა შინა დამტკიცე-
 ბულ არს ეკლესიაჲ ყოვლად უბიწოსა მის დედოფლისა ჩუენისა
 ღმრთისმშობლისა, რომელმან ერთ სამწყსო ყო ცა და ქუეყანაჲ, 20
 ანგელოზნი და კაცნი, რომელმან დაჯსნა შუა კედელი იგი მტერო-
 ბისა და კაცნი ღმერთსა დააგო და შეილუებისა პატივსა ღირს მი-
 ჩინა, რომელმან თანანადები იგი პირველისა მამისა გარდაიჭადა,
 რამეთუ ადამ უდედაკაცოდ დედაკაცი შვა, ხოლო ამან უბიწომან
 უმამაკაცოდ მამაკაცი შვა, რომელ არს ქრისტე უფალი ღმერთი 25
 და კაცი უქცევალად. ამის ყოვლისა მიზეზ იქმნა ყოვლად უბიწო
 იგი დედოფალი, რომლისა ტაძარი ერწმუნა ამას საკვრველთმოქ-
 მელსა კაცსა ისეს და საჭეთ-მმართველ ექმნა უცთომელად, რომ-
 ლისა მიერ შეიყვანნა კაცნი უღელვოსა მას ნავთსაყუდელსა ზეცი-
 სა სუფევისასა. ამიერითგან ვინ-მე იტყოდის, ანუ ზედამიწევით 30
 წარმოიტყოდის ღუაწლთა და შრომათა მისთა, თუ რაოდენნი თავს-
 ისხნა ეკლესიისათეს, ანუ ვითარნი შრომანი აჩუენა ქრისტეს სამწყ-
 ყსოსათეს, რამეთუ დასძინა/მოლუაწებაჲ მოლუაწებასა ზედა, ხოლო 258
 მღვდარებისა და მარხვსა არა იყო საზომი, რამეთუ სიჩჩოთგან მას
 შინა იყო აღზრდილ და განპოხებულ და მოწყალეებისა და კაცთ-
 მოყუარებისა, უცხოთ-შეწყენარებისა და გლახაკთა და დავრდომილ-
 თა უხუად ჳელისაპყრობითა სახიერებისა მას უფსკრულსა ძალი-
 საებრ ემსგავსებოდა და³ სხუეჲ სათნოებნაჲ სრულებით შემოეკრიბა 35

¹ ემონებდეთ A. ² ამათ B.

- და აწ უმეტესად და უბრწყინვალესად ეტლ სათნოებათა გამოჩინებითა ყოველთა მხილველთა სახე კეთილის იქმნებოდა. რამეთუ ვითარცა სანთელი ბრწყინვალე ამაღლებული სასანთლესა ზედა უმეტესთა ელვათა ღმრთივ შუენიერთა საქმეთასა ყოვლით კერძო განმტევებელ იქმნებოდა და მსგავსად მზისა მიეფინა მსხდომარეთა ბნელთა და აჩრდილთა სიკუდილისათა, რამეთუ საწერტელ სიკუდილისა არს ცოდვაჲ, ხოლო ესე ძირითურთ ისწრაფდა განფხურად ცოდვისა, რაჲთა განქარდეს სიკუდილი და მის წილ შემოვიდეს ცხორებამ და უხრწნელებამ. რამეთუ მსგავსად წმიდათა მოციქულთა მიმოვიდოდა და ქადაგებდა სიტყუასა ცხორებისასა, რამეთუ მორჩილ იყო და მიღევნებულ ბრძანებასა წმიდასა სახარებისასა, ვითარ-იგი წერილ არს ვითარმედ: „თავადი იესუ¹ ვიდოდა ქალაქად და დაბად-დაბად და განკურნებდა ყოველთა სნეულებათა და უძლურებათა ერსა შორის“. ეგრეთვე მწყემსი ესე კეთილი და
- 15 მნე გონიერი და სარწმუნოჲ შედგომილი კუალსა მწყემსმთავრისასა მიმოვიდოდა და ახარებდა ქალაქითი-ქალაქად და დაბითი-დაბად და ჰყოფდა სასწაულთა და ნიშთა დიდთა, სნეულთა ჰკურნებდა, კეთროვანთა განსწმედდა, ეშმაკთა განასხმიდა და ცოდვათა დაწსნიდა და სხუთა მრავალთა და თითო-სახეთა სნეულებათა სიტყუთა და ჴელისა შეხებითა განკურნებდა.
- 20

- ხოლო უფრომასად მთით კერძოთა ადგილთა მიმოვიდოდა და ასწავებდა და მოქცევად მათდა მოსწრაფე იყო საკერპოთა და არ-
- v ლუევდა და კერპთა ბილწთა დამუსრ/ვიდა და ძალითა არამცირედ-თა ჰყოფდა და ნათელ-სცემდა მათ სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა. ყოვლითურთ მსგავს იყო. წმიდათა მოციქულთა და მათებრვე განფხურა ყოველი საცთური და დანერგა² ღმრთისმსახურებამ.
- 25

- ესრეთ შეამკო და განაშუენა ეკლესია ქრისტესი და ესრეთ კეთილად მწყსიდა მისდა რწმუნებულთა მათ სამწყსოთა და განანათლებდა სიტყუთ და საქმით. მოვედ და სხუამცა გამოგისახო ამის საკვრველისა კაცისა სიკეთე და სათნოებათა სრულებამ, რომელი პაველ მოციქულმან წინათვე მოასწავა ესევეითართა მწყემსთათს და იტყოდა: „ჴერ არსო ეპისკოპოსისა უბრალო ყოფამ და რაჲთა იყოსო ფრთხილ, წმიდამ, შემკობილ, უცხოთშემწყუნარებელ, სტუძრისმოყუარე“. ვინ ესრეთ წმიდამ, ვინ ესრეთ ფრთხილ და უძილ
- 30 მწყემს, ვითარ ესე საკვრველი კაცი, რომელმან არა სცა ძილი თუ-ალთა თჳსთა, არცა ჰრული წამთა თჳსთა, ვიდრემდის პოვა ადგი-
- 30

¹ იესუ უფალი (ო^{ნი}) B. ² დაწერგა A.

ლი მწუხანგილოვანი¹, ეკალთაგან განწმედილი, ადგილი უშიში, მვეცთაგან შეუვალი. მუნ შეიყვანა სამწყსოა თუსი, მუნ² დაამკედრანა და მუნ გამოზარდნა. ხოლო საძაგელნი იგი და სალტოლველნი საქმენი, რომელთა წინათვე აკრძალებს მოციქული ეპისკოპოზთა, ვითარმედ არა მელუნე, არა ანგარ, არა საძაგელის შემძინელ. ვინ იყო შორს ესევეითართა საქმეთაგან, ვითარ ესე სანატრელი, რომელი-იგი სხუათაგანცა მოსწრაფე იყო ძირითურთ განფხურად ესე-ვითართა ვნებათა.

გარნა ვთქუათ რამე ერთი და დებულებათა მისთაგანი, რომელი ზეშთა მატს ყოველთა საკრველებათა, რამეთუ სამწყსო იგი მისდა რწმუნებული ესრეთ რამ სულიერად გამოზარდნა და წარუძღუა ზეცისა სუფევისა მიმართ, არცაღა ჯორციელად დაუტევნა ულუაწად, არცა უნუგეშინისცემოდ, არამედ მოუზადა მათ არა ლიტონი რამე და ადრე მოკლებადი, არცა ადრე განქარვებადი, არამედ საუკუნოდ და მომავალთა ნათესავთა* საცსენებელი კეთილი დაუტევა, რომელი-იგი, ვითარცა ცხოველი, ქადაგებს დიდებულებათა მისთა. ესე არს, რომელსა მეგულ/ების თქუმად, არამედ პირველ თქუმისაცა უწყით ყოველთა ქართველთა ამის საკრველისა კაცისა დიდებულებად, რომელ შეესწორა დიდთა მათ წინასწარმეტყუელთა საკრველებითა.

დღესა ერთსა ინება საკრველთმოქმედმან მამამან იოანე, მოძლუარმან მათმან, გამოცდა ამათ საკრველთა კაცთა სათნობათა სისრულისა და მორჩილებათა სიმადლისა. მსხდომარე იყვნეს ზოგად წმიდასა ამას ეპისკოპოსსა თანა დიდი იოანე საკრველთმოქმედი და წმიდაჲ შიო, მოლუაწებისა ძეგლი და კანონი და მათ თანა ესე სამგზის სანატრელი ისე. ეტყოდა მათ იოანე საკრველი: „ისმინეთ ჩემი, შვილნო, რამეთუ მნებაეს თქუენ მიერ სასწაულისა რამსაჲ ქმნა, რამთა მხილველნი მათნი აღიდებდენ ღმერთსა, რამეთუ ფრიად მოქენე არიან ქართველნი ხილვად თქუენგან სასწაულთა და საკრველებათა, რამთა უმეტესად ჰრწმუნენს ჩუენ მიერ ქადაგებული იგი სარწმუნოებაჲ. ხოლო მათ მოაკსენეს: „მამაჲო პატროსანო, ვითარცა ბრძანოს სიწმიდემან შენმან, მორჩილნი ვართ ბრძანებისა შენისანი“. მაშინ პირველად მამამან იოანე მიყო ველი კიქასა მას, რომელი მდებარე იყო წინაშე მათსა, და უბრძანა ელია დიაკონსა თვნიერ ჩუეულებისა და წესისა, უბრძანა ღვინისა სხმაჲ და აღავსო იგი და აღიბყრა ზე და განუტევა პაერთა შინა და მყო-

¹ მწუხანგილოვანი B. 2 მუ A.

* მომღვეხო „და ტოშთა“ წაშლილა A.

ვარ ეამ იხილებოდა პაერთა შინა მდგომარე თუნიერ ჳელთაგან
 კაცთაჲსა¹. მერმე უბრძანა შთამოხზა მისი და, ვითარცა შთამოიხუ-
 5 ნეს იგი, წამოუყუანა წმიდასა ეპისკოპოსსა, რაჲთა აკურთხოს იგი,
 რამეთუ ჳერ-არსო ეპისკოპოსისა, იტყოდა, ჳვარისა გამოსახეჲ და
 კურთხევისა მიცემაჲ. მაშინ წმიდამან მან ეპისკოპოსმან გამოსახა
 სახე პატიოსნისა ჳვარისა და მიიღეს მისგან ევლოგიად ყოველთა
 მუნ შემოკრებულთა და მადლობდეს ჲმერთსა და აღიღებდეს სას-
 წაულსა ამას ჳედა საკვრველსა.

მერმე უბრძანა წმიდასა შიოს, რაჲთა მანცა აჩუენოს რაჲმე
 10 საკვრველი. ხოლო იგი დადაცათუ შორს იყო მაჩუენებლობისაგან,
 არამედ ძე იყო მორჩილებისა, რომელი არა ოდეს წინა აღუდგე-
 ბოდა მოძღუარსა არარაჲს საქმესა ჳედა, აღდგა იგი ჳე და განმარ-
 15 ტა მარჯუენე თუნი შიშულივ და² აღილო ნებთა³ ჳედა სავედ ნა-
 კუერცხალი მგზებარე, დაასხა საკუმეველი და მუნ შეკრებულთა
 ყოველთა მიუყნოსა საკუმეველისა მისგან და მერმელა განყარა ნა-
 კუერცხალი იგი ყოვლითურთ უენებელად ნებთა⁴ ჳელისათა.

მერმელა აწვა წმიდასა ამას და საკვრველთმოქმედსა ისეს, რა-
 20 ჲთა მანცა აჩუენოს ესევეთარი რაჲმე საკვრველი, ხოლო იგი მორ-
 ჩილქმნილი ძმისა მის სულიერისა მყის აღდგა იგიცა მტკიცედ
 პყრობითა სრულისა და მიუდრეკელისა სარწმუნოებისათა. არა
 პაერთა შინა განტევებითა ჳიქისათა, არცა ნებთა ჳედა აღებითა
 ნაკუერცხლისათა, დადაცათუ საკვრველებანი ესე დიდ იყვნეს, არა-
 25 მედ ესეცა აღვილ იყო მის წინაშე ქმნად და ამისა უმეტესსაცა,
 ხოლო ამან მსგავსად მოსესა წყალთა მიერ და წყალთა ჳედა იწ-
 ყო ქმნად სასწაულთა საკვრველთა. ვითარცა მან, ეკრეთცა ამან კუ-
 ერთხითა, რამეთუ კუერთხი აღილო, რომლითა მწყყიდა სამწყყსოთა
 თუსთა და რომლითა პყოფდა სასწაულთა საკვრველთა და იოტებ-
 და უხილავთა მათ ძალთა, რომელსა ჳედა გამოსახულ იყო პატიო-
 30 სანი ჳუარი, მით ჳელთა მქონებელი წარვიდა ჳემომთ კერძო მდი-
 ნარესა მას, რომელსა ეწოდების კსანი, და შეუდგეს მას მუნ მყოფ-
 ნი იგი წმიდანი მამანი და სხუსა ერისა სიმრავლე ფრიადი, რამეთუ
 უგულსავესებით უწყოდეს მისგან სასწაულისა რაჲსამე ქმნად, რამე-
 35 თუ მრავალგზის ეხილვა მის მიერ საკვრველებანი დიდნი. ხოლო
 მი-რაჲ-წინეს მუნ მდინარესა მას ჳემოწესენებულსა, აღიპყრა კუ-
 ერთხი იგი მარჯუენითა ჳელითა და გამოსახა მით სახე პატიოსნისა
 ჳუარისა, დასცა მით წყალთა მათ ჳედა და ეტყოდა: „მდინარეო, სა-
 ხელითა უფლისა ჩუენისა იესუ ჳრისტესითა გიბრძანებს ჩემ მიერ

¹ კაცთაჲსა B. ² და+და A. ³ ნებთა A. ⁴ ვებთა AB.

კსინვით ვიდოდე და შემომიდეგ, ვიდრეცა ვიდოდე“. ეპა, ძლიერებათა შენთა ქრისტე, რომელმან მსახური შენი ესრეთ აღიდენ, ეპა, უცხო საკვრველი, მყის მორჩილ ექმნა მდინარე იგი მძაფრი და წინადაუდგრომელი და კსინვით ვიდოდა და შეუდგა ბრძანებასა მისსა, ვიდრეცა ვიდოდა წმიდაჲ იგი და მისდევდა მას*. ხოლო წმიდაჲ იგი მგზავრ გალობდა ფსალმუნთა და იტყოდა: „აღილეს მდინარეთა, უფალო, აღილეს მდინარეთა გმანი მათნი, აღდგეს მდინარენი სლვასა თესსა ვმითა წყალთა მრავალთაათა, საკვრველ არიან განცხრომანი ზღსანი, საკვრველ არს მაღალთა შინა უფალი. წამებანი შენნი, უფალო, სარწმუნო იქმნეს ფრიად“. ესრეთ უძლოდა წმიდაჲ იგი წყალთა მათ და იგი სრბით მისდევდა, რამეთუ ლბილი იგი და ქუედამზიდველი ბუნებაჲ უვა/ლსა და უჩუეველსა გზასა სრბით მისდევდა¹ და მიწა იგი მყარი და ფიცხელი და ადგილ-ადგილ კლდოვანი და ეკლოვანი თუნიერ სათხროლისა და მკუეთელისა რაჲსავე ქუე დაღრმდებოდა და წყალი იგი თუთ მავალობდა, იძულებული წმიდისა მისგან. მოვლო სრულიად მრგლოვ მუხნარი² და ვიდრე ეკლესიადმდე წილკნისა მიიწეოდა და გარე მოვლიდა, რამეთუ ფრიად ურწყული იყო ადგილი იგი, და სრულიად ზემოთ კერძო მუხნარისა³, რომელსა ზედა წარვლო მდინარემან მან და ვიდრე დღეინდელად⁴-დღედმდე დის და მწყურნებონ ყოფს ადგილთა მათ, ვითარცა ხედვენ თუალნი ყოველთანი და ახარებს სლვა მდინარეთა ქალაქსა ღმრთისასასა, დაღაცათუ სხძესა პირისა მიმართ წინასწარმეტყუელებს სიტყუთა ამით წინასწარმეტყუელი, არამედ ამასცა ზედა უმეტესად მოეზაეების, ვითარმედ „სლვა მდინარეთა ახარებს ქალაქსა ღმრთისასა. წმიდა ყო საყოფელი თუნი მაღალმან, ღმერთი მის შორის და იგი არა შეიძრას უკუნისამდე.

რამეთუ ესოდენთა ამით ჟამთა სიგრძემან ვერ დაფარა წმიდისა მის საკვრველებად, ვერცა დაადუმა ჟამთა მიმყოვრებამან დიდებულეებაჲ საქმისა მის, არამედ დის მარადის და ქადაგებს წმიდისა მის საკვრველებათა და დუმილით მიუთხრობს დიდებულეებათა ღმრთისათა.

ესე სასწაული არა უდარეს. არს სასწაულსა მას მოსეს მიერ ქენილსა ზღუასა მას ზედა მეწამულსა და კუალად უდაბნოსა ზ.ღ. კლდისაგან გმელისა აღმოცენებასა წყლისასა და მე ვპკონებ,

¹ მისდევდა] ვიდოდა B. ² მუხნარი] მუხრანი B. ³ მუხრანისა B. ⁴ დღეიდელად A.
^{*} ჩამატებულია აშაბე A.

- უკუეთუ თქუენცა არა ურწმუნოდ აღვიჩნდეს, ვითარმედ ესე მის-
 სა მას სასწაულსა უადრეს არს, რამეთუ მან შემდგომად წიაღსლე-
 სა იერუსალემთასა მასვე ეამსა მეგვიბტელთა ზედა მოქცევით ად-
 გილსავე თესასა შერწყმით შეყოფილ ქმნა და ეგრეთვე კლდე იგი
 5 მადინებელი წყლისა შემდგომად მცირედისა კუალადცა კმელ იქმ-
 ნა, ხოლო საქმე ესე უცხო, საკურველისა ამის კაცისა მიერ ქმნი-
 ლი, ვიდრე აღსასრულამდე ჰკიეს და ახარებს ყოველთა მხილველ-
 თა და უფროსად მჭუმეველთა მის ადგილისა მყოფთა არა თუ ერ-
 10 თსა დაბასა, გინა სოფელსა, ანუ თუ მარტო წილკანსა, სადა-იგი
 მდებარე არს მრავალმოლუაწე იგი და სასწაულთა მოქმედი გუამი
 წმიდისა მის, არამედ მრავალთა დაბათა და სოფელთა მის კერძოსათა,
 აგარაკთა და ყანობირთა, პირუტყთა და საცხოვართა, მორწყავს
 და განაძღებს. ესრეთ აღიღებს ღმერთი მადიდებელთა თესთა, ეს-
 რეთ დაუმორჩილებს ბუნებათა და ნი/ვითა მორჩილთა და ნების-
 15 მყოფელთა თესთა, ვითარ ამათ ნეტართა დაუმორჩილნა ოთხნივე
 ნივთნი: ჰაერი¹, ცეცხლი, წყალი და მიწა, რომლისა მიერ და რომ-
 ლისა შორის არს და იქცევის გრძნობადი ესე ყოველი, რამეთუ
 ერთმან მან საკურველმან კაცმან განტევებითა ჰიქისათა ჰაერი¹
 მორჩილ თესა ყო, ვითარცა ჩემმან ქრისტემან ფერვთა ქუეშე
 20 თესთა და მერმე პეტრესთა ლბილი იგი წყალთა ბუნებად ნივთთა
 სიზრქისა მტვრთელ-ყო, ეგრეთვე ნივთისა მის სიმძიმე, რომელსა
 საესებად მოაქუნდა ღუნისა, უწვლილესი იგი და უსუბუქესი ჰაე-
 რი², მტვრთელი ყო მისსა. ხოლო მეორემან მან ბუნებად იგი ცე-
 ცხლისა მოტყინარისა ნებთა ზედა ტვრთუთა არა შემწუველ, არა-
 25 მედ ცუარ საკურნებელ ქმნითა ყრმათა მათ წმიდათა ემსგავსა, რა-
 მეთუ იცის ცეცხლმანცა შეკდიმებად წმიდათაგან, რამეთუ ბუნებად
 თვისი სრულიად დაივიწყა და მორჩილ ექმნა წმიდასა მას. ხოლო
 რად ვთქუა ამის ყოვლად საკურველისა კაცისათეს, რომელი-იგი
 ზეშთა ჰმატს სხუათა წმიდათა საკურველებითა, რამეთუ მათ წმი-
 30 დათაგან მან თითოეულმან თითო ნივთი დაიმორჩილნეს: ერთმან
 მან ჰაერი² და მეორემან ცეცხლი, ხოლო ამან საკურველმან კაცმან,
 ნივთნი ორნი მორჩილ თესსა ყო. ვიტყუ უკუე მიწასა და წყალსა.
 რამეთუ მიწად თუნიერ რომლისავე სათხროლისა და მკუეთელისა
 თუთ თავით თუსით დაღრმდებოდა და ლბილი იგი და ქუემსრბოლი
 35 წყალთა ბუნებად უვალსა და უჩუეველსა გზასა სრბით მავალობდა,

¹ აჰერი B. ² აჰერი A, ჰერი B.

¹ ყვის B. ² ადგილსა B.

მორჩილქმნილი კუერთხსა მას წმიდისასა და უფროსად ბრძანებასა მისსა, რამეთუ ერთი იგი ემსგავსა პეტრეს, ვითარცა ვიტყოდე, პაერისა¹ დამორჩილებითა, და მეორე სამთა მათ ყრმათა ცეცხლისა უქმად გამოჩინებითა, ხოლო წმიდაჲ ესე ღიღსა მას ღმრთისმზილველსა მოსეს, წყალთა რაინდსა.

5

არამედ მე კუალად მოვაქცევ თხრობასა ჩემსა და ვიტყვ, ვითარამედ ამის შორის უზეშთაესი მადლი იხილვების და უაღრესი საკურველებად საცნაურ იქმნების, რამეთუ მათ, რომელთაცა ქმნეს² ღიღნი იგი საკურველებანი ძუელთა შინა, პირველ ქრისტეს მოსლვისა, გინა ახალსა შინა შემდგომად ქრისტესსა, შემდგომად საკურველებ/ისა ადრე მიიღეს აღსასრული, ხოლო ამის მიერ ქმნილი ესე საკურველებად ჰგიეს სამაჩადისოდ, აღუწოცელად და წარუვალად ღის და ახარებს ყოველთა მის კერძოთა ადგილთა კაცთა და საცხოვართა და შემოპკრებს³ ერთად ღიღებად შემოქმედისა და ბუნებათა დამბადებელისა.

10
261

15

ესევეითარი საკურველებად იხილეს რაჲ მუნ მყოფთა ქრისტანეთა და გარემოს მკვდრთა ქალაქთა და სოფელთა და შეესმა ყოველთა კიდეთა ქართლისათა სასწაული ესე უცხოჲ, ადიდებდეს დამბადებელსა ყოველთასა და ბუნებათა და წესთა უცხოდ შემცვალებელსა და განმძლიერებელსა მოშიშთა და მოყუარეთა მისთასა და იტყოდეს: „ღიღებაჲ მისსა, რომელმან ჰყვის⁴ საკურველი მხოლომან“. ხოლო პატრიარქი იგი წმიდაჲ მუნ მყოფი, მზილველი ამათ საკურველებათა, მიიქცა მცხეთად აღვსებული სიხარულითა და თანანუგეშინის ცემითა. ამათ წმიდათა მიერ მადლობდა ღმერთსა, რომელმან მრავლითა სახიერებითა და ჩუენდა მომართითა მდიდრად წყალობათა მოაეღინა ქუეყანასა ამას, ჩუენსა მნათობნი ესე, ღიღნი წყარონი საკურველებათანი, მდინარენი უბუებით მომდინარენი სწავლათა საღმრთოთანი, მომრწყეველნი ყოვლისა სოფლისანი, სუეტნი და სიმტკიცენი ეკლესიათანი, საფუძველნი შართლმადიდებლობისანი, სიქადულნი და სასონი ქრისტეანობისანი, სათნოებათა კანონი და ძეგლნი ღმრთისმსახურებისანი. „ღიღება შენდა, ღიღება შენდა, ღიღება შენდა ღმერთო ყოვლისა მპყრობელო და სიბრძნით განმგებელო ყოველთაჲ, რომელმან ესოდენი მადლი და ნიჭნი უბუებით მოგუფინენ და ესრეთ შემეყუარენ ჩუენ ცოდვილნი და უღირსნი მონანი ესე შენნი“. ესევეითარი და უმეტესი ამისა მადლობანი აღავლინა კათალიკოზმან ღმრთისა

20

25

30

35

1 პერისა B. 2 ქმნეს B. 3 შეპოკრებს A. 4 ყვის B.

მიმართ და მის თანა ყოველმან ერმან, რომელთა იხილეს და რომელთა ესმა ესევეთარი სასწაული.

- ხოლო ამისა შემდგომად განხიჯარნეს მუნ შეკრებილნი იგი და თს-თსა ადგილდ მიიქცეს. ხოლო წმიდა იგი თსსავე მას მო-
- 5 ლუაწებისა სარბიელსა იწყო საგრობად და უმჭურვალესად მწყსი-
- 7 და სამწყსოსა თსსა და სწავლითა კეთილითა ზრდიდა მისდა რწმუნ-
- ებულთა ერთა, ზედასზედა მიმოვლიდა დაბათა და სოფელთა და ისწრაფდა განფხურად ძირსა ცოდვისასა და ეკლესიათა განამ-
- 10 ტკიცებდა და ხუცესთა და დიაკონთა დაადგენდა და ყოვლისა წვალე-
- ბისა და ურწმუნოებისა ძირითურთ ისწრაფდა განფხურად და მრავალთა და ურიცხუთა სასწაულთა მსგავსად მოციქულთა ჰყოფდა და ყოვლით კერძოდ მოსწრაფე იყო მოქცევად ცოდვილთა და ფრიადცა მოსწრაფე იყო, რაათა არავინ დაშთეს ვარეგან ბაქისა ქრისტეს მცნებათასა. ესრეთ აღვსებული დღეთა კეთილთა და
- 15 ტვრითთა სათნოებათაათა გარდაცემული სიბერედ მიწვეწული ისწრაფდა განჯსნად საკრველთაგან ჯორცთასა და მისლვად სასურველსა მას თსსა და შერთვად გუნდსა ყოველთა წმიდათასა და უფრომსად ერთ გუნდსა და მსგავსთავე მისთა მწყობრსა თანა წმიდათა მღვდელთმოდღუართაასა და ჩუენებად პირსა შემოქმედისა.
- 20 თსისასა. ეუწყა წინათვე განსლვად თსი ჯორცთაგან. დღესა ერთსა შემოკრიბნა¹ მოწაფენი თსნი და ყოველი მწყობრი ეკლესიისა, მრავალნი სულთა სარგებელნი სწავლანი წარმოუთხრნა და განამტკიცნა და შექუტრნა ლოცვითა და აღბეკუნა ჯუარისწყრითა და მერმელა უბრძანა მოხუმა წმიდათა და უხრწნელთა საიდუმლოთა, ეზიარა და ზე აღიპყრნა ჳელნი ლოცვითურთ და იტყოდა: „უფალო, ჳელთა შენთა შევედრებ² სულსა ჩემსა“ და ესრეთ შეისუენა თუესა ავგუსტოსა იმ. ხოლო განისმა რაჲ ჰამბავი ესე, მორბიოდეს ყოვლით კერძოდ და თვთ კათალიკოზი და ყოველნი მუნ მყოფნი ეპისკოპოზნი და წმიდანი იგი მამანი მის თანა მოლუაწენი და სხუანი ყოველნივე, რომელთა ესმა ესე, მუნ შემოკრებოდეს და ისწრაფდეს თითოეული დიდითა სურვილითა და სარწმუნოებითა შეახლებად მისა. და მრავალთა უძლურთა მიიღეს კურნებად მის მიერ მას დღესა შინა, რომელნიცა სარწმუნოებით შეეხებოდეს. ხოლო მრავალმოღვაწე იგი გუამი მისი თვთ კათალიკოზმან და

¹ შემოკრიბნა A. ² შევედრებ B.

წმიდათა მღვდელთმოდლუართა და სხუთა წმიდათა მამათა შიშით და კრძალულებით დაკრძალნეს მუნვე*, სადიდებელად წმიდისა სამებისა და ერთარსებისა, რომელსა შვენის ყოველივე დიდება.

შესხმა[ა]! წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა 228
არჩილისი, მიწისა მის ქართველთასა, რომელი იყო
ნათესავი და ტომი ხუასროვანთა სპარსთა მიწისა და
იწამა ქართლს შინა ზიჯუმ მძლავრისა მიერ,
როგელსა ეწოდა ასიმ.**

ბრწყინვალე არს და დიდებულ ქსენებაჲ ყოველთა მოწამეთა, რამეთუ მათ აღიდეს ღმერთი ასოთა თვისთა მიერ, რაჟამს-იგი განიცადებოდეს ცეცხლითა და მახვლითა და სხუთა ფერად-ფერადითა სატანჯველითა და მოსწყდებოდეს სიყვარულისათჳს ღმრთისა. ამისთჳს ღმერთმანცა აღიღნა იგინი თავისა თვისისა თანა დიდებითა მით ჩუენგან მიუგონებელითა და მიუთხრობელითა თქმულისაებრ წინასწარმეტყუელისა, ვითარმედ: „მე მადიდებელნი² ჩემნი ვადიდნე და შეურაცხის-მყოფელნი ჩემნი შეურაცხევენე“³. მოვედით ჩუენცა, მარტულთმოყუარენო და უფროსად ღმრთისმოყუარენო, ეგზიარებოდეთ ქსენებასა მოწამეთასა, ნუჟკუე და ჩუენ მიერცა არა უღირს იჩინონ დიდებაჲ და ქებაჲ, რამეთუ დალაკათუ იგინი საუკუნოდ დიდებულ არიან, არამედ ჩუენცა თანამდებ ვართ დიდებად მათდა და ქებად ძალისაებრ, რამეთუ ძალისაებრნი გულს-მოდგინებანი მათ მიერცა მისათუალველ არიან, რამეთუ ზემთა სახიერსა მეფისა მსგავსად ესენიცა სახიერნი და ტკბილნი არიან, რამეთუ ჰნებაჲს წმიდათა, რამთა, სადაცა მეფე მათი იდიდებოდეს, ეგრეთვე მსგავსად ესენიცა მის თანა იდიდებოდენ და ჩუენ შემსხმელთა და მადიდებელთა მათთა ნიკთა უხრწნელთა უხუტებით განჯყოფდენ და მადლთა უშურველთა მდიდრად მოგუფენდენ, რამთა მობაძვად სიმკნეთთა მათთა გამოგუჟიჩინენ, ბრძოლად უხილავთა მათ მტერთა და სურვილად საუკუნოამათა მათ კეთილთა მოსწრაფედ აღგუადგინნეს.

* მომდევნო ტექსტის ბოლო სტრიქონი დაწერილია მხედრულით, არა ბესარიონის ხელით. B-ში არ არის.

** ხელნაწერები: S—3269 (1720-იანი წლ.), B: A—170 (1733 წ.).

¹ შესხმა AB. ² მადიდებენი B. ³ შეურაცხვანე A, შეურაცხევენე B.

რამეთუ ქუეყანისა მეფეთაჲცა თჳს ეყვის, რამთა საკუთარნი
 მეგობარნი მათნი ყოველთა მიერ იპატიებოდინ, რამეთუ პატივნი
 მათნი თავისად პატივად შეურაცხიეს. აჲ ვინამთგან¹ ესრეთ თანამ-
 5 დებ ვართ მოწამეთათჳს ქებისა შეწირვად, მოვედით, მორწმუნე-
 ნო, განეაწყოთ ხორო შემასხმელთა და მედღესასწაულეთა და უძ-
 ნობდეთ დიდსა ამას მოწამეთა შორის მნათობსა, რამეთუ ვინ არს
 10 ესრეთ დიდებულ და სახელოვან ბრწყინვალეობითა ღუაწლთაათა²
 და წარჩინებულ/გვრგვინობითა, ვითარ ჩუენ ესე მოწამე, ვიტყუ
 უკუე ჩუენსა ამას სახელოვანსა მეფეთა შორის და წარჩინებულ-
 15 სსა თვთმპყრობელთა შორის და უფრომსად³ ბრწყინვალესა გუნდ-
 სსა შორის მოწამეთასა სამგზის სანატრელსა არჩილს. ვიცი, რამე-
 თუ ყოველნი მეწამნეთ სიმკნესა და სიქველისა მისსა შეუენიერება-
 სსა და ახოვანებასა მისსა, ტომ-კეთილობასა და შარავანდელითა მე-
 ფობისათა ზეშთა ქმნილობასა მისსა და სხუათა მრავალთა რამთმე
 20 უხუებასა სიკეთეთა მისთასა, არამედ ესე არაჲა არს მის თანა,
 არცა რად სავმარ, რამეთუ ესე ყოველი დაუტევა და ნაგევად შე-
 რაცხა საუკუნოსა მისთჳს დიდებისა და წარუვალისა მეფობისათჳს
 სიერცე ქუეყანისა, სიმდიდრე ზღუსა, საუნჯეთა სიმძიმენი, სამეუ-
 ფონი ტაძარნი და გვრგვნი, თჳსნი და ტომნი, ცოლი და შვილნი და
 25 სხუად, რამცა ითქმის და მოიგონების სოფლისა ამის საშუებელთა-
 განნი, ვითარცა მტუერი უნდომ, ეგრეთ განყარა და ვითარცა ნა-
 გევი განაბნია სიყვარულისათჳს ქუეყანისა და იგი მხოლო შეიყუა-
 რა და ყოველისა განმსყიდელმან იგი მხოლომ⁴, ვითარცა ბრძენმან
 ვაჭარმან, მოიყიდა და მისთჳს დადვა სული თჳსი. არამედ ჩუენ
 30 ძალისაებრ ვიტყოდით ღუაწლთა მიმართ სიმკნით განწყობასა
 მისსა მძღავრისა მიმართ სიტყჳს-გებასა და სიკუდილისა მიმართ
 უშიშროებასა და თუ ვითარ ახოვნად გვრგვინოსან იქმნა. დაღაცათუ
 ყოველნი მაქებელნი თჳსნი ძლეულად გამოჩინებულ არიან, რამე-
 თუ ღირსებითა ქებათა ვერავინ⁵ მკადრე ქმნილ არს, თუნიერ მის
 35 უამისა წმიდისა ეპისკოპოსისა ლეონტი მრუელისა, რომელსაჲცა
 მისი სანატრელი ცხორებად და ღუაწლი ვრცელად აღუწერია, ვი-
 თარცა მოგვთხრობს მატთანე ქართველთა ცხორებისა. არამედ იგი
 უამთა მიმყოვრებითა ვიდრე ჩუენდამდე არა მოწვენილ არს, არცა
 გუხილავს, არამედ მისივე ქართველთა ცხორებისაგან, რომელი
 35 მისთჳს სულ მცირედ წერილ არსა, ანუ თუ ზეპირით საჩინოობს

1 ვინათგან B. 2 ღუაწლთათა B. 3 უფროსად B. 4 მხოლოB. 5 ვერავინ B.

- უამთა სივრცისაგან ვერ დაფარული ბრწყინვალეობა ღუაწლთა მის-
თა და საფლავიცა მისი ჩუენ შორის მყოფი ღუმლით მღალადე-
ბელი სიმუნეთა მისთა. ამისთვის მცირედისა¹ რაასამე და ქინოდე- (თუქ)
ნისა ვიკადრე/მეცა უნდომან და გლახაკმან ამან აღწერად მისთვის 299
- ძალისაებრ ჩემისა და არა თუ სიდიდისაებრ სიმუნეთა მისთასა და
ბრწყინვალეობისა. რაათა არა უმეტესმან ღუმლიმან უორმესსა და-
ვიწყებასა მისცეს ბრწყინვალე იგი ღუაწლი მისი და ჩუენ დაგ-
უჭირდეს დიდი იგი შესაძინელი ორკემოთა ნიჭთა უხუებისანი. 5
- აწ მოვედით, ღმრთისმოყუარენო, მოყვენით ყურნი თქუენნი
და გულსმოდგინედ ისმინეთ: ესე სამგზის სანატრელი არჩილი იყო, 10
- ვითარცა უწყით, ყოველთა მეფე ქართველთა, რომელსა სრულიად
ეპყრა საზღუარნი ყოვლისა საქართველოსანი ანაკოფსით ვიდრე
დარუბანდამდე. იყო ნათესავი დიდთა მეფეთა ხუასროვანთა დი-
დისა მეფისა ვახტანგის ძეთა ძე, მეხუთე შვილისშვილი, ძე სტე-
ფანოზ მეფისა. ამისათვის ვაგსენე ნათესაობა მეფეთა და თვთმპყ- 15
- რობელობა, რაათა ამით უმეტესად² გამოვაჩინო დიდებულე-
ბა მისი, თუ ვითარ ესრეთ ნაგევად შერაცხა ესოდენნი ესე დი-
დებანი და საწუთოსა³ ამის სიმდიდრენი და სუფევანი.
- მომეცით კადნიეობა, რაათა ვთქუა რაამე მცირედი არა
უცხოოდ აღსაჩენელი თქუენისაცა გულისგმის-ყოფისა, დაღაცათუ 20
- უცხო არს ესე, რომელსა მეგულების თქუემად.
- რამეთუ რავდენნი გასმიესთ ყოველსა ქუეყანასა შინა დიდნი
იგი წმიდანი მოწამეთა საჩინონი ბრწყინვალეობანი, ვითარ იგი დი-
დებულ არიან და ქებულ ანგელოზთა და კაცთა მიერ, არამედ
მე ესრეთ ვკვონებ, ვითარმედ ესე მათ ყოველთა შორის უმეტესი 25
- თა საჩინოებითა ბრწყინავს.
- რამეთუ არა სადა სმენილ არს თვთმპყრობელთა მეფეთა მოწა-
მეობა, ვითარ ჩუენი ესე მოწამე სამგზის სანატრელი არჩილ. და-
ღაცათუ დიდნი არიან და საჩინონი სხუანი მოწამენი სასწაულთა 30
- და საკვრეველბათა მიერ ზემთა გამოთქუმისა⁴, არამედ სხუამ არს
სისხლი მეფისა და სხუამ მკედრისა, სხუამ მთავრისა და სხუამ
მონისა, არამედ რომელი იგი არს აღმწონელი და ყოვლისა გამოძ-
ძიებელი თუალუხუაუვითა⁵ მით განკითხვათა მსჯავრითა მან უწყის
ასე ყოველი, არამედ თქუენ მეორედ მელოდეთ რაითა უწინარეს-
ნი და დასაბამნი ღუაწლისა მისისანი წარმოგითხრნე⁶ და მერმე 35
- გამოგისახო დიდი იგი ღუაწლი მისი, თუ ვითარ აღირჩია ნებსით

¹ მცირედისა B. ² უმეტესად A. ³ საწუთოსა B. ⁴ გამოთქმისა B. ⁵ თუ-
ალუხუაუვითა A. თუალ-უხეთა B. ⁶ წარმოგითხრე B.

თვსით დადება თავისა თვისისა. და თვთ უწოდებულად იქმნა მსხუ-
 4 ერპლ წმიდა და საკუერთხ უბიწო და თუ ვითარ სისხლითა თვსი-
 5 თა განაშუენა/ეკლესიანი ჩუენნი და ვითარ მძლე ექმნა ხილულთა
 და უხილველთა მტერთა და სისხლითა თვისითა ყო მშუდობაჲ ქართ-
 ველთა შორის, ანუ პირველ, ანუ უკანადასკენელ.

რამეთუ ჟამსა მას ოდეს მიშუებითა¹ ღმრთისაჲთა გამოსაც-
 დელად² ქრისტეანეთა გამოჩნდა ცრუ იგი მოციქული საკინოზთა
 შორის, ბილწი იგი სჯულისმდებელი მოჰამედ, ვითარცა იტყუს
 10 მისთვის მოციქული პავლე, ვითარმედ: „ვინამთგან არა შეიწყნარე-
 სო სიყუარული³ ცხოვრებისა, ჳეშმარიტი იგი სიბრძნე მოუვლნოს
 სული საცთურებისა, რაჲთა რწმენესო მისი და მით დაისაჯნენო“.
 ესევეთარი რაჲ უკეთურებისა საცთური გამოჩნდა თანა-შეწყენითა
 ეშმაკისათა, მყის განეფინა⁴ გესლი იგი საცთურებისა მისისა მრ-
 ვალთა თესლთა შორის, რომელთაცა წმიდითა მოციქულთა ქადა-
 15 გებაჲ არა შეეწყნარა, რომელთა იგი სიტყუჲა ცხოვრებისა უქა-
 დაგეს ყოველსა სოფელსა.

ხოლო შემდგომად სიკუდილისა ცრუისა მის მოციქულისა დიხ-
 წულმან მისჲან ყრუმან, რომელსა მურვანცა ეწოდებოდა, აღიზა-
 20 ხა ყოველთა ქრისტეანეთა ზედა, ვითარცა ლომმან მძენვარემან და
 ვითარცა მწეცმან ბოროტმან და პირველად მოიწია საქართველო-
 სსა ზედა ფრიადითა რისხვითა და გულისწყრომითა დიდითა, რო-
 მელსა ყვა ლაშქართა სიმრავლე ურიცხვ, რომელსა ვერ იტევდა
 ქუეყანა ესე. მაშინ წმიდაჲ ესე ჳერეთ ჳაბუკ იყო ჰასაკითა⁴ ძმის-
 25 მისისა უხუცესისა თანა, რომელსა ეწოდა მირ, რამეთუ ორნი ესე
 ძმანი მირ და არჩილ მეფობდეს სრულიად საქართველოსა ზედა.

ხოლო მოწევნასა მას მურვან ყრუსასა ივლტოდეს აფხაზეთად,
 რამეთუ ვერვინ შემძლებელ იყო წინა-დადგომად სიმრავლისათვის
 ლაშქართასა. ამისთვის შიში დიდი მოიწია ყოველთა ქრისტეანეთა
 ზედა. ხოლო შემო-რა-ვიდა ქართლად, შემუსრა ყოველივე შეხე-
 30 ბული და სიმაგრენი საქართველოსანი და გარდავიდა იმერეთად და
 აღივსნეს ყოველივე არენი იმერთანი და ვერღარა იტევდა სიმრავ-
 ლითა. ხოლო ესე ორნი ძმანი მიივლტოდეს აფხაზეთად, და მუნ-
 შეწყუდელნი იმაღვოდეს. და უსჯულო იგი დაბანაკებულ იყო
 ეგრის წყლით ვიდრე ცხენისწყლამდე. ხოლო წმიდაჲ იგი არჩილ

¹ მიშუებითა A, მიშუებითა B. ² გამოსაცდელ A, გამოსაცდელ B. ³ სიყ-
 ვარული B. ⁴ აჰსაკითა AB.

* მომდევნო „მცირელთა ჟამთა“ გადაბაზულია A.

და შირ ევედრებოდეს ღმერთსა და უბიწოსა დედოფალსა ღმრთის-
შშობელსა, რაათა მოუვლინოს/მათ შეწევნა მის მიერი, და ივსნეს 280
იგინი ჭელთაგან მათთა. მაშინ ისმინა ღმერთმან ლოცვაჲ მართალ-
თაჲ, რომელი-იგი განშაღებულ არს შეწევნად მოშიშთა სახელისა
მისისაჲთა.

5

ღამესა ერთსა გამოუჩნდა წმიდაჲ დედოფალი ღმრთისშშო-
ბელი წმიდა არჩილს და ჰრქუა: „აღდეგ და ებრძოლე უსჯულოთა
მათ, რამეთუ ანგელოზი უფლისაჲ წინა წარგიძლუეს თქუენ და
თქუენ წილ უფალი ბრძოდის“. მაშინ აღდეგს ორნი ესე ძმანი, შირ
და სანატრელი არჩილ, მცირედითა ტაძრეულითა კაცითა და რა- 10
ოდენიმე სხუანიცა კაცნი ეპოვა მათ და მიჰმართეს მათ ზედა მინ-
დობითა ღმრთისაჲთა და შეწვევითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმ-
შობელისაჲთა და დაესხნეს¹ ღამე იგი და მონანი მისნი მათ ზედა.
მასვე ღამესა მოუვლინა ღმერთმან უსჯულოთა მათ ქარი სასტიკი
და წუმა მძაფრი, ვითარცა იგი პირველ მეგვატელთა ზედა, და აღ- 15
დეგს მდინარენი იმიერ და ამიერ და ერთმან მან მდინარემან წა-
რილო მკედრობაჲ იგი, რომელი მიერ დაბანაკებულ იყო, და მიე-
რითგან ეწოდა მდინარესა მას ცხენისწყალი და მეორემან მან
მკვრცხლი ერისა და ეწოდა მდინარესა მას აბაშა. და მათცა, რა-
ოდენი ძალ-ედვა, დაიწყეს ჯოცვად და სრვად, არამედ სიმრავლი- 20
საგან არა დააკლდა, რამეთუ მსგავს იყვნეს ფურცელთა ხისაჲთა.

ესე რა იქმნა, ვერღარა დადგეს მუნ, არამედ აღიძრნეს მუნით,
ჩავლეს გურია და წარვიდეს მისლვად სამეუფოდ ქალაქად კოს-
ტანტინეპოლედ, არამედ მუნცა რისხვითა ზეგარდამომათა ზღუასა
შინა დაინთქნეს. 25

ხოლო ესე ორნივე ძმანი მეფენი ქართლისნი მოიქცეს შშვდო-
ბით და იწყეს შენებად საქართველოსა თემთა, რამეთუ ძლიერად
განერყვნა უსჯულოსა მას.

შემდგომად ამისა წარჩედეს რაჲ ორმოცდაათნი წელნი, კუალაჲ
მოვიდა უსჯულოჲ ქიქუმი, რომელსა ეწოდა ასიმ, იგიცა ნათესავი 30
მოჰმედისნი. მანცა მოაოჯრა და შემუსრა ყოველი სიმაგრენი ქარ-
ლისანი² და ეკლესიათა იწყო ქცევად და ოჯრებად. და მიჰმართა
შესლვად კახეთად, რაჲთამცა მოაოჯრა იგიცა და უმკედრო ყო. და
იყო შიში დიდი მეფეთა და მთავართა ზედა და ყოვლისა ერისა,
რამეთუ ვერვიან შემძლებელ იყო წინა-აღდგომად. რამეთუ ვინა- v 35

¹ დაესხნენ A. ² ქართლისანი საქართველოსანი B.

მთგან განერყუნა¹ ყრუსა მას. დაღათუ გარდაეცლნეს ჟამნი მრავალნი მშუდობით, არამედ არღარა მოგებულ იყო კუალსა თვისსა.

- ხოლო წმიდამან არჩილ შემსგავსებულად² სიმწნისა და ახოვნებისა თვისისა, და უფროასად ვთქუა, კეშმარიტი ფრიადისა მის ღმრთისმსახურებისა მისისა და ცეცხლებრ მოტყინარისა მის სიყუარულისა³, რომელი აქუნდა ღმრთისა მიმართ, განიზრახა⁴ განზრახვად⁴ კეთილი, არა უმსგავსომ⁵ სიჭველისა მისისა, რამთა მივიდეს წინაშე ჰიჭუმისა და დადვას სული თვისი ესეოდნთა ქრისტეანეთათჳს მსგავსად⁶ მეუფისა, ვითარ-იგი მან დადვა სული თვისი ჩუენთს. ეგრეთვე ამან ნეტარმან ესრეთ განიზრახა და ესრეთცა ქმნა, რამეთუ მოსლუასა მას ჰიჭუმისასა, უხუცესი ძმა⁷ ამის ნეტარისა⁸, რომელსა ეწოდა მირ, ადრევე გარდაცვალებულ იყო და არა დაეტევა ძე წული და ესე იყო მონაცვალე მეფობისა მისისა. მას ჟამსა იქცეოდა აფხაზეთად ესე ნეტარი. ხოლო განზრახვად იგი 15 ესე იყო, რამთა მივიდეს და ეზრახოს მძლავრსა მას უღმრთოსა მშუდობისათჳს⁹ ქუეყანისა და დაცუვისათჳ⁹ ეკლესიათასა უენებელად და არცალა იძულებად დატევებისათჳს სჯულისა. და უკუეთუ ესრეთ არა იქმნეს, რამთა წამებისა მიერ გვრგვინთა უხრწნელებისათა შეამკოს თავი თვისი და სისხლითა თვისითა განაშუენოს ეკლესია ქრისტესი. რამეთუ იტყოდა წმიდაჲ. იგი, ვითარმედ: „უმჯობეს არს სიკუდილი ჩემი, ვიდრეღა კუალად განრყენად ეკლესიათა ქრისტესთა და ოწრებად ქუეყანისა ამის“. რამეთუ აღირჩია მსგავსად¹⁰ ქრისტესა, ვითარცა ვთქუ, სულისა თვისისა დიდებად საწსრად. ქრისტეანეთათჳს, მსგავსად ქრისტესსა და ეგრეთცა იქმნა. რამეთუ, 25 ვითარცა სისხლმან ქრისტემან, რომელი ჩუენთს დაითხია, გვწსნნა ყოველნი ჳელთაგან¹¹ ეშმაკისათა. ეგრეთვე სისხლმან ამისმან, მობაძეად მკსნელისა ჩუენისა დათხეულმან, იწსნნა მას ჟამსა ველთაგან უსჯულოსა მის მძლავრისათა და ვიდრე აქამომდე იწსნის ეკლესიათა ჩუენთა, რამეთუ ვითარცა მდინარემან დიდმან მრავალ ჟამ დაგუბებულმან და მერმე გამოშუებით ზედა მიტე- 30 ვებულმან წარიღის ყოველივე წინა-დამთხუ/ეული, ეგრეთვე სისხლმან მისმან წმიდამან ქრისტესთჳს დათხეულმან ეკუეთა რამ მძლავრსა მას უკეთურსა, წარიღო და უკუნ-აქცია უსჯულო იგი მტერი ქრისტესი და ესოდენი იგი სიმრავლე მხედრობისად მისი-

1 განერყუნა A. 2 შემსგავსებულად B. 3 განიზრახა B. 4 განძრახვად B.

5 უმსგავსო A B. 6 მსგავსად B. 7 ძმა. B. 8 ნეტარისა B. 9 დაცვისათჳს B.

10 მსგავსად B. 11 ჳელთა B.

* შემდეგ გადაშლილია „მისისა“ A.

სა. და უკუეთუმცა ესე ესრეთ არა ქმნილ იყო, სრულიადმცა¹ აღ-
ვოცილ იყო საქართველოსა შინა ქრისტეანობად, რამეთუ უმეტე-
სითა გულისწყრომითა და უმძუნვარესითა რისხვითა, უფროას
ყრუმსა მის, ესე ბორგდა ჩუენ ქრისტეანეთა ზედა და ენება მოს-
პოლვად ჩუენი

5

წარმოვიდა მიერ და მოვიდა ჰიქუმის თანა, რომელსა ეწოდა
ასიმ. და ვითარცა ცნა მოსლვად სანატრელისა ამის, განიხარა
ფრიად, აღდგა და მიეგება წინა და დიდითა დიდებითა და სიხა-
რულთა უზომოდათა შეიწყნარა და, ვითარცა შუენოდ² დიდებუ-
ლებასა მისსა, ეგრეთ პატივით მოიკითხა. და დღე იგი დაყვეს
ერთობით და აქო სიკეთე და სისრულე ჰასაქისა მისისა და უფ-
რომსად შუენიერებად პირისა მისისა. და შეუყუარდა ქცევა და
წესიერებად მისი. და დიდითა პატივითა პატივს-ცემდა. და გა-
ნუსუენებდა და ნიჭთა დიდ-დიდთა ანიჭებდა, რამეთუ ღირსცა იყო

10

სანატრელი ესე ზეშთა დიდებულებისა და პატივისა არა ხოლო
თუ ოდენ მეფობითა და გუართა სიმაღლითა, არამედ უფრომსად
შესახულებითა და ანაგებთა ბრწყინვალეებითა, და უმეტესად ქეშ-
მარიტი ითქუმოდენ, შინაგანისა სულისა ბრწყინვალეებითა და სათ-
ნოებათა სიკეთითა. რამეთუ იცის სათნოებათა სიკეთემან შეკდი-

15

მება უღმრთოთაცა, ვითარცა იგი გასმიესთ დანიელისათეს წინა-
წარმეტყუელისა, ვითარ-იგი განბრწყინდა ქალდეველთა შორის,
ეგრეთვე ესე მძღაერი დაღაცათუ უღმრთო იყო, არამედ სიკეთისა
მისისაგან და დიდებულებისა ეკდიმებოდა და პატივსცემდა და
გონებდაცა უგუნური იგი პატივთა მათ მიერ და ნიჭთა მრავალ-

20

თა აღთქმითა³ აცთუნოს ახოვანი ესე მვედარი ქრისტესი, რომე-
ლი-იგი თვთ ნეფსით თვსით უწოდებელად მოსრულ იყო, რაათა
იქმნეს მსხუერპლ წმიდად უფლისადა და საკუერთბ⁴, უბიწოა შე-
წირულ. ამისა შემდგომად იწყო ლიქნით სიტყუად მისა და ცთუ-
ნებად და აწუევდა დატევებასა/ქრისტეანობისასა და აღუთქმიდა

25

ნიჭთა დიდ-დიდთა, რაათა აცთუნოს იგი, და წინა-უყოფდა პატივ-
თა და საშუებელთა საწუთომასათა⁵ და მეფობათა და გელმწიფე-
ბათა⁶ მამა-პაპურთა, უკუეთუ იქმნეს სარკინოზ და ერჩდეს სჯულ-
სა ცრუ მოციქულისა მათისასა, რომელი ესე სმენადცა ძნელ უჩნდა
ნეტარსა მას. და არცალა თუ გონებით მოსაგონებლად, რამეთუ
გონებითა განიცდიდა კეთილთა მათ საუკუნეთა, და მიხედვიდა დი-

30

35

1 სრულიადცა B. 2 შუენოდა A, შუენოდა B. 3 აღთქმითა B. 4 საკურთბ, B.
5 საწუთომასათა B. 6 ჯელმწიფობათა A.

- დებათა და პატივთა მოუგონებელთა და მიუწოდომელთა, რომელი შეიღის მოყუარეთა ღმრთისათა და მოთმინეთა სახელისა მისისათა. და მტკიცითა გონებითა და უშიშითა სიტყუთა მიუგო და ეტყოდა:
- 5 „ნუ იყოფინ ჩემდა სმენადცა სიტყუაჲ ეგე შენი, ჰ მძლავრო, ვითარმცა დაუტევე* ქრისტე ღმერთი ცხოველი, რომელი იგი არს ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, ძე დაუსაბამოსა მამისა და თანასწორი ყოვლად წმიდის სულისა, რომელი იგი უკუ-
- 10 ანამსკენელთა დღეთა წსნისათჳს კაცთა ნათესავსა გარდამოყდა ზეცით და გორცნი შეისხნა ყოვლად უბიწოსა ქალწულისა მარიამისაგან და ჩუენგან მიღებულითა მით გორცთა სიკუდილი დაითმინა და დაეფლა და აღდგა ღმრთეებისა ძალითა და ამაღლდა ზეცად და მის თანა აღამალა ბუნებაჲ ჩუენი და კუალად მომავალ
- 15 არს დიდებითა ღმრთივ-შუენიერითა განსჯად ცხოველთა და მკუდართა და მოგებად კაცად-კაცადისა საქმეთა მათთაებრ. და უკუეთუ ვისმინო შენი, უწყოდე. ვითარმედ „შემდგომად მცირედისა მოვკუდე მეცა თქუენებრ! სიკუდილითა ბოროტითა და საკუნოდ² ვიტანჯებოდე. და უკუეთუ შენ მომკლა სახელისათჳს მისისა, მის თანაცა აღვდგე და მის თანა ვიდიდო და მის თანაცა ვსუფევდე საუკუნოდ და დაუსრულებელად“. და ესრეთ მოკლითა ამით სიტყუთა
- 20 ღმრთივ-შუენიერად გამოუსახა საიდუმლოჲ ჩუენისა ცხორებისა და განგებულებაჲ განკაცებისა მისისა და მყის განუკუეთა ნებაჲ
- 22 იგი მისი საეშმაკომ და უსიტყუელ-ყო ბილწი იგი მთავარი/და მის თანა სირცხულელ-ყო მთავარი ბნელისა³ ეშმაკი, მომპოვნებელი იგი ყოვლისა ბოროტისაჲ. ხოლო ანგელოზთა ესმა რაჲ ესე აღ-
- 25 სარებაჲ, განიხარეს და აღტყუეღვითა კელითათა აქეს განმამძლიერებელი მოწამისაჲ და შეასხმიდეს ახოვნებასა და უშიშად კადნიერებასა⁴ მოღუაწისასა, ხოლო ქრისტე თანამდებ ექმნა კადნიერად აღმსარებელსა მისსა წინაშე მეფეთა და მთავართა, რაჲთა მანცა აღიაროს წინაშე დაუსაბამოსა მამისა თჳსისა და წინაშე ან-
- 30 გელოზთა მისთა წმიდათა.

ხოლო ესმა რაჲ მძლავრსა მას უკეთურსა ყოველი ესე სიტყუანი მოწამისანი და იხილა სიმტკიცე მისი შეურყეველი, დაუკურდა ფრიად. და შესცვალა სიმშუდე მისი რისხვად და ზაკუევით⁵ მოპოვნებულნი ლიქნანი გულისწყრომად არა შეიკდიმა დიდებულე-

1 თქვენებრ B. 2 ს²კნოდ A, ს²კნდ B. 3 ბნელისა+ბნელისა B. 4 კადნიერებასა A. 5 ზაკეთ B.

* შემდეგ გადაშლილა „სჯულ“ A.

ბისაგან მისისა, არცა პატრისცა შუენიერებასა მისსა, არამედ მყის უბრძანა შეპყრობაჲ მისი და წარგზავნა იგი* საპყრობილედ მრავლითა ჳირითა და იწროებითა, რამეთუ ჰგონებდა იგი, ნუ უკუე შიშითა სატანჯველთაჲთა მოღრიკოს შეურყეველი გონებაჲ მისი, რამეთუ ღონისძიებით ისწრაფდა გარდაქცევასა მისსა. ხოლო წმიდაჲ 5 დაჲ იგი სიხარულით და არა მწუხარებით მივიდოდა¹ საპყრობილედ ჳირითა მხიარულითა, ვითარ თუმცა სასძლოდ მიიწოდებოდა და არა საპყრობილედ, და მადლობასა აღუარებდა ღმერთსა, რომელ ღირს იქმნა სახელისათჳს მისისა ესევეითარსა აღსარებასა წინაშე მეფეთა და მთავართა და მერმე მისთჳს პყრობილებასა. და ვითარცა მივიდოდა საპყრობილედ, მგზავრ ვალობდა ფსალმუნთა დავეითისთა და იტყოდა: „ღვამაღლო შენ, უფალო, რამეთუ შემევედრე მე და არა ახარე მტერთა ჩემთა ჩემ ზედა“. და ვიდრე დასრულებადმდე სრულ-ყო ფსალმუნი ესე და შე-რა-ვიდა დილეგსა მას ბნელსა, იწყო უმეტესითა გულსმოდგინებითა ლოცვად და ვედრებად ღმრთისა მიმართ, რაჲთა არა მოუძღურდეს აღსარებისა მისგან და სრულ იქმნესცა წამებაჲ მისი და ითხოვდა შეწევნასა მის მიერსა, რაჲთა მრავლითა მით მოწყალებითა მისთა ღირს-ყოს ნაწილსა მკედრობისა წმიდათა თანა სუფევასა შინა დაუსრულებელსა, რომელთა იგი სიკუდილითა სანატრელითა უკუდაგებაჲ² მოიგეს. კუალად იხარებდა იგი სულითა და მადლობდა ღმერთსა და უფროჲს პალატთა სამეფოთა განისუენებდა მას შინა მხიარულებით შეკრული ჳელით და ფერჳით ჳაჳჳთა მრჩობლითა და ეციონოდა უსჯულოჲსა მის სიციბილსა და ჳნატრიდა აღსასრულსა მართალთასა და ლოცვიდა მიმდემად და ზედამსზედა, რაჲთა არა და-იხრწიოს მტერისა მიერ ბოროტისა წინამდებარე იგი ღუაწლი მისი, არამედ მოწამესა ძალი მალლისა ზეგარდამო ფარვიდა და მკლავი უფლოსაჲ შეეწეოდა და განაძლიერებდა, ხოლო საპყრობილესა მას შინა ზეგარდამოჩუენებანი და ანგელოზთა ხილვანი და ნუგეშინისცემანი და განძლიერებანი ჟამთა მიმყოვრებითა ჩუენგან ზედა-მიწეენით უსმენელ იქმნა.

ხოლო მძლავრი იგი ბოროტი განიზრახვიდა³ ფრიად. თუ ვითარ რომლითაცა ღონითა მიაქციოს სჯულსა მისსა, რამეთუ არა ენება სიკუდილი მისი შუენიერებისათჳს ხატისა მისისა და სიმაღლისათჳს და სისრულისა ჳასაკისა მისისა, რამეთუ კორცთმო- 35.

¹ მივიდოდ A. ² უკვდავება B. ³ განიძრახვიდა B.

* „იგი“ ჩამატებულია გადაშლილი „ბრძანა“-ს მაგივრად A.

ყუარე იგი და მსგავსი¹ პირუტყუთა უგუნურთა ჳორციელად განიზრახვიდა² და პირუტყულად ხედვიდა და გარეშე ჳორცთა ფერონებასა აქებდა და დაუჳკრდებოდა ყუავილოვნებაჲ იგი სახისა მისისაჲ. და ყოვლადვე უმეცარ იყო უგუნური იგი შინაგანსა მას

5 შუენიერებისა სულისა მისისასა, რომლისა სიკეთესა წინაწარმეტყუელი განჳკრვებით იტყოდა: „უფალო, ეც სიკეთესა ჩემსა ძალი“. ამის სიკეთისათჳს იღუწოდა ახოვანი იგი, რაჲთა უბიწოდ დაუმარხოს უკუდაესა მას სიძესა, რაჲთა მის თანა სუფევედეს სასძლოსა მას ზეცისასა და მის თანა გამობრწყინდეს, ვითარცა მზე აღთქუმისა³ მისებრ უტყუველისა სასუფეველსა მამისა, მათისასა, და

10 ცხორებჲჲ ესე წარმავალი და დიდებჲჲ და სუფევაჲ ქუეყანისა, ვითარცა მტუერი, განეყარა და არარად შეერაცხა.

მაშინ უკუე წარმოდგა მთავარი ერთი გარდაბანელი, მიქცეული სარკინოზად, წინაშე ასიმისა, რომლისა მამის ძმაჲ მისი მო/ეკ-

285 ლა წანართა და მკლველნი იგი მისნი განერიჩნეს მშჳღობით ჳაპასა არჩილისასა, აღარნასე მეფესა. ამისთჳს უკუე შური იგო გარდაბანელმან მან მთავარმან უკეთურმან და ჳრქუა ასიმს: „არა უწყია, დიდებულო მთავარო, თუ ვინ არს ესე არჩილ? ესე არს ძე სტეფანოზ მეფისა, ნათესაჲი დიდისა მეფისა ვახტანგისი, რომელი იყო

20 შვილისშვილი მირიან მეფისა, ძისა ქასრესი⁴, მეფისა მის სპართასა. და ესე იყო მამისა თჳსისა თანა, რაჲამს-იგი დაჳფლვიდეს საგანძურთა სამეფოსა ქართლისასა. და იგიცა ყოველივე იცის, რომელ ჳერაკლე⁵ მეფემან ბერძენთმან დაფლა საგანძური თჳსი, რამეთუ ჳერაკლეცა⁶ უჩვენებდა სადა-იგი დაჳფლვიდეს“.

25 ჳ უსჯულოსა მას შემასმენელისა, ჳ ბოროტსა მას განმზრახსა⁷. ვითარ ემსგავსა იუდას განმცემელსა და არა ჳრცხუენოდა პირველისა მის თჳსისა განდგომილებისაგან და მერმე სჯულისა უარსყოფისათჳს. და იქმნა იგი შინა-განცემელ, არა შეიკდიმა პატიოსნებისაგან მისისა და ესევითარისა მის კეთილისა პატრონისა თჳსისა

30 და არარაჲს მავნებელისა და ესრეთ აღსძრა მის ზედა მძლავრი იგი უსჯულო და აღსჳურა სიკუდილად მისა. დაღაცათუ მას ნეტარსა ფრიადითა წადიერებითა აღრევე სუროდა სიკუდილი ქრისტესთჳს, რაჲთამცა აღრე მიემთხვოს სასურველსა თჳსსა, არამედ, ვაჲ მისთჳს, რომლისა მიერ მოვიდეს საცთური სიტყუსაებრ უფლისაჲ.

35 ესმა რაჲ ესე ყოველი ასიმს გარდაბნელისა მიერ, ჳულად

1 მსგავსი B. 2 განიძრახვიდა B. 3 აღთქმისა B. 4 ქასრესი B. 5 ჳერაკლე B. 6 ჳერაკლეცა B. 7 განძრახსა B.

მოუწოდა წმიდა არჩილს საპყრობილით და წარმოადგინა წინაშე თვისა და ესრეთ ეტყოდა: „პირველ თულ-გახუნ¹ სიკეთისათვის შენისა, რამეთუ ფრიად-ქმნულ-კეთილ ხარ, ხოლო აწ მითხრეს შენთვის, ვითარმედ შეილი ხარ დიდთა მეფეთა ხუასროვანთა და, ვინაჲთგან ესე მეუწყა შენთვის, აწ უმეტესად განსდიდნე ჩემ წინა- 5
შე, უკუეთუ ისმინო ჩემი, და იყოს ყოველი სამეფომ შენი შენდა-
ვე და საგანძურნიცა მამათა შენთანი მივანიჭუნ შენვე, არამედ მი-
ჩუნენ/პირველად საგანძურნი მეფეთა ბერძენთანი, რამეთუ შენ უწ- 4
ყნი ყოველი, ოდეს ჰერაკლე² მეფემან შემუსრა³ სპარსეთი და სა-
განძურნი იგი მიერ მოხუმლული დაფლნა საქართველოსა შინა. აწ 10
!ოიქეც სჯულსა ჩემსა და იქმენ სარკინოზ და სპასალარ გყო შენ
ერთა ზედა ურიცხუთა და მეფე და უფალ ყოველსა საქართველოსა
ზედა“.

და სხვთა მრავლითა ლიქნითა ეტყოდა და კუალად ნიჭთა და პატივთა დიდ-დიდთა აღუთქუმიდა⁴. და ფრიად აიძულებდა წმიდასა 15
მას უარის-ყოფად ქრისტესა და დატევებად სარწმუნოებისა.

მამინ მიუგო წმიდამან არჩილ და ეტყოდა: „უწყოდე მტკი-
ცედ. მ მძლავრო, ვითარმედ არა დუტეო უფალი ღმერთი ჩემი, არცა უარ-ვეოთ⁵ სახელი ქრისტესი, არცა განვცილო წარუვალი იგი დიდებამა წარმავალისა ამის და ცუდისა დიდებისათვის, არცა განვ- 20
სცვალო საწუთომასა⁶ ამის ცხორებისათვის საუკუნომ იგი ცხორე-
ბამ და მეფობისათვის ქამიერისა უქამომასა მისთვის ქრისტეს თანა
მეფობისა და სუფევისა. ხოლო საგანძურთა მათთვის, რომელსა ეძი-
ებ ჩემგან, უწყოდე, ესეცა მტკიცედ, რამეთუ მცირე ვიყ:ვ ჰასაკი-
თა, ოდეს-იგი განვლო ქუეყანამ ესე ჰერაკლე⁷ მეფემან. ხოლო 25
მამამან ჩემმან და ძმამან ჩემმან დასხნეს ყოველნი საგანძურნი მათ-
ნი ციხესა მას, სადაჲთ-იგი შეიქცა ყრუჲ ამირა, და აწ აქუსთ ცი-
ხე იგი ბერძენთა“. შერმე მიუგო ასიმ და ჰრქუა წმიდასა მას: „შენ
უკუე იყავა დაცემასა მას სარკინოზთასა აფხაზეთს შინა?“ მიუგო
წმიდამან არჩილ ბრწყინვალითა და მალლითა კმითა: „ღმერთმან 30
ცხოველმან, რომელი არს შემოქმედი ცათა და ქუეყანისამ, რომე-
ლი-იგი მოვიდა ზეცით ქუეყანად კნისისათვის კაცთამსა და სი-
კუდილითა თვისითა მოკლა მკულელი ჩუენი და ჩუენ მოგუანიჭა უკუ-
დავებამ, მან უკუე ძლიერმან და ყოვლისა შემძლებელმან დასცნა
და შემუსრნა ივინი“. 35

¹ თულ-გახუნ A, თულთ-გახუნ B. ² ჰერაკლე B. ³ შეპუსრა A. ⁴ აღუ-
ქმიდა B. ⁵ უარ-ვეო B. ⁶ საწუთროსა B. ⁷ ჰერაკლე B.

ესმა რაჲ ესე უსჯულოსა მას, აღივსო გულისწყრომითა¹ და-
უპყრობელითა, არღარა სიმშდით პირველისაებრ და ლიქნით ეზ-
რახა², არცალა აღთქმითა³ და ქადებითა ნიჭთა და პატივთაათა,
284 არამედ მკსინვარედ და საზე ბოროტებით მიუგო წმიდასა მას.

5 „ვინაჲთგან არა გნებავს ცხორებამ თავისა შენისა და უმჯობესი შე-
ნი და მოკუდავისა მიმართ დაგიც სასოებამ, ჯერარს, რაჲთა შენცა
მოკუდე⁴ ბოროტად“. მაშინ აღივსო სამგზის სანატრელი სიხარუ-
ლითა და მიუგო ვმითა მალლითა და ჰრქუა: „მეყავნ მე და ყოველ-
თა მეგობართა ჩემთა სიკუდილი ჩუენთვის მომკუდარისა მისთვის
10 მეუფისა, რაჲთა მისთანაცა ვსუფევედეთ“. მაშინ ბრძანა უსჯულო-
მან წარკუეთა თავისა მისისამ.

და ესრეთ უმსჯავროდნანსცა მისთვის სიკუდილისა განჩინებამ,
არა ჰრიდა სიკეთესა მისისა, არა შეიკდიმა დიდებულებისაგან წარ-
ჩინებულებისა მისისა. განიყვნეს გარე ტარიფი იგი ქრისტესი, ნებ-
15 სით⁵ მოსრული იგი საკუერთხი შესაწირავად უფლისა⁶, რაჲთა შე-
იწიროს სულად სულნელად⁷ საკურთხეველსა მას ზეცისასა. და გა-
მოვიდა პირითა მხიარულითა, ვითარცა სასძლოდ მიმავალი და არა
თუ სიკუდილად. და ეგრეთცა ჯერ-არს თქუმად, რამეთუ ზეცისა
სასძლოდ მიიწოდებოდა ქრისტეს თანა სუფევად და დაუსრულებე-
20 ლად მეფობად და ბრწყინვიდა პირი მისი, ვითარცა პირი ანგელო-
ზისამ.

მაშინ მცირედ დრო ითხოვა, რაჲთა ილოცოს. და ვითარცა დრო
სცეს, მოიდრიკნა მუჯლნი და ცრემლით იატაკსა ღაალტობდა. და
მერმე ჳელნი აღიპყრნა ზე და დიდად მადლობასა აღუარებდა მე-
25 უფესა, რომელ ღირს იქმნა ესევეითარსა აღსარებასა სახელისა მი-
ჯისათვს და სიკუდილსა⁸ და ილოცა დაცვისათვს ეკლესიათასა და
ისაქართველოსა შინა გაძლიერებისათვს ქრისტეანობისა. და მერმე
ილოცა მეუღლისა და შეილთა თვსთათვს, რაჲთა სარწმუნოებასა
შინა ქრისტესსა დაემტყიცნენ, რამეთუ ორნი ძენი ესხნეს ამას ნე-
30 ტარსა და ორნი ასულნი და ივინი პირველივე შეპვედრნა სარწმუ-
ნოთა კაცთა. და კუალად ილოცვიდა და იტყოდა: „უფალო ღმერ-
თო, რომელნი აჯსენებდენ ღუაწლთა ჩემთა და სახელითა ჩემ ცოდ-
ვილისა მონისა. შენისათა გევედრებოდიან, აღუსრულე ყოველი

¹ გულისწყრომითა B, ² ეძრახა B, ³ აღთქმიდა B, ⁴ მოკედე B, ⁵ უმეაროდ A, ⁶ ნეფსით B, ⁷ უფლისამ B, ⁸ სრულნელად B.

* „სიკუდილსა“ შემდეგ გადაშლილი „მისთვის“ A.

კეთილი თხოვად მათი და აღავსენ იგინი უხუებითა კეთილთა ნიჭ-
თა შენთადათა¹. და მერმე ილოცვიდა და მჭურვალედ ევედრებოდა, v
რამთა ღუაწლი მისი სრულ-ყოს და აღრაცხოს სრულთა წმიდათა
თანა, რომელთა მისთვის სიკუდილი თავს იდევს, და რამთა ღირს
იქმნეს გვრჯენსა ზეცისა ჩინებისასა. და ვითარცა სრულ-ყო ლოც- 5
ვაჲ იგი, აღდგა ზე და მერმე წარუპყრა ქედი თვისი და უბრძანა,
რამთა სრულ-ყონ ბრძანებული მათდა.

ხოლო მტარვალთა აღმაღლნეს მარჯუენე მათი და უხეთქნეს
ქედსა მახვლითა და ესრეთ წარკუეეთეს თავი იგი ღმრთივ-შუენიე-
რი თუესა მარტსა ოცსა. და აღვიდა უკუდავსა მას ცხორებასა, სა- 10
და იგი ბრწყინავს ნათელი თუალთშეუდგამი და მვედრობანი
უჯორცოთანი დაუცხრომელითა ვმითა ლაღადებენ სამგზის წმი-
და გალობასა, სადა იგი არს სიხარული გამოუთქუმელი¹, შუება
დაუსრულებელი, დიდებად მოუგონებელი და სიმდიდრე დაულევ-
ნელი და ოხრაჲ დღესასწაულთა მოუკლებელი, სადა იგი სუფევენ 15
გუნდი წმიდათა მოციქულთა და წინაწარმეტყუელთანი, სადა იგი
ზადიკობენ მღღელთ-მოძღუართა და მამათა სიმრავლენი და წმი-
დათა მოწამეთა აღურიცხული² მვედრობათა ბრწყინეალებანი და
ღმრთივ-შუენიერად განსცხრებიან, მუნ შეერთო და მუნ იხა-
რებს და მუნ იშუებს ძელითა მით ცხორებისათა და აღივსების 20
სიტკბობითა მით მიუწდომელითა და ხედავს პირსა ქრისტესსა
უსაზღვროსა³ მას შუენიერებასა და ზეშთა ყოველთა სიკეთეთასა
და განიცდის დიდებასა მას მოუგონებელსა წმიდისა და განუყო-
ფელისა სამებისა ერთღმრთეებისასა თვნიერ საკისა და სახისა და
სხუათა მათ მოუგონებელთა კეთილთა შინა იშუებს და განსცხრე- 25
ბის, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თვსთა, რომელი
თუალმან არა იხილა, ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მო-
უჯდა და ჩუენთვის ჰყოფს მეოხებასა წინამე მეუფისა, რომელნი
აღვასრულებთ სურვილით დღესასწაულსა მისსა.

ხოლო, ვითარცა აღესრულა ღუაწლად შემოსილი იგი მოწამე, 30
მას ლამესა მოვიდეს⁴ გოდერძიანი იგი ტბელნი და მათ თანა სხუ-
ანიცა აზ/ნაურნი მამანი⁵. და იღუმალ აღიღეს გუამი წმიდისა არ- 35
ჩილისნი, წარმოიღეს და შემურნეს [და] დიდთა პატივითა დაკრ-
ძალეს საფლავსა შინა სოფელსა ნოტოკრას, მის მიერვე აღმენ-
ბულსა ეკლესიასა. ხოლო ცოლმან ამის ნეტარისამან უბოძა სოფ- 35

¹ გამოუთქმელი B. ² აღურაცხელი B. ³ უსაზღვროსა B. ⁴ მოვიდნეს B.
⁵ მამიანი AB. ⁶ შევამსხმელთ A.

ლები კახეთს შინა სამკვდრებელად, რომელთა მოელო გუამი წმიდისა მოწამისა არჩილისნი.

- 5 ხოლო აწ ჩუენცა, მორწმუნენო, ვადიდებდეთ ლუაწლითშემოსილსა ამას მოწამესა და სიმჴნეთა და ახოვნებათა მისთა შევაგმხმიდეთ და უფროასად განმამძლიერებელსა მისსა და გვრგუნოსან მყოფელსა მოწამეთასა, ქრისტესა თაყუანის-ვსცემდეთ, რომელმან ესრეთ ადიდა მოწამე თუსი. და ესრეთ ბრწყინვალედ გვრგუნოსან ყო. ჩუენცა შეეზაოთ სურვილი სურვილსა მისსა და გულსმოდგინებად გულსმოდგინებასა მისსა და სიყუარული სიყუარულსა მისსა თანა, რომელი აჩუენა ღმრთისა¹ მიმართ, რაათა ჩუენცა ვოდიდნეთ მის თანა. და უკუეთუ ესე არა იქმნეს, ესეცა დიდ არს, უკუეთუ ვიხილოთ შუენიერებად იგი წმიდათა და ჩუენცა გუაქუნდეს რამე ნაწილი მათ თანა. დაღაცათუ არავინ გვაიძულებდეს წამებად, არამედ წინა-აღუდგეთ ეშმაკსა, რამეთუ მარადის გუაიძულებს უარისყოფად ქრისტესა საქმეთა მიერ ბოროტთა, მოვაკუდინნეთ ასონი ქუეყანისანი, დავთრგუნნეთ გულისთქუმანი ბოროტნი და გემონი საწუთოსანი², შეურაცხ-ყვენეთ ანგჳარებისა მძლავრებად და ვეცხლისმოყუარებისა სურვილი, მოვიმადლოთ ღმერთი მიცემითა გლახაკთაათა და შემოსითა შიშუელთაათა³, მოვიგოთ სიყუარული უზაკველი, რაათა ჩუენცა შემიყვარნეს უფალმან ტკბილმან და სახიერმან და გუადიდნეს წმიდათა თუსთა თანა, რამეთუ უმურველ არს მადლი მისი, რომელნი ხადიან მას და რომელნი ხადიან მას კეშმარიტებით, რამეთუ მისი არს დიდებად და პატივი დიდ შუენიერებად და დიდ გონიერებად უფალსა ჩუენსა და
- 20 ღმერთსა იესუ ქრისტესა ძესა ღმრთისსა თანა დაუსაბამოათ მამით მისით და ყოვლად წმიდით სახიერით და ცხოველსყოფელით სულითურთ. აწდა მარადის და დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა უკუნისამდე, ამინ.

¹ ღმრთისად AB. ² საწუთოსნი A, საწუთოსნი B. ³ შიშუელთად A, შიშუელთაათა B.

და ნ ა რ თ ი |

ბაბრიელ მცირე

ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა და ნებარისა	108
მამისა ჩუენისა ¹ ხემოხან ² ონისიფორესისა ³ .	
გვაკურთხენ მამათ	5

ღმერთმთავარმან სულმან ქეშმარიტებისამან, რომელი იტყო-
დის ჩუენ⁴ შორის, ვითარცა მომცეს⁵ პირი და სიბრძნე, ეგრეთცა
აღწერო⁶ ღვაწლი წინამდებარისა ამის ღირსისა კაცისა, რამეთუ,
რომელნი სათნოდ ღმრთისა გამოხინდეს, სახელები მათი დაიწერა
ცათა შინა წიგნსა მას ცხოვრებისასა და ჩუენცა ქუეყანასა⁷ ზედა 10
არა უღებ-უყოთ⁸, რათა არავინ სთქუას⁹, ვითარმედ: „პირველნი
მამანი მხოლოდ გამოხინდეს¹⁰ ძლიერად მოღვაწენი და ჟამთა ამაჲ:
ჩუენთა არავის ძალ-უძს“ და უღებებად მოვიდეს. არამედ იგივე
ღმერთი არს და იგივე სახარება იქადაგების და მათებრივე კორც-
ნი გვმოსიეს, დაღათუ ოდენ ვინ მოუხდეს გულითა ქეშმარიტთა 15
მაცხოვარებასა ღმრთისასა, ვითარცა ესერა ისმინეთ.

იყო კაცი აზნაური ქუეყანასა ქართლისასა და სახელი მისი
ოთარ. ესე იყო მდიდარი ფრიად და/ესუა ცოლი სახითა ქმნულ- 104
კეთილი და შვილნი შესაბამ მისსა, მონანი და მხევალნი, აგარაკი
და ხუასტანგი უხეებით. 20

და აქუნდა უაღრესი სიმდიდრე სულისა — სტუმართმოყვა-
რებაჲ, უცხოთშეწყნარება, გლახაკთმოწყალებაჲ და ყოველთა ჭირ-
ვეულთა ნუგეშინისცემა. და სადაცა იხილნის მონაზონნი, ეგრეთ
ჰგონებენ, ვითარცა თვით ნათლისმცემელი იხილა და შეიყვანის
იგინი სახიდ თვსად და დაბანის ფერკნი და განუსვენებნ კეთილად 25
და ჰკითხავენ მათ მეტყველი: „პატიოსანო მამანო, მარქუთ მე,
ვითარი არს მეუღბნოეთა მონაზონთა ცხოვრება“? და ვითარცა ის-
მინოს მათგან, თვითცა მობაძავ იქმნის მათდა, რამეთუ შინაგან
კვართისა შთაიცვის ძაძაჲ, ხოლო გარეგან შეიმოსის ფეროვანი სა-

1 ჩუენისა B. 2 (ქემოხან A. 3 ონისიფორესი AB. 4 ჩუენ B. 5 მომცეს
მე B. 6 აღწერო A. 7 ქუეყანასა B. 8 უღებ-უყოთ B. 9 თქუას B. 10 გამოხინ-
დეს B.

* ხელნაწერი: ბოლდუს № 8 (Rr XVIII, 2 (XVIII ს.) B: II—436 (XVIII ს.).

მოსელნი და იმარხვენ იგი და ილოცავენ და ევედრებინ ღმერთსა,
რათა ღირს ჰყოს იგიცა ცხოვრებასა მონაზონთასა.

- 195 და იყო დანერგულ გულსა შინა მისსა სიყვარული ღმრთისა:
„ვითარცა მარცუალო² მღვდლისა და დლითი-დღედ³ სათნობათა.
5 წარმატებითა აღორძინდა იგი და იქმნა ხე დიდ ვიდრემდის მოვიდენ⁴
მფრინველნი ცისანი და დაადგარეს⁵ რტოთა მისთა“. ესე იგი არს,
მოვიდენ ანგელოსნი⁶ ღმრთისანი და დაიბანაკეს გარემოს მოშიშ-
თა მისთა.

- ხოლო მან ესრეთ⁷ აღტრფობილმან სურვილითა ღმრთისათა
10 ვერღარა თავსიდვა ამბოხება სოფლისა ამის და ჰრქჳა⁸ სჯულიერ-
სა მეუღლესა თვისსა: „დედოფალო ჩემო, კეთილად უწყი, ვითარ-
მედ ყოველივე სიხარული სოფლისა ამის მივიღეთ. აჰა, სიკუდი-
ლი⁹ მოწევნულ არს ჩუენდა და მართალმსაჯული¹⁰ უფალი ახლოს
არს. აჲ მნებაეს მე უარისყოფა¹¹ სოფლისა და შედგომა ქრისტე-
15 სი. ამის პირისათვის ვითხოვ კეთილ მორწმუნეობისაგან¹² შენისა¹³,
რათა შენდობა მოვილო თქუენ ყოველთა¹⁴ მიერ და მოტყევა-
ბრალთა ჩემთა ნებსითთა და უნებლიეთთა“.

- ხოლო კეთილად გულისკმისმყოფელმან დედაკაცმან არა ჰსცა¹⁵
196 დაბრკოლება კეთილისა აღრჩევისაგან/, არამედ მისცა მას შენდობა-
20 ველითწერილით, დუმელსა¹⁶ ცრემლითა დამალტობელი ქარტისა..

- ესე რა მიიღო, წარმოემართა ოთარ ქალაქად ტფილისისა და.
თანა ჰყვენეს¹⁷ ორნი უხუცესნი ძენი თვისნი, ხოლო მუნ ყოფასა მის-
სა აქმნია სამოსელი სამონაზონო ყოვლითურთ და განვიდა ქალა-
ქით, ძეთა თვისთა ამბორს უყოფდა მეტყველი:¹⁸ „შვილნო ჩემნო
25 საყვარელნო, ესე არს დღე აღსასრულისა ჩემისა, ესე არს მიცვა-
ლებამ ჩემი და ესე არს უკანასკნელი ამბორის-ყოფამ თქ[უენ]ნი²⁰
და იყვენით მშვიდობით უფლისა მიერ“.

- ხოლო იგინი აღივსნეს ცრემლითა მდულარითა და დავარდეს.
ფერჯთა ქვეშე მისთა და ეტყოდეს: „რამ არს საიდუმლო ესე და-
30 ფარული, რომელი არა გვიცნობიეს აქამომდე, პატიოსანო მამაო?
ჩვენცა ფერჯთა ქვეშე მოკუდებით და არა სადა განგეშორებით,
თუ დაგვიტყევა²¹ ჩუენ ობლად“. ხოლო იგი ჰლოცვიდა და ეტყო-
197 და: „მამა თქვენი ღმერთი არს, რომელ არს ცათა შინა/, მას

1 დ-ისა AB. 2 მარცალო B. 3 დლითი-დღე B. 4 მოვიდეს B. 5 დაადგარეს
B. 6 ანგელოსნი. B. 7 ესრეთ—B. 8 ჰრქჳა B. 9 სიკვდილი B. 10 მართალ-მსაჯუ-
ლი B. 11 უარ-ყოფა B. 12 მორწმუნეობისა B. 13 შენისა] თქვენისაგან B. 14 ყო-
ველთა—B. 15 სცა B. 16 დუმელთ B. 17 ჰყვენდა B. 18 ~ სამონაზონო სა-
მოსელი B. 19 მეტყველი] და ეტყოდა B. 20 თქუენი—B. 21 დაგვიტევა B.

ჰმსახურებდეთ სიმართლით¹ და იყვარებოდეთ² ურთიერთას³ და პატივსცემდით შობელსა თქვენსა დედასა, რათა დღეგრძელ იყვნეთ ქუეყანასა ზედა და თქვენცა პატივცემულ იქმნეთ შვილთა თქვენთაგან⁴.

ესე⁵ რა ესმათ⁶ მათ, უკუმოიქცეს⁷ ცრემლითა და გლოვითა, ხოლო იგი წარემართა გზასა თვისსა და მიიწია მონასტერსა წმიდისა დავით გარეჯისასა⁸. და იყო მას ჟამსა მოურნე და მამა მის მონასტრისა კაცი გულითადი ღმრთისა არხიმანდრიტი გერმანე. ვითარცა იხილა წინამძღვარმან ესე მომავალი მისდა, შეიწყნარა⁹ კეთილად და პრქუა კრებულსა თვისსა, ვითარმედ: „კაცი ესე დიდსა საზომსა მიწევნად არს, რამეთუ აწვე გამოსვლევით¹⁰ სოფლით აღუსრულლებიეს სიტყვა წმიდისა¹¹ სახარებისა, რომელსა ბრძანებს¹² უფალი¹²: „რომელმან დაუტეოს¹³ სახლი ანუ ცოლი ანუ შვილნი, ანუ აგარაკი სახელისა ჩემისათვის, ას წილად მიიღოს და ცხოვრება საუკუნო დაიმკვიდროს“. და ნუ ჰგონებთ და იტყვით, ვითარმედ კაცი ესე გარდასრულ არს ჟამსა სიჭაბუქისასა/, რამეთუ კულად ბრძანებს¹⁴, ვითარმედ მრავალნი იყვნენ პირველნი უკანა და უკანანი წინა“.

და¹⁵ ყოვლად ღირსმან არხიმანდრიტმან არა მრავალთა დღეთა შემდგომად აღკვეცა და შემოსა მას სახე ანგელოსთა მობაძე-ვობისა¹⁶ და უწოდა სახელად ონოფრი¹⁷ და შერთო იგი მწყობრსა მონაზონთასა და აღრაცხა ძმათა შორის.

ხოლო იგი ნეტარი¹⁸, დამმარხველი მცნებათა¹⁹ მოძღვრის-თვისისათა²⁰, შევიდა ასპარეზსა მოღვაწებისასა, რამეთუ²¹ აქუნდა სიმდაბლე ფრიადი, მორჩილება — უცილობელი და შრომა დაუტევებელი მოღვაწებისა.

და²² ყოვლად ბრძენი არხიმანდრიტი ჰხედვიდა²³ რა ყოველსა ზედა გულსმოდგინებასა მისსა და წადიერად აღსრულებად წესსა მონაზონებისასა, მოიხსენა სიტყვა იგი²⁴ კლემაქსისა²⁵ შინა წერილი, ვითარმედ: „თანა-აძს მწყემსსა, რათა უძიოს მოწაფეთა თვსთა

1 სიმართლით B. 2 იყვარებოდით B. 3 ურთიერთარს B (ყოველთვის). 4 ეს B. 5 ესმა B. 6 უკმოიქცეს A. 7 გარჯისასა B. 8 შეიწყნარა+იგი B. 9 გამოსვლით B. 10 წმინდისა B. 11 ბრძანებს] იტყვის B. 12 უფალი B. 13 დაუტეოს B. 14 ჰბრძანებს B, ბრძანებს+უფალი B. 15 და] ხოლო B. 16 მობაძეობისა] მონაზონობისა B. 17 ონოფრი AB. 18 ნეტარი B. 19 მცნებასა B. 20 თვისისასა B. 21 რამეთუ] და B. 22 და] ხოლო B. 23 ხედვიდა B. 24 იგი B. 25 კლემაქსა A.

მიზეზი გვირგვინოსნებისა¹, რაზომცა შემძლებელ იყვნეს² თავს დებად³.

და ამის ჰირისათეს ოდესმე ეკლესიისაგან³ ექსორია/ჰყვეს⁴,
 100 მრავალგზის განხადის უქუმელად ტაბლისაგან, ოდესმე მონასტრი-
 5 თცა⁵, თვინიერ ყოვლისა⁶ ბრალისა, რამეთუ გამოსციდიდა მას და
 გვირგვინსა მოთმინებისასა უთხზვიდა. ხოლო იგი უდრტვიწველად
 შეკრულნი სიყვარულითა მწყემსისათა სიყვარულისათეს ქრისტე-
 სისა შეუერდის ფერჯთა მხურვალითა ცრემლითა და ითხოვინ მო-
 10 ტევებასა და ეტყვიან: „შემინდევ სახიერო მამაო, რამეთუ შევს-
 ცდეთ“.

ესენეტარი ონოფრი, თვით შშვიდი და მყუდრო, ვითარცა იყო
 მოყვარე მყუდროებისა, მარადის ილოცავნ მყუდროებასა შინა და-
 მისასა და განთიად⁷, შემდგომად ცისკრისა⁸ გალობისა, განვიდის
 მონასტრით ვიდრე ორ⁹ უტევეან, და არს მუნ ხევი რამე¹⁰ და ხე-
 15 სა მას შინა სენაკი მყუდროდ, რომელ არა რამ ისმოდა¹¹. არცაღა
 თუ ვჰმახ სირისა, და მუნ დასჯდის დღე ყოველ და იკითხავნ ფსალ-
 მუნსა, გულისჴმის-ყოფითა იგლოვენ¹² და სტირან¹³ გარდასულთა
 ჟამათთეს და ჰყვის მეტანია შრომისათეს ჴორცთასა. და დარეკასა¹⁴
 200 მწუხრისასა კულად მოვიდის მონასტრად და შევიდის ეკლესიად¹⁵
 20 გულითა შემუსრვილითა და სულითა დამდაბლებულითა და მწუხრი-
 თი-მწუხრად მცირედ საზრდელი მიიღის და იგიცა ლიტონი პური
 და წყალი და მრავალგზის იმარხის ორ-ორით და ოდესმე სამ-სამით
 და ჟამსა დიდმარხვისასა¹⁶ ხუთეულიცა¹⁷ გარდავლის უქმელად.

ესევეითარითა სათნოებითა შექჴრვილი და მორჩილებითა მა-
 25 მისათა განვიდა სტადიონად ბრძოლად სულთა მათ მიმართ უქე-
 თურებისათა, რომელნი არიან ცასა ქვეშე და შთაიგლო თავი თესი
 ლაკვასა, მას კლდისასა, რომელი შორავს მონასტრით ვითარ სამ¹⁸
 უტევეან, და იყოფოდა მუნ ფიცხელითა მოღვაწეებითა ორმეოც დღე
 და ორმეოც ღამე. გამოიყადებოდა ეშმაკისაგან, ხოლო სულთა მათ
 30 ბოროტთა არამცირედი ბრძოლა აღადგინეს მის ზედა, გარნა¹⁹
 მხნემან²⁰ მან²¹ ძლიერებითა ჴუარისათა უკუნ-აქცივნა მანქანებანი
 201 მათნი და დასცა უძლური იგი ძალი მათი. და ესრეთ/სრულმყო-

¹ გვირგვინოსნობისა B. ² იყვნენ A. ³ ეკლესიისაგან A. ⁴ ყვის B. ⁵ მონას-
 ტრით B. ⁶ ყოვლისავე. ⁷ განთიად] განდიად B. ⁸ ცისკრის B. ⁹ ორ] სამ B.
¹⁰ რამე B. ¹¹ ისმის B. ¹² იგლოვდა B. ¹³ ტიროდა B. ¹⁴ აღრეკასა B.
¹⁵ ეკლესიად A. ¹⁶ დიდმარხვისასა] მარხვისასა B. ¹⁷ ხუთეულიცა] შეიღვეული-
 ცა B. ¹⁸ სამ] ორ B. ¹⁹ გარნა] არამედ B. ²⁰ მხნემან — B. ²¹ მან — B.

ფელი ორმოცისა მოიქცა მონასტრად ბრწყინვალითა გვირგვინითა.

ამისა შემდგომად ვევერა ღმრთივ სულიერსა მამასა, რათა ველ-ჰყოს სხუასაცა მოღვაწეებასა აღსრულებად და, ვითარცა მიიღო ბრძანება, შეაყენა თავი თვისი სენაკსა¹, რომელი არს წმიდისა დავითის საფლავისა² შთასავალისა³: საშუალ, სენაკი ბნელი და ყოველად უნათლო, და დაჰყო მუნ დაყუდებულმან უმრავლესითა ღვაწლითა ორმოც დღე და ორმოც ღამე. ხოლო სატანა იგი, ვითარცა არს მთავარი ბნელისა, განძლიერდა სიბნელესა მას შინა და მოიმარჯვნა⁴ ყოველნი მანქანანი და წარმოაცარიელნა⁵ სამსაღანი თვისნი მის ზედა, გარნა იგი ეგო უმტკიცეს ანდამატისა შემოსილი სიმდაბლითა, გარემორტყმული⁶ მორჩილებითა და გოდებით მგლოვარე ხსენებითა სიკუდილისათა. ესრეთ რა სრულ ჰყო რიცხვი დღეთა ძღვევაშემოსილმან, მოეგო კუალად თვისსავე სენაკსა და ძალით-ძალად აღსლვითა ზესთა ექმნა ნივთთა საწუთოასთა, რამეთუ მოიძა/გა სოფელი და აღვირ-ახსნა ჯორცთა თუთა და სძლო გუნდსა⁷ ეშმაკთასა.

და შემდგომად ამისსა⁸ ღამესა ერთსა შემოესიენეს უღთონი ლეკნი მონასტერსა მას და მოაოხრეს, ეკლესიისა⁹ სიმდიდრე იავარჰყვეს და პირმეტყველნი ცხოვარნი წარტყუნეს¹⁰, რომელთა თანა იყვნეს მლუდეღ-მონაზონნი მაქსიმე და იოაკიმ და მონაზონი ონოფრი¹¹ და კერძო დიაკონნი ოთხი. ხოლო ონოფრი იყო უხუცესი¹² ჰასაკითა და მსცოვან¹³ სახითა და ენებათ უწყალოთა მათ, რათა მოკლან იგი. გარნა ყოველად სახიერი ღმერთი არა შეუნდობდა და უმეტესად მას სტანჯვიდენ სარწმუნოებისა ჩუენისა მტერობითა.

ხოლო სატანჯველთა ძათ თითოეულად¹⁴ წარმოთქმად უძლურსა ენასა ჩემსა ვერ ძალუმს, არამედ, ესე ვთქუათ¹⁵, ვითარმედ კაცთმოყვარემენ¹⁶ ღმერთმან¹⁷ ჩუენმან¹⁸, ვითარცა პირველ სამნი ყრმანი დაიცივნა სახმილისაგან და დანიილ მღვიმისა მას შინა მხეცთაგან და მრავლითა მოწამეთა ჯორცნი ნაჭერ-ნაჭერნი დასციოდეს¹⁹ ქუეყანად და არა მოკუდებოდეს, რამეთუ ღმერთი ჰფარვიდა²⁰ მათ, ეგრეთვე აქაცა იგივე საკვირველთმოქმედი ღმერთი

1 სენაკად B. 2 საფლავის B. 3 შთასვლისა B. 4 მოიმარჯვა B. 5 წარმოაცარიელა B. 6 გარემორტყმული B. 7 გუნდთა B. 8 ამისა B. 9 ეკლესიისა A. 10 წარტყუნეს A. 11 ონოფრი A. 12 უხუცესი B. 13 მსცოვანი B. 14 თითოეულად B. 15 ვთქუად AB. 16 კაცთმოყვარე B. 17 ღმერთი B. 18 ჩუენი B. 19 დასციოდათ B. 20 ჰფარვიდა B.

მსცეიდა მონასა თესსა ონოფრისი: უკეთუმცა არა ესრეთ იყო, არამცა ეძლო კაცობრივთა ამათ გორცთა ჩუენთა ესოდენტთა სატანჯველთა და წამებათა თავსდებად, რაოდენტთა მღუდელმონაზონნი იგი მოგვითხრობდეს.

5 სახიერებით² მიუწოდომელმან ღმერთმან, რომელმან ძესაცა თესსა არა პრიდა, ამის ღირსისა თესსა უმჯობესი განიგულა და მოახსენებდა სიტყვასა წერილისასა, ვითარმედ: „მხნე იყავ და განძლიერდი და კუალად მოთმინებითა შენითა მოიპოვო³ სული შენი“.

10 ყოვლად მოწყალე ღმერთი ჩუენი, რომელმან სწყლის და მეყსეულად⁴ კურნება ჰყვის, განათავისუფლნა ესენიცა სისხლისმსმელთა⁵ ურწმუნოთა მათ⁶ წელთაგან და მოიქცეს⁷ წამებისა გვირგვინითა⁸ მონასტერსავე, სადაც იყვნეს პირველ, და დაიმკვიდრეს თესისი სენაკები.

ხოლო არხიმანდრიტი ჰხედვიდა⁹ რა ძმათა ნაკლულევანად
20⁴ 15 საზრდელისაგან¹⁰ ჰრქუა ონოფრისა: / „სულიერო შეილო ჩემო, სიყვარულისათეს ძმათასა წარვედ ქუეყანად ქართლისა და იღვაწე საზრდომ, რათა მიიღო გვირგვინი¹¹ უოხჰნო მორჩილებისა, და მეცა წარვიდე სხვით კერძო და, რაოდენ ძალ-მედვას, მოვირეწო“.

დაღაცათუ მიიმე უჩნდა განსლვა¹² მონასტრით ნეტარსა¹³
20 ონოფრის, არამედ ერჩდა ბრძანებასა¹⁴ მამისასა¹⁵, რამეთუ აქუნდაცა ფრიადი მოწყალეობა და ღმობიერება ძმათა მიმართ. და ჰყვეს ამბორის-ყოფად და განვიდენ¹⁶ ორნივე ზოგად, ხოლო არხიმანდრიტი წარემართა კერძოთა კახეთისათა და ონოფრი ქუეყანად ქართლისა. მოვლიდა დაბნებსა და კალოთა ზედა იფქლსა ითხოვდა მოწყალეობად მტვირთველი ვაშკარანისა.

ეჰა კაცი ესე უფსკრულსა სიმდაბლისასა მიწეენილი, რამეთუ, სადაცა პირველ დიდებულ იყო, აწ სიგლახაკით იხილვების მთხოველ პურისა. ხოლო მცნობელნი¹⁷ მისნი ოხრვიდეს¹⁸ და მკერდსა
30⁵ იცემდის მეტყველნი: „ნამდ/ვილვე ესე მიიტაცებს სასუფეველსა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყვარეთა თესთა“.

და მი-რა-იწია მცირესა ქალაქსა ცხინვალს¹⁹, იხილა მუნ ერი კრებული და შფოთი და დაღადება ფრიადი. ხოლო წმიდა იგი იკითხვიდა, თუ²⁰ რაა არს ამბოხება ესე, და იგინი ეტყოდეს, ვითარმედ:

1 ონოფრისი+და B. 2 სახიერებითა B. 3 მოიპო B. 4 მეყსეულად B. 5 მსმელთა+და B. 6 მათ — B. 7 მოიქცეს B. 8 გვირგვინითა B. 9 ხედვიდა B. 10 საზრდელისაგან+და B. 11 გვირგვინი B. 12 განსლვა B. 13 ნეტარსა — B. 14 ბრძანება B. 15 მამისა B. 16 განვიდეს B. 17 მცნობელნი| მხილველნი B. 18 ოხრვიდეს B. 19 ცხინვალს — 20 თუ — B.

„ჭაბუკსა ვისმე ჰკვეთებიეს¹ ეშმაკი და მოჰყავთ იგი ჰურიათა² თანა, რათა აუწყონ გრძნებით მიზეზი მისი“. ხოლო იგი ლმობიერი გულითა ეტყოდა: „შვილნო, არა არს საქმე ეგე ყოვლადე წესი ქრისტეანეთა, არამედ მომგვარეთ მე იგი აქა“. მაშინ მოჰგვარეს იგი მას და დედა მისი შეუვრდა ფერგთა მისთა და ეტყოდა ცრემლით: „წმიდაო ღმრთისაო, შეიწყალე ძე ესე³ ჩემი, რამეთუ თვინიერ ამისსა სხუა არავინ მივის⁴“. ჰრქუა მას წმიდამან: „დასცხერ⁵ და დაღუმენ⁶, რამეთუ მაქვს მე აქა წმიდის⁷ დავითის⁸ გარეჯელის საფლავისაგან მტკერი ევლოგიად“. და მოითხოვა სტამნითა წყალი და შერთო მიწა წყალსა მას და გონებითა ზე მხედველი სულთ/ 206 10 ითქმიდა ღმრთისა მიმართ და ჴელითა რუსითა მიუჰყრა პირსა მის ჭაბუკისასა და ეტყოდა: „შვილო, ესე შესვი სახელითა იესუ⁹ ქრისტესითა და ლოცვითა წმიდისა დავითისითა¹⁰ განიკურნები“. და შესმასა მისსა მუნთქვესევე განთავისუფლდა ჭაბუკი იგი გვემულე-ბისაგან ეშმაკისა და მისცა იგი დედასა თჳსსა.

ხოლო მხილველნი ამის სასწაულისანი აღიდებდეს ღმერთსა და მონასა მისსა ონოფრის, გარნა¹¹ ღირსი იგი ლტოლვილი¹² კაცთა დიდებისაგან მსწრაფლ წარმოემართა მონასტრად და სახლისაგან თჳსისა წარმოიყვანა ძე თჳსი უმრწემესი, სახელით იოანე, რათა შესწიროს იგი მსხუერპლად¹³ ცხოველად უფლისა ღმრთისა სა- 20 ბაოთისა¹⁴, ვითარცა ძველ-ოდესმე მამათმთავარმან აბრაჰამ¹⁵ შესწირა ისაკი.

და მოიწია მონასტერსა და მოართუა ძმათა სახმარი და საჭირო საზრდელი საესებით, რომელ სამსა და ოთხსა წელსა კმა საყოფელ იყო. 25

მაშინ შევიდა სენაკად და მოეგო თავსა თჳსსა მეტყვე/ლი: 207 „უბადრუკო თავო ჩემო¹⁶, არარაჲ კეთილი გიქმნიეს ცხოვრებასა შინა შენსა, აწ იწყე დაწყებად კეთილისა“.

დღესა ერთსა მოვიდა კაცი აგარიანი, რომლისამე საქმისათჳს და არავინ უწყოდა ენაჲ აგარიანთა თვინიერ ონოფრისა¹⁷ და იგი ეზრახებოდა. ხოლო კაცისა მის ერთი თუალი იყო საზარელ ხილვითა, რამეთუ ქვემორე ქუთუთო ჩამოტევებულ იყო დაწვთა ზედა და შინაგანი მეწყამული კორცი იხილვებოდა ხენეშად. ჰრქუა მას¹⁸ ონოფრი: „არა გელმისა თუალი შენი?“. და იგი მიუგებდა: „ჰე¹⁹, 30

1 ჰკეთებია B. 2 ურიჲთ B. 3 ესე — A. 4 მივის+მაშინ B. 5 დასცხე-რით B. 6 დაღუმენით B. 7 წმიდისა B. 8 დავით. B. 9 იესო B. 10 დავითისათა B. 11 გარნა] ხოლო B. 12 ლტოლვილთა B. 13 მსხვერპლად A. 14 საეთისა A. 15 აბრაჰამ B. 16 იაო B. 17 ონოფრისსა B. 18 ზას — B. 19 ტე B.

მელმის ძლიერად, გარნა ვერვინ უძლო კურნებად¹. პრქუ მას
 ონოფრი: „არს აქა წყალი წმიდის² დავითვის³ მიერ მოცემული ჩუ-
 ენდა სასწაულითა, რომელსაცა ცრემლის⁴ წყალსა⁵ უწოდებთ, იგი
 განკურნებს⁶ შენ⁴. და დაალტო კელი თვისი წყლითა მით და სამ-
 5 გზის სცხო⁷ თულსა მისსა და წარვიდა აგარიანი იგი. და შემდ-
 გომად მცირედთა დღეთა კუალად მოვიდა და იყო თუალი მის:
 208 ცოცხალი⁸ ვითარცა სხუა იგი. /ესე მეორედ ჰქმნა სასწაული⁹
 ღირსმან ონოფრი, გარნა თავსა თვისსა უღირსისად სჯიდა¹⁰ და
 ყოველსავე წმიდასა დავითს მიაჩემებდა, ვითარცა ღირსი ლი-
 10 ვერტინოს, რომელმან დასხნა ვამლნი მოძღვრისა თვისისა წმიდისა
 ონორატესნი მკერდსა ზედა მკუდრისასა და თვით მხურვალითა
 ცრემლითა ევედრებოდა ღმერთსა და წმიდასა მას ჰხადოდა და
 აღადგინა მკუდარი იგი და სასწაულსა მას წმიდასა ონორატეს მი-
 აჩემებდა, ეგრეთვე ესე ნეტარი ჰყოფდა, რამეთუ მოძულე იყო
 15 ცუდისა დიდებისა.

ხოლო ჩუენ მრავალთაგან¹¹ მცირედი მოვიხსენეთ სათნოებითა
 მისთაგან აღსაშენებლად სულთა ღმრთისმოყუარეთა, რომელთა
 ჰნებავსთ¹² ცხოვრება, რათა მიიღონ საწერტელი სამღთოსა სურვი-
 ლისა. ხოლო არა თუ მრავალთაგან შრომათა, არამედ სარწმუნო-
 20 ებითა შეუთრგულებელითა და სიმდაბლითა კეშმარტითა¹³ მიემ-
 თხუვიან¹⁴ ღირსნი ერთისა მის ნამდვილ სატრფიალომასა¹⁵, რო-
 მელ არს ღმერთი.

რამეთუ დიდისა¹⁶ მისთვის სიმდაბლისა¹⁷ ამასცა¹⁸ ჰყოფდა ნე-
 209 ტარი¹⁹ იგი და დღე ყოველ განრცხიდა განსაველთა/მონასტრისათა
 25 და ყოველსა ეამსა სიმდაბლისა²⁰ ტრფიალ იყოს სანატრელი იგი მამა²¹.

ამისსა²² შემდგომად ევედრა ყოვლად²³ ღირსსა არხიმანდრიტსა
 მეტყველი: „ღმერთშემოსილო მამაო პატრიოსანო, უკეთუ იყოს ნე-
 ბა ღმრთისა და სიწმიდისა შენისა, ღირს მყავ ძე დიდისა სქემი-
 30 სა კურთხევასა“. ხოლო იგი მიუვებდა: „დიდ არს სათხოველი შე-
 ნი და მალალ საზომითა. არა ძალ მიძს განჩინებით დამტკიცება
 საქმისა მაგისტუს, არამედ ჭერ-არს, რათა ღმრთისა მიერ მოვიღოთ
 გამოცხადება“.

1 კურნებად+ამოინ B. 2 წმიდისა B. 3 დავითისა B. 4 ცრემლისა B.
 5 წყალს B. 6 განკურნებს B. 7 სცხო B. 8 ცოცხალ B. 9 საწაული B. 10 სჯიდა
 B. 11 მრავლისგან B. 12 ნებავსთ B. 13 კეშმარტითა — B. 14 მიემთხუვიან A.
 15 სატრფიალომას| სატრფოსა B. 16 დიდისა — B. 17 სიმდაბლისათვის B. 18 ამა-
 სცა B. 19 ნეტარი| ღირსი B. 20 სიმდაბლისა B. 21 მამა — B. 22 ამისა B.
 23 ყოვლად ღირსსა.. ნება—B.

და დაწერა¹ ორი მცირე ქარტაჲ ერთსა ზედა ესრეთ: „ონოფ-
რი მაზრის² კურთხევას დასჯერდეს“, და მეორესა ზედა ესრეთ:
„ონოფრი დიდისა³ სქემისა⁴ კურთხევას⁵ ღირს ჰყავთ“, და⁶
შთავიდა წმიდისა დავითის საფლავსა და წმიდასა ტრაპეზსა⁷ ზე-
ქვეშე ოდიკისა დასხნა იგინი პირდაქცევით. და ჰრქუა ონოფ- 5:
რის არხიმანდრიტმან: „ჯერ არს შენდა, რათა დააგრე აქა ოც,
გინა ოცდაათ ოდენ დღე/ლოცვითა და ვედრებითა, რათა ღმერთ- 210/
მან გამოაჩინოს ნება სიბრძნით განგებულებისა თვისისა“.

და იყოფოდა მუნ ონოფრი ღამე და დღე მრავლის⁸ ვედრე-
ბითა⁹ და იტყოდა: „ღმერთო, ყოველთა კეთილთა მიზეზო, შენ 10/
განაგე¹⁰ უმჯობესი სულისა ჩემისა, ნუ ნება ჩემი, არამედ ნება შე-
ნი იყავნ“. და სრულ იქმნა რა დღე სამ ათეული, უბრძანა არხიმან-
დრიტმან მღუდელსა მსხუერპლისა¹¹ შეწირვა მუნ. და შემდგომად
ერისგანტევებისა ლოცვისა ჰრქუა¹² მღუდელსა: „ოდიკსა ქვეშე
ორი ქარტა არს და ერთი მათგანი გამოიღე¹³“. და გამო-რა-ილო, 15
მისცა არხიმანდრიტსა და მან წარიკითხა, ვითარმედ: „ონოფრი დი-
დისა¹⁴ სქემისა¹⁵ კურთხევასა ღირს ჰყავით¹⁶“.

და აღმო-რა-ვიდეს¹⁷ მიერ კულაღ¹⁸ არხიმანდრიტი, სულგრ-
ძელ ექმნებოდა მეტყველი¹⁹: „საქმით გამოსცადე წესი სქემოსნო-
ბისა“²⁰. 20

ხოლო მო-რა-იწიენეს დღენი წმიდათა მარხვათანი, მაშინ შე-
მოსა მას სახე დიდისა სქემისა²¹ და უწოდა სახელი მისი ონისიფორე./ 211
ეგრეთ ბრწყინვიდა²² ღმრთივ-შვენიერა პირა მისი და სპეტაკი
წვერი სქემასა²³ და შავსა პალეკარტსა ზედა, ვითარცა ვინ იხილის
გვირგვინითა და დიადიმითა პორფიროვანი²⁴ მეფეა. 25

და შევიდა სენაკად სქემოსანი²⁵ იგი, აღიღო სარეცელი თვისი²⁶
და მხოლოდ ჭილსა ზედა დაჯდა²⁷ და ყოველი²⁸ წიგნები მიუთვალა
იკონომოსსა²⁹ და მხოლოდ ფსალმუნსა იკითხვიდა დაუცხრომე-
ლად, გულისწმის-ყოფით. და ჯაჭვი იგი რკინისა, რომელი არს მო-
ნასტერსა მას შინა მოღვაწეთათჳს განმზადებული, დაიდვა შიშ- 30
ველთა³⁰ წორცთა³¹ ზედა თვსთა³² და დაიდუმა ენაჲ თვისი და არა-

1 დაწერა A. 2 მაზრისი ჩოხის B. 3 დიდის B. 4 ცქემისა, A, სქემის B.
5 კურთხევას B. 6 და] მაშინ B. 7 ტრაპესსა B. 8 მრავლისი მარადის B. 9 ვედრე-
ბითა] ვედრებოდა B. 10 განაგენ B. 11 მსხვერპლისა A, მსხუერპლისა B.
12 რქვა B. 13 გამოიღეთ A. 14 დიდისა A. 15 ცქემისა A. 16 ყავით B. 17 აღმოვი-
დეს B. 18 კულაღ — B. 19 მეტყველი] და ეტყოდა B. 20 ცქემოსნობი-
სა A. 21 ცქემისა A. 22 ბრწყინვიდა A. 23 ცქემასა A. 24 პორფიროსანი B.
25 ცქემოსანი A. 26 თვისი] თვისი B. 27 დასჯდა A. 28 ყოველი — A. 29 იკონ-
ომოსსა A. 30 შიშველსა B. 31 წორცსა B. 32 თვისისა B.

ვის ეუბნებინ ყოვლადვე და, უკეთუ საჭირო რამე არს, ქარტითა ეზრახებინ. ამით სახითა მიიწია სრულსა საზომსა, რომლისათჳს იტყჳს მოციქული იაკობ, ვითარმედ: „რომელი სიტყვითა არა სცთებოდის იგი სრული კაცი არს, შემძლებელ არს იგი აღვირ-
 5 სხმად ყოველისავე გუამისა“.

218

და სენაკისაგან არა რდეს განვიდის, თვინიერ ეკლე/სიისა¹ ლოცვისა და რაჟამს პრეკიან², მყის ეკლესიასა³ შინა იპოვის⁴ და, სრულ რა იქმნის ლიტურგია ანუ ლოცვა, ყოველთა უკანასკნელ გამოვიდის და მსწრათლ შევიდის სენაკად და დაადის თავი თჳსი ქუეყანად, იგლოვნ და იტყვებნ მცემელი მკერდსა და იტყვიან, ვითარმედ: „არა ღირს ვარ, რათა ვხედვიდე ნათელსა მზისასა“. და⁵ დაიდვის თავი თჳსი მკუდრად და მარადის სტირინ⁶ მას ზედა და მრავლისა გლოვისა მიერ განიწმიდა გული თჳსი, თვით წრფელმან და უმანკომან უვნებლობით დაყუდებულმან. ესრეთ აღვლო კიბე იგი სათნოებათა და მისწუთა სიყვარულსა მას, რომელ არს ღმერთი და მხოლოდ მხოლოდ მხოლოსა ზრახვიდა, რომლისა მიერ განათლდებოდა და სუროდა⁷ განსლვა⁸ კორცთა ამათგან და მისლვად მისსა ნათლისა⁹ მის¹⁰ თუალთშეუდგამისა¹¹, რომლისათჳს ანგელოსთა გული უთქუამსთ ჳვირობად.

20 ამათ ჟამთა სიბრძნისმოყვარე არხიმანდრიტი გერმანე აღყვა-
 218 ნებულ იქმნა ხარისხსა მღვდელმთავრო/ბისასა და გამორჩეულ იქმნა მამად მონასტრისა ღირსი არხიმანდრიტი თეოდოსი.

ხოლო ნეტარი ონისოფორე უზომოვსა მისგან მოღვაწეებისა დასნეულდა და დაწვა¹² ქუეყანად და არლარა¹³ ეძლო ზე წარმოქდომად¹⁴. ეტყოდეს მას მამანი და ძმანი, ვითარმედ: „განუსვენე მკირედ თავსა შენსა და ცხედარი და სართუნალი მიილე“. მაშინ აღაღო პირი თჳსი და ეტყოდა: „აღთქმა მიქმნიეს¹⁵, რათა იყოს აღსასრული ჩემი¹⁶ ჳილსა ამას ზედა“¹⁷. ვინაითგან¹⁸ გაძლიერდა სენი მისი და აძულდებდეს მამანი, ერჩდა მათ და მიიღო მკირე ცხედარი, გარნა სნეულებისა მომთმენელი დიდად ჳმადლობდა¹⁹ ღმერთსა და გონება მისი არა მოცილებულ იყო ღმრთისა ხედვისაგან და თუალნი მისნი უსასყიდლოსა²⁰ მირონისა დინებისაგან ცრემლთასა. და ჳელისაგან მისისა არა განვრდომილ იყო კირიელეისონი და პირისაგან მისისა ლოცვა იგი უფლისა იესოს²¹ მიმართ²², ვითარმედ:

1 ეკლესიისა A. ეკლესიის B. 2 რეკიან B. 3 ეკლესიისა A. 4 იპოვის B. 5 და — B. 6 ტირინ B. 7 მსუროდი A. 8 განსვლა B. 9 ნათელისა B. 10 მას. B. 11 თუალთშეუდგამსა B. 12 დასწვა A. 13 არლა B. 14 წარმოქდომად B. 15 მიქმნია. 16 ჩემი — B. 17 ზედა+და B. 18 ვინაღდან B. 19 მადლობა B. 20 უსასყიდლოდ B. 21 იესოსი B. 22 მიმართ — B.

„უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“.

1/ ჯდა ვინათგან² ყოველთა უწყოდეს მოღვაწება მისი, სხუათა- 214
 ცა³ მონასტრით მოვიდოდეს⁴ თაყვისცემად მისსა⁵, მეტანიით
 მუწლთმომდრეკელნი ეტყოდეს: „ღმერთშემოსილო მამაო, მოგვეც 5
 ჴელი⁶ შენი, რათა ამბორს-უყოთ“. ხოლო იგი სიმდაბლით არა
 უტევებდა და ეტყოდა: „არა ვარ ღირსი, რამეთუ ცოდვილ ვარ,
 არამედ უფროსცა თქვენ მიბოძეთ ფესვი სამოსლისა თქუენისა,
 რათა ამბორს-უყო, და ფერკნი თქუენნი მომეციოთ⁷, რათა დაგბან-
 ნე⁸ ცრემლითა“. რამეთუ ჩვეულება არს მონაზონთა სტუმართა 10
 ფერგთა ბანაჲ.

და ყოველთა⁹ მისდა მიმართ მისრულთა ჰლოცვიდა¹⁰ გულითა
 წრფელითა და სიტყვითა მადლით შეზავებულითა და არა ხოლო
 მათ, არამედ ყოველთავე, რომელთა ჰასაკი ანუ სახელი მოესხენის,
 გინა კეთილისმყოფელნი¹¹ ანუ ბოროტისმოქმედნი მისნი ყოველ- 15
 თავე სიტკბოებითა და ჭეროვანთა სიტყვითა ჰლოცვიდა¹².

ხოლო იყო მსახურად მისდა განჩინებული ძე თვისი იეროდ- 215
 აკონი იოანე და გულისმოდგინებით/მსახურებისა¹³ მისისა¹⁴ თვითო-
 ეულად აღწერისათჳს არა მცირედი გონებისა შრომა უხმს, რამეთუ 20
 აქუნდა ფრიადი სიყვარული მამისა მიმართ ბუნებით და ზესთა
 ბუნებისაცა, რამეთუ ნამდვილვე მან აღასრულა სჯულისაებრ პა-
 ტივისცემა მამისა და დაიმკვიდრა კურთხევა¹⁵ აბრაჰამიანი¹⁶ რო-
 მელ ჰეშმარიტ არს მეტყველისა, ვითარცა იტყვის, ვითარმედ:
 „კეთილმან ხემან ნაყოფი კეთილი გამოიღის“, რომელიცა წინაშე 25
 თუალთა ჩუენთა განცხადებულად ჩანს¹⁷.

ხოლო სათნოებათა საუნჯეს, ონისიფორეს, უმეტესი გულს-
 მოდგინება აქუნდა ყოვლად პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა
 ქრისტეს ჯორცთა და სისხლთა ზედასზედა ღირსყოფისათჳს, რა-
 თა განმზადებულ იყოს სიტყვისაებრ დავითისა, ვითარმედ: „გან-
 ვემზადე და არა შევეძრწუნდი¹⁸, რაჲამს მოიწიოს მის¹⁹ ზედა²⁰
 კმაჲ²¹ ზეგარდამო წოდებისა“.

დღესა ერთსა მოუწოდა მოძღვარსა თჳსსა მაქსიმეს და ჰრქუა:
 „გვედრებე ღმრთივ-სულიერო მამაო, უკუდაეთა ქრისტეს საიდუმ- 216
 ლოთა ღირს მყავ მე ხვალე, ვინა/თგან შაბათიცა არს“. ხოლო²²

1 იესუ იესე B. 2 ვინაიდან B. 3 სხუათა B. 4 მოვიდოდნენ B. 5 მისა
 B. 6 ხელით B. 7 მომცენით A. 8 დაგბანო B. 9 ყოველთავე B. 10 ლოცვიდა B.
 11 კეთილისმყოფნი B. 12 ლოცვიდა B. 13 მსახურებასა B. 14 მისსა B. 15 კურ-
 თხევა+იგი B. 16 აბრაჰამიანი B. 17 სჩანს A. 18 შეესძრწუნდი A.
 19 მისა B. 20 ზედა — B. 21 ვმა B. 22 ხოლო — B.

მან მიუგო და პრქუა: „მარხვასა ამას შინა სამგზის ღირს-ქმნულ ხარ და ოთხისა დღისა შემდგომად ქრისტეს შობა არს, კუალად¹ მაშინ გაზიაროთ განმაცხოველებელთა საიდუმლოთა“.

5 ხოლო ონისიფორე პრქუა მას: „ნუ უგულვებელსმყოფ, პატიოსანი მამაო, ნუ უკუე² ვერლარა³ ვეწიფო ქრისტეს შობასა, რამეთუ ვიხილე ჩვენებად, ვითარმედ: „მოვიდა ტრედი სპეტაკი და ღმრთივ-შვენიერი და იქცოდა პირსა ზედა ჩემსა. განვჰყავ⁴ კელი და ვიპყარ იგი და არა მცირედ მოხარულ ვიყავ მისთვის“.

10 ესე⁵ რა ესმა მაქსიმეს, პრქუა⁶ მას: „კეთილ, რამეთუ მიხილავს მადლი ყოვლად წმიდისა სულისა, და მიიღებ უხრწნელთაცა ქრისტეს საიდუმლოთა საგზლად ცხოვრებისა საუკუნოსა და მხიარულ იქმენ“.

მაშინ სამგზის ნეტარი ონისიფორე განმზადებული ღირსებო-
სამებრ მისისა ცრემლითა მხურვალითა მიემთხვია უსასუილოთა
15 მარგარიტსა, რამეთუ ცნა⁷ განსლვა თვისი ამიერ და მისლვა ზეცი-
217 სა იერუ/სალიმსა.

და დღე იგი შე-რა-მწუხრდა, არლარა ეგო ონისიფორე გონე-
ბასა თვისსა. აუწყეს ესე არხიმანდრიტსა თეოდოსის და შემოკრ-
ბენ⁸ მამანი და ძმანი⁹, იკითხვიდენ ლოცვასა სულთბრძოლისასა,
20 იატაკი იგი ირწყუებოდა¹⁰ ნაკადულთა მიერ ცრემლითა მათათა
და ამბორს-უყოფდეს კელთა და ფერგთა მეტყუელნი¹¹: „ლოცვა
ჰყავ ჩუენთვის, ღმერთშემოსილო მამაო, და მეოხ გვექმენ ღმრთისა
მიმართ, რომლისა წინაშე მიმავალ ხარ“.

25 გარნა¹² ჯერეთ არლა მოწევნულ იყო ეჰი აღსასრულისა¹³ მისისა, არამედ გონება მისი აღტაცებულ იყო და შექცეულ მაღალთა ხედვათა მიმართ¹⁴.

არარაჲ შთასრულ არს პირსა მისსა ყოვლადე, არცა რაჲ აღ-
მოსრულ არცა ერთი რა სიტყვა, არამედ თულანი მისნი განმარტე-
ბულ იყვნეს ზე მხედველ და მარჯვენითა¹⁵. გამოისახის ნიში ჯუ-
30 რისა ნელიად.

218 /ეგრეთ განკაფულ იყვნეს ჯორცნი მისნი, ვითარცა ვინ ბროლისა მინისა შინა შთააწყვენეს¹⁶ ლელწამნი და გარეგან ჰვირინ იგი, ეგრეთ იხილვებოდა პირისახე მისი და მკლავნი. კანსა მას შინა განსპეტაკებულნი სჩნდეს¹⁷ ძვალნი მისნი, რომლისა მხილველნი გან-

¹ კუალად] ვითარმედ B. ² უკუე A, უკვე B. ³ ვერლარა] არლარა B. ⁴ განვყავ B. ⁵ ეს B. ⁶ რქუა B. ⁷ სცნა AB. ⁸ შემოკრბენ A. ⁹ ძმანი+ და B. ¹⁰ ირწყუებოდა A. ირწყუებოდა B. ¹¹ მეტყუელი A. ¹² გარნა] ხოლო B. ¹³ აღსასრულისა] აღსრულებისა B. ¹⁴ მიმართ] მიერ B. ¹⁵ მარჯვენით A. ¹⁶ შთა-რეწყვენეს B. ¹⁷ ჩნდეს B.

განციფრებულ ვიყვენით, რამეთუ არავის ეხილვა ხილვა ესევეთარი.

ესრეთ მითვლემულმან¹ განვლო დღე ათრვაშეტ² და³ დღე იგი⁴ იყო ნათლისღება და შემდგომად ლიტურგიისა ვიხილეთ იგი, რამეთუ ერთ კერძო⁵ განციფრებულ იყო. და კუალად შემოკრბეს არხიმანდრიტი და ძმანი და ვიგლოვდით გოდებითა ლმობიერთა და ვიპყრებოდით ცრემლითა.

ხოლო მან აღმოიფშენინვა აღმოფშენინვა იგი უკანასკნელი და დაიძინა ძილი იგი მართალთა და ყოვლად განწმედილი სული თვისი ველთა ღმრთისათა შევედრა. ხოლო მოღვაწებისა მიერ განლუული გუამი მისი შემურეს წესითა სქემოსნობისათა⁷, აღანთეს⁸ კეროვნები მამათა და ძმათა და ღამე იგი გარდავლეს⁹ მღვიძარედ ლოცვითა და ფსალმუნითა და ჭილსა ზედა მღებარე ეკლესიად¹⁰ მივიღეთ და შემსხვერპლეთა¹¹ სამლო წირვა აღასრულეს და ანდერძადგებული წარვიღეთ საფლავად, რომელიცა თვით განემზადა პირველ და ლოდი ზედა ედვა მას. მუნ დაიდვა მრავალმოღვაწე გუამი მისი, სადაცა არს სასაფლაო მამათა, წმიდის დავითის საფლავის¹² გარეთ, სამხრეთით კერძო საკურთხეველის საკმელთან¹³. ღმრთივ-სანატრელმან ონისიფორემ ათორმეტ წელ მონაზონებით იღვაწა, ორ წელ სქემოსნობით¹⁴ დაეყუდა და კუალად ორ წელ მღებარეობით ჰმადლობდა ღმერთსა, და იქმნეს ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი სამეოცდაათცხრამეტ წელ.

ესე ყოვლად პატიოსანი მამა მიიკვალა ამიერ სოფლით საუკუნეთა მათ საყოფელთა წელსა განჯორციელებითგან¹⁵ სიტყვისა ღმრთისა/ათას შვიდას ოთხმეოცდა ექვსსა, თთუესა იანვარსა, რი-ცხუსა¹⁶ მეექუსესა¹⁷, თვით საუფლოსა მას დღესასწაულსა¹⁸ ღმრთისგანცხადებისასა, დღესა სამშაბათსა და ეამსა მეცხრესა დღისასა.

არამედ, მ ყოვლად სახიერო და კაცთმოყვარეო ღმერთო, ლოცვითა ღირსისა¹⁹ მამისა ჩუენისა ონისიფორესითა ღირს მყვენ ჩუენცა პირნათლად შემთხუევეად²⁰ მისი²¹ ნეტარისა²² მერმესა მას კრებასა და მარჯვენით კერძო²³ დადგომად²⁴ თაყვანისმცემელნი მ-

1 მითლემულმან A. მითვლემულმან B. 2 ათრვაშეტი B. 3 და—შემდგომი B. 4 იგი — B. 5 კერძო+მისი B. 6 აღმოიფშენინა B. 7 ცქემოსნობისათა A. 8 აღანთეს B. 9 გარდავლეთ B. 10 ეკლესიად A. 11 შემსხვერპლეთა A, შემსხვერპლეთა B. 12 სასაფლაო B. 13 სარკმელთან დანჯარასთან B. 14 ცქემოსნობით A. 15 განჯორციელებითგან B. 16 რიცხესა A. 17 მეექუსესა A. 18 დღესასწაულსა—B. 19 ღირსისა წმიდისა B. 20 შემთხუევეად A, შემთხუევეად B. 21 მისსა B. 22 ნეტარისა — B. 23 კერძო+შენსა B. 24 დგომად B.

მისა დაა ძისა და წმიდისა სულისა დიდებად¹ და გალობად უკუნითი უკუნისამდე, ამინ².

მოკლე მოთხრობა თვით პორფირისათეს*

5 მ მე, საყუარელნო, ოდესლა მოიწია ღმრთივ სულიერი ესე წიგნი აქამომდე, მაშინ აღფრინდა ვითარცა ტრედი უმანკო სასურველი შვილი ჩემი პორფირი.

10 დასდუმნა ორღანო ეკლესიისა, მოაკლდა სიტყვიერი საქაული მონასტრისა, დაჰნა ყუაველი სათნოებისა, დაშრიტა სანთელი გულისგმის ყოფისაა, მიგვეფარა ანგელოსი მშვიდობისა, გარნა ღმრთივ შვენიერად გამობრწყინდა ღირსი იგი შვილი სასუფეველისა.

15 რამეთუ იყო სანატრელი პორფირი შვილი ბრწყინვალეთა ტომთაგან და შესწირეს ღმერთსა მონასტერსა ამას შინა, ვითარცა აბელის ძღვენი და აბრაჰამის მსხვერპლი, ჰასაკითა ათისა წლისა, ხოლო გონებითა იყო ვითარ ასისა წლისა. და აღიზარდა ყოველთა კეთილ შვენიერთა სწავლითა სულიერთა და საეკლესიოთა. და იქმნა რა ათექვსმეტისა წლის, შემოსა ხატი ანგელოსებრივისა სახისა და მიიღო კურთხევა ქრისტეს მიერისა და დიაკონობისა და წარემატა ყოველითა კეთილ-შვენიერთა სათნოებითა, რამეთუ 20 მდაბალ იყო გონებითა და წრფელ სულითა, მოწყალე სიტყვით და საქმით და მოღვაწე აზნაურებისა ხედვითა, მმარხველ უვნებულობით და მლოცველ სამღთოს ტრფიალებით, ხოლო სიყვარული ღმრთისა აქუნდა ზესთა ბუნებებისა და მოყვრისა უმეტეს თავისა თვისისა და ამით სახით იყო ყოველთა მიერ საყვარელ.

25 ხოლო იქმნა რა ოცისა წლისა, სრულ იყო ყოველითა სწავლულებითა, მწიგნობარ-მგალობლობითა და უმეტეს ყოვლად შვენიერ მწერლობითა და სიტყვა მადლიან ენა-მკვერობითა. და მონაზონებისა სრულება მიიღო მაზარის კურთხევითა და ჩემდა იყო რწმუნებულ მამობა სულისა მისისა, რომელიცა უმეტეს და უატიოსნეს წარემატა ყოველითა სათნოებითა.

¹ დიდებად უდა გალობად] აწ და მარადის B. 2. ამინ+სარწმუნოთა კაცთა მიერ სმენილი და უმრავლესი თჳალითა. ჩემითა ხილულ აღსწირე ყოვლად უღირსმან იეროდიაკონმან გაბრიელ. ყრველთავე გვედრები ლოცვით მომისვენებდეთ მხილველნი B.

* ხელნაწერი: A; ბოდლეს № 8 (RI. XVII, 2, XVIII ს.).

და იქმნა რა ოცდაშვიდის წლის სურვიელ ვიყავ მლუღელ-შვენიერებით კურთხევასა მისსა/, გარნა, ზ მე, ეწია საყვარელსა მას საღმობა უკურნებელი და წარიყვანეს სოფლად და ოთხისა თვისა ეამი დაპყო ფიცხელსა სნეულებასა შინა და ყოველსავე მადლობითა ღმრთისათა ითმენდა ღუმილით და გონებასა თვისსა ღმრთისა ჰედვასა და ღმრთისმშობლის ტრფიალებასა არ მოაცილებდა. და ოდეს განიწირა მკურნალთაგან, მლუღელმთავრისა მიერ ზეთის კურთხევისა საიდუმლო მიიღო და არხიმანდრიტისაგან ქრისტეს საიდუმლოთა ზიარებაჲ და შემდგომსა ღღესა იხილა ღმრთისმშობელი ცხადად მეტყველმან. აჰა, ღმრთისმშობელი მარიამ ღმრთივ ბრწყინვალე დედოფალი და მისთანა ანგელოსთ შვენირებანიო. ეს რა წარმოსთქუა ყოვლითა დაწყნარებითა, გამოისახა ნიში პატიოსნისა ჭუარისა, მიწვა და მიიძინა ნეტარმან ძილი იგი მართალთა, ვითარცა ჰშვენის წმიდათა და სათნოთა ღმრთისათა.

და რაჟამს მოიწია ჩუენდა ჳმაჲ მიცვალებისა მისისა, ზ მე, რაბამი საღმობა გულისა მოგვეცა და/ ვითარი ღმობა სულისა, მხურვალე ცრემლი თუალთა და სიღრმით გულისად სულთქმად, რამეთუ დავაკლდით მრავალსა კეთილობასა მისგან და სათნოებასა სულისა ჩუენისა მოურნეობასა და შემდგომად ჩუენსა მემსხვეერპლეობასა და ყოვლად სიყვარულსა მისსა.

გარნა ჩუენ მისთვის ვიწყეთ მიერ ღლითგან ძალისაებრ და გულსმოდგინებისა ყოველთა სამღრთოსა წირვისა და ვედრებისა შეწირვად ღმრთისა და ერთმან უმოხუცებულესმან მამამან სწირა რა მისთვის ცხრაჲ და მეათისა განემზადებოდა, იხილა ჩვენებით თავი თვისი ეკკლესიასა შინა და მუნ საყვარელი პორფირი სამღუღელოთშვენირებითა რაჲთამე მოსილი და ჳელთა ეპყრა კეთილმშვენირი წიგნები და მრქუაო: „აჰა, მამაო პატიოსანო, ესე წიგნები არიან ღიდებად ჩემდა, სიხარულ, სასოება და გვირგვინ სულისა უმისა. ესე, რა ჰრქუა, განელიეძა მამასა და მოგვითხრა ჩუენ ყოველთა და მადლი მივეცი მსმენელთა ყოვლისა შესაწირავისა სათნო-მყოფელსა ღმერთსა.

რამეთუ მე უწყი, რომელ იგი სასურველი მრავლად გულსმოდგინედ სურვიელ იყო წმიდათ წერილებისა წერასა კეთილშვენიერებით, რომელთაგან თვით განათლებულ იყო გონებითა და რომელთამე თვისთა მისთა წარსცემდა სულისა ნაყოფიერებად და უმრავლესთა ჳველის-საქმედ გლახაკთადმი მოწყალეებად, რომელნიცა აწ დაუწეებულნი ჰპოვნა სავანესა მას მისთვის განმზადებულსა, და

იშვებს მათ მიერ გამოღებულ ნაყოფთა ზედა გვირგვინოსანი და იხარებს საუკუნოდ მადიდებელი ღმრთისა.

ხოლო ოდეს მოიღეს სანატრელისა პორფირისა გუამი მონასტერსა და მამამან მისმან სულიერმან მოიყვანა მეგობარი თჳსი მღუდელმთავარი სტეფანე და აწირვინა მისთვის და კურთხევასა
 5
 284 საფლავისა მისისასა წარწერა ესე/: „ეპიტაფია სტავროფორესი საფლავსა ზედა პორფირისსა: ეპა, ღმრთივ სულიერო შვილო და სულეზბრ საყვარელო ძმავო და სარწმუნო მეგობარო პორფირი, აჰა, მოსრულ არს მეგობარი მეგობრისა შენისა და სასურველი სიყვარულისა შენისა ღირსებისა. გვირგვინი მღუდელმთავრობისა და მეუფე საწადელი სიწმიდისა შენისა.

აღსდევ, საყვარელო, და მიეგებე ყოვლად საწადელითა მგალობლობითა შენითა, აღსდევ და თაყვანის-ეც შენთვის მოსრულსა მეუფესა, აღსდევ და თანაწირველობით ჰმსახურე მღუდელ შვენიერებით! მსხუერპლის შემწირველსა შენთვის და მიიღე მადლი და კურთხევა, ღმრთივ-კურთხეულო ძმავო.

შენი არს ჰეშმარიტად მადლი ესევითარსა სამლოდ მსახურებისა, შენდა მონიკებულ არს კეთილ/გონიერებით პატივისცემა პატივისცემელისა ღმრთისა და შენდა ჰშვენის, სასურველო, პატიოსნება, ვინაითგან ღირსებით მსახური ძისა პატივცემულ იქმნების მამისა მიერ, რამეთუ სადაცა მე ვიყო, მუნცა მსახური ჩემიო.

სადა არიან, სანატრელო ძმავო, პირისა შენისა შვენიერებანი, სადა არიან ბრწყინვალენი ნათელნი თუალთა შენთანი, სადა არიან საწადელნი ტკბილნი სიტყვანი ბაგეთა შენთანი, სადა
 25
 არიან ჳმა კილოვნებით შემკულებანი გალობათა შენთანი, სადა არიან კეთილ შვენიერებით მწერლობანი თითთა შენთანი. ჰ მე, რამეთუ დეცადა უჟამოდ.

ჰ, საყვარელო, რად დაგიწუხავნ თუალნი, თუალო ყოვლისა კეთილობისაო, რად დაგიდუმებია ენა, სულისა ცხოველისა ორღანო, რად დაგიცადებია ჳმა ანგელოსებრ წმიდა არსობით გალობა და რად დაგიყოფიან ოქროს წყაროჲ სიტყვათა შენთა სათნო მყოფელი/ სულთა მრავალთა.

გარნა შენ, ყოვლად ღირსო, წინაშე წმიდისა სამებისა იშვებ სულითა, სულო მართალო და საწადელო, და განიცდი დიდებასა ღმრთისასა, რომლისად სიყრმითგან სურვილ იყავ და ჩუენცა გამოგვიცხადე, ბრძენო. სერაფიმნი უზესთაეს არიან, ანუ საყდარნი, რომელთათჳს ვემოგობდით ჩუენ წერილთა გამოძიებითა.

ესე შეიწირე, ღირსო, გვირგვინისაგან მემსხვერპლეობა და მამისაგან გულსმოდგინება და მეცა მსწრაფლ წარიმყვანე შენ თანა საუანესა მას შენსა სამკვიდრებლსა და შეიწირე შეიღ მუხლედნი სიტყვანი გულისტკივილით აღმოთქმულნი, ვითარცა ჭვარზე დამსკვალულისა შეიღნი სიტყვანი ძისა და ღმრთისანი, რომელი არს კურთხეულ უკუნისამდე*.

საირიდონ ბრძელიშვილი

ცაოვრება და მოღვაწეობა სანატრელისა მამისა ძრისტებისა მონაწონისა, რომელი უმომდგომად წოდებულ იქნა ძრისტაფორად, რომელიცა სცხოვრებდა მოღვაწეობით უდაბნოსა შინა მრავალმთის ირანე ნათლისმცემლისაბა, გარეხვად წოდებულისა, თავსა ჰარაიისაბა**

/უარსოსა არსებად დამწყებელო, მიუწთომელო, აუგებელო და ყოველთა არსთა მარსებელო, წმინდაო სამებაო სრულო ერთო არსებით და სამო პირებით. პირო მამაო, პირო ძეო და პირო სულო წმინდაო, სამო პირებით და ერთო არსებით. არცა სამსა პირებსა ერთ პირად ვიტყვი, არცა ერთასა არსებას სამ პირად აღვიარებ, არამედ სამსა გვამოვნებასა შინა ერთსა არსებასა ვირწმუნებთ, რომელ არს ღმერთი. სამებაო წმინდაო ღმერთო, რომელსა გქონამ მადლთა საუნჯენი, რომელსა გმსახურებენ მრავალნი დასნი უხორცოთა ძალნი, რომელმან მიუვლინე ისაიას სერაფიმი და აქვნდა განმწმენდელი ცეცხლი მარწუხითა და შეახო ბაგეთა მისთა.

/და განწმინდა და აღივსო პირი მისი მადლითა შენითა, შენვე აღახვენ ბაგენი ჩემნი და შეახენ ნაპერწკალი მადლისა შენისა უძლურსა გონებასა ჩემსა. აღანთე სხეული ჩემი, ვითარცა ცვილი, განანათლე ქალაქი ჩემი და განსდევნე მას შინა დაფარული მთავრობა ბნელისა, დასვი მთავრად განწმენდილი მადლითა შენითა სულ

* ეპიტაფიის ტექსტი დამუხლულია ((სულ 7); ხელნაწერში გამოყოფილია როგორც ცალკე ერთეული.

** ხელნაწერი: A — 1036 (1880 წ.).

ჩემი და გონება, შეზღუდვით მადლითა შენითა, რათა ვიტყოდე სათნოთა შენთა, რამეთუ არა თავით თვისით ძალ-მძის, რადასამე ყოფად, არამედ შენგან მოველით სარბიელისა ჩვენისა სრულყოფასა ყოვლისა სრულყოფილო მეუფეო ქრისტე ღმერთო ჩვენო.

3 5 იტყვის მოციქული ქრისტესი იაკობ კათოლიკესა შინა თვისსა: რომელმან იცოდეს კეთილი საქმე და არა ქმნეს, ცოდვა არს მისსა. (თავ ე. მუხ. იზ).

მომეხსენა დამფლული ტალანტისა მონა ბოროტი და შემეშინა, რათა არა სიტყვა მიმეხადოს წინაშე ქრისტესსა. ში საყვარელო ქრისტეს იესოს მიერ ძმო მიხილ გობრონად წოდებულო! ჩემგან შეუძლებელსა მაწვევ რაიმეს ხელყოფად, გარნა ძალსა ღვთისასა მიუტევებ ზრუნვასა ჩვენსა და მრწამს, რომელ ძალ-უძს ყოველთა სრულყოფელსა ღმერთსა, რათა არა ვიტყოდე მართლისა ნაცვლად სიცრუესა, ანუ ნათლისა ნაცვლად ბნელსა და მწარისა

15 ნაცვლად ტკიბისა, არამედ რაიცალა მიხილავს თვალითა და ყურითა
v მომისმენიეს მას აღვიარებ, /რომელსაცა ძმანი მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოსანი მეწამებიან, მეცნიერნი მისნი და თვალით მხილველნი ქრისტესია მოღვაწისანი, რომელი თქუენცა უწყით ცხოვრება მის სანატრელისა ბერისა.

4 20 /მეთარვამეტესა საუკუნესა შინა სცხოვრებდა კაცი იგი ღვთისა ქრისტესია. ესე სანატრელი და ღირსი ხსენებისა იყო დასავლეთის საქართველოთ მინგრელით, მდაბიოთა ერისაგანი. იქორწინა სჯულიერითა ქორწინებითა და ესეა მხოლოდ შობილი ძე. მეუღლე და შვილი მისნი აღესრულნენ შემდეგ რაოდენისამე წლისა. არა აქვდა სურვილი ცოლთა შეუღვლისა, გარნა ბირებითა და იძულებითა ბატონისათა იქორწინა.

ხოლო პირველსავე სიტყვასა ჩვენსა მივექცეთ. აღესრულნეს რა მეუღლე და შვილი მისნი, აწვევდა მეორესაცა ქორწინებასა მებატონე მისი, გარნა იგი ნეტარი ყოვლად არცალა თუ ყურად ილო
v 30 განზრა/ხვა მისი, არამედ მიისწრაფა სულიერისა მოძღვრისა თვისისა და მიუთხრა ყოველი, რადაცა გულსა დაედვა, აღუარა სანატრელსა მას მოძღვარსა თვისსა, რომელმანცა რწმუნებელი მისდა ცხოვარი კეთილსა და მშვენიერსა სულისა აღმარძინებელსა საძვრისა გზასა ამცნო წარსლვამ. ეტყოდა მოძღვარი: „შვილო

35 ქრისტესია, პირველადვე სურვიელი იყავი მაგას განზრახვასა, გარნა არა წარგემართა შიშისაგან ბატონისა შენისა და აწ განუსაკუთრე თავი შენი უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა, რომელმანცა ჩვენ

განგვათავისუფლნა¹ მონებისაგან ეშმაკისა, მანვე სახიერმან და კაც-
თათვის სისხლისა თვისისა დამთხვეველმან, მოგვცინ სრულყოფა
სიყვარულისა მისისა.

/გარნა, შვილო, გამცნებ მოძღვარო შენი, რათა წარხვიდე ქვე- 5
ნასა საქართველოსა, უდაბნოსა გარესჯისასა, რომელ არს თავ- 5
სა ყარაისასა, სადაცა ჩავლის მდინარე მტკვარი, რომელსა ეწო-
დების მრავალმთა გარესჯა, სადაცა ღირსი მამა ჩვენი დავით მოლ-
ვაწებით და ოფლ-მწთოლვარებით და ტირილითა და მარხვითა და
მრავლითა სათნოებითა მკვიდრობდა.

სადაცა ღირსი მამა დოდოს გარესჯელი და მოძღვარი უწმინ- 10
დესისა თვისისა, ვითარცა მზე, მნათობდა, რომელმან ნათელს-სცა
მთავარსა რუსთავისას ბუბაქარს-ბარბაროსს² და ძეთა მისთა და
მრავლსა რიცხვსა კრებულსა მწყსიდა. და/ საფლავი მისი ყოველსა
დღესასწაულსა მისსა სურნელებასა განუტევებს.

წარვედ, შვილო, სადაცა ღირსი მამა და პირმშო მოწაფე ლუ- 15
კიანე ნაცვლად მოძღვრისა თვისისა კრებულსა მონაზონთასა მწყსი-
და და ირემთა, ვითარცა ზროხათა, სწველავდა.

სად ღირსი მამა და წინამძღვარი გარესჯისა პავლე ეტყოდა
ძმათა: იოანე ღვთისმეტყველი მოგვცემსო, ძმანო, საზრუნავსა
თქვენსა და მყის მოიტანა ცოცხალი თევზი ორბმა და შთამოუტე- 20
ვა ძმათა დღესასწაულსა იოანე ღვთისმეტყველისასა.

წარვედ, შვილო ქრისტესია, სადა ღირსი მამა არსენი წინამძღ-
ვარი დიდისა მონასტრისა, რომელსაც აწ „წამებულად“ უწოდე-
ბენ, რომელიცა წინასწარმეტყველების მადლითა ნიჭებულ იქმნა
და შეკრიბნა მამანი მრავალმთისანი, იტყუიან, და ამცნო მოსვლა 25
უღმრთოთა აგარიანთა უწინარეს ერთისა შვიდეულისა. განუცხა-
და, რათა არა უარყონ ქრისტე, არამედ დაეფარნენ, უკუეთუ არა
თავს იღებდენ სიკვდილსა ქრისტესათვისა. მაშინ მიექცნენ მეტყველ-

ნი და კითხვიდეს მამა არსენის: „მამაო მამათაო, შენ რაჲ გეგულვე-
ბის ყოფად. ოდეს მოვიდენ უღმრთონი იგი“. ხოლო მან მიუგო და 30
რქვა: „შვილნო, მე ოდეს აღვიღე ჭვარი და შეუდეგ ქრისტესა, ძესა
ღვთისასა, მაშინ მოგვედ ქრისტესთვის“. და ვითარცა ესე სთქვა,
მაშინ ხმა ჰყვეს ყოველთა ერთითა პირითა მეტყველთა: „ყოვლად

პატიოსანო მამაო, არა ეგრეთ ჩვენცა შეუდეგითა ქრისტესა, ვი-
თარცა შენ იტყვი, ღვთის-სულიერო, არაოდეს დაეფარავთ თავ- 35
თა ჩვენთა შიშისათჳს სიკვდილისა, რამეთუ თანა-გვაცს ერთ-

- გზის სიკვდილი და შერმელა საუკუნო საშეგბელი, არა ესრე არსა სარბიელი ჩენისა მონაზონებისაჲ არა მისთვის დაუტევეთა ქალაქნი და სოფელნი და გამოვედით, რათა მოვეკდეთ ქრისტესთვის ჩენთვის სიკვდილისა თავსმდებელისა? უწყით, პა-
- 5 ტიოსანო მამაო, რომელი ჩენთვის გელმის, ნუუკუე დავბრკოლ-
- 7 დეთ. ნუ იყოფინ უარის-ყოფა ქრისტესი, /რამეთუ უმჯობეს არს სიკვდილი, ვითარცა სთქვა ქრისტემან: რომელმან წარიწყმიდოს სული ამა სოფელსა ჩემთვის და სახარებისთვის, მან აცხოვ-
- 10 ნო!
- კვალად, შვილო, მუნ სცხოვრებდა ღირსი მამა წინამძღვარი მესამე თევდოსი დოდორქელი წმინდა და მადლითა განშუენებუ-
- ლი. ესენი წინამძღვარნი იყვნენ, ოდეს უღმრთოთა აგარიანთა აწამნეს წმინდანი ღირსნი მამანი მრავალმთისანი, სადაცა მონაზონ-
- ნი, ვითარცა ფუტყარნი სიტკბობებასა შეიკრებდენ.
- 15 ო სადაცა წმინდა ეპისკოპოსი/იოანე მანგლელი აღიზარდა მონაზონებითი წესითა და მრავალი წელი დაპყო ქვაბსა შინა ბერთ-
- უბნისასა, რომელ სენაკი მისი აწცა იხილუების, ცრემლითა მისითა მორწყული, რამეთუ სასწაულნი მისნი წერილ არიან წიგნსა შინა „კვარშემოსილ“ წოდებულსა. რომლისა მოღვაწე გვაში განუხრწ-
- 20 ნელად არს მდებარე ტფილისის სიონის სობოროსა შინა, რამეთუ პირველად მდებარებდა უდაბნოსა გარესჯისასა, და მუნით აღმო-
- 8 იდეს წმინდა გვაში მისი ყოვლად მრთელი მირონწუთოლვარე მე-
- ფის თეიმურაზის ბრძანებითა, რათა სცილდეს სამეფოს/ქალაქსა.
- წარვედ, შვილო, სადა სამგზის სანატრელი ილარიონ ქართვე-
- 25 ლი იმყოფებოდა¹, სენაკი² მისი იხილუების ზემორე ხევსა შინა, პირის-პირ ცრემლის წყლისა, სადაც მამისა ძმა თვისი ცალთვალი განკურნა და განუტევა სახიდ თვისა.
- კვალად, შვილო, მიგიბოხრა სხვაცა საკვირველი: რომელი ოდეს-
- 30 ცა ღირსი მამა დავით სანატრელი წარვიდა იერუსალიმს თაყვანის-
- ცემად საფლავისა ქრისტეს ღვთისა ჩენისა და მოიქცა მუნით მად-
- ლისა წარმომღებელი და მოიკითხნა ძმანი და მიმართ გარე მონასტერთა და ნაპრალებთა/კლდეთასა, სადაცა მარტოვებით ცხოვ-
- 7 რებდენ მონაზონნი. მიმავალმან ბერთუბნად იხილა ბერი ვინმე და მოიკითხეს ურთიერთარს და ამბორს-უყო ბერმა და რქვა მას და-
- 35 ვით: „ვითარ სცხოვრებ ძმაო?“ ზოლო ბერმან სულთა-ითქვნა და რქვა: „მამაო, წყალი ესე ორივე თვალი მწარე არს და ნიახური

მიდგა გარემოს წყაროსა ამას და სასმელი წყალი მწარე და ნიახური პურად მაქვს და იგიცა მწარე, რამეთუ ამით ვრწყავ და ესრეთ სიმწარით არს ცხოვრება ჩემი“. მაშინ ულოცა ღირსმა მამა დავით და დაუტეხო წყალი ერთი თვალი ხოლო მეორე დაუტევა მწარედვე.

იხილა რა ბერმან საკვირველი ესე, განიხარა ფრიად და აღიღებდა ღმერთსა, რომელმან მისცა სასწაული საკვირველი. ხოლო ბერსა მას აქვნდა სენაკი მცირე, ერთი საწოლი გამოკაფული კლდესა შინა და თავსა ქვეშე სართავად ედრა მისგანვე გამოკვეთილი ლოდი და ედგა კაკლისა ხენი და ნუჰი და ლელვი მისგან დანერგულნი და წყარონი ვიდრე აქამომდე იხილუებიან, ერთი მწარე და მეორე ტბილი და გარემოს ნიახური. დღესაც მიმავალნი იხილვენ წამოფარებულსა კლდესა ქვეშე“.

მოისმინა რა მოძღვრება სულიერისა მამისა კაცმან ღვთისამან, მყის განუხათლდა გონება და/ვითარცა ძილისაგან განიფრთხო და ეტყოდა მოძღვარსა თვისსა: „მამაო სულიერო, ვინა უწყოდი ეგოდენი საკვირველნი ადგილნი და სასწაულითა აღსავეს წმინდათა კაცთა საყოფელნი“. მიუგო მამამან სულიერმან: „შვილო ჩემო, მე ყოველად ცოდვილი და უღირსი მას სანატრელსა და გულის-სათქმელსა ადგილთა აღვიზარდე — იოანე ნათლისმცემლის უდაბნოსა შინა. და უწყი ესეცა, მიგიბზრა, შვილო, რომელ მეფეთაგან პატიუცემული ადგილი არს, ვითარცა ღვთისაგანცა მადლითა და სასწაულითა აღსავეს არს ადგილი იგი მრავალმთისანი.“

მეფე კახთა ალექსანდრე მოვიდაო/ ხილვად სამხოლოესა ღირსისა მამისა დავით სანატრელისასა, რამეთუ აქვნდა სასოება ფრიადი. და ვითარცა იხილა ყოველნი მონასტერნი და მცხოვრებნი მამანი მოღვაწეებით, სთნდა წესნი და საყოფელნი სულთა სატრფონი, დაუტევა მეფობა ქვეყნიური დიმიტრის, ძესა თვისსა, და თვით შეიმოსა სახე მონაზონებისა და უწოდეს სახელი ათანასი, რომელმანცა მრავალი ღვაწლი დადვა, რამეთუ აღაშენნა კოშკნი და ზღუდენი მის მონასტრისანი, რომელიცა ვიდრე აქამომდე უწოდებენ ალექსანდრე მეფის კოშკად და აქვნდა სენაკად თვისად. შეამკო მხატვრობით და/ ხრახნილებით ოქროცურვებულთ. მასვე მეფესა აღუშენებია სამარტვილო წმინდათა ღირსთა მოწამეთა და მას თანა მოსრულნი მხედარნი იქმნენ მონაზონ, აღიესო მთანი და ნაპარალნი მრავალმთისანი, ვითარცა იხილეს მეფე არღარა მიიქცა

ქალაქად თვისსა, არცა სპანი მისნი, მიმხედველნი მეფისანი, გამოვეთნეს სენაჲნი მრავალნი და ეკლესიანი სავანეთა მათდა. და საფლავი მის მეფისა და სხვათა მეფეთა და კათოლიკოსთა, მთავართა და ეპისკოპოსთა იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიასა შინა არს.

5 ამა სანატრელთა ადგილთა ორნი ოდენდა მონასტერნი დაშთა,
11 რომელთა/ შინა მონაზონნი სცხოვრებენ. სულთა სატრფოსა მას მონასტერთა არიან მრავალნი ეკლესიანი და სენაჲნი, აღსავსენი ნაწილთაგან წმინდათა ღირსთა მოწამეთა“.

პირველსავე მას სიტყვასა ჩვენსა მივიქცეთ. აღსდგა მსმენელთა
10 ამათი სანატრელი ქრისტესია, ვითარცა ფრთაშესხმული სიტყვათაგან სულიერთა, აღფრინდა გონება მისი და დაუტყუა მოძღვარი თვისი და სახლი თვისი. არღარა მიმხედველმან არავისდა წარმოემართა იღუმალ ღამით მიტაცებული სიყვარულითა ქრისტე ღვთისათა და ღამე, ვითარცა დღე, ვიდოდა./ მიიწია სატრფოსა მას

v
15 თვისსა უდაბნოსა იოანე ნათლისმცემელისასა გარესჲად, სადაც სცხოვრობდნენ ძველნი მამანი, სიყრმიდგან აღზრდილნი მოღვაწე-ბით. მივიდა რა მათ თანა, შეიწყნარეს სიყვარულით, ვითარცა აქვთ ჩვეულება მონაზონთა, რომელთათვის სტიროდის მამა ქრისტესია და ინატრიდა მათ დროს სიკვდილსა, რამეთუ წურთილებითა მონაზონებრივითა იყვნეს აღზრდილ, რომელთაცა უცხო, ვითარცა შვილი შემიწყნარესო და იგინი გარდაიცვალნესო და მე აქა უღირსად, ვითარცა ბრმა მიმოვეკვეთებით. ში ჩემდა, მამებო, რომელთა არღარა

12 გხედამთო. ესრეთსა და მრავალსა გოდებდა გულმტკიცნეული./ ხოლო დაჰყო. ნეტარმან ამა უდაბნოსა შინა მრავალი წელი მორჩილებასა შინა ფრიადსა, ვითარცა არს ჩვეულება ძმათა შორის მის უდაბნოსათა. ზიდვიდა ტვირთითა ფიჩხსა და წყალსა, რამეთუ და-

25 რკიანი ზარი და წარვლენდ ძმანი ყოველნი, ვიდრე წინამძღვარიცა, და ზოკაფენ მრავალსა და აღვიდიან და მოაქესთყე ამას და სხვასა ყოველსავე მორჩილებით და გულსმოდგინედ შერებოდა. რამეთუ წიგნისა კითხვა ყოვლად არა უწყოდა, გარნა პირი მისი არა-

10 ოდეს არა იტყოდა ამოსა, არამედ ვითარცა მდინარე ედემით სდროდა თაფლ-მწოთლვარენი საღმრთონი სიტყვანი, ვითარცა სულიერისა საუნჯისაგან აღსავსე.

v
30 /იყო სანატრელი მამა ქრისტესია მოხუცებული, ოდეს შემოსეს სახე ოდენ მონაზონებისა. ხოლო ცხოვრება მისი ესევეთარი იყო. აქვნდა ჩვეულება, ვითარმედ: უდაბნოიდგან იყო შვიდი ვერსი, სადაცა ედგა ჰური ანუ ქოცო, აღსავსე წყლითა, რამეთუ ზიდვიდა ტვირთითა ორითა სპილენძითა კოკითა. აღიკიდებდა დიდსა შინა სიტხესა და ერთსა კოკასა წყალსა ზედა დაისხამდა და-

- სრულებით დაილტობდა სამოსლითურთ, მაშინდა წარიღის და ალავსის ქოცო იგი. ხოლო ამას ქოცოსა ზედა იყო მცირე ქოხი და მას ქოხსა ზედან დაკიდებული მცირე ჩარეჟა, რათამცა მით მიელოთ წყალი იგი. რა/მეთუ შორით სჩნდა ჩარეჟა იგი, ხოლო მოგზაურნი მომავალნი ანუ მიმავალნი ქალაქით ანუ სოფლით დღისა ერთისა სავალსა ვერასადა ჰპოვებდენ წყალსა, ვიდრე არა მოვიდოდენ ქოცოსა მას ქრისტესია ბერისას და მაშინდა მაშვრალნი სიციხოთა და სიშორითა ღონე მოკლებულნი მიიწეოდენ და მიიღებდენ წყალსა დიდითარე სასოებითა და მადლობითა ღვთისათა და მონისა მისისა ქრისტესია ბერისათა. 13 5
- აქენდა მას თანა მცირეცა ბოსტანი მწვანევილთა მუნვე ქოცოს თანა, რომელსაცა იხმევდენ მგ/ზავრნი, ვითარცა ზეციურსა მანანასა და წყალსა, ვითარცა დამტკბარსა მოსეს მიერ მერარასა, მას უდაბურსა ადგილსა. ესრეთ განაგრილებდა სიციხითა შემწვარსა სხეულსა კაცთა მაშვრალთა, რამეთუ ყოველსა დღესა ზაფხულისასა ესრეთ საკვირველსა მოღვაწეებასა შინა იყვის ღირსი მამა ქრისტესია. რაით-მე ვთქვათ, ძმანო, ნუუკვე მცირე არსა შრომა ესე, ანუ არა? დაღათუ წიგნი არა უწყოდა, არამედ¹ აღასრულა სიტყვა სახარებისა, რომელსა გვამცნებს იესო ძე ღვთისა, ვითარმედ: რომელმან ასვას წყალიო ერთი გრილი სახელითა ჩემითა, სასყიდელი არა წარუწყმდესო. აჰა, ვითარ მტკიცედ აღასრულა მცნება, რაიცა ესმინა. ნუთუ/ ესე აღასრულა და სხვანი მცნებანი დაიდუმა და არ აღასრულა? 15 20 14
- კაცსა მას ღვთისასა აქენდა ჩვეულება, ვითარმედ რასაცა ვინ მისცემდა, ყოველსავე სხვათა განუყოფდა. რამეთუ წარვიღის სოფლად რაოდენმეგზის და მი-რა იწივის სოფელსა, რომელსა რქვიან ხაშმი, და მოითხოვის ღობიო, ანუ ხორბალი, თაფლი და ძაფი, ვისაცა რაა აქენდის, ყოველნივე სიხარულით მისციან, რამეთუ უწყოდენ, რომელ კეთილი მოღვაწე იყო და მადლითა განბრწყინებული და არავინ განუტევებდა ცალიერსა. არცა თვით განეშორებოდა, ვიდრე არა მიეღო ქველის-საქმე მათგან, რამეთუ იტყოდა ნეტარი: ნუუკვე საცთური და/უგოო მოსვლითა ჩემეთა, მან არა მომცეს მოწყალეზაო და ბოროტმან ეშმაკმან ცოდვათა დაუწესაო, ჩემის ძალით წარწყმდესო და რომელნიმე განზრახვით ეტყოდენ მცნობნი მისნი: „არა მაქვს, მამაო, რამცა მოგცე“. „ღობიო მამე, შვილო, უკვეთუ არა ხორბალი, ანუ თაფლი, ანუ ძაფი, ანუ კაკალი“. მიუფის: „არა მაქვს არცა ერთი, რასაცა ითხოვ, ბერო“. მაშინ 25 30 35

ნუსხაშია: 1 არამე.

- დაჯდის და მიუგის: „შვილო, ცალიერი უკეთუ მიმაქციოთ, ეშმაკი განიხარებს მეტყველი, ანგელოსისა შენისა დამქენჯელი, ვითარმედ: არა მისცა მოწყალემა გლაზაკსა მას ბერსაო და მით მე ვწუხ: ნუუკვე ჩემითა მისგლითა შენ წარწყმდე და მე ცოდვილი საფრ-
- 15 5 თხე/ შენდა ვიყო წარწყმედისა, ამისთვის არა წარვალ ცალიერი, ვიდრე მცირე რაიმე არა მამცე და ბოროტი იგი ეშმაკი არცხვინოს ანგელსოსმან შენმან და მე არა მიზეზ წარწყმედისა გექმნე“. ამას და ესევეითართა სიტყვათა მრავალთა ეტყოდის ტირილითა და ძრწო-
ლითა და მაშინ მისციან სიხარულით, ოდეს ისარგებლებდენ სიტყ-
10 ყვითა მისითა. ზოლო იგი ნეტარი რასაცა მოირეწდის, ყოველსავე, სადაცა იხილვის ქვრივი და ობოლი ულონო ცხოვრებით, მას მის-
ცის დაფარვად. თვინერ თაფლისა და ხორბლისა ყოველსავე მის-
ცემდა ობოლთა-ქვრივთა: „ნეტარ იყვენენ მოწყალენი, რამეთუ იგი-
ნი შეიწყალნენ“.
- v 15 /კვალად აქენდა ჩვეულება სანატრელსა მას კაცსა ღვთისასა, რომელ უკეთუ ისმინის სიძულელი რაიმე, ანუ ძმათა შორის. ანუ მამისა და შვილისა შორის, ქმარსა და ცოლისა შორის, ისმინის რა, წარვიდის მათ თანა მონასტრით და მშვიდობასა ჰყოფდის. მი-რა-ი-
წივის სახლსა მათსა, მოუწოდის ორთავესა და ეტყოდის მშვენიერ-
20 თა და ლმობიერთა სიტყვათა, ვიდრე იტირიან სიტყვითა მისითა და შეინანიან. და მერმე ეტყოდა: „შვილო, უკეთუ არა ისმენთ! ჩემსა, რომელიცა თქვენის მიზეზით მოველ აქა, წარვალ მწუხარებ-
ბით საესე და განიხარებს ეშმაკი იგი, რომელსა არა ნებაეს მშვი-
16 დობა კაცთა, და მოაწევს უღარესსა განსაცდელსა/ თქვენ ზედა. და
25 ვითარცა მოველ მშვიერი, მშვიერივე წარვალ თქვენგან“. მაშინლა და-
ეგებოდნენ ურთიერთარს და ჰყოფდნენ მშვიდობასა. განიხარის, ვითარმედ ბოროტი ეშმაკი განვსდევნეო, ღმერთმა დასწყევლოს. ალუთქმიდენ არღარა ყოფას. რაჲ მე ვსთქვათ, ძმანო, არა არსა მცნება უფლისა, რომელსა იტყვის: „ნეტარ იყვენენ მშვიდობის
30 მყოფენი, რამეთუ იგინი ძედ ღვთისად იწოდნენ“.
- მერმე ესეცა ჰყვის, რომელ მისციან ხორბალი და თაფლი მცხოვრებთა სოფლისათა, რათა შემზადებდეს ყოველთა შაბათთა მიცვალებულთა მათთათვის კოლიოსა, ზოლო იგი წარიღის მონას-
ტრად და შეამზადის ყოველსა/ შაბათსა სამითა ჭურჭლით: ერთი ვინ-
v 35 ცა მისცის თაფლი და ხორბალი, მისთა მიცვალებულთათვის, მეორე მუნ მდებარეთა მამათა მიცვალებულთათვის, მესამე ყოველთა მართლმადიდებელთათვის. ამას წლითი-წლად ყოველთა შაბათთა

- ყოფდა და უკეთუ აქენდის ფული, მოსახსენებელი მისცის. ესრეთ მეურნეობდა, რომელ თვისთა მიცვალებულთათვის ვერა თავ-იდებდენ მრავალნი. იხილეთ საყვარელნი! ვითარ ღვთისა სიყვარულისა თანა, მოყვისსა სიყვარულიცა შეაუღლა, ვითარცა იტყვის უფალი: „მეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“.
- 5
- წარვიდა მამა ქრისტესია დღესა ერთსა/ ჩვეულებისაებრ შემდეგ მწუხრის ლოცვისა სოფლად, რამეთუ სიციხისა გამო ღამე წარვიდოდა, და ვითარ წარვიდა, იქმნა ღამე ბნელი ფრიად. მიიწიო ადგილსა, რომელსა რქვიან მეძვიანი, და ვერღარა ეძლო სლვა სიბნელისაგან ღამისა. დასდგა და ილოცვიდა, ვითარცა აქვნდა ჩვეულება ლოცვად და ტირილად, და მეყვსეულად გამოუჩნდა მთებარე რამე, ვითარცა სანთლითა მავალი, განუნათლა გზა იგი შეცთომილი, დადგა მთებარე იგი და ელოდა მას ბერსა წარსლვად. და იგი მძრწოლარე შიშისაგან არა თავს-იდებდა წარსვლასა, არამედ ილოცვიდა და ევედრებოდა ღმერთსა, რათა არა მიეცეს განსაცდელსა: გონებდა, ნუუკვე მხეცი რამე არს და თვალთა ანათებსო. ვითარცა/ იხილა, რომელ არღარა იყო ღონე, გამოსახა ნიში ჭვარისა და წარემართა და იგიცა წარუძღვა წინა და სადაცა განისვენებდის ბერი იგი, მთებარეცა დასდგის და ელინ მას. და ვითარ არა განეშორა, მაშინ მოეგო გონებასა და თქვა: „ნუუკვე ღმერთმა მომცა შემწედ უბადრუქსა აჰას და მე განვარისხო“. აღსდგა და მისდევდა. მას ღამესა ვლეს, ვიდრემდინ მიიწივნენ სოფელსა მას სათიჰალისასა და მაშინ განუტევა ბერი იგი და უჩინო იქმნა მთებარე იგი. ესე სასწაული დიდთა მოღვაწეთა არს, ძმანო, რამეთუ ჰფარამდა ნეტარი ღირსებასა მისსა.
- 17
- ეშმაკთა, ვითარცა კანჯართა, სდევნიდა ქვისა ტყორცნითა თანა. კახეთად მიმავალსა გამოუჩნდა გზასა ზედა სახითა დედაკაცი-სათა, სადაცა არაოდეს ყოფილა მუნ დედაკაცი, რამეთუ ზვრელი-დან ამოძვრაო და დგაო წინაშე ჩემსაო. მაშინ აღილო ნეტარმან ქვანი და დევნიდა ტყორცებით. მლტოლვარე ჩახტა ზვრელსა გზისასა და იწყოლა სროლა ქვისა. მივიდა ხილვად, რა-ძი იქმნა დედაკაცი, და ვერღარა ჰპოვა და არცა იყო ხრამისა შიგან განსაძრომი, რათამცა დაფარულიყო. მაშინ დაუტევა და კვალად ამოძვრა სხვასა ნაპრალსა გზისასა და კვალად სდევნიდა, ვიდრემდის დაუტევა ბორცტმან.
- 10
- 15
- v
- 20
- 25
- 18
- 30
- 35
- ხოლო მონასტერსა შინა არა აქვნდა ძილი ღამით!, რამეთუ იჯდის გინა თუ იდგის; აქვნდა ბრძოლა ეშმაკთადმი/ და ავედრებდა
- v

- კაცთა მიმართსა ბრძოლასა და მერმელა მოიქცეოდა მათგან და იწყის ლოცვად მშვენიერნი და ზარისასახდელნი სიტყვანი წარმოსთქვნის ტკბილად და ჩაურთვის თანავე ვოდება და ტირილი მწარე და შესაძრწონებელი მსმენელთათვის და გარღამოუტევის ნაკადნი ცრემლთა მჩქეფარე. ამხილის სინდისსა თვისსა განუკრძალველი ცხოვრება, ვითარმედ: „ნაყოფანი ხარ, ბერო, უძღვები ხარ, ცოდვილი ხარ, დადაცათუ ხორცს არა სჭამ, პურსა მაძღრივ სჭამო და ოდესცა ჰპოვებ, ღვინოსაცა სვამ, უბადრუკო ბერო. არა გეშინისა? დაგავიწყდა სიკვდილი და სულისა და ხორცისა/განშორება? დღესა თუ ხვალე მოვალს წამყვანებელი შენი. შუა უყავ თავი შენი“. და იწყის ტირილი მწარედ, ვითარცა შვილმკვდარი დედა, რომელ განსაკვირვებელი იყო სასოება მისი, რამეთუ იცის პირსა და თავსა მჭიდითა და ესრეთ განვლიდა დღეთა ცხოვრებისა მისისათა, მყვედრებელი და დამქენჯნელა¹ თავისა თვისასა, ვიდრემდის დაშვრებოდა, მაშინლა მცირედ მიირულის ძილად.
- იწყიან რა რეკა ზართა ძმათა მის მონასტრისათა, ეკლესიად ცისკრისა აღსდგის და შევიდის, დადგის მიყრდნობილი კვერთხსა, სთვლემდა ძილისათვის და იტყოდა: ბოროტი ეშმაკი დაწყევლოს ღმერთმაო.
- v 20 /ხოლო სენაკი მისი, ვითარცა უწყით ყოველთა მხილველთა, ფრიად იწრო იყო და ერთი ოდენ კაცი დაწვის. სიგრძე და სიგანე სულ მცირე, ვითარცა საფლავი, რომელსა შინა აქვნდა საწოლად ტანტი ერთისა ფიცრისა და საგებელად ტყავი ცხოვარისა, ერთი იგიცა ძველი, რომელი ვიდრე წელამდის კმა-ეყოფოდა, ოდეს დაწვებოდა. და თავსა ქვეშე სასთაულად ეღვა ქვა დიდი და მას ზედა ნაგლეჯი ტყავისა ეფარა, რათა არავინ იხილოს. და ზედა საბურველი მისი იყო, რაჲცა ტანზე ემოსა ტყავისაგან ცხოვრისა დაბეჭული, უნდო. და ფერხთა ქალაბანი ოდენ, ვითარცა² გიხილავთ-ყე³, და თავსა მისსა კუნკული და ბარტყული, რაჲცა პირველ შემოსად
- 20 30 მამათა იგი აქვნდა ნეტარსა მის მოღვაწესა./ დადაცათუ სწყალოდენ უცხონი და მისციან რამმე სამოსი, იგი გლახაკთა მისცენ და თავისა თვისისათვის არარას ზრუნვიდა საწუთოსათვის და ამოსა, არამედ ყოველსავე იუნჯებდა მერმისა მის საუკუნისათვის.
- ესეცა აქვნდა ჩვეულება, უკეთუ აქვნდის სენაკსა თვისსა პური 35 ანუ ღვინო, ანუ თაფლი, მომავალთა მგზავრთა მიიყვანებდა სენაკად თვისა და დაუგებდა, რაჲცა აქვნდა ღირსსა მას ბერსა.

- აქნდა ჩვეულება სანატრელსა მას და წრფელსა, ვითარცა კრავსა არა აწყენდა/ ხმათა, არცა სიტყვითა, არცა საქმიითა და უკეთუ ვინმე ეტყოდა განზრახ, ვითარმედ მაწყინე შენ სიტყვითა, ამისთვის გულძვირად ვარ შენ ზედა, წარვიდოდა რა ეკკელსიად ჟამსა ლოცვისასა და შემდგომ აღსრულებისა უწინარეს მათსა გამოვიდოდის და დასდგის კარისბჭუსა და ოდეს მოიწივის ძმა იგი, შეუვრდის! ფერხთა ქვეშე და ეტყვიან: „მომიტყევე, მამაო, რაჲცა გცოდნე მე ცოდვილმან“. ვიდრე თანა წარყვის სენაკადმდე და ითხოვდა მოტევენბასა და ესრეთ მზა იყო ასპარესსა მას სასუფეველად მიმყვანებელსა და სამოციქულო მოძღვრებასა, რომელსა იტყვის პავლე: „მზე ნუ დავალნ განარისხებასა თქვენსა“.
- /ხოლო აღსასრული ესრეთ იყო, ძმანო, რამეთუ უძღვრებასა შინა იყო მოხუცებული ფრიად, ვითარ ვგონებ, ოთხმეოცისა წლისა, უფროსი და არა ნაკლულევიანი წლოვანობით. რამეთუ თმა და წვერი სპეტაკი, ვითარცა თოვლი, პირი მისი განათლებული მადლითა, რომელ არასადა მიხილავს ეგრეთ განბრწყინებული პირი კაცისა, ვითარცა მისი ნათელმკრთომარე, რომელსაცა მეწამებიან მცნობნი მისნი.
- აღესრულა სანატრელი იგი მასვე მოღვაწეებით მყოფსა უღაბნოსა იოანე ნათლისმცემელისასა, რამეთუ ღამესა მას, რომელსა ეგულვებოდა დატევენბა და განშორება საყოფელისა თვისისა და მისვლად/ ისწრაფდა სასურველისა თვისისა, მას ღამესა გამოვიდაო გარე სენაკისა თვისისა და ხმა უყო მამათა მის მონასტრისათა სამგზის, ვითარმედ: „თეოფილაკტე, თეოფილაკტე, თეოფილაკტე“, და ვითარ არაინ ისმინა, მიიქცა სენაკსა თვისსა და დაიძინა ძილი შერთალთა, და ესე ხმა ესმინათ მსახურთა და არა მისრულ იყვნეს შის თანა, ვიდრე არა განთენდა და მაშინ იხილეს აღსრულებული და დიფლეს მოღვაწე გვამი მისი მუნ წინაშე ეკკლესიისა, სადაცა მამანი მღვდბარე არიან, მუნ იგიცა.
- ში ქრისტეს მოყვარეო ძმაო მიხეილ! აჰა, სასოებითა და სიყვარულით შენგან/ძიებული ნაყოფი ქრისტესიასი ბერისა აწმყოსა ჟამსა შინა ყოფილი, ღირსებით შემკობილი, რომელიც იყო დაშთომილი ტალანტი ძველთა მამათა მეუღაბნოეთა, რომელიცა აღსრულდა უწინარეს ცხრა წლისა, 1871 წელსა. ესე ყოველი, რაჲცა აღწერე, რომელიმე მიხილავს² თვალითა და რომელიმე მისგან მსმენიეს: ოდეს იყვის უღაბნოსა ღირსის მამა დავითისას, ჩემ თა-

V

ნა დაპყვის ღამე და დღე და არარას დამიფარავდა მე უღირსსა, ცოდვილსა. ვითარცა უწყოდი ცხორება მისი, ესრეთ უნაკლულთ აღვწერე. უწყის ღმერთმან და მამა ქრისტესიას განათლებელმა სულმან, რომელ არარამ შემიმატებებს, არამედ რომელიმე დამიდუმებებს, რათა არა მოსაწყინელი იქმნეს წარმკითხველთათვის ამის წიგნისა. შვერალი ამისი მთავარდიაკონ სპირიდონ გძელივი. 1880 წელსა.

XVIII საუკუნის ქართული პავიოგრაფია

1. გრიგოლ ვაგაბაშვილი (დოდორქელი)

„წამებაჲ წმიდისი ქეთევანისი“ გვიანფეოდალური ქართული სასულიერო პროზის პირველი ორიგინალური თხზულებაა, რომელიც მხატვრული პროზის ანთოლოგიებში — ქართულ პავიოგრაფიულ კრებულში — შევიდა როგორც ძირითადი და ორგანული ნაწილი. ნაწარმოებმა თავისი იდეური და მხატვრული ჩანაფიქრით და მისმა ავტორმა მკითხველი საზოგადოების ყურადღება და, ამავე დროს, მაღალი შეფასება დაიმსახურეს. ანტონ ბაგრატიონმა ერთ-ერთმა პირველმა განიხილა კრიტიკულად თხზულება და შეიძლება ითქვას, მოგვცა ძეგლის როგორც მხატვრული ფენომენის და, ამავე დროს, როგორც საისტორიო წყაროს პირუთენელი შეფასება. მანვე განსაზღვრა ავტორის ადგილი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ოსტატთა შორის. ანტონი თავის სამ შრომაში მსჯელობს გრიგოლ დოდორქელის მხატვრული შემოქმედების შესახებ სპეციალურად. „წყობილსიტყვაობაში“ — ქართული კულტურის ისტორიის პირველ სახელმძღვანელოში — საგანგებო პარაგრაფი შეიტანა სათაურით: „თჳს მამისა გიორგი ხუცესმონაზონის დოდორქელისა, ვახვანის ძისა ანუ ბაზიერთუხუცესის ძისა“. ხოლო „მარტირიკაში“ — ქართული პავიოგრაფიული კრებულის მეტად საინტერესო და თავისებურ რედაქციაში, — რომელშიც ქეთევან დედოფლის „წამების“ საკუთარი თხზულება შეიტანა, იძლევა გრიგოლის ნაწარმოების კონკრეტული ეპი-

მ. ქავთარია, XVIII საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან, თბილისი, 1977, გვ. 78—85.

ზოდების ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში არ ერიდება საილუსტრაციო მასალის, ვრცელი ციტატების მოტანასაც კი. შესაძლებელია თხზულებაში — „სადღესასწაულო“ კი ანტონი სპეციალურად საუბრობს გრიგოლის, როგორც საეკლესიო მოღვაწის, კულტურულ საქმიანობაზე და მიუთითებს იმ მონაწილეობაზე, რაც მან საეკლესიო რეფორმების ჩატარებაში მიიღო.

„წყობილსიტყვაობაში“ კვითხულობთ:

„გრიგორისა ვარ წერილთა შესწავებულს, ამინ, სიბრძნისა ქუჭმდებარემან კაცმან, ისტორიკოსა ქეთევან დიდისათვის, რამეთუ ღუაწლნი მოუთხრნა ამან მისნი, ვრცელ და წესიერ, ბრწყინვალედ, არა ძნელად გრიგორი მისსა აკოლოთათმასაცა გამოთქმელ იქმნა და სხუათაცა წმინდათა შუშნიერ მსიტყვ, სათნოთა ბრძენთაცადმი, კაცი მმარხუშლთა საქმითა გამოცდილი და საქებელა კეშმარტიად ყოველთად“².

ანტონის ეს შეფასება თითქმის უცვლელად გაიზიარა მომდევნო თაობის სალიტერატურო კრიტიკამ (ცხადია, ამ ტერმინს პირობითად ვხმარობთ). იოანე ბატონიშვილმა სათაურიც კი არ შეუცვალა, ისე გადმოიტანა ანტონის თვალსაზრისი თავის ენციკლოპედიურ თხზულებაში „კალმასობა“: „მამა გრიგორი ვახუშტის ძე, ბაზიერათუხუცესისა, და მონაზონი დოდორქელისა მონასტრისა. ესე იყო სწავლათა შინა გამოცდილი, მონაზონებითა სრულ და სიბრძნის მოყვარე. ამან შეთხზნა რომელთაჲ ქართველთა წმინდანებითაჲ აკოლოთიანი მშვენიერ ენასა ზედა (!). და მანვე აღწერა წმიდისა ქეთევან დედოფლისა ცხოვრება და წამება მისი უღმრთოსა შაჰ-აბაზისაგან: და ამან იღვაწა დოდოს მონასტერსა შინა მარხვითა და ლოცვითა და ესრეთ გარდაელო წელნი თვისნი“⁴. ვახუშტი ბა-

² ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა რ. ბარამიძემ, თბილისი, 1972, გვ. 184. ჩვენ ვიყენებთ ამ გამოცემას და არა პ. იოსელიანისას, თბილისი, 1852. 1980 წ. ივ. ლოლაშვილმა კვლავ გამოსცა ეს თხზულება.

³ გრიგოლის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობიდან მხოლოდ ქეთევანისადმი მიძღვნილი საგალობელია ცნობილი. თუ რას გულისხმობს იოანეს ცნობა, ჩვენთვის გაუგებარია. აქაც ავტორი ანტონის იამბიკოს ეყრდნობა.

⁴ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, კ. კეკელიძისა და ა. ლ. ბარამიძის რედაქციით, 1948 წ. გვ. 151, თეიმურაზ ბატონიშვილიც ანტონისავე ცნობებს იმეორებს. იხ. თეიმურაზ ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია, პარიზი.

ტონიშვილი გრიგოლის თხზულების ისტორიულ ფაქტურას დიდად უწევს ანგარიშს და თავის „ისტორიაში“ სათანადოდ იყენებს მას როგორც მნიშვნელოვან საისტორიო წყაროს⁵.

მოუხედავად ძველ ქართველ ლიტერატორთა და ისტორიკოსთა ასეთი დაფასებისა, გრიგოლ დოდორქელი-ვახუხიშვილის სახელი და მისი პავიოგრაფიული თხზულება თანამედროვე სპეციალისტთა ყურადღების საგნად მხოლოდ ტრ. რუხაძემ აქცია. 1949 წელს მან პავიოგრაფიულ კრებულებში მოიძია გრიგოლის ნაწარმოები და გამოაქვეყნა კიდევ მიმოხილვითა და წინასიტყვაობით, რომელშიც ძირითადად განსაზღვრა და დაადგინა გრიგოლი ვახუხიშვილის (დოდორქელის) მოღვაწეობის ქრონოლოგია. ტრ. რუხაძის სამართლიანი დასკვნით: გრიგოლ ხუცესმონაზონის ხსენება ქართულ საბუთებში XVII საუკ. გასულიდან იწყება. ამ საბუთებიდან ჩანს, რომ გრიგოლ ხუცესმონაზონი, გვარად ვახუხიშვილი, ძე რომელიდაც უცნობი კახელი ბაზიერთხუცესისა, ცხოვრობდა XVII საუკუნის გასულსა და XVIII საუკუნის დამდეგს⁶.

ანტონის „წყობილსიტყვაობის“ ზემოთ ციტირებული ადგილის კომენტარში პლატონ იოსელიანი მიუთითებდა, რომ გრიგოლ დოდორქელი მოღვაწეობდა XVII საუკუნის პირველ ოცეულში⁷. რამდენადმე მოგვიანებით ზ. ჭიჭინაძემ გაიმეორა პლ. იოსელიანის ცნობა და თავის მხრივ დაუმატა: „ზოგიერთნი მოგვითხრობენ, რომ გიორგი ვახუხის ძე ლეკებმა დაკუწეს დოდორქელის მონასტერიო⁸.

დღესდღეობით ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტები მხარს არ უჭერენ არც პ. იოსელიანის და არც ზ. ჭიჭინაძის სიტყვებს. არსაიდან არ ჩანს, რომ გრიგოლ დოდორქელი XVII საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა და რომ იგი ლეკთა თარეშს შეეწირა (რაც, იმ დროს, საერთოდ, შეუძლებელი არ იყო).

ქართული მწიგნობრობისა და მწერალთა პირველი დამფასებლის ანტონ კათალიკოსის მოწმობით გრიგოლ დოდორქელი ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის (შემდგომში რუსთველი ეპისკოპოსი) თანამედროვეა. იგი ნიკოლოზთან ერთად მონაწილეობს ქართულ ლი-

5. ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველსა, ტექსტო დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1973, გვ. 582, 583, 592 და სხვ.

6 ტრ. რუხაძის დასახელებული წერილი, გვ. 235.

7 „წყობილსიტყვაობა“, 787, სქოლიო.

8 ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში, 1888, გვ. 14.

ტურგიკულ წესში რეფორმების ჩატარებაში. ანტონი 1758 წელს „სადღესასწაულოს“ წინასიტყვაობაში წერს: „ახალი იყო განწესება დღესა ომ იანურისა თთვასა ანტონი მარტო-მყოფელისა, ვითარმედ ნიკოლაოზ ჩერქეზმან რუსთველმან და გრიგორი ხუცეს-მონაზონმან დოდორქელმან განაწესა დღესა მას ომ იანუარსა“...⁹ ამ ცნობიდან აშკარაა, რომ გრიგოლი და ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი თანამედროვენი იყვნენ და ერთად საქმიანობდნენ კიდევაც. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის 30-იანი წლების მოღვაწეა. რ. ბარამიძის დაკვირვებით, იგი გარდაცვლილა 1735 წელს¹⁰. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი ერთხანს მოღვაწეობდა დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის საფანეში. აქ მას 1704 წელს გადაუწერია დავითნი, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტში Q—430 ნომრითაა დაცული. ხელნაწერის ანდერძში ვკითხულობთ: „... მე ცოდვილი მონა მსახურებისა ღმრთისა ჩერქეზის ძე, პაპის, მამეულად აგარიანი, ხოლო აწ ღმრთისმოყუარისა მამა-დედისა შვილი, დიაკონ-მონაზონი ნიკოლოზ კსენებით მყავთ ლოცვათა შინა თქუენთა... განსრულდა დღესა ოცდახუთსა. ქორონიკონს ტვზ (1704 წ.)“¹¹. ისტორიული დოკუმენტების ჩვენებითაც გარკვეულ დოდორქელისა და ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის მოღვაწეობის ქრონოლოგია ემთხვევა ერთმანეთს. მართლაც, გრიგოლის სახელი დავით გარეჯის მონასტრის საბუთებში იხსენიება 1704—1711 წლებში¹². გრიგოლი დოკუმენტებში ყოველთვის დოდოს მონასტრის კრებულში იხსენიება. სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი. მისი გარდაცვალების ზუსტი თარიღი ცნობილი არაა. სავარაუდოა, რომ იგი XVIII საუკ. პირველ ოცეულში გარდაიცვალა. დოდოს მონასტრის და საერთოდ დავით გარეჯის უდაბნოს სიგელ-გუჯრებში ამ პერიოდიდან აღარ გვხვდება გრიგოლის სახელი.

გვიანფეოდალური ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ისტორიის განვითარებაში ისეთი მნიშვნელოვანი როლი არც ერთ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს არ უთამაშია, როგორც დავით გარეჯის ლიტერატურულმა კერამ შეასრულა. მთელი ასი —

¹² თ. ვორდანი, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, ფოთი, 1903, გვ. 34—41.

⁹ კ. კეკელიძე, ანტონი კათალიკონის სალტურგაყო მოღვაწეობიდან, ეტილოები, IV, გვ. 182.

¹⁰ რ. ბარამიძე, მასალები ნიკოლოზ რუსთაველის ბიოგრაფიისათვის, საიუბილეო კრებული აღ. ბარამიძის დაბადების 70 წლისთავზე, თბ., 1974, გვ. 15—20.

ასორმოცდაათი წლის მანძილზე დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა ხელმძღვანელობდა ქართლ-კახეთში სასულიერო ცხოვრების ყოველ უბანს. გარეჯის ლიტერატურული სკოლის წრთობა გაიარეს XVII—XVIII საუკუნეების ცოტად თუ მეტად გამოჩენილმა მწიგნობრებმა, რომელთაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ჩვენი ეროვნული მწერლობის და კულტურის განვითარების საქმეში.

გრიგოლ ვახვახიშვილი-დოდორქელიც დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლის ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი იყო. მის განსწავლულობასა და შემოქმედებით უნახს, როგორც ჩანს, გარეჯაში დიდად აფასებდნენ მაშინაც კი, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს ეს უმნიშვნელოვანესი კულტურული კერა დაკომპლექტებული იყო გამოჩენილი მწიგნობრებით. სწორედ ამიტომ მოხდა, რომ გარეჯის კულტურული ცენტრის შესწევუნებმა გრიგოლს დაავალეს ზოგიერთი რეფორმის ჩატარება საეკლესიო ცხოვრების წესში და XVII საუკუნის გამოჩენილი მოღვაწის — ქეთევან დედოფლის თავგადასავლის და ტრაგიკული აღსასრულის აღწერა. თვით გრიგოლ დოდორქელი საგანგებოდ აღნიშნავს ამ ფაქტს: „მაიძულეს მე კაცთა ვიეთმე ღმრთისმოყუარეთა აღწერად საქმისა ამის, რადთა არა დაეიწყებდასა მიცემულ იყო ცხოვრება ესე ყოვლად-სანატრელისაჲ, რამეთუ ყოველნი წმიდანი ღმრთისანი, აღმოსავლისა და დასავლისანი, თეს-თესთა ქუეყანათ და სოფელთა ილუაწიან და შემწე და მეოხ არიან მათთვის...“

პირველი ოფიციალური მითითება გრიგოლის ლიტერატურულ საქმიანობაზე ეკუთვნის ანტონ კათალიკოსს. იგი ქეთევან დედოფლისადმი მიძღვნილ თხზულებაში („მარტირია“) წერს: „ამისნა უკუე ისტორიანი, ვკონებ, ვითარმედ პირუელად აღწერა ვინმე თანამედროემან წმიდისაჲან, და თვთ კეთილმსახურმან ძემან მისმახ მეფემან თეიმურაზ პირუელმან შაირსიტყუაობით¹³, და მესამემან არჩილ იმერთა მეფემან, მამის ბიძამან ჩემმან, მოიკსენა შაირსიტყუაობათა შინა თეიმურაზ პირუელისა საქმეთა ისტორიისათა, კუალად გრიგორი ხუცესმონაზონმან გარეჰსჯას ღირსის დოდოს მონასტრისაჲან...“ (გვ. 34). გრიგოლის თხზულებას ერთ-ერთ მნიშვნე-

¹³ ამ ბოლო ხანებში გამოითქვა ეკვი, რომ პოემა „ქეთევანიანი“ არ ეკუთვნის თეიმურაზ პირველს და მაშასადამე, ანტონის ეს ცნობაც მიჩნეულა არა ავთენტურად (იხ. შ. ონიანი, ლიტერატურათმცოდნეობის საკორდინაციო საბჭოს XIV სამეცნიერო სესიის თეზისები, 1979 წ. გვ. 16—17. რ. ბუ რ კ უ ლ ა ძე, „წამება ქეთევან დედოფლისა“, „ციცქარი“, 1980, № 4; საპასუხო წერილი: ღ. ბარამიძე, მ. გუგუშვილი, ქეთევან დედოფლის წამების გარემო „ციცქარი“, 1981, № 1, გვ. 127—134.

ნელოვან ნაწარმოებად მიიჩნევენ ანტონი. როგორც ჩანს, ეს აზრი ანტონზე ადრე შემუშავდა სამწიგნობრო ცენტრში და ამიტომაც იყო, რომ გრიგოლის თხზულება შეიტანეს როგორც ძირითადი და ორგანული ნაწილი ქართულ ჰაგიოგრაფიულ კრებულში¹⁴, რომლის შედგენაზე ფიქრობდნენ და პრაქტიკულ ნაბიჯებსაც უკვე დგამდნენ გარეჯაში. ორიგინალური მწერლობის განვითარება ყოველდღიურად აყენებდა ახალ-ახალ საკითხებს, რომლისათვისაც ანგარიში უნდა გაეწია მოწინავე საზოგადოებას: ამ პერიოდის კულტურული ცხოვრების მამოძრავებელი ძალა, ეროვნულ-პატრიოტული განწყობილება იყო. იგი ცხოვრების ყველა უბანს მოიცავდა, საერონაც და სასულიეროსაც. განსაკუთრებით გააქტიურდა ეკლესია, რომელიც XVII—XVIII საუკუნეების მიჯნაზე ფაქტიურად ხელმძღვანელობდა ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლას, ლიტერატურულ საქმიანობას. სწორედ ამ პერიოდში მოიწიფდა აზრი მხატვრული პროზის ანთოლოგიის შედგენისა: პირველი შავი სამუშაო შესრულდა ონოფრე მაჭუტაძის მეთაურობით. ონოფრეს კრებული, რომელიც 1699 წელსაა გადაწერილი, A—161 ნომრითაა დაცული ხელნაწერთა ინსტიტუტში. ონოფრეს კრებულის ნაკლს თვით მისი შემდგენლები გრძნობდნენ უპირველეს ყოვლისა. და ამიტომაც მოხდა, რომ მის სრულყოფაზე, უფრო სწორად, თვით კრებულის ახლებურად გააზრებაზე და აგებაზე XVIII საუკუნის გარიჟრაჟზე იწყეს ზრუნვა. XVIII საუკ. მწერალთაგან ერთ-ერთი პირველი იყო გრიგოლ დოდორქელი, რომლის თხზულება შეიტანეს ჰაგიოგრაფიულ კრებულში. ქრონოლოგიურად ყველაზე ძველი ხელნაწერი, რომელშიც გრიგოლის თხზულებაა მოთავსებული, არის A—130, დოკუმენტი კათალიკოსის რედაქციის ჰაგიოგრაფიული კრებული (ჩვენს გამოცემაში A ლიტერით აღნიშნული).

XVII საუკუნის 70-იანი წლებიდან დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსისადმი აშკარად გაიზარდა ქართლ-კახეთის მეფეთა და დიდ ფეოდალთა ყურადღება. არჩილ მეფემ, რომელმაც თავისი სამეფო მოღვაწეობა კახეთში დაიწყო, რამდენიმე პირველმნიშვნელობის ღონისძიება ჩაატარა მონასტრის გამართვისათვის. უპირველეს ყოვლისა, თავი მოუყარა მონასტრის მკვიდრთ, დააბრუნა სხვადასხვა კუთხეებში გაბნეული პერები, აღადგინა დანგრეული ნაგებობები, დაუბრუნა მიტაცებული სახნავ-სათესები, ზერე-

¹⁴ ელ. მეტრეველი, ქართული აგიოგრაფიული კრებული და მისი შემდგენელი, პუშკინის სახ. პედაგოგიკის შრომები, ტ. VIII, გვ. 415—420.

ბი და საძოვრები. ფაქტიურად დაიწყო კომპლექსის ეკონომიური საფუძვლების გამაგრება. 1672 წელს საგანგებო განკარგულებით (Ad—61) არჩილმა დავით გარეჯის მონასტერს გაუჩინა ჯამაგირი, მანვე სპეციალური ღონისძიებებით სცადა მონასტრის საორგანიზაციო და სამეურნეო საკითხების მოგვარება, საშური და საჭირბოროტო პრობლემების გადაწყვეტა. დაწყებული საქმე აქტიურად გაგრძელდა შემდეგშიც. შესამჩნევად მოღონიერდა მონასტრის ეკონომიური საფუძვლები ცნობილი წინამძღვრის ონოფრე მაჭუტაძის მამობის პერიოდში. 1690 წელს საეკლესიო კრებამ ონოფრე წინამძღვრად დაადგინა. ონოფრეს უშუალო მონაწილეობით და ქართველ ხელმწიფეთა აქტიური მხარდაჭერითა და შეწევნით გარეჯაში კვლავ გაიზარდა მობინადრეთა რაოდენობა. დავით გარეჯის უდაბნო მრავალი გამოჩენილი მამულიშვილის ნავსაყუდელია გახდა. ქართლ-კახეთის მეფენი, მიუხედავად მათი აღმსარებლობისა, დიდ შემწევობას იჩენდნენ მონასტრისადმი, არ აკლებდნენ მეფურ ყურადღებას და მდიდარ შეწირულებებს. სწორედ ამის გამო და სწორი სამეურნეო ხელმძღვანელობის გამოც XVII საუკ. მწურულისათვის დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი უკვე დიდ და ღონიერ ფეოდალურ ერთეულად გადაიქცა. იგი სამეფო მონასტერი იყო, ძლიერი მატერიალურ-ეკონომიური ბაზისით.

XVIII საუკ. ქართული მხატვრული პროზის აღორძინება მთლიანად დაკავშირებულია დავით გარეჯის ლიტერატურულ-შემოქმედებით კერასთან. გვიანფეოდალური საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში დავით გარეჯის სამწიგნობრო ცენტრი ერთ-ერთ წამყვან როლს თამაშობდა. თავის საქმიანობაში მას ფართო საგანმანათლებლო პროგრამა და მკაცრად განსაზღვრული პრინციპები ჰქონდა, რომელიც შექმნილმა ისტორიულმა სიტუაციებმა განაპირობეს.

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართველოში დაიწყო ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის მძლავრი მოძრაობა. მთელი სიმწვავით იქნა დასმული ქართველობის შენარჩუნებისათვის სხვადასხვა გზების ძიების აუცილებლობა. მოძალებული მამკმადიანური სამყაროს მოსაგერიებლად ბრძოლის ახალი ხერხებისა და საშუალებების ძიება გადაუდებელ ამოცანად იქცა. ეროვნული ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებმა ჩამოაყალიბეს ეპოქის ამაღორძინებელი მამოძრავებელი იდეის ფორმა და მისი გამოსახვის საშუალებანი. მწერლობა, ლიტერატურა და ხელოვნების თითქმის ყოველი დარგი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სამსახურში ჩადგა, ეროვნულ-გან-

მათავისუფლებელი ბრძოლის პათოსით დაიმუხტა. მხატვრულ ლიტერატურაში (როგორც სასულიერო, ასევე საეროშიც) მკვეთრად გამოიკვეთა ე. წ. „მართლის თქმის“ თეორია, გაფართოვდა პრობლემატიკა, გაცხოველდა ინტერესი ისტორიული თემატიკისადმი¹⁵. ეს პროცესი ერთნაირი ინტენსივობით მიმდინარეობდა როგორც სასულიერო მწერლობაში, ასევე საერო ლიტერატურაშიც¹⁶ (მაგ. „ქეთევანის წამება“, „დიდმოურავიანი“, „შაპნავაზიანი“, „თეიმურაზიანი“, „კათალიკოზ-ბაქარიანი“, „ვახტანგიანი“ და სხვ.).

XVII—XVIII საუკ. საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მოძრაობის იდეის პროპაგანდა და აქტიური ხელმძღვანელობა დაკავშირებულია ვახტანგ V-ის გამორჩენილი მემკვიდრეების სახელებთან, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილს.

მძლავრად მოქმედებდა ქართული ეკლესია — იდეოლოგიური იარაღი, რომელიც შეუდგა ეროვნულ „წმინდანთა“ (ძველის და ახლის) ლეაწლის დაფასებას და მათი მოქმედების ახალ ასპექტში წარმოჩინებას. ანტიმაჰმადიანური საქმიანობა და მისი თეორიული პროპაგანდა, მამა-პაპეული ორთოდოქსალური განწყობილებების დაცვა, პრაქტიკული შეიარაღებული ბრძოლა მარბევი ტომების წინააღმდეგ მთელი ქართული საზოგადოების და ქართული ეკლესიის ყოველდღიურ ამოცანას შეადგენდა. ქართული მწერლობის ერთ-ერთ აქტიურ ფრთას — ჰაგიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიულ ჟანრს არ აკმაყოფილებს ფაქტების მხოლოდ მეისტორიეს სტილით შშრალი გადმოცემა, ან მხოლოდ მეტაფრასული ენაწყლიანი აღწერა. შექმნილი სინამდვილე ყველასაგან მკაცრად მოითხოვს ეპოქის მოთხოვნილებათა თვალთ მოხდეს ფასეულობათა გადაფასება, ყოველი „წმინდანის“ საქმიანობის განსაზღვრა. ქართული ეკლესია ახალი თვალსაზრისებით და ახალი პოზიციებიდან აფასებს ისტორიულ მოვლენებს და მათ მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული პატრიოტული თვალსაზრისით განიხილავს. ამიტომაც სწორედ, რომ „წმინდანთა“ რიცხვში მოხვდნენ და ქართული ეკლესიის ეორტალოგიურ კალენდარში დაიმკვიდრეს ადგილი ისეთმა მოღვაწეებმა, რომლებსაც მოწამებრივი სიკვდილი არ მიუღიათ და მხოლოდ მოთარეშე ლეკთა გუნდების შემოსევათა შედეგად დაიღუპნენ.

ეს დიდი პოლიტიკური და სოციალური შინაარსით გამსჭვალ-

¹⁵ ბ. ჭეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952, გვ. 387.

¹⁶ იქვე, გვ. 387—437.

ლული ტენდენცია დაედო ერთ-ერთ ძირითად საფუძველად დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლის საქმიანობას. ეგევე საფუძველი გახდა მისი მთელი პროფილის განმსაზღვრელი.

დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლის აღორძინების მეორე გადამწყვეტი პირობა იყო კულტურული ფაქტორები, რომლებიც მოწესრიგებული ეკონომიური მდგომარეობის პირობებში აშკარად გააქტიურდნენ. XVIII საუკ. დასაწყისშივე გამოიკვეთა დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლის არსებითი ნიშნები: 1. ჰაგიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიული კრებულების დამუშავება; 2. დოგმატიკურ-პოლემიკური ლიტერატურის დამუშავება; 3. კულტურული საქმიანობა, ხელნაწერების გადანუსხვა-გამრავლება და ბიბლიოთეკების შექმნა¹⁷.

საბუთების მოწმობით, XVII—XVIII საუკუნეებში დავით გარეჯის ლიტერატურულ-შემოქმედებითი კერიდან ფართოდ ვრცელდებოდა მთელ საქართველოში საპირო ლიტერატურა. თვით გარეჯაში არსებობდა უაღრესად მდიდარი და მნიშვნელოვანი სამონასტრო ბიბლიოთეკა მდიდარი წიგნადი ფონდით, რომლითაც სარგებლობდნენ საერო და სასულიერო საზოგადოების წარმომადგენლები. დასტურად დავიმოწმებთ რამდენიმე დოკუმენტს: „დავით გარეჯაის წიგნები აქვს ტფილელს — ძველი ხრონოგრაფი; კუალად სუნაქსარი; კუალად მამათ ცხოვრება.

ბატონიშვილს გიორგის მღუდელს ნიკოლაოს აქუს ქალწულთა მეტაფრასი.

ნინოწმიდელს აქუს დოდოელთა გულანი... სტამბის ერთი ზადიკი.

ერთი მარხუანი დოდოელთ იოანე მღუდელსა აქუს.

ერთი მარხუანი კელწერილი აბრამ მღუდელს აქუს, გიორგი წმინდას¹⁸.

დაკულია დავით გარეჯის ბიბლიოთეკის წიგნების კატალოგი (თუ შეიძლება ეს ტერმინი ვიხმაროთ). ვიძლევი ამ ნუსხას, რადგან იგი ჯერ არსად გამოქვეყნებულა, მას კი გარკვეული მნიშვნელობა აქვს ჩვენი კულტურისა, და კერძოდ, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლის ისტორიის შესწავლისათვის:

1. გულანი დიდი და პატიოსანი;
2. წლის მეტაფრასი, ერთი;

¹⁷ დაწერილებით იხ. მ. ჯავთარია, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, 1965, გვ. 44.

¹⁸ ხელნაწერთა ინსტიტუტის IId ფონდი, № 317.

3. სახარების თარგმანი მათეს თავისა;
4. ეფრემი, ერთი;
5. სტამბის სამოციქულოები, ხუთი;
6. პარაკლიტონი სტამბისა, ერთი;
7. სამი ჯელით ნაწერი პარაკლიტონები.
8. და ერთი კიდევ ხელით ნაწერი პარაკლიტონი;
9. კიდევ მეტაფრასი, ორის თვისა, ერთი;
10. კურთხევანი დიდი რუსული, ერთი;
11. კლემაქსი, ერთი;
12. სტამბის სამოციქულო, კიდევ ერთი;
13. კლემაქსი, ერთი;
14. სტამბის სამოციქულო, კიდევ ერთი;
15. კიდევ სახარების თარგმანი მათეს თავისა, ერთი;
16. მამათ ცხოვრება, ერთი;
17. მამათ ცხოვრება, ერთი;
18. სტოდიერი, ერთი;
19. მგრგლოვანი სახარება;
20. ჟამნ-გულანები, ორი;
21. ტვიბიკონი, ერთი;
22. ჯელით წერილი ჟამნი, სამი;
23. ჯელით წერილი დავითნი, ორი;
24. ჯელით ნაწერი კონდაკი, ხუთი;
25. და ორი სტამბის კონდაკი;
26. საუფლოს ათორმეტები, ერთი;
27. ჯელით წერილი პატარა კურთხევანი, ერთი;
28. სვიმეონ საკვირველთმოქმედის საკითხავი;
29. სტამბის კვერეჟსი ერთი;
30. სამსგებსო სამოციქულო და თვე, ერთი;
31. ორი წერილი წიგნები ჯელით წერილი;
32. ერთი სტამბის კონდაკი¹⁹.

ამ ნუსხას იმეორებს Ad — 307. სავარაუდებელია, რომ Ad — 307 უფრო გვიანდელია. მასში გადახაზულია ჩვენი ნუმერაციით № 4, 6, 10.

დავით გარეჯის უღაბნოს მონასტრების ბიბლიოთეკით სარგებლობენ როგორც თვით მონასტრის ბერები, ისე სხვებიც. მაგ., ერთ-ერთ საბუთში (Ad—416) ვკითხულობთ: „დავით გარეჯას აქუს დოდოს წიგნები:

¹⁹ Ad—367.

- გულანი — 1
 მეტაფრასი — 4
 ეფრემი — 1
 კლემაქსი — 1
 მამათა ცხოვრება — 1
 ორი ბარკლიტონი ჯელი[თ] წერილი
 სტანბის სახარება — 1
 სტანბის სამოციქულო — 1
 სტოდიელი — 2
 სახარება — სამოციქულო, ჯელით წე[რი]ლი — 1
 კიდევ სახარება — 1, ბერძნული,
 კიდევ სხვა სახარება ჯელით წერილი — 1
 კიდევ სხვა სახარება... ქალაღღზე წერილი — 1
 მარხვის საწინასწარმეტყველო — 1
 სინკასარი (!) — 1
 ჯელით დაწერილი სამოციქულო — 1
 მარხვანი — 1
 დავითნი — 2.“

ანდა კიდევ: Ad — 404 გვაუწყებს: „იოანე ბოდბელს, ნეტარ-სხენებულს, ახლდა მონასტრის წიგნები: კლემაქსი, დიდიოლოლონი (sic) ერთად შეკრული, თავისაგან შემოწირული: ქალწულთ ცხოვრება, ირინე მონაზონისაგან შემოწირული, იოანე ოქროპირის სწავლა და ლავსაიკონი ერთად შეკრული ეტრატისა, მამათ ცხოვრება ნახევარი; კონდაკი, ლექსიკონი“²⁰ და სხვ.

ქართული ჰაგიოგრაფიული კრებული ძველი ქართული სიტყვაჯამული მწერლობის ერთ-ერთი პირველი ანთოლოგიაა, რომლის ტიპი XVII—XVIII საუკუნეების მიჯნაზე გამოიკვეთა. ჰაგიოგრაფიულ კრებულებში ორიგინალური ქართული მოთხრობა (ცხადია, ჰაგიოგრაფიული ჟანრისა) იყო თავმოყრილი. კრებულის კომპოზიცია, აგების არქიტექტონიკა, მასალათა თავმოყრის, დალაგების თავისებური პრინციპი XVIII საუკუნის გარიჟრაჟზე შემუშავდა და იგი კრებულიდან კრებულამდე იხვეწებოდა, ივსებოდა და გამობატვდა XVII—XVIII საუკუნეების ქართველ მწიგნობართა დამოკიდებულებას ძველი ქართული მხატვრული პროზისადმი.

²⁰ სავარაუდებელია, რომ ივლინსშემა სულხან-საბაა ლექსიკონი, ამ მხრივ საყურადღებოა ეს საბუთი.

იღეა ჰაგიოგრაფიული კრებულის შედგენისა ახალი იყო. თუმცაღა ერთგვარი ტრადიცია უკვე არსებობდა. ჩვენი მწერლობის ისტორიის ადრეულ ეტაპებზე ჰიმნოგრაფიული კრებულების (იადგარებისა და თვენების) გვერდით დგებოდა მრავალთაგები, ცოტა მოგვიანებით ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა კრებულები, რომლებშიც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ავტორთა (ძირითადად არა ქართველთა) თხზულებანი. დასახელებულ კრებულთა შედგენის გამოცდილება სავარაუდებელია რამდენადმე გათვალისწინებული იყო XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის დამდეგის ლიტერატორთა მიერ, მაგრამ უფრო მართალნი ვიქნებით ალბათ, თუ ვიტყვით, რომ ძველი ქართველი მწიგნობარ-რედაქტორთა გამოცდილება XVII—XVIII სს. კრებულთა შემდგენლებს ნაკლებად გამოადგებოდათ თუნდაც იმიტომ, რომ თვით კრებულები თავიანთი მიზანდასახულებით, მასალათა შერჩევით და დალაგებით არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მართალია, ცალკეულ ავტორთა ორიგინალური თხზულებების თუ თარგმანების კრებულები არსებობდა ძველად (მაგ. ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანების კრებული A—1103), ხოლო აღორძინების ხანაში განსაკუთრებით მომრავლდა პოეტური კრებულები²¹ (მაგ. თეიმურაზ I-ის, არჩილის, ვახტანგ VI-ის, თეიმურაზ II-ის და სხვ.), მაგრამ ქართული მხატვრული პროზის ანთოლოგია, რომელსაც ელ. მეტრეველმა „ქართული ჰაგიოგრაფიული კრებულნი“ უწოდა, თავისთავად დიდი სიახლე იყო აღორძინების ხანის ლიტერატურულ ცხოვრებაში. ამიტომაც მოხდა, რომ სულ რაღაც სამ ათეულ წელიწადში ამ ტიპის კრებულის რამდენიმე რედაქცია შეიქმნა და ვახდა მკითხველისათვის ხელმისაწვდომი. და, რაც მთავარია, ეს კრებულები („მარტირიკის“ გარდა), რომლებიც ძირითადად ერთსა და იმავე თხზულებებს აერთიანებენ, შედგენის არქიტექტონიკით, თხზულებათა განაწილებით, ტექნიკურად გაფორ-

21 არ არის გამოიყენებული, რომ ქართული პოეზიის ანთოლოგიები, პროზის ანთოლოგიების — ჰაგიოგრაფიული კრებულების — ანალოგიით იყოს შედგენილი. ლ. ჭუთათელაძის დაკვირვებით XVIII ს. მეორე ნახევარამდე არ არსებობდა ჩვენში პოეტური კრებულები. ორიგინალური პოეზიის ანთოლოგიები, რომელთა ყველაზე სრული ნუსხები XIX ს. პირველი ოცეულის დროიდანაა ცნობილი (დავით რექტორის კრებულები S—1511, S—1512), მხატვრ. ორიგინალური პროზის კრებულების მიხედვით უნდა იყოს გაკეთებული.

მების მიხედვითაც კი, განსხვავდებიან ერთიმეორისაგან²². A—130 თავისთავად უკვე მოცულობით (სხვას რომ თავი დავანებოთ) სხვაობს A—160-ისაგან და ორივენი კი A170-ისა და H—2077 ხელნაწერი კრებულებისაგან. ასევე ცალკე დგას S—3269 ხელნაწერი კრებული. ყოველი მომდევნო ცალი ივსებოდა თანამედროვე ავტორთა ნაწარმოებებით. ასე შევიდა ჰაგიოგრაფიულ კრებულებში გრიგოლ ვახვახიშვილის (დოდორქელის), ბესარიონ ორბელიშვილის (კათალიკოსის) თხზულებები.

ქართული ჰაგიოგრაფიული კრებულების ვრცელი დახასიათება, მათი ურთიერთმიმართება, შემდგენელ-რედაქტორთა მოღვაწეობა კარგა ხანია სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია²³. ამიტომ მას აღარ გავიმეორებთ, ვიტყვიტ მხოლოდ, რომ პირველი კრებული ონოფრე მაჭუტაძის ინიციატივით შედგა და იგი წარმოდგენილია 1699 წლის ხელნაწერში A—160. XVIII საუკუნის დამდეგს დომენტი კათალიკოსმა განსხვავებული თვალსაზრისით შეადგინა ახალი კრებული (რიგით მეორე), რომელიც გაბრიელ საგინაშვილმა გადაწერა 1710—1713 წლებში (A—130 ხელნაწერი); ჰაგიოგრაფიული კრებულის მესამე რედაქცია შედგა ბესარიონ ორბელიშვილის ხელმძღვანელობით ამავე საუკუნის 20-იან წლებში (S—3269), რომლის ყველაზე სრული ნუსხა 1733 წლის ხელნაწერთაა (A—170) წარმოდგენილი.

XVII საუკუნის დასაწყისში სპარსეთი გარკვეული სიფრთხილით, მაგრამ ენერგიულად ემზადებოდა ქართლ-კახეთის ხელში ჩასაგდებად. თავისი ზრახვების განსახორციელებლად სპარსეთმა

²² მხატვრული პროზის ანთოლოგიებისათვის, როგორც წესი, გამოყენებული იყო ნუსხა-ხელური შრიფტი, პოეტური ანთოლოგიებისათვის კი მხოლოდ მხედრული. ეს ფაქტი პარტო ეკლესიის კონსერვატულობით არ შეიძლება აიხსნას, რადგანაც XVIII საუკ. მწიურულში ეკლესია ისევე ისეთი იყო, მაგრამ ჰაგიოგრაფიული კრებული უკვე მხედრულად გადაიწერა. საყურადღებოა შემდეგვი, ანტონ პირველის „მარტიოკის“ ერთ-ერთი პირველი ცალი (S—1272), სამუშაო ეგზემპლარი, მხედრულად დაიწერა, ხოლო ოფიციალური ნუსხა, რომელმაც ავტორის სანქცია მიიღო გავრცელებისათვის, ნუსხა-ხელურად იყო გაფორმებული (Q—78). ნუსხა-ხელური შრიფტის გამოყენება ტექნიკურ რედაქტორთა ჩანაფიქრის ერთ-ერთი კომპონენტთაგანი უნდა ყოფილიყო თავის საზედო ასობით და შელანთა ფერადონებით (სინგურის გამოყენებით).

²³ ე. ლ. მერტვეელი, ქართული აგიოგრაფიული კრებული და მისი შემდგენელი, ა. ს. პუშკინის სახ. პენდენტისტის შრომები, ტ. VIII, 1949, გვ. 415—420. მ. ქავთარია, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, 1965, გვ. 45—64; მისივე, ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან XVII—XVIII სს., 1977, გვ. 21—32.

გამოიყენა ქართველი ბატონიშვილი კონსტანტინე, რომელიც ჩვენს ისტორიაში მამისა და ძმის მკვლელის სახელით შევიდა. რამდენადმე მოგვიანებით შაჰ-აბაზი აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა, ააოხრა კახეთი, ტყვედ ჩაიგდო ქეთევან დედოფალი და სამეფო ოჯახის სხვა წევრები. 1624 წ.-ს ქეთევან დედოფალი არაადამიანურად აწამეს და მოკლეს.

საქართველოს ისტორიის ეს მეტად ამაღლვებელი ეპიზოდი აიღო გრიგოლ დოდორჭელმა თავისი თხზულების სიუჟეტად და მთელი სიცხადით და ისტორიული ობიექტურობით გააშუქა იგი. ამით გამოხატა XVIII ს. საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება XVII საუკუნის ისტორიულ ფაქტებთან.

ისტორიული თემატიკით გატაცება XVII—XVIII საუკუნეების ქართული მწერლობისათვის, განსაკუთრებით მხატვრული პროზისათვის, დამახასიათებელია. ეროვნული მოტივი, პატრიოტული განწყობილება მთავარი ძარღვია ამ ხანის პავიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიული მწერლობისათვის.

გრიგოლ დოდორჭელის თხზულება XVIII საუკუნის პირველ პროზაულ ნაწარმოებია, რომელიც ჟანრის შესაბამისი მხატვრული ხერხებით აღადგენს XVII საუკუნის დასაწყისის ისტორიულ სურათს და ამ ეპოქის დიდი მამულიშვილის — ქეთევან დედოფლის მიმზიდველ პორტრეტს.

გრიგოლის თხზულება მრავალპლანიანია, — პირობითად საქნაწილად შეიძლება გაიყოს. პირველი — კონსტანტინეს ამბავი, მეორე — ლუარსაბ მეფის ამბავი და მესამე — თვით ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილი. სამივე ნაწილი შინაგანი ლოგიკური ხაზით არის გაერთიანებული და შერწყმული. პირველი ორი ნაწილი ავტორს სჭირდება მხოლოდ ფონისათვის, ისტორიული მდგომარეობის შესაბამისად წარმოაჩინოს ქეთევანის ძლიერი ნება და ხელმწიფური ბუნება. ავტორი სიუჟეტის განვითარების სწორ ხაზს უხვევს, მაგრამ მისი გამძაფრებისათვის ეს გადახვევები აშკარად საჭიროა. გრიგოლი თვით წერს: კონსტანტინეს შესახებ თხრობა „არ ევებოდა, ვინაფთჳან ცხორებაჲ და წამებაჲ აღესწერეთ დედოფლისა, რაჲთამცა ესევეითარი უსჯულოჲ კაცი შემოვიხუენ და ამის მიერ განვაგრძენე სიტყვანი ჩემნი და მათსა ცხორებასა მცირედ ეამდრო ვეც, არამედ რავდენცა მრავლისმეტყუელებდე უსჯულომსა ამისთჳს, ეგრეთცა უმეტესად იდიდოს სახელი მოწამისა ამის“. ორივე ეპიზოდის — კონსტანტინე ძმისა და მამისმკვლელისა და ლუარსაბის წამების — გადმოცემა ქეთევან დედოფლისადმი მიძღვნილ თხზულებაში ავტორს არ მიაჩნია გამართლებულად, მაგრამ ფართოდ

მოფიქრებული გეგმა, რომელიც XVII საუკუნის პირველი ოცეულის აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობის ჩვენებას ისახავს მიზნად, თავისთავად ვარაუდობდა ორივე ეპიზოდს. ორივე ეპიზოდის დამთავრებისას ავტორი მოგვაგონებს ძირითად მიზანდასახულებას და წერს: „ხოლო ჩუენ პირველსავე გზასა ვიწყით სლვა“, ან „ხოლო ჩუენ აღვიდეთ პირველსავე მას სიტყუსა ზედა“.

გრიგოლ დოდორქელი ქართული პავიოგრაფიული და საისტორიო მწერლობის შესანიშნავი მცოდნეა. იგი იმ მდიდარი ტრადიციების ბეჯითი მიმდევარია, რაც ქართულმა პავიოგრაფიამ საუკუნეების მანძილზე დაამკვიდრა ჩვენში. თხრობის ლალი მანერა, რაც დამძიმებული არ არის ბიბლიური წიგნებიდან ნასესხები დახვევებული სტრიქონებით. პირიქით, ავტორისათვის ნიშანდობლივია ციტატთა მარჯვედ მოხმობა და თხრობის მდინარებაში ოსტატურად ჩართვა, იმდენად ოსტატურად, რომ იოტისოდენად არ წყდება ამბის ბუნებრივობა და დინამიურობა, არ ფერხდება მოვლენათა განვითარება.

გვიანფოდალური ქართული პავიოგრაფისათვის გამოიკვეთა ერთი მომენტი. ავტორები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი სისრულით ასახონ ეპოქა, და ამავე დროს, დაიცვან ისტორიული სიმართლე. რა თქმა უნდა, ამ სიმართლისადმი დამოკიდებულება, უფრო სწორად, ზოგიერთი, თუნდაც მნიშვნელოვანი ფაქტისადმი ავტორის დამოკიდებულება შეიძლება ტენდენციურად იყოს, მაგრამ ეს ტენდენციურობა არ ცილდება გარკვეულ ჩარჩოებს და ხელს უწყობს მხოლოდ ავტორის ჩანაფიქრის რეალიზაციას. ეს მოვლენა დადასტურებულია გრიგოლ დოდორქელის თხზულებაშიც. გრიგოლი ქეთევანის მეისტორიეა, მისი სულიერი მხნეობისა და არაჩვეულებრივი თავდადების წარმომჩენია და ურყევი ხასიათის მქონე დედოფლისა და მეტად ფაქიზი სულის და ქალური სასუსტეების მკობელია. მაგრამ გრიგოლისათვის ქეთევანი, უპირველეს ყოვლისა, ქართული ეკლესიის მიერ აღიარებული წმინდანია და, მაშასადამე, მისი პავიოგრაფიული მოთხრობის ამქვეყნიური თუ იმქვეყნიური სიკეთით აღჭურვილი გმირია. ამიტომ არის, რომ მოთხრობაში იშვიათად, მაგრამ მაინც დედოფლის ცოცხალ სახეს ხატი ცვლის, რომლის ნიშბი გაჭიანურებული ლოცვა-ღაღადისითაა შემკული.

ქეთევანი უკეთილშობილესი დედ-მამის ასული, „ალიზრდებოდა, ვითარცა შეილი იგი მამისა ზეცათასა“. მომხიბვლელობა მომავალი დედოფლისა საარაკო იყო. „იყო ესე ნეტარი ხილვითა ხატისათა ფრიად შუენიერ და ბრწყინვიდა პირი მისი, ვითარცა მზე,

და ჰაეროვნებად მისი დაჰფარვიდა პირსა ყოვლისა ქუეყანისასა“. იგი კახეთის მეფის ალექსანდრეს მემკვიდრის — დავითის თანამეცხედრე გახდა და ზნეკეთილი ოჯახის დედა.

ავტორი შეგნებულად არბილებს ფერებს ქეთევანის მეუღლის დახასიათებისას. დავითის გოროზი ხასიათის და ძალაუფლების მოყვარეობის ნაღდი ჩვენება ავტორს არ აწყობს, მის გეგმაში არც შედის, რადგანაც ნებისთ თუ უნებლიეთ მაშინ ქეთევანიც უნდა გახდეს მისი ამპარტავნობისა და ურჩობის ერთგვარი მონაწილე, რასაც ჰაგიოგრაფი ვერ დაუშვებს. ამიტომ ავტორი მობოდიშებით რამდენჯერმე წერს: „დავითს და მეუღლესა მათსა ნეტარსა ქეთევანს არა ენებათ...“ მეორე ადგილას „არა ენება საქმისა ამის ჴელყოფაა...“ და სხვ. ისტორიული ფაქტი — დავითის მიერ მეფობის ძალით მიტაცება — გრიგოლ დოდორქელის ხელში მხოლოდ ალექსანდრე კახთა მეფის სანქციით და ლოცვა-კურთხევით მოხდა. „წარვიდა მამისა თვისისა თანა და თაყუანისცემით შენდობასა ითხოვდა მისგან. ხოლო მამა მისი, ჰხედვიდა რა ესევეთარსა მოკრძალებასა მისსა, მანცა ნება-სცა“. ავტორი აქ ბოლომდე ვეღარ ლაღატობს ჰუმბარიტებას, მაგრამ მაინც მოკრძალებით წერს: „ნება-სცა გულისთა არა ჰუმბარიტითა“.

ერთი სიტყვით, ავტორისათვის მთავარია ქეთევანი. ავტორისათვის პირველი სიძნელე იყო დავით კახთა მეფის გვერდით დედოფლის წარმოჩენა. დავითისა, რომელმაც მამას მიუღო მეფობა და თვით იგდო ხელთ ძალმომრეობით. ამ ეპიზოდს გრიგოლმა რამდენადმე გაართვა თავი. მაგრამ უფრო ძნელი იყო მეორე ფაქტი. ასპარეზზე გამოჩნდა რენეგატი კონსტანტინე, ქეთევანის მაზლი, რომელსაც „დაევიწყა მამული, სარწმუნოება ქრისტიანობისა და ისმაიტელ და ბარბაროზ ქმნილ იყო“. კონსტანტინემ მოკლა მამა: ალექსანდრე და ძმა გიორგი, დაიპყრო კახეთი და შუამავლები გაუზავნა ქეთევანს. კახეთის საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია ამ უტიფარამ საქციელმა და კახეთის თავად-აზნაურებიც ქეთევანის მეთაურობით დაირაზმნენ და დაამარცხეს კონსტანტინეს ლაშქარი, ხოლო თვით მამისა და ძმის მკვლელს კი „მოუჭდეს მას სამნი კეთილცხენოსანნი: დავით, თამაზ და ბებურ და ჰკრეს მას შუბი და გარდმოაგდეს იგი ცხენისაგან... და ორად განაპეს თავის მისი“

კონსტანტინე ბატონიშვილის ავკაცობის ისტორია საკმაოდ ვრცელადაა მოთხრობილი „ქეთევანის წამებაში“. ჰაგიოგრაფიული თხზულების კომპოზიციური ტრაფარეტი მაინცდამაინც არ თხოულობდა ამ ეპიზოდს იმ ოდენობით, როგორც „წამებაშია“ და ამიტომაცაა, რომ ნაწარმოებში იგი საგანგებოდ, გარკვეული მიზნით

ჩართულის შთაბეჭდილებას ტოვებს. აქი თვით გრძობს ამას ავტორი და წერს კიდევ: „არა ეგებოდა, ვინაძთვან ცხორებაჲ და წამებაჲ აღვსწერეთ დედოფლისა, რაძთამცა ესე უსჯულო კაცი შემოვიხუნ და ამის მიერ განვაგრძნე სიტყუანი ჩემნი“. მაგრამ, ამავე დროს, ერთი შეხედვით სწორედ ეს ხელოვნურობა ანიჭებს მოთხრობას მეტ ბუნებრივობას და ქმნის რეალისტურ ფონს მოქმედი გმირის ენერგიული და მტკიცე ხასიათის წარმოსაჩენად.

კონსტანტინე ბატონიშვილის ავკაცობის ამბავი შემზარავ ეპიზოდად დარჩა ჩვენს ისტორიაში. ამ პერიოდის მემატიაინენი საგანგებოდ აღნიშნავენ მას, როგორც გაუგონარ ფაქტს და აღარებენ კაენის საქციელს. არჩილ მეფემ თავის ცნობილ პოემაშიც „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ კი შეიტანა კონსტანტინეს ამბავი და ეს მონაცვეთი ასე დაასათაურა: „ამბავი საზარელი და სათქმელად სძნელო, და სასმენელად სძაგელი, მეორეს კაენისა და ლამეჟის შვიდგზის გამოვრდომილის კონსტანტინესი, რომელმან ესევეითარი განზრახვა გულს იდვა და მოკლა ღვთისმოყვარე ხელმწიფე — მამა ალექსანდრე და ძმა თვისი გიორგი. უყურეთ მანქანებასა ბელიარისასა“.

გრიგოლ დოდორქელი იცნობს არჩილის მონათხრობს და ერთგვარად ითვალისწინებს კიდევ მას. მაგრამ უშუალო დამოკიდებულება არჩილის პოემასთან „წამებისა“ არ ჩანს. ამბის გადმოცემისას პოემასა და „წამებაში“ ზოგადი მსგავსება დიდია, მაგრამ დეტალებში არ იგრძნობა.

ქეთევან დედოფალი ამ ეპიზოდშიც გმირია. მან ბიბლიური მოსეს დის — დებორას მსგავსად შეიმოსა „სიმწნე მამაკაცობრივი“ და უწინამძღვრა ლაშქარს. ქეთევანის ამ გმირულ საქციელს, რომელიც უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის კეთილდღეობის დაცვით იყო ნაკარნახევი, ავტორი უძებნის რელიგიურ სამოსელს, ასევე ისტორიული აუცილებლობით. ქეთევანის ყოველგვარ მოქმედებას ავტორი ამართლებს ქრისტიანული მორალის პოზიციებიდანაც. ეს მას სჭირდება იმისათვის, რომ მოამზადოს მკითხველი ქვეყნისათვის თავდადებულ წმინდანთა შესახვედრად, რომ მსმენელ-მკითხველისთვის ქეთევანის თავგანწირვა, ქეთევანის უპრეცედენტო გმირობა აღქმულ იქნეს როგორც ლოგიკური დასასრული ქვეყნის ბედზე მოჭირნახულე დედოფლისა.

გრიგოლ დოდორქელის თხზულებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ორი საკითხი: 1. ლუარსაბ მეფის წამება და 2. ანტიკათოლიკური ტენდენცია. დავიწყით მეორეთი.

XVII საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული კათოლიკური-

მრწამსის პროპაგანდა საგრძნობლად მოღონიერდა ჩვენში, ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დადგა XVII საუკ. გასულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში. ევროპეიზაციის კურსი, რომელსაც საერო ხელისუფლების წარმომადგენლები უპერდნენ მხარს, რომელიც პაპიზმის პროპაგანდასაც გულისხმობდა და მისიონერთა მთელი წყების საქმიანობასაც, ორთოდოქსალურად განწყობილ საეკლესიო წრეებში, პირიქით, მკაცრ რეაქციას იწვევდა. ქართველ ხელისუფალთ კათოლიკობა მიაჩნდათ ერთადერთ საშუალებად ცივილიზირებულ ევროპასთან პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული კავშირისათვის. მაშინ, როდესაც თვით კათოლიკობას, როგორც რელიგიურ მოძღვრებას კი თავისი კონკრეტული მიზნები ჰქონდა. რომის ეკლესია უფრო მეტად კოსმოპოლიტურია, ვიდრე მართლმადიდებლობა და მას ეროვნული გეოგრაფიული საზღვრები არ სწამს. აქედან გამომდინარე მისი საქმიანობის ძირითადი დანიშნულება ის იყო, რომ ყველა ქრისტიანისათვის სამშობლოდ ვატიკანი გაეხადათ. პაპი ურბანოს მერვე თეიმურაზ პირველს 1624 წ. 4 ივლისის თარიღით წერდა: „იტალიისათვის დიდად სასიქადულოა, რომ კახეთის მეფემ მოუსმინოს რჩევა მღვდლებს, რომელთაც უნდათ განამზადონ გზანი უფლისანი და წრფელ ყონ ალაგნი მისნი... უკეთუ თქვენი უმაღლესი ნიჭი ნატრობს დიდებას, ცხადია, არაფერს დაზოგავთ, რათა თქვენი სახელი იქოს და იდიოოს ქრისტიანების დედაქალაქსა და ყველა ტომთა საერთო სამშობლოში“²⁴. მეორე საბუთიც ანალოგიურია. 1633 წელს პაპი ურბანოს მერვე დადიანს წერს: „ყველა ნათესავთა სამშობლო რომაც, რომელსაც ძრიელნი მეფენი პატივს სცემენ“...²⁵ კათოლიკობა საფრთხეს უქადდა ჩვენს ეროვნულ მწერლობასაც, რადგანაც ერთადერთ ენად როგორც ლეთისმსახურებისათვის, ისე ლიტერატურისათვისაც, ვატიკანი მხოლოდ ლათინურს სცნობდა.

ვატიკანის პოლიტიკური ზრახვებიდან გამომდინარე, როგორც მოქნილიც არ უნდა ყოფილიყო მათი დიპლომატია, ჩვენში კათოლიკობის გაბატონება ქართველ ორთოდოქსთა თვალსაზრისით უღეს თუ ხვალ გამოიწვევდა ეროვნული მწიგნობრობის შესუსტებას (სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ). ეს ფაქტორი პრინციპულობამდე იქნა აყვანილი დავით გარეჯის ლიტერატურულ სკოლაში, სადაც შემუშავდა სწორედ კათოლიკობის წინააღმდეგ ბრძოლის

²⁴ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბილისი, 1902, გვ. 91.

²⁵ იქვე, გვ. 169.

პროგრამა, დაიწერა სპეციალური თეორიული ანტიკათოლიკური და ანტიპაპისტური თხზულება „გრდემლის“ სათაურით, რომელშიც ორთოდოქსალური პოზიციებიდან პუნქტობრივად განქიქებულია კათოლიკობის, როგორც რელიგიური მოძღვრების საფუძვლები.

როგორც ჩანს, გრიგოლ დოდორქელი ეკუთვნოდა გარეჯელ ბერ-მოღვაწეთა ისეთ წრეს, რომლებიც ამ საკითხზე სერიოზულად ფიქრობდნენ და ყოველ ხელსაყრელ მომენტში გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს. სწორედ ამ თვალთახედვით უნდა ავხსნათ ანტიკათოლიკური ერთი ფრაზა (ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო და ძალზე ჩვეულებრივი), რომელიც გრიგოლს შეუტანია თავის შრომაში და ამით ერთგვარად მოუხდნია თავისი ვალი.

გადაწყდა ქეთევან დედოფლის არაადამიანური დასჯა. წამებისათვის გამზადებული დედოფალი აღაუღენს მხურვალე ლოცვას²⁶. ავტორი შეგნებულად აჩერებს ყურადღებას ამ ფაქტზე და ერთი შეხედვით წერს სრულიად უმნიშვნელო ფრაზას: „წარმოსთქუა მრწამსი სრულიად, თუთოეულად ბრწყინვალედ...“ სურათი დასრულებულია, სათქმელი ნათქვამია. მოთხრობისათვის სავსებით ბუნებრივი იქნებოდა, თუ ავტორი აქ დასვამდა წერტილს. ყველაფერი უკვე ითქვა. მრწამსის თითოეული მუხლი, როგორც ავტორი ამბობს, დედოფალს ბრწყინვალედ წარმოუთქვამს. მაგრამ გრიგოლ დოდორქელი საგანგებოდ აგრძელებს ამბავს, ლოგიკურ დასასრულზე არ ჩერდება. იგი წერს: „და თქუა: მ რ წ ა მ ს მ ა მ ა ჯ ძისა თანა სულიწმიდითურთ და უხრწნელი იგი დედოფალი, მშობელი სიტყვსა ღმრთისაჲ“. არ შეიძლება ეს ფაქტი მწერლის გულუბრყვილობით ავხსნათ ან იმის სურვილით, რომ დაიმოწმოს ზუსტი ციტატა. ავტორს საგანგებოდ მოაქვს მრწამსის დასაწყისი სტრიქონი, რომ ნათლად გამოჩნდეს სპარსეთში დატყვევებული დედოფლის, რომელიც კათოლიკე მისიონერთა წრეში ტრიალებდა, რელიგიურ-აღმსარებლობითი კრედო და თანაც გამოაჩინოს თავისი პოზიცია.

²⁶ ლათინელი მისიონერების ცნობით, ქეთევანს შირაზში თავისი მცირედი სამლოცველო ჰქონია, დოდორქელი პირდაპირ წერს, რომ ჰქონდა ეკუდარი, სადაც „იყოფოდა ლოცვითა და ვედრებითა დღე და ღამე წინაშე ღმრთისა“. თ. ყორღანაია „ქრონიკების“ მეორე წიგნში ასახელებს ქეთევანის ნაქონ ლოცვანს, რომელსაც თითქოს დედოფლის ცრემლების ღაჭა და სანთლის ნაღვენით უმშენევა“ (იხ. თ. ყორღანაია, ქრონიკები, XI, გვ. 438, შტრ. მ. გუგუშვილი, თეიმურაზ პირველი, 1981, გვ. 26).

ქეთევანი ლოცვის დროს ამბობს, რომ სწამს მამა და ძე სულიწმიდითურთ.

მართლმადიდებლური აღმსარებლობის მიხედვით სული წმინდა მხოლოდ მამისაგან გამოვა და არა ძისაგან. მაშინ, როდესაც კათოლიკეები აღიარებენ, რომ სული წმიდა გამოვა როგორც მამისაგან, ასევე ძისაგანაც (Filioque). ეს დოგმატური განსხვავება მეტად პრინციპულია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის. იგი იმთავითვე იქცა ცხარე პოლემიკისა და დისკუსიის საგნად რომსა და კონსტანტინოპოლს შორის. დავით გარეჯის საეპისკოპოსოში, როგორც ვთქვით, გრიგოლ დოდორქელის მოღვაწეობის პერიოდში იწერება სპეციალური ანტიკათოლიკური წიგნი — „გრდემლი“. ცხადია, გრიგოლიც იმ განწყობის გამომხატველი იყო, რაც ქართველ ორთოდოქსალურად მოაზროვნე ადამიანებში იყო გაბატონებული. ამიტომ სავსებით კანონზომიერი ჩანს, როდესაც გრიგოლ დოდორქელი ქეთევან დედოფალს ლოცვის ჟამს თითქოს უძნიშვნელო ფრაზით ხაზგასმულად ათქმევინებს მართლმადიდებლურ მრწამსს, ხოლო ამ უკანასკნელის ძირითად დებულებას განსაკუთრებულად გამოკვეთილად. მართლმადიდებლური მრწამსის ხაზგასმა იმითაც იყო გაპირობებული, რომ ავტორმა იცის, რომ ქეთევანის ნეშტი ფრანგმა მისიონერებმა და მღვდლებმა გადაასვენეს და წმ. ნაწილები მოართვეს თეიმურაზს. კათოლიკე მღვდლების ჰუმანურობით რომ არ შეიქმნეს სენტიმენტალური ილუზია, ავტორი ერთი სიტყვით გამოთქვამს თავის თვალსაზრისს მღვდლებისადმი (კათოლიკობისადმი) დამოკიდებულებაში. „აგონა მღვდელსა მას მწვალებელსა ფრანგთასა“. გრიგოლისათვის მწვალებელია ყველა კათოლიკე და საერთოდ არამართლმადიდებელი.

XVIII საუკუნისათვის ქართულმა ეკლესიამ და განსაკუთრებით სამონასტრო ფრთამ, აშკარად გამოკვეთა თავისი დოგმატური თვალსაზრისი: კათოლიკობისადმი, როგორც რელიგიური მოძღვრებისადმი, და ეს დამოკიდებულება პირველ შესაძლებელ შემთხვევაში ხაზგასმით გაატარა გრიგოლ დოდორქელმაც თავის თხზულებაში.

ამ ბოლო ხანს ქეთევან დედოფლისადმი საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი. ევროპაში გამოქვეყნდა რამდენიმე შრომა, რომელთა შორის აღსანიშნავია 1972 წ. ლისაბონში დასტამებული

Roberto Gulbenkian-ის წიგნი*. წიგნი პირველად გამოქვეყნდა ქეთევანის აღსასრულთან დაკავშირებული სურათები, რომელნიც ავტორს „აღმოუჩენია ლისაბონში და გრასას ყოფილ მონასტერში“.

კათოლიკე მისიონერების ცნობები თავისთავად მეტად საინტერესოა. თითქმის ყველა მათგანი მიუთითებს, რომ ქეთევანმა მიიღო კათოლიკობა, რომ ქეთევანის ნეშტის ნაწილები მისიონერებმა ევროპაში წაიღეს და სხვ. მაგრამ ქართული მასალებით ბევრი ცნობა, რომლებიც მისიონერებს ეკუთვნით, არ დასტურდება. უპირველს ყოვლისა, მაგ. ქეთევანის მიერ კათოლიკობის მიღება

ქეთევანის „წამებაში ჩართულია ქართლის მეფის ლუარსაბის წამების მოზრდილი ეპიზოდი. მართალია, ავტორი ამ ეპიზოდს არ თვლის თხზულების ძირითად ნაწილად და მისი დამთავრების უმაღლესობით წერს: „ხოლო ჩუენ აღვიდეთ პირველსავე მას სიტყუსა ზედა“, მაგრამ ლუარსაბის ამბავი სიუჟეტური ქარგის განვითარებისათვის უცხო სხეულად არ ჩანს; პირიქით, იგი საესკეზო ბუნებრივი და აუცილებელი იყო. გრიგოლ დედოფლის უპირველესი მიზანი ქეთევან დედოფლის მოწამებრივი აღსასრულის აღწერაა. მაგრამ მისი თხზულების მნიშვნელობა — სწორედ იმაშია, რომ ძირითადი მიზნის ფონად მწერალი ვრცლად წარმოადგენს ქართლ-კახეთის ფაქტიურ მდგომარეობას შაჰ-აბაზის შემოსევის პერიოდში, შაჰ-აბაზის დროს.

ქართლის მეფის მოწამებრივი აღსასრული მომხიბვლელი თემა იყო ჰაგიოგრაფისათვის, მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ არ არ-

* *L'Ambassade en Perse de Luis Pereira de Lacerda et des Peres Portugais de L'orde de Saint-Augustin, Belchior dos Anjos et Cuilherme de Santo Agostinho 1604—1605, Lisbonne, 1972.*

ამ წიგნს ჩვენი სამეცნიერო საზოგადოება აქტიურად გამოეხმაურა: Nino Salia, *Dokuments Portugais sur le martyre de la Reine Ketevane de Céorkarlisa, Paris gie, Bedi 1973, vol. XXXI, p. 31, 63—70.*

ი. ტაბაღა, ახალი ცნობები ქეთევან დედოფლის წამების შესახებ, ვახ. „სამშობლო“, 1973 წ. ივლისი № 13 (318). მისივე, ისტორიამ შემოინახა, პორტუგალიური ცნობები ქეთევან დედოფლის წამების შესახებ, ვახ. კომუნისტი, 1973, 3 ივნისი. მისივე, ახალი ცნობები ქეთევან დედოფლის შესახებ, მაცნე, 1974, № 1, გვ. 111—121. ქეთევან ბაგრატიონი — ორსინი (რომი), ილია ტაბაღა, ქართული ელჩობა ევროპაში (ნიკიფორე ირბაზი — XVII ს.). „მრავალთავი“, ტ. X, გვ. 199—210. ვლ. ალფინძე, პორტუგალიური დღიურები, 1978 წ. გვ. 157—198. 1981 4. გულბენკიანის წიგნი ითარგმნა ქართულად.

სებობდა ლუარსაბის წამების ამსახველი ჰაგიოგრაფიული ტექსტები. ამიტომ დაუოკებელმა შინაგანმა მწერალურმა უნმა ლუარსაბთან დაკავშირებულ ამბებთან აშკარად იჩინა თავი. ავტორს არ ავიწყდება თავისი თხზულების ძირითადი მიზანი, მაგრამ ვითარცა ჰაგიოგრაფიაში მომუშავე მწერალი ყოველნაირად ცდილობს ლუარსაბ მეფის, როგორც დიდი მამულიშვილის და ქვეყნისათვის თავდადებული მოღვაწის, პორტრეტის დახატვას და, ამვე დროს, მოწამებრივი აღსასრულის წარმოჩენას. და ამით პირდაპირ და ქვეტექსტებითაც წარმოადგენს ქართლის პოლიტიკურ სურათს.

ავტორის თავმდაბლური მობოდიშებით ლუარსაბის თავგადასავალი თითქოს არ სჭირდება მოთხრობას, ამიტომ იგი მოკლედ ვადმოსცემს ლუარსაბის წამებას, არც ერთი ზედმეტი შტრიხი არ ამძიმებს თხრობას და თავმოსაბეზრებლად არ ხდის მას: „მას უამსა მეფობდა ქართლს მეფე ლუარსაბ, ძე მეფისა გიორგისი, კაცი მუნე და ახოვანი, მეცნიერი უფრომს ყოველთა ძეთა კაცთასა და იყო ჭერეთ ყრმა და გამოუცდელი“. ავტორის აზრით, სწორედ ახალგაზრდობის და გამოუცდელობის შედეგად შეაჯდინა შაჰმა მეფე, ან როგორც მწერალი ამბობს „სიტყვთა მოალორა მეფე ესე უსჯულმან“, შეიპყრეს და რა „იხილა უსჯულომან მან მიუდრეკელობაჲ“ მოაშთო საბლით.

უპირველეს ყოვლისა, დგება საკითხი თუ რა წყაროთი ხელმძღვანელობდა გრიგოლი, როდესაც წერდა ლუარსაბ მეფის „წამების“ ეპიზოდს და შექმონდა იგი თავის თხზულებაში. ჰაგიოგრაფიულა და ჰიმნოგრაფიული მასალა, რომელშიც ლუარსაბ მეფის თავგადასავალია მოთხრობილი, მოგვიანო პერიოდისაა და ქრონოლოგიურად არც ერთი არ უსწრებს გრიგოლ დოდორაძეის შრომას. ლუარსაბის მარტვილობის ამსახველი ყველაზე ადრეული სვინაქსარული რედაქცია კი პირველად გვხვდება გაბრიელ საგინაშვილის მიერ გადაწერილ ხელნაწერში (A—130)²⁷. სწორედ იმ ხელნაწერში, რომელშიც წარმოდგენილია თვით გრიგოლის თხზულება. მაშასადამე, ამ ორ ძეგლს შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი ვერ დადგება, ორივე თხზულება ერთ ხელნაწერშია დადასტურებული და, საფიქრებელია, სწორედ ამ ხელნაწერისათვის საგანგებოდ ერთდროულად დაწერილი. ლუარსაბ მეფესთან დაკავშირებული ამბის მონაცემები და ქეთევან დედოფლის შესახებ

²⁷ პირველად გამოაქვეყნა მ. საბინინმა, იხ. საქართველოს სამოთხე, გვ. 580—582; მეორედ ე. გაბიძაშვილმა, იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, 1968, გვ. 433—437.

გამოყენებული ფაქტები ამ ორ თხზულებას შორის (ლუარსაბ მეფის სვინაქსარი და ქეთევანი „წამების“ ვრცელი რედაქცია) მეტად განსხვავებულია და მსგავსებას არ ამჟღავნებს. განსხვავებულია თხრობის მანერა, მოწამეობრივი აღსასრულის სცენები, დეტალების გადმოცემის ხერხებიც. რაც ორივე თხზულებაში საერთოა, ესაა იმ ფაქტის ხაზგასმით აღნიშვნა, რომ ქართლის მეფე ლუარსაბი ახალგაზრდა იყო და გამოუცდელი წყალობით აცთუნა ირანის შაჰმა იგი. მაშასადამე, გრიგოლ ხუცესმონაზონის თხზულებაში შეტანილი ლუარსაბ მეფის მარტვილობის ეპიზოდი ერთ-ერთი პირველი დამოუკიდებელი თხრობაა ლუარსაბის შესახებ. გრიგოლ დოდორქელის მონათხრობი, როგორც ქვემოთ იქნება საგანგებოდ ნაჩვენები (ბესარიონ ორბელიშვილის შემოქმედების განხილვის დროს) ერთ-ერთ ძირითად წყაროდ გამოუყენებია ბესარიონს თავისი ვრცელი თხზულებისათვის. ეს ფაქტიც იმაზე მიუთითებს, თუ რამდენად პოპულარული და აღიარებული იყო გრიგოლის შრომა საერთოდ და, უპირველეს ყოვლისა, თვით დავით გარეჯის ლიტერატურულ-კულტურულ ცენტრში. ნარატიული წყაროების გულდასმითმა შეჯერებამ აჩვენა, რომ ლუარსაბის წამების გადმოცემისას გრიგოლს რაიმე კონკრეტული წყარო არ ჰქონია, ან, ყოველ შემთხვევაში, იგი გამოვლენილი არ არის. საფიქრებელია, გრიგოლი ლუარსაბ მეფის თავგადასავლისათვის ეყრდნობოდა იმ წინამორბედებს, რომლებიც ჩვენში არსებობდა.

ლუარსაბ მეფის ცხოვრების სვინაქსარული რედაქციის ავტორი, რომელსაც A — 130 ხელნაწერისათვის (თუ მისი დედნისათვის) საგანგებოდ დაუწერია ლუარსაბ მეფის სვინაქსარული „წამება“, საბიბელოა დავით გარეჯის სავანის კრებულთა შორის. მასაც, ცხადია, არ უსარგებლია და არ გამოუყენებია გრიგოლის შრომა (როგორც ვთქვით, ვერც გამოიყენებდა). ისიც, როგორც ჩანს, გადმოცემების საფუძველზე აგებდა თავის თხზულებას. თავისთავად ეს ფაქტიც საინტერესოა, გარეჯაში მიმდინარეობს სამზადისი ახალ ქართულ მოწამეთა შესახებ ჰაგიოგრაფიული მასალების შედგენისათვის და ერთდროულად რამდენიმე პირს ევალება ახალ მოწამეთა შესახებ თხზულებების შედგენა. რიგ შემთხვევაში არ იყო გამორიცხული სხვადასხვა ასპექტით ფაქტების გამეორებები და დამთხვევებიც კი. ასე მოხდა ამ კონკრეტულ მაგალითზეც. აქ საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან თითქოს არ ჩანს მაგალითი, რომ ერთ რომელიმე წმინდანზე განსაზღვრულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში ორ სხვადასხვა ავტორს

შექმნა ვრცელი პავიოგრაფიული თხზულება. ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოტანილი მაგალითი ამ წესის დარღვევის ნიმუშად არ გამოდგება და იგი კვლავ ძალაში რჩება. ლუარსაბის მარტვილობის ეპიზოდის შეტანა „ქეთევან დედოფლის წამებაში“ არ ნიშნავს, რომ გრიგოლ დოდორქელს საგანგებოდ დაავალეს ამ ეპიზოდის დაწერა. გრიგოლ დოდორქელის სამუშაოს საერთო გეგმამ, მწერლის ჩანაფიქრმა და თხზულების კომპოზიციურმა ქარვამ მოითხოვა ლუარსაბ მეფის ეპიზოდის შეტანა ქეთევან დედოფლის „წამების“ ეტქსტში.

გრიგოლ დოდორქელის თხზულებამ — „ქეთევან დედოფლის წამება“ — შესამჩნევი კვალი დატოვა XVIII საუკუნის სიტყვაკაზმულ მწერლობაში. იგი, როგორც ვთქვით, იყო XVIII ს. პირველი ორიგინალური მოთხრობა, ეპოქის შესაბამისად გაფორმებული. თავისი მიზანდასახულობით, პათოსით, ჩანაფიქრით მან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მომდევნო პერიოდის მწერლობაზე. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ბესარიონ ორბელიშვილის შემოქმედება.

ბესარიონ ორბელიშვილი და გრიგოლ ვახვაჩიშვილი ერთი პერიოდის შემოქმედნი არიან (შესაძლებელია, ბესარიონი რამდენადმე უმცროსი) და მით უფრო საგულისხმოა, რომ მან თანამედროვე მწერლის — ბესარიონის შემოქმედებაზე მოახდინა საკმაოდ დიდი გავლენა. ბესარიონ ორბელიშვილს გრიგოლ დოდორქელის თხზულებიდან თითქმის სიტყვასიტყვით ამოუკრებია ის ადგილები, რომლებშიც ლუარსაბის შესახებაა ლაპარაკი, სათანადო საილუსტრაციო ნიმუშებს დავიმოწმებთ ქვემოთ, როდესაც ბესარიონის შემოქმედებაზე და მის წყაროებზე გვექნება საუბარი. აქ ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს, ალბათ, მოხდა იმიტომ, რომ ბესარიონსაც ვითარცა დავით გარეჯის უდაბნოს მკვიდრს, ეცოდინებოდა ის გადმოცემები, რომლებიც უდაბნოში იყო გავრცელებული და რომელთა პირველი ფიქსაცია დოდორქელმა და სვინაქსარულ თხზულების ავტორმა გააკეთეს. ბესარიონმა, როგორც ჩანს, დოდორქელს გამოუცხადა მეტი ნდობა და იგი გამოიყენა უშუალო წყაროდ.

გრიგოლ დოდორქელის თხზულებამ დიდი გავლენა მოახდინა ე. წ. პარიზის ქრონიკაზე, რომელიც ამ უკანასკნელ ხანს²⁸ XVIII საუკ. 30-იან წლებში შედგენილად დაათარილეს. ამ გავლენის ზო-

²⁸ ცხოვრება საქართველოსა, (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გიული ალასანიანი, 1980, გვ. 35.

გიერთ ადგილზე მიუთითა ჭერ კიდევ ტრ. რუხაძემ²⁸: მართლაც, ე. წ. „პარიზის ქრონიკა“ XVIII საუკუნის ქართული ანონიმური საისტორიო წყაროა. ჭერ კიდევ ე. თაყაიშვილმა დაადგინა, რომ ქრონიკა კომპილაციური თხზულებაა და მრავალ წყაროს იყენებს.

გაიკვია (ტ. რუხაძე), რომ ერთ-ერთი წყარო ყოფილა გრიგოლ ხუცესმონაზონის თხზულებაც. „პარიზის ქრონიკის“ შემდგენელი დავალებულია გრიგოლის თხზულებით. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

გრიგოლ დოდორქელი

1. „ღღესა ერთსა ყო მანცა [კონსტანტინემ] სერი დიდი და მოუწოდა მამასა და ძმასა თუსსა, და დასხდეს სერობად და იწყეს ჭამად ჰურისა... და ჰყვეს მას ბოროტსა კაცნი შემსგავსებულნი სიხენეშისა თუსისანი. და განეზრახა მათთუს, რამთა ფარულად გაიგუმირონ ლახურითა მამა და ძმა მისი. ოდეს იყო შუა სერობაჲ, მოვიდეს ავაზაკნი იგი ბოროტნი და უხეტენეს თავსა მეფესა ალექსანდრეს და მასვე ეამსა აღმოუტევა სული თუსი, ეგრეთვე ძესა მისსა გიორგის და მანცა დაუტევა ცხოვრებაჲ...“

და მკუდარნი ესე, მის მიერ მოკლულნი, აღვიდა აქლემსა ზედა თუსსა და წარგზავნა ალავერდს სასაფლაოსა მათსა. და დამარხეს, ვითარცა ჭერ იყო, და აღასრულეს მცირე რაჲმე წესი დაფლვისა...“

„პარიზის ქრონიკა“

1. „დაჰპატოეა კონსტანტინემ მამას, ბატონს ალექსანდრეს და ძმას, გიორგი ბატონიშვილსა. დაჯდენ ჭამად. მადამდი კაცები დარიგებული ჰყავდა, რომ მალეით ვჰკრათ რამეო მამასა და ძმასა ჩემსა, მოკალითო.“

შუა ჭამა რომ შეიქმნა, შემოყენებულნი კაცნი მივიდნენ და ჰკრეს თავსა ბატონს ალექსანდრეს და მოკლეს ა (60) წლისა. მერმე გიორგი ბატონისშვილს შემოჰკრეს თავსა და მოკლეს.“

მის მიერ მოკლულნი აჰვიდა აქლემსა და გაგზავნა ალავერდს. და აღასრულეს მცირე რაჲმე წესი დაფლვისა³⁰.

²⁸ ლიტერატურული ძიებანი, ტ. V, გვ. 238—240.

³⁰ დასახელებული გამოცემა, გვ. 60.

გრიგოლი

პარიზის ქრ ნიკა

2. „შემდგომად ამისა დაიპყრა კოსტანტინე სამკვდრებელი მამისა თვისისა და წარმოვიდა ბილწი იგი საყოფელთაგან თვსთა და ახლოს მისსა მოიწია და ენება, რამთამცა შეერთო იგი ცოლად. და არა ინება სანატრელმან ამან დედაკაცმან, რამეთუ არა კადნიერებაჲ მიჩნს დედაკაც წოდება... და ფრიად წინააღმდეგა და არა ინება ნებისა მისისა აღსრულებაჲ...“

3. „და წარვიდა იგი ტახტსა ზედა თვსსა... შირვანს და ვითარცა შუენოდა სჯულსა მათსა, ეგვეითარსა მრავალსა ბოროტსა აღასრულებდა. და ყოველსა სარცხუნელს საქმესა იქმოდა.

ამას რაჲ ზედვიდეს თავადნი კახეთისანი, იტყოდეს გულსა შინა თვსსა და ურთიერთსა ეზრახებოდეს: „არავინ არს მომთხრობელი ანუ მავსოვარ ძუელთა კაცთაგან, რომელთა ასმიოდა, რომელმანცა კელმწიფემან ესევეითარი ურიცხვ ბოროტი აღასრულა: მოგვკლა მეფე ჩვენი ალექსანდრე და ძე მისი გიორგი... ჯერ იყო ჩუენდა, რადთა ჩუენცა მის თანა მოწყუედილ ვიყვენით, და არღარა ესეოდენნი ბოროტნი გუეხილნეს ცხორებასა ჩუენსა.

2. „შემდგომად ამისა დაიპყრა კოსტანტინემ, წავიდა სამყოფითგან მისით და მივიდა სიახლოესა, უნდოდა, რომ რძალი, ბატონის დავითის ცოლი დედოფალი ქეთევან შეერთო. დედოფალმა შორს დაუჭირა. მამაცად დახვდა, არ ინდომდა და გალანძღა, არ დაემორჩილა“ (გვ. 60—61).

3. „და წარვიდა შირვანთა და ბევრს ავსა და სასირცხო საქმეს იქმოდა. ჰკვირობდენ კახნი — თავადნი დიდნი და მცირენი. „იმისთანა საქმე არც ძველთა და არც ახალთ არ უქნიაო. ჩიოდნენ და ტიროდნენ მათის ბატონისა და ბატონის-შვილის სიკვდილსა და ინატრიდნენ: „ნეტაი ჩვენც თქვენთან ამოვსწყვეტილიყავითო, ამთონი ავი არ გვენახაო“. ამაზედ შეითქნეს კაცნი კახნაჲ რომ განუდგნენ, აღარ აბატონონ კახეთსა. ესეც არჩივეს. მალეით მოვკლათო, დაითაო“ (გვ. 61).

ამას ზედა შეითქუნეს კაც-ნი ესე ქრისტეს მორწმუნენი და ინებეს, რაათამცა განუდგენ და არღარა აუფლონ მათ ზედა: და ესეცა განიზრახეს, რაათამცა დაფარულად მოკლან იგი ღამით“.

ვფიქრობთ, მაგალითების გაგრძელების საჭიროება აღარ არის. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ მონაკვეთში: ე. წ. „პარიზის ქრონიკის“ შემდგენელი უშუალოდ გრიგოლ დოდორქელის თხზულებათაზეა დამოკიდებული³¹.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ გრიგოლ დოდორქელის ნაწარმოები ერთ-ერთი წყაროა ვახუშტი ბატონიშვილის „ისტორიისა“. ვახუშტი, როგორც კეთილსინდისიერ ისტორიკოსს შეეფერება, თავისი ისტორიის შედგენისას ხშირ შემთხვევაში უთითებს წყაროებზე, რომლითაც იგი სარგებლობდა. ამ წესს იგი არ ღალატობს, როდესაც გრიგოლ დოდორქელის თხზულებას გულისხმობს. გრიგოლის ნაწარმოებს იგი „მეტაფრასს“ ეძახის, ხოლო თვით ავტორს კი „მემეტაფრასეს“.

ვახუშტის „ისტორიაში“ გრიგოლ დოდორქელის თხზულების გამოყენების თავისებური მეთოდი გვაქვს. ვახუშტი ძირითად თხრობაში თითქმის არასოდეს სიტყვა-სიტყვით არ იმეორებს ჰაგიოგრაფიული თხზულებიდან არც ერთ ადგილს, იშვიათად კომენტარის გარეშე იღებს ფაქტს, ხშირად კი პირდაპირ ეკამათება ჰაგიოგრაფს, არა როგორც საკუთარი შრომის კონკრეტულ წყაროს. არამედ როგორც საერთოდ წყაროს. სწავლული ისტორიკოსის ასეთი დამოკიდებულება კი იმაზე მეტყველებს, რომ თავისთავად იგი ვარკვეულ ანგარიშს უწევს გრიგოლ დოდორქელის ნაწარმოებს, მაგრამ ჰაგიოგრაფის მიერ მოწოდებული ზოგერთი ფაქტის, ეპიზოდის კვალიფიკაცია ტენდენციურად მიანიხნია და ამის დამალვას არც ცდილობს. მხოლოდ ერთი შემთხვევაა, როდესაც ვახუშტი იღებს ჰაგიოგრაფის ცნობას ქეთევანის არნახული წამებით დაღუპვის შესახებ. ვახუშტი წერს: „და ამან [შაპ-აბაზ] მოკლა ქრისტესთჳს ტანჯვითა ფერად-ფერადითა, ვითარცა მოგვითხრობს მეტაფრასი მისი“ (გვ. 182). ვახუშტი არ ჭერდება ფაქტის კონსტატაციას, მაგრამ აქვე აკრიტიკებს

³¹ „პარიზის ქრონიკის“ ერთ-ერთი წყარო რომ გრიგოლ დოდორქელის თხზულებაა, ამაზე პირველად მიუთითა ტრ. რუხაძემ.

ჰაგიოგრაფიული თხზულების დანარჩენ პასაჟებს და მათგან გამომდინარე ქრონოლოგიას. „ისტორიაში“ ვკითხულობთ: „მემეტაფრასე სწერს წამებასა ამას პირველვე ყოჩიხანის მოწყვეტისა, არამედ ბატონი თეიმურაზ ლექსთა შინა თუსთა მისთვისე იტყვის ო წელსა ტყვეობასა დედისასა და შემდგომად წამებასა მისსა. და ეს ო წელი რომ შააბაზისა მოსლვასა დაეადევით, ეს ქრონიკონი იქმნა...“ მაშასადამე, წმინდა მეცნიერული წიაღსვლების შემდეგ ვახუშტი აკეთებს დასკვნებს.

მოვიტანთ კიდევ ერთ მაგალითს: თეიმურაზ მეფის ირანში გაგზავნასთან დაკავშირებით ვახუშტი ბატონიშვილი „ისტორიაში“ წერს: „დავითს დაშთა ქეთევანის თანა ძე მხოლოდ თეიმურაზ და ზრდიდა მას პაპა ფუფუნებით დედისა თანა. არამედ ვინამთგან მონუცებული იყო ალექსანდრე, ამისთვის განიზრახა ქეთევან, რამეთუ თუ მოკუდეს ალექსანდრე, დაიპყრას გიორგიმ კახეთი და შურაგოს ძესა ჩემსა, ამისთვის მოიყვანა ჩოლოყაშვილი შერმაზან, აფუცა და წარატანა ძე თუსი და წარგზავნა წინაშე შააბაზისა. ხოლო შააბაზ კეთილად შეიწყენარა და პატივსა უყოფდა თეიმურაზს და ისწავებდა წიგნსა და ენასა სპარსთასა“ (ზ. კიჭინაძის გამოცემა, გვ. 171).

იგივე ეპიზოდი დოდორქელს ასე აქვს აღწერილი: „და ჰყვა მას ძე უსრული ჰასაკითა ყოვლადშუენიერი და მსგავსი ანგელოზისა, სახელით თეიმურაზ, და მსოფლიოსა ამის განსაცდელისამიერსა ურვასა და მწუხარებასა იქარებდა მის მიერ. ამას ყოველსა თანა არა ინება ეშმაკმან განსაცდელი დაცხრომად მის ზედა, არამედ დასძინა კუალად განსაცდელნი უმწარესნი პირველთა და მისტაცა პაპამან თუსმან ველთაგან მისთა ყრმა ჩული ჰასაკითა თეიმურაზ და ძლუნად წარუგზავნა მეფესა სპარსთასა. რალა ვთქუა მისთვის, რაოდენმან მწუხარებამან მოიცვა სანატრელი დედამ იგი“....

ვახუშტის წყარო ამ კონკრეტული ეპიზოდისათვის (ისე როგორც მრავალი სხვა ეპიზოდისათვის) არის არჩილის „გაბაასების“ 247 და 248 სტროფები, სადაც ვკითხულობთ:

„ამ საქმეებს წინას ხნითვე დედამ ყაენს შემახეწა,
აქ გიორგის შეუშინდა, ამაღ მისკენ გარდამხეწა,
მან შემიტკობ ვითა შვილი, არ თუ შიშით მე დამხეწა,
გამებარენს მასთან მისელა, ლაწვი ცრემლმან არ მიხეწა.
მე შერმაზან თან გამომყეა ზნეობისა სასწავებლად,
მწერთინდის საღეთო-ზაკაცობოს, თავი ჰქონდის თავსაჟღებლად:
პირსა შინა გამამაგრის, გული ჰქონდის ვით საღებლად,
მაამის და მსახურებდის, ლაწვთა მწეკბდის არ საღებლად“.
(საუნჯე, გვ. 162)..

ვახუშტი თეიმურაზის სპარსეთში გამგზავრებასთან დაკავშირებით გრიგოლ ხუცესმონაზონის თვალსაზრისს არ იზიარებს, არ მიაჩნია სარწმუნოდ და ამით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ჰაგიოგრაფიული თხზულებისადმი და მისი ავტორისადმიც. ვახუშტი წერს: „მემეტაფრასე ქეთევან დედოფლისა იტყვის: პაპისაგან წარგზავნასა თეიმურაზისასა შურისათჳს ძისა თჳსისა დავითისა, ვინაჲთგან ენება კახეთი ძისა თჳსისა გიორგისათჳს, მიერითგან ოდეს შეიპყრა დავით ძემან თჳსმან და ამისთჳს წარავლინა თეიმურაზ, რათა დარჩეს კახეთი გიორგის“. ვახუშტი ამ პერიოდის ფაქტების გადმოცემისას როგორი მოულოდნელიც არ უნდა იყოს, უფრო მეტ ანგარიშს უწევს იოსებ სააკაძისა და არჩილის ცნობებს, ვიდრე ჰაგიოგრაფიული მწერლების, კერძოდ გრიგოლის მონაცემებს.

ვახუშტის „ისტორიაში“ დამოწმებული სხვა მაგალითებიც (კიდევ სამი) ამ რიგისაა. ვახუშტი ყველა შემთხვევაში კრიტიკულად უდგება გრიგოლის ცნობებს და მათ, მისი აზრით ვითარცა ნაკლებ სარწმუნოსა და დასაჯერებელს, უნდობლობას უცხადებს და მხოლოდ შესადაარებელ მასალად იყენებს. ვახუშტის არ ჯერა, რომ მამისა და ძმის მკვლელმა კონსტანტინემ დახოცილები ალექსანდრე მეფე და გიორგი ბატონიშვილი გააპატიოსნა და ალავერდის საგვარეულო საქვალეში გაგზავნა ქრისტიანული წესით დასაქრძალავად.

გრიგოლ დოდორქელის თხზულებაში ვკითხულობთ: „და მკუდარნი ესე, მის მიერ მოკლულნი, აღკიდა აქლემსა ზედა თჳსსა და წარგზავნა ალავერდს სასაფლაოსა მათსა და დაძარხეს, ვითარცა ჯერ იყო, და აღასრულეს მცირე რაჲმე წესი დაფლვისა, რაჲმეთუ შემსგავსებულსა პატივისა მათისასა ვერ შემძლებელ იყვნეს ამბოხებითა მით უსჯულოსათა“. ვახუშტი არ იღებს ჰაგიოგრაფის ამ ცნობას, მას უფრო ლოგიკურად მიაჩნია, რომ ეს მოქმედება სწორედ ქეთევან დედოფალს უფრო შეეფერება, და მართლაც ვახუშტის „ისტორიით“ ქეთევანმა კონსტანტინეს დამხობის შემდეგ „მოიღო ალექსანდრე ძით გიორგით და დაფლა ალავერდს“³².

³² საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ყველა შემთხვევაში, როდესაც ვახუშტი იმოწმებს მდვილეს ჰაგიოგრაფიული თხზულებიდან, იგი ავტორს არ ასახელებს. ამავე დროს, ციტატა აბსოლუტურად ზუსტიც არ არის, არის განსხვავებები. ჩვენი აზრით, ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ვახუშტი თხზულების სხვა რედაქციით სარგებლობდა და რომ გრიგოლ დოდორქელის სახელით ცნობილი ნაწარმოები სხვაა და ვახუშტის წყარო სხვა. არა, ვახუშტი გულისხმობს სწორედ ამ ნაწარმოებს, მაგრამ იგი აშკარად ტენდენციურია მისადმი.

გრიგოლ დოდორქელის თხზულებისადმი „ცხოვრება და წაშენება ქეთევან დედოფლისა“ ვახუშტი კეთილად განწყობილი არ ჩანს. იგი დიდ ნდობას არ უცხადებს მას და ერთგვარად ტენდენციურად კია. არც ერთი წყარო ისე ფართოდ არ გაუკრიტიკებია ვახუშტის, როგორც დასახელებული თხზულება. სწორედ ამის წყალობაა, რომ ისეთი ფაქტებიც კი, რომლებიც მხოლოდ „ქეთევანის წამებაშია“ დაცული, უგულვებლყო და საერთოდ არ ახსენა. გრიგოლ დოდორქელი საგანგებოდ მიუთითებს, რომ „კონსტანტინე იცვენეს თავადთა კახეთისათა“, „მიუჭდეს სამნი კეთილცხენოსანნი: დავით, თამაზ, ბებურ და ჰერეს მას შუბი“. კონსტანტინე შეევედრა, რომ არ მოეკლათ, მათ არ ისმინეს თხოვნა-მუდარა და მოკლეს ეი, მიართვეს დედოფალს, რომელმაც განიხარა ფრიად. ვახუშტი საგანგებოდ არაფერს ამბობს დასახელებულ პირებზე, იგი დამოუკიდებლად არავის გამოყოფს, არამედ ზოგადად წერს, რომ „ეკეთენენ კახნი ქეთევანისა თანა მყოფნი და სძლეს კონსტანტინეს, მოკლეს კონსტანტინე და მოსწყვიტნეს სპანი მისნი“.

გრიგოლ დოდორქელის მიერ ქეთევან დედოფლის წამების ცოცხლად დახატულმა ამაზრზენმა სურათებმა, რომელნიც, მართალია, რამდენადმე გამძაფრებულია, მაგრამ შეულამაზებლად გადმოსცემენ ობიექტურ სინამდვილეს, დიდი გავლენა მოახდინეს მომავალი თაობის მკითხველ საზოგადოებაზე. ამიტომაც მოხდა, რომ ვახუშტისაგან განსხვავებით, ანტონ ბაგრატიონი, იოანე ბატონიშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონი და რამდენადმე დიმიტრი ბაგრატიონიც ჰარბად ესესხებიან გრიგოლ დოდორქელის შრომას და არც მალევე თავიანთ დამოკიდებულებას და სიმპათიებს.

2. ბასარიონ ორბელიანი

XVIII საუკუნის ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში ბესარიონ ბეჟანის ძე ორბელიშვილი (გარდ. 1737 წ. მიწურულს ან 1738 წ. დამდეგს) თვალსაჩინო ფიგურაა. იგი ეკუთვნის იმ სეპტენტიერ მწერალთა რიცხვს, რომელთა ნაწერები ძირითადად ავტოგრაფების სახითაა ჩვენამდე შემორჩენილი. ეს გარემოება მეტად უწყობს ხელს მისი ლიტერატურული საქმიანობის მონოგრაფიულად შესწავლას.

ბესარიონ ორბელიშვილი დავით გარეჯის კულტურული კერის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელია, რომელიც აქტიურადაა ჩაბმული მჩქეფარე ლიტერატურული ცხოვრების ფერხულში.

ბესარიონი ახლო ურთიერთობასა და შემოქმედებით კონტაქტშია ქართული კულტურის ბევრ მესვეურთან. იგი წარმოდგება როგორც დამკვეთი მეცენატი, გადამწერი, შემკაზმველი. მას გაუვლია მაინტერესო გზა მწიგნობრისა, სანამ იგი საკუთარი შემოქმედებით წარდგებოდა საზოგადოების წინაშე.

ჩვენ მიერ შესწავლილი და დამუშავებული მასალების საფუძველზე ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყოველი მომენტის გათვალისწინება და მთლიანი სურათის აღდგენა ვერ ხერხდება. გაურკვეველი რჩება მისი ცხოვრების ზოგიერთი მხარე.

ბესარიონის დაბადების თარიღი ცნობილი არაა. ვერც ჩვენ მიერ იქნა რაიმე მანიშნებელი საბუთი ნაპოვნი. ბესარიონის შრომებს რქმევიათ მარიამი და ბეჟანი. 1697 წელს გადაწერილი ხელნაწერის ანდერძში ვკითხულობთ: „მე, ხუცეს-მონაზონი, ნათესავით ბარათაშვილი, ტომობით ორბელიშვილი ბესარიონ, წმიდისა ამის წიგნისა... აღწერად უდაბნოს გარეჯისასა,... ლოცვა ყავთ... შშობელთა ჩემთა ბეჟანისა და მარიამისა“.

როგორც თვით მრავალგზის მიუთითებს, ბესარიონი ჰკუთვნებია ორბელიშვილ-ბარათაშვილთა საკმაოდ გავლენიანსა და კულტურული ტრადიციების მქონე გვარს, რომელმაც ჩვენს ქვეყანას მისცა მრავალი გამოჩენილი სახელმწიფო და კულტურის დაუღალავი მოღვაწე.

ჩვენ მიერ გასინჯული მასალების მიხედვით ვაირკვია, რომ ბესარიონი სულხან-საბა ორბელიანთან და მის ოჯახთან ახლო ნათესაურ კავშირში არ ყოფილა, უფრო მეტიც, ორივე ორბელიანი—სულხან-საბა და ბესარიონიც ერთდროულად მოღვაწეობენ ერთ მონასტერში და მათ შორის რაიმე ურთიერთობის მანიშნებელი დოკუმენტიც კი არ შემონახულა. მათი ურთიერთობის დასადგენად, რა თქმა უნდა, არ კმარა ერთ დოკუმენტში მათი სახელების მოხსენიება³³.

შშობლებს—მარიამსა და ბეჟანს, ბესარიონისათვის კარგი განათლება მიუციათ. განსაკუთრებით დახელოვნებულია ბესარიონი ფილოსოფიურ-დოგმატიკურ მწერლობაში. ამას მოწმობს მის მიერ გადაწერილი თუ შეკაზმული ხელნაწერები.

ბესარიონი დავით გარეჯის უდაბნოს იოანე ნათლისმცემლის მონასტერში მოღვაწეობს. თუ როდის მივიდა ბესარიონი ნათლისმცემლის მონასტერში, ამის ზუსტი განსაზღვრა კირს. ერთი

კია, რომ XVII საუკუნის 90-იან წლებში იგი ხუცესმონაზონია და აქტიურად ეწევა ლიტერატურულ საქმიანობას.

მრავალი საბუთი და მინაწერი ბესარიონს წარმოაჩინებს როგორც მონასტრისათვის თავდადებულ პრაქტიკულ მოღვაწესა და ახალგაზრდა ბერების მოძღვარს.

1713 წლის ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერში გაბრიელ საგინაშვილი ბესარიონს ასახელებს როგორც მოძღვარსა და მასწავლებელს³⁴. იგივე გაბრიელი 1718 წელს ბესარიონის შესახებ წერს: „...მოძღვრისა და მასწავლელისა უფლისა ჩემისა, დიდისა ორბელის ძის ბესარიონის ბრძანებით“³⁵.

მასწავლებლად და მოძღვრად თვლის ბესარიონს იოსები, არაგვის ერისთავის ძე. „მე უღირსმან ხუცესმონაზონმან იოსებ, არაგვის ერისთავის შვილმან... ვიქცეოდე გელთა შინა სულიერთა მათ მამათა თანა. ვიტყუვ წმიდასა ხარიტონს და ღირსსა მოძღუარსა ჩუჴნსა და მასწავლელსა ბესარიონს, დიდის ორბელის ძე-სა“³⁶.

ბესარიონს ახლო ურთიერთობა აქვს იმ დროისათვის ცნობილ საეკლესიო მოღვაწეებთან და იერარქიულად სხვადასხვა საფეხურზე მდგომ პირებთან. სამებელი იოსები, ბოვნელი მაქსიმე და სხვები ბესარიონთან საქმიან და კულტურულ ურთიერთობაში არიან.

ბესარიონი დავით გარეჯის უდაბნოს იოანე ნათლისმცემლის მონასტერში მოღვაწეობს. დავით გარეჯის უდაბნო XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართლ-კახეთის და საერთოდ მთელი საქართველოს კულტურული ცენტრია. მიუხედავად პოლიტიკური უამინდობისა, დავით გარეჯის სავანეში საკმაოდ ძლიერი იყო კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციები. განსაკუთრებით გამოცოცხლდა და გაატივობდა დავით გარეჯა მას შემდეგ, რაც იქ წინამძღვრად ონოფრე მაკუტაძე იქნა დადგინებული. კახეთისა და ქართლის მეფეების ხელისშეწყობით მაკუტაძე ფართო აღმშენებლობით საქმიანობას ეწევა, რადგან „თუ ძნელბედობის პირობებში მოხერხდებოდა ეკლესიის აღდგენა და განმტკიცება, ეს საერო ხელისუფლების გამტკიცების საიმედო საწინდარი იქნებოდა“, ამას-

³⁴ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდის № 1557 ხელნაწერი, რომელიც დღეს შეუერთდა A—130 ხელნაწერს როგორც მისი ორგანული ნაწილი.

³⁵ ძველი საქართველო, ტ. II, განყოფილება I, გვ. 112.

³⁶ A—100-ის ანდერძი. შტრ. ქართ. ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, 1973, ტ. I, გვ. 452.

თანავე „იმ დროს ეკლესია წარმოადგენდა საერო ხელისუფლების ბურჯსა და მძლავრ იარაღს და რომ ეკლესიის ბედი უმჭიდროვდა უკავშირდებოდა ფეოდალური სახელმწიფოს ბედს“³⁷.

ოფიციალურ მატრიანებში ბესარიონი კათალიკოსად კურთხევის შემდეგ ჩანს. თუმცაღა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი ძველი ისტორიკოსები დიდ ადგილს აქ უთმობენ მისი საქმიანობის გადმოცემას.

ბესარიონის კათალიკოსად კურთხევა სხვადასხვა ისტორიულმა ფაქტმა განაპირობა.

ქართული სასულიერო მწერლობის განვითარებამ XVII საუკუნას და XVIII საუკუნის დამდეგს გადაუდებელ ამოცანად დააყენა საკითხი ისეთი კრებულების შედგენისა, რომლებშიც გაერთიანებული იქნებოდა მხოლოდ ქართველ წმინდანთა საკითხავები. განსაკუთრებით მომწიფდა ეს საკითხი დავით გარეჯის ლიტერატურულ შემოქმედებით ცენტრში. მოსამზადებელი სამუშაო ამ მიმართულებით ჩატარდა კიდევ დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვრის ონოფრე მაჭუტაძის ხელმძღვანელობით. მისი დავალებით 1699 წელს დავით გარეჯის მონასტრის მიზნებისათვის შედგა პირველი ჰაგიოგრაფიული კრებული (A — 160 ნომრით ინახება კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში). პროფ. ი. აბულაძე ამ კრებულს უწოდებს „ცხოვრებათა (იგულისხმება ასურელ მამათა ცხოვრებანი, მ. ქ.) მეტაფრასტული რედაქციების კრებულს“³⁸, მაგრამ ეს კრებული მაინც არ იყო იმ დანიშნულებისა და მიზნის მქონე, რომელსაც იმდროინდელი საზოგადოება უყენებდა მას.

ინიციატივა ვრცელი ქართული ჰაგიოგრაფიული კრებულის შედგენისა ეკუთვნის დომენტი კათალიკოსს.

დომენტი ლევანის ძე ბაგრატიონი, ვახტანგ VI ძმა, ქართული კულტურის ისტორიაში, კარგად ცნობილი პიროვნებაა. მისი როლი და დამსახურება ქართული ჰაგიოგრაფიული კრებულის შედგენაში გარკვეული აქვს პროფ. ელენე მეტრეველს³⁹. ელ. მეტრე-

³⁷ ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, თბილისი, 1955, გვ. 67.

³⁸ ი. აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბილისი, 1955, გვ. 214.

³⁹ ელ. მეტრეველი, ქართული აგიოგრაფიული კრებული და მისი შემდგენელი, პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1950, გვ. 415—420. 1949 წელს ქართულ ჰაგიოგრაფიული კრებულის ხასიათს გაკვრით შეეხო პროფ. ტრ. რუხაძე და მას „მრავალთავისა და მეტაფრასტული (ტრადიციისამებრ) კრებულის სახელით იხსენიებს. იხ. ლიტ. ძიებანი, ტ. V, გვ. 231.

ველს დაკვირვებით, დომენტი კათალიკოსს სპეციალურად დაუძებნია. ქართველ წმინდანთა საკითხავები და შეუდგენია პირველი ორიგინალური ჰაგიოგრაფიული კრებული. ეს სამუშაო მას უნდა გაეფორმებინა 1710 წლებში⁴⁰. დომენტის კრებულს ჩვენამდე არ მოუღწევია, ყოველ შემთხვევაში ჯერ იგი მიკვლეული არ არის. 1713 წელს გაბრიელ საგინაშვილს გადაუწერია დომენტის კრებული, რომელიც წარმოდგენილია ხელნაწერში A — 130.

დომენტი კათალიკოსის მიერ შედგენილი ჰაგიოგრაფიული კრებული არის პირველი ეტაპი ქართველ წმინდანთა წამება-ცხოვრების შედგენის ისტორიაში. როგორც ჩანს, იმთავითვე დასმულა საკითხი აღნიშნული კრებულის შევსებისა. ამ საქმისათვის ხელი მოუკიდია ბესარიონ ორბელიშვილს.

ბესარიონის ღვაწლზე ჰაგიოგრაფიული კრებულის სრულყოფაში მიუთითებს ანტონ კათალიკოსი „წყობილსიტყვაობაში“:

„ქართულთ წმიდათა მოთხრობა — ისტორია მახსოვან, რომელ საწად იყუძნეს მასმენელთა“.

ანტონის ცნობაზე დამყარებით კ. კეკელიძე წერდა: „ბესარიონს საკუთარი, ორიგინალური თხზულებანიც უწერია. მას ეკუთვნის, სხვათა შორის, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები, რომელიც ქართველ წმინდანთა ცხოვრებას შეიცავს. ეს არის ახალი რედაქცია ქართველ წმიდათა ცხოვრებისა, რომელიც მაინცდამაინც ვერ გავრცელებულა, რაც იქიდან ჩანს, რომ მისი ნუსხები ახლა იშვიათად, შეიძლება ითქვას, სულაც არ მოიპოვება“⁴¹.

კ. კეკელიძის მოსაზრება გამოითქვა მაშინ, როდესაც ბესარიონის შრომიდან ცნობილი იყო მხოლოდ ორი თხზულება: „ღუაწლი წმიდისა და სანატრელისა მოწამისა და მეფისა ლუარსაბისი“ და „შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელისბარისი და უწყება წამებისა მათისა“. პირველი თხზულება დასტამბა ს. ყუბანეიშვილმა პირველად⁴², ხოლო მეორე გამოქვეყნებული იყო ჯერ კიდევ მ. საბინინის მიერ „საქართველოს სამოთხეში“.

ბესარიონს დომენტის შრომისათვის დაუმტკებია ხუთი ჰაგიოგრაფიული თხზულება და ამით შეუვსია დომენტის კრებული (ჩვენ ჰიმნოგრაფიაზე არაფერს ვამბობთ) და მოუცია ქართულ

⁴⁰ მ. ჯავთარია, ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან, XVII—XVIII სს. 1977, გვ. 25—26.

⁴¹ კ. კეკელიძე, ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 13, გვ. 326—327.

⁴² ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I,

ჰაგიოგრაფიული კრებულის თავისი რედაქცია. ბესარიონის შრომა დაცულია ხელნაწერში S—3269, რომელშიც ბესარიონის საკუთარი თხზულებანი ავტოგრაფის სახითაა წარმოდგენილი. ესენია:

1. „შესხმა და წამება წმიდისა და ღიღებულისა მოწამისა და მეფისა ლუარსაბისი“.

3. „დაძინება წმიდათაგანისა მამისა ჩუენისა ისე წილკანელ ეპისკოპოსისა საყვრელთმოქმედისა, რომელი იყო ერთი ათორმეტთა მამათაგანი, რომელნი შუადღინართ მოიწინეს“.

4. „შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელისბარისი და უწყება წამებისა მათისა“.

5. „წამება და ლუაწლი წმიდისა ღიღისა მოწამისა რაედენისი, რომელი იწამა ეამთა ღიღისა მეფისა ვახტანგისათა, სპარსთა მიერ ქართლს შინა, სოფელსა შინა წრომს“.

დასახელებული თხზულებანი არის ვრცელი რედაქციისა. ხელნაწერ S—3269-ში ბესარიონის შრომას უკავია 6 რვეული; ამჟამად წარმოდგენილია 5 რვეულითა და 4 ფურცლით. ყველა საკითხავი მოთავსებულია ერთად ფ. ფ. 227—261, ხოლო რაედენის წამებას კი უკავია ფ. 277—275. თავდაპირველად თხზულებათა თანმიმდევრობა ასეთი არ იყო. S—3269-ზე დაკვირვება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ აღდგეს ბესარიონის შრომის პირვანდელი სახე და, მაშასადამე, გავითვალისწინოთ თვით S—3269-ის რედაქტორის როლიც.

თხზულებათა თანმიმდევრობა კრებულის შედგენამდე ასეთი უნდა ყოფილიყო:

1. რაედენის წამება
2. არჩილის წამება
3. ლუარსაბის წამება
4. შესხმა ბიძინასი, შალვასი და ელისბარისი
5. დაძინება ისე წილკანელისა

1733 წლის ხელნაწერი A—170, რომელსაც ასევე ბესარიონის ხელი ატყვია, ზუსტად ასეთ თანმიმდევრობას იძლევა. ეს იმას ნიშნავს, რომ A—170-ში თხზულებათა განაწილებისას რედაქტორი არ ითვალისწინებდა S—3269 ხელნაწერის მონაცემებს. იგი ამ მონაცემთში უშუალოდ ბესარიონის შრომის პირვანდელ სახეს იმეორებს. S—3269-ის შედგენისას, ბესარიონის საკუთარი თხზულებები თავისი შეხედულებებისამებრ გაუნაწილებია⁴³.

⁴³ ვრცლად ამ საკითხის შესახებ იხ. მ. ჭავჭავაძის „ბესარიონ. ორბელი-შვილის ცხოვრება და შოლვაწობა. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. I, 1959, გვ. 92—93.

ბესარიონ ორბელიშვილმა შეავსო დომენტი კათალიკოსის შრომა XVIII საუკუნის 20-იან წლებში და მოგვცა ქართული ჰაგიოგრაფიული კრებულის მეორე რედაქცია, რომელშიც მხოლოდ მხატვრული პროზის ნიმუშები არ იყო გაერთიანებული. მასში პოეტური (ჰიმნოგრაფიული) მასალაც იყო წარმოდგენილი. ბესარიონ ორბელიშვილის შემოქმედებით ქართული მხატვრული პროზის ერთგვარი გამოცოცხლება დაიწყო. ბესარიონ ორბელიშვილი XVIII საუკუნის 20-იან წლებში ქართული მხატვრული პროზის ერთადერთი წარმომადგენელია, რომლის თხზულებებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს მომდევნო ხანის მწერლებზე (ვახუშტი, ანტონი, იოანე ბატონიშვილი და სხვ.).

ბესარიონის მხატვრულ შემოქმედებაში უდიდესი ადგილი აქვს დათმობილი ისტორიულ თემატიკას. ბესარიონ ორბელიშვილი აგრძელებს იმ გზას, რაც გვიანფოდალური ხანის ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში დამკვიდრდა. გარდასულ დღეთა გაცოცხლება მხატვრული პროზის მთავარი თემა იყო.

ფაქტობრივი მასალის გადმოცემის თვალსაზრისით ბესარიონის თხზულებიდან გამოსაყოფია „ლუაწლი წმიდისა და სანატრელისა მოწამისა და მეფისა ლუარსაბისი“ და „შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელისბარისი“.

ქართულმა ეკლესიამ ლუარსაბ მეფე შერაცხა წმინდანად და მას მოსახსენებლად სპეციალური დღეც მიუჩინა. შედგა ლიტურგიისათვის საგანგებო განგება.

ლუარსაბ მეფის ხსენების დღესთან დაკავშირებით საინტერესო სურათია ხელნაწერებში. მოგვიანო ხანის ნუსხებში მეფე ლუარსაბის და მეფე არჩილის ხსენებანი გაერთიანდა და დაიდო 20 მარტს, მიუხედავად იმისა, რომ პარიზის ლექციონარი არჩილის ხსენებას 8 იანვარზე იძლევა, ხოლ იოანე-ზოსიმეს კალენდარი კი 15 იანვარს (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 258). დომენტის ჰაგიოგრაფიულ კრებულში A—130 ხელნაწერში ორივე მეფის ხსენება ცალ-ცალკეა წარმოდგენილი 20 მარტს. „თუესა მარტსა კ, წამება წმიდისა და ნეტარისა მეფისა ჩუენისა ლუარსაბისი“ (136 r—v); „თუესა მარტსა კ. წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, რომელი-ესე იყო მეფე ქართლისა“ (138 v—→39 r). ასეთსავე სურათს იძლევა ბესარიონის რედაქციის ჰაგიოგრაფიული კრებულის კანონიზირებული ხელნაწერი A—170 (1733 წლისა). აქაც ორივეს ხსენება ცალკეა 20 მარტს. სხვა სურათს იძლევა S—3269 ხელნაწერი, რომელშიც პირველად ჩნდება ლუარსაბისა და არჩილის ვრცელი

თხზულებები. აქ კვითხულობთ: „თუესა მარტსა კ. წმიდათა დიდებულთა მოწამეთა ორთა დიდთა მეფეთა ქართველთასა არჩილ და ლუარსაბისი“ (219r—220v). „თუესა მარტსა კ. შესხმა და წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, მეფისა მის ქართველთასა...“ (228r—235r). „თუესა მარტსა ა. ლუაწლი წმიდისა და სანატრელისა მოწამისა და მეფისა ლუარსაბისი (235v—243r). მაშასადამე, ერთ ხელნაწერში არჩილ მეფისა და ლუარსაბ მეფის ხსენება არის ერთადეც და ცალ-ცალკეც. როდის უნდა მომხდარიყო მათი გაერთიანება ან ვის მიერ, ხელნაწერების მიხედვით არ ჩანს. ერთი უეჭველია, რომ სავარაუდოა 1713 წლის შემდგომ (A—130-ის გაფორმების ზემო ზღვარი). ამ ქრონოლოგიურ ზღვარს, ალბათ, ხელს ვერ შეუშლის გულანების A—111-ისა და A—379-ის მონაცემები. ორივე გულანში მათი ხსენება 20 მარტსაა მოცემული და ორივე ხელნაწერი ზოგადად თარიღდება 1704—1713 წლებით.

S—535-ში ნათქვამია: „მეფე არჩილ

მეფე ლუარსაბ 1 მარტს, გინა 20“.

20 მარტს მათ ერთად ახსენებს შემდეგი ხელნაწერები: S—1097 (1725—26 წ.), Q—627, II—2335, S—67, A—152, A—1093 და სხვ. ანტონ ბაგრატიონმა თავის სადღესასწაულოში ორივე მეფის ხსენება ერთად დატოვა, მაგრამ გადაიტანა 21 ივნისს (S—1464) და გაუკეთა შემდეგი კომენტარი: „დღესასწაულნიცა უკუტ ქართულთანი შევსტულენ. და რომელნი ოცსა მარტსა იყო ჰქსენება მარტვლობისა დიდთა მოწამეთა არჩილ და ლუარსაბისა... სხუასა ადგილსა განვაწესენ ესენი, რამეთუ წმიდათა მამათა, რომელთაცა ჰქსენებანი და დღესასწაულნი წმიდათანი განაჩინეს თითოეულთა შინა თითუჭეთა და დღეთა, მარტსა და აპრილსა ორნი ოდენ მოვალნ დღესასწაულნი დიდთა წმიდათანი. ამისათჳს ვითარმედ, რათა არა დააყენეს მარხუამან დღესასწაულნი წმიდათანი... ამისათჳსცა მეცა, ვინადგან ჳერ ცუო დიდ დღესასწაულთად მეფეთა დიდთა მოწამეთა, დავჰსდევ ჳსენება იუნისსა კა... ანტონი არჩილის და ლუარსაბ მეფეების დღესასწაულთა შეერთებაზე არაფერს ამბობს. არც ლუარსაბის ხსენების დამოუკიდებელ დღეზე — 1 მარტზე ამბობს რამეს.

ლუარსაბის წამებიდან ბესარიონის შრომის დაწერამდე სულ ცოტა ასი წელი გავიდა. ლუარსაბის მოღვაწეობა აისახა ოფიციალურ ისტორიაში, ნარატიულ წყაროებში, მაგრამ ბესარიონის თხზულება თავისი სისრულით, ფაქტების სიუხვით და განსაკუთრებით მიმზიდველი მხატვრული ენით მაინც ღირსშესანიშნავია.

ბესარიონის მოთხოვნა ჰაგიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებია, მას ახასიათებს სასულიერო პროზისათვის დამახასიათებელი ყველა ელემენტი. მაღალი პათეტური სტილი კი თხზულებას აძლევს ჰომილეტიკურ ელფერსაც. კომპოზიციურად ნაწარმოები აგებულია ისე, რომ მასში ნათლად გამოჩნდეს XVII საუკ. ქართლის პოლიტიკური სახე. თხზულების ძირითადი ნაწილი ისტორიული ამბების გადმოცემისადრია მიძღვნილი. კერძოდ, თხზულებაში ჩართულია *memento* საქართველოს ისტორიიდან — თათარხანის შემოსევა, რომელსაც არავითარი პირდაპირი და უშუალო კავშირი არა აქვს ლუარსაბის მარტვილობასთან. დეტალურადაა მოთხრობილი შაჰ-აბასის შემოსევა და ლუარსაბის წამების ბოლო დღეები.

საგულისხმოა, რომ ბესარიონის თხზულების ისტორიული ნაწილი ბევრ რამეში სცილდება ოფიციალური ისტორიის ცნობებს. ამ შემთხვევაში იგი მოქმედებს ვითარცა მხატვრული სიტყვის ოსტატი, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი — როგორც ქამთაღმწერელი. ბესარიონს განსაკუთრებული სიზუსტით და ვრცლად აქვს გადმოცემული თათარხანის შემოსევა, უფრო ვრცლად და დეტალურად, ვიდრე იოსებ თბილელს „დიდმოურავიანში“ და მასზე დაყრდნობით, როგორც ეს აკად. ივ. ჯავახიშვილმა გარკვევა, ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ცხოვრებაში“⁴⁴. ბესარიონის ცნობები ავსებენ ბერი ეგნატაშვილის „ისტორიას“, თუმცა ბევრ რამეში განსხვავდებიან მისგან. ჩვენ აღარაფერს ვამბობთ ფარსადან გორგიჯანიძის მეტად მწირი ცნობების შესახებ. ამდენად, ბესარიონის თხზულებას წმინდა ისტორიული თვალსაზრისითაც აქვს გრძელვადი წონა და მნიშვნელობა.

აღვნიშნავთ ზოგიერთ განსხვავებას ბერი ეგნატაშვილის ისტორიასა და ბესარიონის თხზულებას შორის:

ეგნატაშვილი⁴⁵

ბესარიონი

„ხოლო დედა მეფისა იყო
ქალი ლიპარტხანისა, სახელით
მარცაჲ“.

„ლუარსაბის დედასა [ეწოდებოდა] თამარა“.

⁴⁴ ივ. ჯავახიშვილი, ზველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 358—359. „დიდმოურავიანზე“ დამყარებული ე. წ. პარიზის ქრონიკაც, როგორც იმავე წიგნში გარკვევა ივ. ჯავახიშვილმა.

⁴⁵ ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება.

მართალია, ვახუშტი ბატონიშვილიც იმეორებს ეგნატაშვილის ცნობას: „დედასა მეფისასა დედოფალსა მარია მს, ასულსა ლიპარტიანისას...“⁴⁶, მაგრამ სიმართლე მაინც ბესარიონის მხარეზეა. თამარს ადასტურებს ლუარსაბის მარტვილობის მოკლე რედაქცია — „მამასა ეწოდებოდა გიორგი და დედასა თამარ...“⁴⁷ — ე. წ. პარიზის ქრონიკა — „გიორგი ლიპარტიანის ასულმან, დედოფალმან თამარ“⁴⁸, ანტონის „მარტირიკა“ — „იქორწინა ჩინებულისა მთავრისა ლიპარტიანის ასულისა თანა, ზედწოდებით თამარ“ და ისტორიული დოკუმენტები. ერთ-ერთ მათგანში ვკითხულობთ: „დედოფალთა დედოფალმან, პატრონმან თამარ... და ძისა ჩუენისა პატრონისა მეფის ლუარსაბის სადღეგრძელოდ“⁴⁹.

თითქმის ყველა დოკუმენტი ლუარსაბის დედას თამარს ცოცხლად ასახელებს შვილის დაქორწინებისას, მათ შორის ბერი ეგნატაშვილიც: „მაშინდა კუალად აცნობა მოურავმა დედასაცა მეფისასა“. ბესარიონის შრომით ლუარსაბის დედა ქმარზე ადრე გარდაიცვალა: „ვითარცა გარდაიცვალა მამაჲ ამის ნეტარისაჲ — მეფე გიორგი, რამეთუ დედოფალი თამარ პირველივე გარდაცვალებულ იყო“.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში თავდადებული ხუცის სახელად დამკვიდრებულია თევდორე, ბესარიონი კი მას სვიმონს უწოდებს.

სომხის ტერტერას იოსებ თბილელი, ეგნატაშვილი და სხვები თვლიან გორელად, ბესარიონი კი უფლისციხელად.

შაჰ-აბასის დაბანაკების ადგილად ეგნატაშვილი ასახელებს გორს; ე. წ. პარიზის ქრონიკა, ფარსადან გორგიჯანიძე ნიქოზს, ხოლო ბესარიონი კი ალს⁵⁰ და სხვ.

„ლუარსაბის მარტვილობა“ ჰაგიოგრაფიული ხასიათის თხზულებაა. მისი იდეა საშობლობოს სიყვარული და ქართული ეკლესიის დაცვაა.

ავტორი ქართლის პოლიტიკური ისტორიის რეალურ სურათს იძლევა. XVII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველო წარმოადგენდა როგორც საგარეო, ისე შინაური მტრების სათარეშო

⁴⁶ ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილს ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1973, გვ. 423.

⁴⁷ ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. IV, გამოსაცემად მოამზადა და გამოკლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, თბლისი, 1968, გვ. 430.

⁴⁸ პარიზის ქრონიკა ანუ ცხოვრება საქართველოსი, 1903, თბლისი, გვ. 39.

⁴⁹ ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წიგნი IV, 1913, გვ. 7.

⁵⁰ სამართლიანობა მოითხოვს აქვე ითქვას, რომ აღნიშნულ განსხვავებებს პირველად ყურადღება მიაქცია ანტონ I.

არენას: „მრავალნი ბოროტნი აღდგომილ იყვნეს საქართველოს ზედა. პირველად ოსმანთაგან, რომელთა დაეპყრა მეფობაჲ, მერმე სპარსთაგან და მერმე მახლობელთა ჩუენთა მთიულთა ოვსთაგან, რომელნი დამკვდრებულ იყვნეს მახლობელად ჩუენსა, რამეთუ იგინიცა ფრიად აჰირვებდეს, რამეთუ მოწვევნასა ზაფხულისასა ვიდრე ეამამდე ზამთრისა გოცდეს და ტყუ-ყოფდეს ცხადად და იდუმალ. და ესოდენთა ძურთაგან მოცულ იყუნეს ქართველნი“.

ქვეყნის არც ეკონომიური სურათია სახარბიელო. ავტორის სიტყვით, „მაშინ ქუეყანაჲ აბოცისაჲ, ტაშირი, ჯავახეთი და თრიალეთი სრულიად ოკერ იყო და უშენ კაცთაგან და მიმდგომნი ყოველნი ამათ თემთანი“. ასეთ დროს შემოესია ქართლს თათარხანი. „მას ეამსა, ოდეს ხუანთქარმან აღილაშქრა ბაბილონსა ზედა ძალითა დიდითა, მუნ თანა-ყვეს მწედრობაჲ თათარხანთა, რომელ არიან ყირიზნი. მაშინ შეითქუნეს მუნ მყოფნი იგი თათარხანნი, ვითარ ოთხმეოცი ათასი მწედრობაჲ რჩეული, რაჲთა მოვიდენ საქართველოსა ზედა და წარტყუენონ და სრულიად ასწყუდონ და სავესენი ტყვთა და ალაფითა მიიქცენ მუნვე, რამეთუ უმეფოდ ჰგონებდეს ქართველთა“. თათარხანის შემოსევის ეპიზოდი ლუარსაბის მარტვილობისათვის ლოგიკური და ბუნებრივი, უფრო მეტიც, აუცილებელი სულაც არ არის. ეს ისეთი პასაჟია (თავისთავად ძალზე სინტერესო), რომელიც პაგიოგრაფიულ ნაწარმოებს არ სჭირდება.

თათარხანის შემოსევა ბესარიონმა მხოლოდ ორი გარემოებით შეიტანა „ლუარსაბის მარტვილობაში“. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეჩვენებინა ქართველთა ლაშქრის გამარჯვება მრავალრიცხოვან მტერზე. მეორეც, ერთხელ კიდევ წარმოეჩინა უბრალო ადამიანების თავგანწირვა მშობლიური ქვეყნის სამსახურში.

განსაკუთრებით ნათელ ფერებში აქვს დახატული ავტორს ლუარსაბის პორტრეტი. ლუარსაბის პირით მეტყველებს ორთოდოქსალური ეკლესიის წარმომადგენელი ბესარიონი. ლუარსაბის შეხედულებანი და თვალსაზრისები ეს არის XVII—XVIII სს. ოფიციალური ქართული ეკლესიის აზრები და შეხედულებანი. ბესარიონი ლუარსაბს ახვევს ქართულ საეკლესიო წრეებში მიღებულსა და დამკვიდრებულ მსოფლმხედველობას და ამიტომაცაა, რომ ლუარსაბი მოთხრობიდან წარმოგვიდგება არა როგორც მებრძოლი მეფე, არამედ როგორც რელიგიური სათნოებით გაუღენთილი პიროვნება, რომელიც ძირითადად მხოლოდ ლოცვა-ვედრებაში პოულობს შვებას და მხოლოდ უფლის განგებას ავედრებს მშობლიურ ქვეყანას.

„ლუარსაბის მარტვილობის“ ვრცელი რედაქციის დასაწერად ბესარიონს გამოუყენებია სხვადასხვა ისტორიულ-ლიტერატურული წყაროები. არც ისაა უგულვებელსაყოფი, რომ ბესარიონის დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იქნებოდა ლუარსაბის შესახებ ისეთი ცნობები, რომლებიც ოფიციალურ ისტორიაში არ ასახულა.

ბესარიონის შრომის წყაროთაგან უნდა, უპირველეს ყოვლისა, დასახელებულ იქნეს დოდორაქელის თხზულება „ქეთევან დედოფლის წამება“. ბესარიონს გრიგოლის შრომიდან თითქმის სიტყვა-სიტყვით ამოუკრეფია ის ადგილები, რომლებშიც ლუარსაბის შესახებაა საუბარი. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

ქეთევანის წამება

„მას უამსა მეფობდა ქართლს მეფე ლუარსაბ, ძე მეფისა გიორგისი. კაცი მკნე. ახოვანი, შუენიერი უფრომს ყოველთა ძეთა კაცთასა და იყო ჯერეთ ყმა და გამოუცდელი. დაშთომილ იყო იგი მამისა მისგან ღმრთისმოყუარისა და მორწმუნისა. ხოლო მეფე იგი სპარსთაა ლიქნიდა მას ფრიად და ეტყოდა ფიცით, ვითარმედ: უკეთუ მოხვდე და მერჩდე მე, მეგობრად ჩემდა გყო შენ და მიგცნე ყოველნივე სამეფონი ჰაქართველომსანი, შენნი და უშენნი, რამეთუ მიყუარ შენ ფრიად ჰასაკისათუს და შუენიერებისათუს და ახოვნებისათუს გუამისა შენისა. მეფე იგი კახთაა ამისათუს მოვაოჯრე, რამეთუ იყვნეს იგინი მეგობარ კეისრისა, ხოლო შენ გყო სწორად თავსა ჩემისა და მეორედად მეფობისა ჩემისა გყო“ (გვ. 261).

ლუარსაბის მარტვილობა

„ხოლო მეფე თეიმურაზ და მეფე ესე, ლუარსაბ ივლტოდეს იმერეთად... [შაჰაბაზ] სიტყვთა ლიქნისაათა აღუთქუმიდა უდიდესთა ნიჭთა და პატიეთა, რაათა ერჩდეს და მოვიდეს მის თანა და ზედაამსზედა მიუწერდა ესრეთ: უკეთუ მოხვდე ჩემ თანა, გყო შენ შეილად ჩემდა საყუარელად და მეგობრად სარწმუნოდ და მოგცნე ყოველნივე სამეფონი შენნი: ქართლი, კახეთი და სამცხე. და არცლა სჯულისა შენისათუს სიტყვაა გიგო. ვითარცა გენებოს, ეგრეთ იქცეოდა და ყოველნი საჯელმწიფონი ჩემნი შენ განტრიდენ და გამორჩილებდენ, რამეთუ დიდად მიყუარ შენ ტომ-კეთილობისა შენისათუს, რამეთუ წინააღმართყუელთა ნათესავე ხარ შენ და კუალად სიკეთისათუს შენისა და შუენიერებისა მნებავს ხილვაა შენი. ხოლო ქუეყანაა იგი თეიმურაზისი ამისთუს მო-

ვაოკრე, რამეთუ ურჩ იყვნეს ბრძანებისა ჩემისა და იყვნეს მეგობარ კეისრისა, მეცა ამის-თვის გულითად მოვიძულე იგი. ხოლო უკუეთუ მერჩდე და მოხვდე ჩემდა, გყო შენ დიდებულ და მეორედად მეფობისა ჩემისა განგაჩინო და ყოველნი შენ გმორჩილებდენ“

მეორე მაგალითი

„დღესა ერთსა ჯდა მეფე უსჯულოა და უჯდა მეფე იგი მორწმუნე დღეთა მათ მარხვისათა წმიდათა მათ ორმეოცთა და აიძულებდა მას ჰამად თევზისა. ხოლო მან ჰრქუა: არა ვჰამო წმიდათა მათ მარხვათა, რამეთუ ესრეთ განწესებულ არს, და უკეთუ ვჰამო თევზი, კულად შაიძულებდე გორცსაცა ჰამად მარხვათა შინა. არა უწყია, მეფე, რამეთუ ქრისტიანე ვარ? და ილეტოდა მისგან. ხოლო ვითარცა გათენდა, შეიპყრეს მეფე იგი შუენიერი, ცხებული ღმრთისა და წარგზავნეს საპყრობილედ იგიცა ჰალაქსა მას შირაზისასა. და ვითარცა იხილა უსჯულომან მან მიუდრეკელობად სარწმუნოებისაგან, განიზრახა გულსა შინა თვისა: უკეთუ ვაიძულო უარისყოფად ქრისტესა, არა მერჩდეს ზიარებად სჯულთა ჩემთა. და წარავლინა კაცნი საპყრობილესა შინა და საბლითა მოაქ-
12,

„დღესა ერთსა ჯდა მეფე იგი უსჯულოა პურობად მოსმურთა თვისთა თანა შუებით და განცხრომითა მრავლითა. და მოუწოდეს ამასცა ღმრთისმოყუარესა მეფესა და ინაჯით ჯდა იგი მახლობელად მის. ხოლო იყვნეს დღენი იგი წმიდანი ორმეოცთა მარხვათანი და ვითარცა სხდეს იგინი და იყო განცხრომა ფრიადი, მაშინ აიძულა მას ჰამად თევზისა და ფრიადცა აიძულებდა, რამთა ერჩდეს ბრძანებასა მისსა და ჰამოს თევზი. ხოლო მას ნეტარსა უცხოდ აღუჩნდა სიტყუად იგი მძლავრისა, რამეთუ სიჩჩომათგან მარხვითა აღზრდილი იყო და განპოხებულ მსგავსად დანიელისა და იტყოდა: არა ჯერ არს, მეფეო, დღეთა ამათ შინა წმიდათა ორმეოცთასა ჰამად თევზისა, რამეთუ ესრეთ განწესებულ არს წმიდათა მიერ, და მე არა ოდეს გარდავცდე საზღუართა მამათასა და არცა დავცნა

თვეს წმიდაჲ იგი, გრგუნ—
შემოსილი წარვიდა წინაშე
ღმრთისა, შემკული ღუაწლი-
თა წამებისათა“.

აჯულისდებამ მათი. და უკუე-
თუ აწ გერჩდე და ვკამო
თევზი, მერმე კუალად მაიძუ-
ლო კამად ჳორცისა და ესრედ
მცირედ-მცირედ დაიგნასა ყო-
ველი წესი. არა უწყია, მეფეო,
რამეთუ მე ქრისტიანე ვარ და
არაოდეს ვერჩდე ბრძანებასა
შენსა, არცა ჳისმინო ამის
ჯერისათეს სიტყუად შენი. უმ-
ჯობეს არს სიკუდილი ჩემი,
ვიდრე მცირედისაცა სარწმუ-
ნოებისა ჩემისა შეცვალებაჲ.
და ვითარ კუალად აიძულებდა,
მყის აღდგა და ივლტოდა პი-
რისაგან მისისა და წარვიდა
კარვად ჳუსა“.

ეს მაგალითები აშკარად აჩვენებს, თუ როგორ ჳარბად იყე-
ნებს ბესარიონი თავისი თანამედროვე მწერლის თბზულებას. ამა-
ვე დროს, ეს ფაქტი იმასაც მიუთითებს, თუ როგორი მაღალი
შეხედულების იყო ბესარიონი გრიგოლ დოდორქელის ნაღვანზე,
მხატვრულ შემოქმედებაზე. აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ სხვა ფაქ-
ტების გადმოცემის დროს ბესარიონი არ მიყვება გრიგოლს, მათ
შორის არის წინააღმდეგობა.

ქეთევანის წამება

„იესუ ქრისტე, უწყი, რა-
მეთუ ყრმაჲ ვარ და უსწავ-
ლელ“ — ამბობს ლუარსაბი.

ლუარსაბის წამება

„ხოლო აღიზარდა იგი
ღმრთისმსახურთა მათ მეფეთა
კეთილად სწავლულებითა და
უფროასად ღმრთისმსახურე-
ბითა და ასწავეს სწავლად ყო-
ველი ღმრთივსულიერთა წე-
რილთაჲ, რომელი შეეტყუე-
ბოდა სიმტკიცესა სარწმუნოე-
ბისა მათისა. არცაღა საეროთა
და სამჯედროთა სწავლულება-
თა და სიმარჯვეთაგან დაკლუ-

ბულ ყვეს, რამეთუ ყოველივე სრულებით შემოკრიბა ნეტარმან მან მცირედსა ჟამსა“.

ბესარიონის თხზულება დაახლოებით მაშინ იწერებოდა, როდესაც მუშავდებოდა „სწავლულ კაცთა“ მიერ „ქართლის ცხოვრების“ გავრძელება. ამიტომ ბესარიონის მხატვრული ნაწარმოებიდან ისტორიულ ნაწილს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც „სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ შედგენილ ნაშრომს. ბესარიონი, საფიქრებელია, იმავე ქრონიკალურ მასალას, გადმოცემებსა და ნარატიულ წყაროებს ეყრდნობოდა, რასაც ზემოთ ნახსენები კომისია. ამიტომ განსაკუთრებით საგულისხმოა და ფასეული ბესარიონის თხზულებიდან და კომისიის ნაღვაწიდან ის ადგილები, რომლებიც ერთმანეთთან ახლოს დგანან და რამდენადმე ემთხვევიან ან აესებენ ურთიერთს კიდევ. მაგ.:

გლუარხაბის მარტვილობა

„მას ჟამსა, ოდეს ხუანთქარმან აღილაშქრა ბაბილონს ზედა ძალითა დიდითა, მუნ თანა ყვეს მწედრობაჲ თათარხანთა, რომელ არიან ყირიმნი. მაშინ შეითქუნეს მუნ მყოფნი იგი თათარხანი, ვითარ ოთხმეოცი ათასი მწედრობაჲ რჩეული, რადთა მოვიდენ საქართველოსა ზედა და წარტყუენონ და სრულად ასწყუდონ და სავსენი ტყუთა და ალაფითა მიექცენ მუნვე“.

ახალი აქთლის ცხოვრება

„ხოლო მას ჟამსა შინა ხონთქარი სულთან მურად ბაღდადს მოწვევულ იყო და ყირიმის ჯარი თან ახლდენ. და რაჟამს ხვანთქარს სულთან მურადს ბაღდადის საქმე გაერიგებინათ, მაშინ ყირიმის ჯარისთვის დასტური მიეცა. მაშინ ერთსა ვისმე თათარხანთათჳს ერჩია, რომე რადგან წავალთ, ქართლის გზა დიად კარგი არის და ჩვენზედაც მარჯვე არის... წარმოუმართნენ ქართლზედ, ვითარ სამოცი ათასი კაცი⁵¹“.

ანტონ პირველი „მარტირიკაში“, ქეთევანისადმი მიძღვნილ ნაშრომში წერს: „ამისნი უკუე ისტორიანი, ვჰგონებ, ვითარმედ პირველად აღწერა ვინმე თანამედროემან წმინდისამან..., ნეტარმან

⁵¹ ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, გვ. 114.

ბესარიონ, მამათმთავარმან ჩუნემან“... ანტონის ცნობიდან გამომდინარე საძიებელია ბესარიონის შრომა ქეთევან დედოფლის შესახებ. ანტონის მითითება უთუოდ საგულისხმოა და მისი უყურადღებოდ დატოვება არ ეგების.

საკითხის გამოწველივით შესწავლის შემდეგ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ბესარიონს ქეთევან დედოფლის შესახებ არ დაუწერია დამოუკიდებელი თხზულება. ანტონს მხედველობაში აქვს „ლუარსაბის მარტივილობის“ ის ადგილი, რომელშიც ნათქვამია ქეთევან დედოფლის დატყვევების შესახებ, კერძოდ: „მაშინ წარმოემართა ძალითა დიდითა და სპითა ურიცხუთა და მოიწია არეთა ქართლისათა და მოვიდა განძას და დადგა მცირედსა ჟამსა ქალაქსა მას განძისასა. მაშინ შიში დიდი მოიწია საქართველოსა ზედა, რამეთუ ვერვის ძალედგა წინადადგომად მისსა. ხოლო მეფემან კახთამან დედა თუსი და ორნი ძენი წინა მიაგებნა და ძლუნგი ურიცხუ და ითხოვა მშუდობით დაცვა ქუეყანისა თუსისაჲ. ხოლო მან უსჯულომან აღუთქუა მშუდობაჲ და რისხვით ზაკვასა განიზრახვიდა — ეცრუვა ფიცთა, რომელი ფიცებულ იყო: შეიპყრა სანატრელი იგი დედოფალი და წარგზავნა ქალაქსა შირაზისასა და მუნ ტყუე ყო და ორნი იგი ძენი მისნი გამოასაჭურისნა. მერმე შევიდა კახეთად და იწყო წუვად, დაქცევად და ოჯრებად და სრულიად უმკვდრო ყო კახეთი“.

რა საფუძველი არსებობს, რომ ვამტკიცოთ ზემოთ წამოყენებული ვარაუდი: ა) ანტონ კათალიკოსს „მარტირიკაში“ არც ერთი ციტატი არ მოაქვს ბესარიონის თხზულებიდან. ხოლო იმ შემთხვევაში კი, როცა ბესარიონს დამოუკიდებელი ნაწარმოები აქვს იგი ყოველთვის იმოწმებს ბესარიონს და მოაქვს მისთვის საჭირო ციტატები. ასე იქცევა ანტონი ლუარსაბის, არჩილისა და რაქდენისადმი მიძღვნილ სიტყვებში. ანტონი არ იმოწმებს ბესარიონის თხზულებიდან ადგილებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ბესარიონს ქეთევანის შესახებ დამოუკიდებელი თხზულება არ დაუწერია.

ბ) ანტონი ზემოთ დამოწმებულ სტრიქონებში ზოგადად წერს თავის წყაროებზე. მიგვანიშნებს, რომ იცნობს ყველა მასალას, დიდს თუ პატარას (ეს არ ითქმის მხოლოდ ვინმე თანამედროვეს შესახებ). ანტონი ახდენს წყაროებიდან ადგილების პერიფრაზირებას, ზოგჯერ კი ზუსტ ციტაციას. ასე აკეთებს იგი თეიმურაზის, არჩილის, არაქელა შირაზელის, გრიგოლ დოდორქელის, ვახუშტის შრომებიდან. ეს ხდება იმიტომ, რომ მათ ვრცლად აქვთ მოთხრობილი კახეთის ამბები. ანტონი ბესარიონის შრომიდან ერთი აბზაცის, ფრაზის ციტირებასაც არ ახდენს. ანტონისათვის ქე-

თევან დედოფლისა და ლუარსაბ მეფის „მარტვილობანი“ ერთი ხანის ლიტერატურული ნაწარმოებებია. ამიტომაც, რომ ისტორიული ამბის თხრობა იწყება ქეთევან დედოფლის „წამებაში“ და სრულდება ლუარსაბ მეფის „მარტვილობაში“. ანტონი ქეთევან დედოფლისადმი მიძღვნილ თხზულებაში წერს: „წარვიდა მლტოლუარე მეფე თეიმურაზ იმერეთად, და მეფეცა ლუარსაბ ივლტოდა მუნ. ხოლო ქართლისათჳს რააცა იქმნა, რააცა სათანადო იყოს თქმად, მოვიგნეთ ლუარსაბ წმიდისა ბრწყინვალეთა ლუაწლთა მოთხოებათა შინა“. ლუარსაბის მარტვილობის წერისას კი ანტონი ერთ-ერთ ძირითად წყაროდ იყენებდა ბესარიონ ორბელიშვილის თხზულებას.

მაშასადამე, ანტონის ცნობა, რომ ბესარიონს ეკუთვნის „ამისნი (ქეთევანის) ისტორიანი“, გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ იმ ადგილს ბესარიონის თხზულებიდან — ლუარსაბის მარტვილობიდან — სადაც ლაპარაკია კახეთზე და მის გმირ დედოფალზე. ბესარიონს რაიმე დამოუკიდებელი თხზულება ქეთევან დედოფლის მარტვილობაზე არ დაუწერია (ისევე როგორც ვახუშტი ბატონიშვილს, მაგრამ ანტონი მასაც ასახელებს თავის წყაროდ), არ დაუწერია, რადგანაც ამის აუცილებლობა არ იყო. ქეთევანის მარტვილობის ვრცელი თხზულება დაწერა გრიგოლ დოდორქელმა, მანვე შეადგინა ქეთევან დედოფალზე ლიტურგიკული განგება-კანონი და სვინქსარული თხზულება. ყველა ტექსტი წარმოდგენილია 1713 წელს გადაწერილ კრებულში A—130.

მაშ, რას უნდა ნიშნავდეს ანტონის მითითება—„ამისნი უკუე ისტორიანი, ვკონებ, ვითარმედ პირუელად აღწერა ვინმე თანამედროემან წმიდისამან“ — აუცილებლად მოითხოვს ახსნას.

ანტონის მონაცემები ყოველთვის ანგარიშგასაწევია, იგი როგორც წესი, მუდამ ემყარება რაღაც წყაროს და მის მიხედვით მსჯელობს ხოლმე (ეს მისი მუშაობის მეთოდია). სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე ვერ არის დადგენილი ანტონის ამ კონკრეტული ცნობის წყარო. არც ისაა დადგენილი, ანტონი დამოუკიდებელ თხზულებას გულისხმობს, თუ რაიმე სხვა რიგის შრომას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ანტონი ამ კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმობს ხელნაწერ A—485-ზე, ე. წ. ალავერდის ოთხთავზე ნუსხურით გაკეთებულ მინაწერს, რომელიც მართლაც თითქმის თანამედროვეს, „სახეთა ოდენ მონაზონს, ხოლო საქმით ჩემებით ღღელობისა წინამძღუარ ზებედეს“ ეკუთვნის. ზებედეს ამ ცნობისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. თავისთავად ზებედეს ჩანაწერი მეტად საინტერესოა და შეიცავს ჩვენი ისტორიისათვის საყურადღებო ფაქ-

ტებს, რომლის ერთ ნაწილს, როგორც ჩანს, პირველად ყურადღე-
ბა ანტონმა მიაქცია და ქეთევან დედოფალზე დაწერილ ცნობებში
შიუჩინა ერთ-ერთი პირველი ადგილი.

„ვინათგან ღმერთი მოწყალე არს და კაცთმოყუარე და არა
შოაეღენს ცოდვითათჳს დღითი-დღეთთა(!) რისხვათასა, უკუეთუ
შოაეღინოს რისხვაჲ ზეგარდამო, ვინღა დაუთმოს, ანუ რაჲ მოი-
გონოს განრინებად, თუ შური იძიოს ღმერთმან — აქაჲ მოსრვაჲ,
სირცხული და ყუღღრებაჲ, ხოლო მუნ საუკუნოჲ და დაუსრულე-
ბელი წარწყმედაჲ, ტირილი და ღრქენაჲ კბილთაჲ სხუათა სასტიკ-
თა სატანჯველთაჲ თანა. ხოლო უკუეთუ ვინ მოიგოს შემწედ თჳსად
პატიოსანი ესე და მახარებელი ხსნისა და ცხორებისა და მოძღუარი
ყოვლისა სოფლისაჲ, სახარებაჲ, პირი ღმრთისა შინაგან გულსა
თჳსსა, მას არა ხოლო ყუღღრებაჲ და სირცხული, არამედ ვითარცა
სანთელი ეღვითა განანათლოს მორჩილნი თჳსნი, ხოლო დიდსა
მას დღესა განკითხვისასა კპოოს სიხარული წარუვალი და მკედრო-
ბაჲ წმიდათა თანა. გარნა მე, არცა ერთისა კეთილისა მოქმედი და
ცოდვითა აღტკრთული, მწარედ დასასჯელი და ფრიად საწყალო-
ბელი, უნდოჲ, უდები და ნაშავთა(!) ყოველთა უნარჩევესი ესე, სა-
ხითა ოდენ მონაზონი, ხოლო საქმით ჩემებით მღღელობისა წინაძ-
ღუარი ზებედე ღირს ვიქმენ/მონებად ყოვლად სამკაულისა ამის
ეკლესიისა მას ეამსა, ოდეს მოაოჯრნა უღმრთომან და მტერმან
ქრისტესმან შაკ-აბაჯ ქართლი, მეფის სვიმონის სახლი, და მეფე
ლუარსაბ და დედოფალ დედაჲ მათი, პატრონი თამარ, ტყუშო-
ბასა შინა აღასრულა. საღარიბოჲ ომფორი და დიდი განძი მცხეთი-
სა და წმიდანი სამკაულნი კათოლიკე ეკლესიისანი შეურაცხჳო.
ამასვე შინა ცხოვრებასა მოაოჯრა კახეთი და აღასრულა წამებითა
მეფეთა ნათლისა ქრისტეს მოსავისაჲ, მოთმინისა და პირველთა
ღმრთისმოყუარეთა მეფეთა მობაძავისა თეიმურაზის დედაჲ, მე-
ფეთა ასული, დიდი მოწამე ქრისტესი, დედოფალი, წმიდაჲ პატ-
რონი ქეთაონ. ვითარ აღეწერნე სატანჯველნი მისნი? სიმრავლე იქ-
მნების წერილთა, ათხუთმეტ წელ ტყუშობაჲ მოკუშთა ასოთაჲ,
ქუაბისა მფოფინარისა დარქუმად სატურფალთა და ჳელმწიფურისა
შუენიერისა თავისა მისისაჲ და მერმე დაწუვაჲ ასოთა მისთა. ნე-
ტარ არს და უსანატრელეს პირველთასა, რამეთუ მაშინ ადგილ-
ადგილი იქმნებოდა ესევეითარნი წამებაჲ/ ფრიადი და ურიცხჳ, ხო-
ლო აწ სჯული მოუძღურდა და წერილნი სრულ იქმნნეს და ძალით
სადაღა-მე იქმნებიან ესევეითარნი. მას ეამსვე, ოდეს გაილაშქრა მე-
ფის თეიმურაზის საშუშლად ძემან კურთხეულისა დადიანისა ძა-
ნუჩარისმან, ნაშობმან მეფეთა მზისაჲ კახთ ჳელმწიფისა კახელი-

სამ პატრონის (ადგილი გამოტოვებულია) ასულისა დედოფლისა ნესტანდარეჯანისამან, დადიანმან პატრონმან ლეონ და ბიძამან მისმან ლიბარტიანმან ბატონმან გიორგი, რამეთუ საფლავისა შათისა წინამძღუარი ვიყავ, მივედით გეგუთს, იმერეთს მეფეთ მეფობასა გიორგისსა. მუნ მოიღეს კაცთა სარწმუნოთ და ვიყიდე ჩემითა ალალითა თეთრითა და განვაშხადე, საღამ-იგი დამარხვად ვარ. და ეინცა გამოაგუათ საძულესა ჩუენსა, ჩუენთამცა ცოდვათა მზლველი იქმნების წინაშე ღმრთისა ჩუენისა.

აწ, გვედრები, წმიდანო მამანო, ღმერთშემოსილო და სულიერნო ძმანო და ყოველნო ქრისტიანენო, მოვიდრეკ ცოდვილთა მუწლთა და გვედრები თუალითა სულისათა და შეგივრდები ვითარცა მანდა მყოფი, რაჲოდენიცა მიემთხვნეთ წმიდასა ამას წიგნსა, წმიდაჲ ლოცვა თქუენი გარდამომივლინოთ და ევედროთ ჩემთვის მოწყალესა ღმერთსა და სიძისა ჩემისა კაკაჲსათჳს, რაჲთა არა დავისაჯოთ, რამეთუ ბოროტ არიან საქმენი ჩემნი, შებღალული ცხოვრებაჲ ჩემი და შეგინებულ ყოვლითურთ. და თქუენცა მოგმადლოს ღმერთმან სასყიდელი შრომათა თქუენთა, ამინ და კირიელეისონ.

წინამძღუარსა უღირსსა ზებედეს და კაკას და მამა-ღვდათა, ძმათა, დათა თუსთა და ნათესავთა ჩუენთა ყოველთავე შეუნდევს ღმერთმან. და ეინცა შენდობაჲ გვიბრძანოთ, თქუენცა შეგინდევს ღმერთმან“ (01 r—02 v).

თავისთავად ზებედეს ჩანაწერი მეტად საინტერესოა და ჩვენი ისტორიისათვის საყურადღებო ფაქტებს შეიცავს. ისტორიკოსთაგან და მწერალთაგან მხოლოდ ანტონ კათალიკოსმა მიაქცია ზებედეს მონაცემებს ყურადღება და ქეთევან დედოფალზე დაწერილ მასალებში მიუჩინა ერთ-ერთი პირველი ადგილი. ზებედეს ცნობებში დაწვრილებით არ არის მოთხრობილი ქეთევან დედოფლის წამების სცენები: ამიტომაც ერთგვარად ძნელდება მისი კვალის აღმოჩენა მომდევნო თაობის მწერალთა შემოქმედებაში. წამების ძირითადი ფაქტები კი ყველგან ერთნაირია. მეტნაკლებად იმეორებენ მას ლათინელი მისიონერებიც. მაგ. 1626 წელს 26 აგვისტოს დოკუმენტში „შაჰი ქეთევანისაგან გამაჰმადიანებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილი ემუქრება. ქეთევანმა დაიბარა წმ. ტერეზიას წესის მორჩილი ძმა, ფეხშიშველი კარმელიტი და აღსარება თქვა. შემდეგ შაჰმა ბრძანა მისთვის ტანზე გაეხადათ და ბეჭებზე ორი მოზრდილი მუგუზლით ხორცი ამოეწვათ. აქლემზე დააკრეს და მთელი ქალაქი შემოატარეს, შემდეგ ჩამოსვეს და

ადუღებულ ქვაბში ჩასვეს, სპილენძის გავარვარებული ქურქელი თავზე დახურეს და ასე სული ამოხადეს⁵².



1659 წ. კახეთში მოძალადე მტრის წინააღმდეგ იფეთქა აჯანყებამ, რომელშიც თითქმის მთელმა აღმოსავლეთ საქართველომ მიიღო მონაწილეობა.

XVII საუკ. 50-იან წლებში ქართლ-კახეთის პოლიტიკური სურათი საკმაოდ მძიმე იყო. შაჰ-აბას პირველის შემოსევებისაგან გატეხილი და დაძაბუნებული კახეთი ჯერ კიდევ არ იყო წელში გამართული, როდესაც სპარსეთმა კვლავ ახალი იერიში მოიტანა — კახეთში თურქმენების ჩამოსახლება დაიწყო. ირანის შაჰმა გადააყენა გამაჰმადიანებული როსტომ მეფე და მის ადგილას განჯის მმართველი დანიშნა. ამ უკანასკნელმა აქტიურად მიჰყო ხელი თურქმენების ჩამოსახლების საქმეს. მომთაბარე ტომები თანდათან მკვიდრდებოდნენ და იკავებდნენ იორ-ალაზნის ბარაქიან ჭალებს. ეს კი ქვეყნის ფიზიკურ არსებობას ემუქრებოდა. ამ ეროვნული კატასტროფის საშიშროებამ, მშობლიური მიწა-წყლის დაცვის სურვილმა აამხედრა კახეთი და 1659 წელს მთის მოსახლეობის მხარდაჭერით ქვეყანა აჯანყების ცეცხლში გაეხვია, კახეთის სიკვდილის საშიშროებას სახალხო ომი მოჰყვა⁵³.

ქართლ-კახეთის მთიულეთი თავის მხრივ ენერგიულად იბრძოდა სპარსელების წინააღმდეგ და ჯერ კიდევ 1657 წელს თუშები რუსეთის მეფის ალექსისადმი მიმართულ წერილში წერდნენ: „ჩვენ მაგარს ალაგას ვართ და არას კაცს შევეპოვებით. აჰ-დენი ხანი არის, საქართველოს ყაენი ებრძვის და ჩვენც არ შემოგვიშვია ყაენის კაცი. სადაც მოგვიხელებია, მოგვიკლავს და მისი სარდარი გაგვიქცევია და ლაშქარი გაგვიწყვეტია“.

„შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელისბარისი და: უწყება წამებისა მათისა“ გარკვეული მიზნით დაწერილი თხზულებაა. ავტორი თითქმის თანამედროვეა ნაწარმებში გადმოცემული ამბებისა და, მასასადამე, თხზულება საიმედო წყაროა.

⁵² ქეთევან ბაგრატიონი — ორსინი (რომი), ილ. ტაბაღუა, ქართული ელჩობა ევროპაში (ნიკიტორე ირბახი, XVII, მმრავალთაეი, X, 1983 წ., გვ. 205). იგივე წერილი გამოქვეყნდა პარიზში 1981 წ. ი. ბედი კარტლისა, revue de Kartvelologie, vol. XXXIX, pp. 143—152.

⁵³ ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის ისტორიიდან, მიმოხილველი, III, 1953, გვ. 81.

იგი მდიდარია ისტორიულ-ფაქტობრივი ცნობებით, რითაც მას ჩვენს საისტორიო მწერლობაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს. „მარტვილობა“ ერთ-ერთი ძირითადი წყაროა, რომელიც 1659 წლის აჯანყების შესახებ იძლევა დაწვრილებით ცნობებს. იგი როგორც წყარო გამოუყენებია ვახუშტი ბატონიშვილს, ანტონ კათალიკოსს, იოანე ბატონიშვილს და სოლ. ყუბანეიშვილის დაკვირვებით, გიორგი ერისთავს⁵⁴.

თხზულება პირობითად შეიძლება ორ ნაწილად წარმოვიდგინოთ. პირველში მოთხრობილია ამბავი, ხოლო მეორე ნაწილი წარმოადგენს ღირსეულ მამულიშვილებისადმი მიძღვნილ ხოტბას. ვრცლად და ენაწყლიანად არის დაწერილი მათი სულიერი მხნეობა და თავდაქერა შაჰის კარზე, ვაჟკაცობა და მოწამებრივი სიკვდილი. თხზულების ეს მონაკვეთი არის შესხმა, ქება, ენკომია, რომელშიც კარბად ჩქედს მაღალი რიტორიული კილო პატრიოტი მოძღვრისა და მოლაღაღე მქადაგებლის ტონი, თხზულების მიზანია გამოჩენილ ქართველ მამულიშვილთა ქვეყნისათვის თავდადების მაგალითის ჩვენებით თანამედროვეებში ღრმა პატრიოტული გრძნობების გაღვივება: „არა თუ ძუელთა და აღრინდელთა მოწამეთათჳს—ამბობს ბესარიონი — სიტყუა ჩემი, არცა შორთა და ჩვენთაგან უცხოთა ქუეყანათა შინა გამობრწყინებულთათჳს, არამედ უმეტეს ჩუენი ესე ახალნი მოწამენი, ნამდვლვე ჩუენი და ჩუენთა ქუეყანათა შინა გამობრწყინებულნი“.

თხზულებაში ბესარიონი რეალისტურად ხატავს ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობის სურათს. იგი კარგად ერკვევა შექმნილ სიტუაციაში: „უწყით, ყოველთა ძმანო, თუ ვითარ უფლებს ჩუენ ზედა სპარსნი და ქუეყანად ჩუენი მათ მიერ ბოროტად იმძლავრებოდა და უფროსდა ქუეყანა კახეთის, რამეთუ უღმრთომან შაჰ-აბაზ, რომელი იყო მეფე სპარსეთისა, სრულიად ოჯერ და უმკვდრო ჰყო კაცთაგან და სხუა ვერვინ შემძლებელ იყო წინააღმდეგომად მათდა და ყოველნივე შიშა და მძლავრებასა ქუეშე ვიყუენით“.

ჩუენი ქვეყნის მიმართ შაჰ-აბაზი პირველი ყველაზე თანმიმდევარი ყიზილბაში იყო. მისი პოლიტიკა საქართველოში თურქ-მენ-ყიზილბაშ მომთაბარეთა მიერ ქართული მიწების მიტაცებისათვის შეტევის ახალ ეტაპს მოასწავებდა⁵⁵.

54. ზ. ყუბანეიშვილი, ბატრიონის გმირები, 1953, თბილისი, გვ. 7.

55. ზ. ყუბანეიშვილი, ბატრიონის გმირები, 1953, თბილისი, გვ. 7.

56. ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის ისტორიიდან, მიმოხილვები, 111, გვ. 78.

XVII საუკუნის შუა წლებში სპარსეთის მმართველმა წრებმა გააცოცხლეს შაჰ-აბაზის გეგმები: „მყის აღიძრნეს და მოიწივნეს კახეთად, რამათა სრულიად აღხოცენ ქრისტიანობა“, „რამეთუ დიდისა შაჰ-აბაზისა ოჯრებითგან მცირედ-მცირედ იწყეს შენებად ოჯერთა ადგილთა კახეთისათაჲ, თუ სადაშელა იპოებოდეს კაცნი. ხოლო ესმა რა სპარსთა კულადცა შენებაჲ, ფრიად შეუძნდა ეს და იწყეს მისთვის კულად განზრახვა ბოროტისა. მაშინლა წარმოგზავნეს ურიცხვი ულუსი“.

ქვეყნის განსაცდელმა ამოქმედა კახეთის თავადი ბიძინა ჩოლოყაშვილი. „მოსცა [ღმერთმან] გონებასა სანატრელისა ბიძინასა განზრახვაჲ კეთილი“. დაუკავშირა იგი არაგვისა და ქსნის ერისთავებს — ელისბარსა და შალვას და აუწყა ყოველი ძვირი კახეთისა: „იხილეთ ჩემი ესეოდენი ჭირი და განსაცდელი, ვითარ მწარე ესე ოჯრება კახეთისა და აწ სრულიად დაპყრობა თათართაგან და აღხოცა ქრისტიანობისა. დღეს ჩუენ მიერ არამედ ძალითა და შეწევნითა დამბადებელისა და ლუთისა ჩუენისათა და წინაძღომითა და განძლიერებთა ცხოველს-მყოფელისა ჭუარისათა და თანადგომითა ახოვანისა მხედრისა, წმიდისა ვითარგისათა... აწ აღუდგეთ მათ ზედა და ბრძოლა ეპყოთ, ნუ თუ ინებოს ღმერთმან და ეძლიოთ და ვიოტოთ; ანუ თუ მოვსწყდეთ სახელისა მისისათს, რამეთუ ვითარცა ქრისტიმან მეუფემან ჩუენმან დადვა სული თსა ჩუენთს და რაჲ საკურულ არს, უკეთუ ჩუენცა დავდვით სული ჩუენი მისთვის და ძმათა ჩუენთათს და მთვსწყდეთ სახელისა მისისათს. დაღაცათუ მრავალ არიან იგინი და უფრო რიცხუსა და ჩუენ შემეცირებულ ვართ დღეს ცოდუათა ჩუენთათს და არა არს ჩუენ თანა მთავარ და წინამძღუარ, არცა მხედართა განწყობილება და ძალი საჭურველთა, არამედ თავითა დამდაბლებულითა და სულითა გლახაკობისათა აღუდგეთ მათ ზედა და უკუეთუ ინებოს ღმერთმან, ერთით იოტის ათასეულნი და ორმან წარაქციოს ბერეულნი და უკუეთუ ესე არა ინებოს ღმერთმან და ვერ მძლე ვექმნეთ, აგრეთცა მოვსწყდეთვე სახელისა მისისათს“.

ბიძინა ჩოლოყაშვილის მოწოდებას ენერგიულად დაუჭირეს მხარი ქსნისა და არაგვის ერისთავებმა. ქვეყნის განსაცდელმა შეაკავშირა ქართლ-კახეთი და მთა-და ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა „ლაშქარმა ლამესა ერთსა ბნელსა და უმთუაროსა გარდავლნეს მთა იგი და ჩავლეს ახმეტა და მივიდეს უგრძნულად მათ ზედა და დაესხნეს მუნ მდგომთა თათართა ზედა... და დაუწყეს სრვაჲ და ზოცაჲ და ესოდენ ასწყვდეს ვიდრე სრულიად მოსპობადმდე, და აოტეს და განაბნინეს და მოსრნეს... ოთხშვილი ათასი სახლი, რო-

შელთა დაებანაკა კახეთსა შინა. და ესოდენ ასწყუდეს და განაბნინეს, ვიდრელა არცა თუ ერთი იპოვებოდა კახეთსა შინა“.

მოძღვარებულმა ძალამ მაინც იმსხვერპლა კახეთის აჯანყების სულისჩამდგმელები. ბიძინა, შალვა და ელისბარი შაჰის კარზე იქნენ წარგზავნილნი. შაჰმა კი მათი დასჯა დამარცხებულ სულთანს მიანდო. ეს უქანასკნელი სხვადასხვა ხრიკებით შეეცადა მათ გადაბირებას მაჰმადის რაჯულზე, მაგრამ ყოველი ცდა უშედეგოდ დაშთავრდა. ამიტომ მათ მოწამებრივი სიკვდილი ერგოთ. ხოლო „სისხლითა მათითა ყუავის ეკლესიანნი ჩუენნი, რამეთუ არა თუ ერთისა და ორისა ძმისათჳს დასხნეს სულნი თჳსნი, არამედ... სრულიად საქართველოსათჳს თავნი თჳსნი სიკუდილად განსცნეს და ისხნეს იგინი, რამეთუ უკეთუმცა ესე არა ქმნილიყო, სადამცა აღბოცილ იყო ჩუენ შორის ქრისტიანობა“.

1659 წლის კახეთის აჯანყების მესვეურები ქართულმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა და მათი მოხსენიების დღედ განსაზღვრა. ბიძინა, შალვა და ელისბარის ხსენების დღედ XVIII-XIX საუკუნეებში ხელნაწერთა უმრავლესობა იძლევა 18 სექტემბერს. ამ დღეზეა მათი განგება მოცემული. მაგრამ არის რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელნაწერი, რომლებიც მათ ხსენებას 24 ივლისს მიუთითებს. ესენია A—366 — გულანის სადღესასწაულოს ნაწილი 1714—1716 წლების, A—515 — ეფთვიმე ბარათაშვილის რედაქციის ე. წ. შერეული ტიპის სადღესასწაულო 1736 წლის; H—970, 1742 წლის ხელნაწერი; A—1048—1766 წლის ხელნაწერი: ლენინგრადული ფრაგმენტი XVIII საუკუნე და სხვ.

ბესარიონის თხზულებაში, რომელიც ავტოგრაფის სახითაა მოღწეული ჩვენამდე, არ არის მათი ხსენების დღე. „შესხმა“ უშუალოდ მოსდევს ლუარსაბის „მარტვილობას“, რომელიც 1 მარტის საკითხავადაა განკუთვნილი. ჩვენთვის აუხსნელი დარჩა, თუ რატომ მოხდა ამ წმიდანთა ხსენების დღის გაორება. მით უმეტეს, გაუგებარია, რომ 1714—16 წლების ხელნაწერში 24 ივლისია მითითებული. ამ გაუგებრობის გამოა, ალბათ, რომ საქართველოს ცენტრალური ხელნაწერი № 488 საგანგებოდ შენიშნავს: „ამასვე დღესა ბიძინა დაჭრილისა. ამათი ხსენება და წამება ამას დღესა არს, ძმანო, და არა თუ ივლისსა კდ (24). ვისაც დაუწერია, ტყვილად დაუწერია. ივლისს არა არს, არამედ 18 სექტემბერს ეწამნეს“⁵⁷.

⁵⁷ ჩვენ არ გვგონია, რომ გადმოსვენების ეამს დააწესეს მეორე დღე. ტექსტი ვკითხულობთ: „შემდგომად მისა წარბდეს წელნი არამცირდნი. ცოლმან წმიდისა შალვასმან ღუთისმოყვარემან ქეთევან და ძემან ერისთავმან დავით, წარგზავნეს კაცნი სარწმუნონი მუნ, სადა-იგი დაკრძალულ იყუნეს გუამნი იგი წმიდათანი. ამოიღეს იგინი და მოიხუნეს ქართლად და დასხნეს ერთსა სამარხოსა შინა იკორთას“.

ბიძინა, შალვა და ელისბარის განგება შეადგინა იესე ერისთავმა. საგალობლები შეტანილია ბესარიონის კრებულში — S—3269-ში, ოღონდ იგი ამოღებულია სხვა ხელნაწერიდან და შემდეგ არის ჩართული კრებულში. ეს ჩანს იქიდანაც, რომ ხელნაწერს შემოუნახავს ძველი პავინაცია (ამავე დროს, განსხვავდება ხელიც).

ბესარიონის კრებულიდან საერთოდ დღემდე არ გამოქვეყნებულა ისე წილქნელის „დაძინება“. ასურელ მამათა მოღვაწეობის ისტორიაში ბესარიონის შრომას რაიმე ახალი არ შეაქვს, მაგრამ იგი როგორც ლიტერატურული ფაქტი, ფრიად საყურადღებოა. ირკვევა, რომ ბესარიონს ხელთ არ ჰქონია იმაზე მეტი მასალები, რაც დღეს ჩვენთვის ცნობილი არ იყოს. იგი იყენებს იოვანე ზედაზნელისა და შიო და ევაგრეს „ცხოვრებებს“. ბესარიონს უკლებლივ ამოუღია ყველა ის ეპიზოდი, რომელიც ისეს შეეხება და რომლებიც ასურელ მამათა „ცხოვრებაშია“ გაბნეული. მოვიტანოთ რამდენიმე ნიმუში:

შიოხა და ევაგრეს ცხება

„ამას ეამსა შინა აღსრულებულ იყვნეს ეპისკოპოსნი ორნი, ერთი წილქნისა და ერთი ნეკრესისა. და ზრახვა ყვეს კათალიკოზმან და ეპისკოპოსთა, რადთა მათგანნი ყვენენ ეპისკოპოს ორთავე შინა საყდართა და განიზრახეს ესრეთ, რადთა რომელთაცა დღეს შეწირიონ უსისხლო მსხუერპლი, მათ დაასხნენ ჳელნი თვნიერ ყოელისა ცილობისა.

ხოლო მოიწია რამ ეამი წმიდისა ეამისწირვისამ, აბიბოს იქმნა მსახურ წმიდისა ეამისწირვისა და ისე—დაიკონი.

და აღსრულა რამ ეამისწირვამ, შეიპყრა კათალიკოზმან ერთითა კელითა ისე, ხოლო ერთითა აბიბოს და ამბორსუყო აბიბოსს და პრქუა: გი-

იხეს დაძინება

„ხოლო შემდგომად არამკირედისა ეამისა აღსრულებეს ეპისკოპოსნი ნეკრეს ქალაქისა და წილქანისა ეკლესიისანი. ეუწყა ესე წმიდა კათალიკოზსა ავლაგიოსს. მყის აღდგა და წარვიდა წმიდათა მათთანა მთასა მას ზედა. სადა იგი მკუდრ იყვნეს. და ვითარცა დასხდეს და მოიკითხნეს ურთიერთას, მრავალი რამე სულისა სარგებელნი სწავლანი პირთა მათთაგან აღმოდიოდა მსგავსად მდინარისა ედემით მომდინარისა. ხოლო მეორესა დღესა, მოიწია რამ ეამი წმიდისა ეამისწირვისამ, უბრძანა მამამან იოანე მსხუერპლისა შეწირვამ წმიდა ისეს, რამეთუ მდღელობისა პატივი მას აქუნდა. რომელი

ხაროდენ აბიბოს ეპისკოპოსო ნეკრეს ქალაქისაო! და ამბორს-უყო ისეს და ჰრქუა: გიხაროდენ ისე ეპისკოპოსო წილკნისაო! ხოლო იგინი განცვბრდეს მოულოდებელსა მას ზედა სმენასა, შეწუხებულნი იჯმინდეს, უღირსებასა იტყოდეს, ევედრებოდეს, შეუვრდებოდეს ფერჯთა ცრემლითა განტევებად მძიმისა მისგან საქმისა, გარნა კათალიკოზმან ესრეთ ჰრქუა მათ: ცხოველ არს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, არა გარე-მივაქციო სიტყუაჲ ესე, რომელი იქმნა ჩემ გლაზაკისა მიერ გამორჩევითა ღმრთისაჲთა.

ესე რაჲ ესმა იოანეს, ჰრქუა მათ: შევილნო, ნუ ხართ ურჩ განგებისა საღმრთოჲსა და წმიდისა ამის მეუფისა ჩუენისა და რამეთუ მოვიწიენით აქა ამისათჳს, რაჲთა ვილუაწოთ აღგილ-ადგილად ღმრთისათჳს, რომელმან-იგი მიბრძანა ჩუენ მოსლვაჲ. ესმა რაჲ სიტყუაჲ მოძღურისაჲ, ერჩიდეს ბრძანებასა მისსა. და წარიყვანნა კათალიკოზმან და ყვნა ორნი-ვე ეპისკოპოს. და წარავლინა აბიბოს საყდარსა ზედა ნეკრისისასა, ხოლო საკვრეველი ისე წარავლინა საყდარსა წილკნისასა, რომელსა შინა მდგომარე არს ხატი ყოველად უბიწოჲსა ღმრთისა დედისაჲ...⁵⁷.

იგი წმიდითა გონებითა და უბრალოებითა კელთაჲთათა მარადის განკრძალულ იყო მსახურებასა მას მღვდლობისასა, ეგრეთვე წმიდაჲ აბიბოს დიაკონობითა მსახურებითა უბრალოდ ღმერთსა. მაშინ დღესა მას მუნ ყოფასა წმიდისა მის კათალიკოზისასა მათ წილ-ხუდა მსხუერპლისა მის საუფლოჲსა შეწირვამ. და ვითარცა აღესრულა უსისხლო იგი მსხუერპლი და ეზიარნეს ყოველნივე, შემდგომად ერის განტევებისა, უპყრა კელი წმიდამან კათალიკოზმან ავლავიოს სანატრელსა ისეს და ჰრქუა: გიხაროდენ, ეპისკოპოსო წილკანისაო; და მერმე წმიდა აბიბოს უპყრა კელი და ჰრქუა: გიხაროდენ, აბიბოს — ეპისკოპოსო ნეკრეს ქალაქისაო. ხოლო მათ ნეტართა ესმა რაჲ ესე უცხოოდ და აღუჩინდა საქმე ესე და იწყეს თითოეულმან ჯმნად და სივლტოლად. და უფროჲსად წმიდაჲ ისე იჯმინდა საქმისა მისგან და უღირსად და ცოდვილად შჯიდა თავსა თჳსსა და რაოდენ ეძლო ცრემლით და ტირილით ითხოვდა განტევებასა, რამეთუ იყოცა წმიდაჲ ესე ფრად დაყუდების მოყუარე და სრულისა სიმდაბლისა მუშაკი და ყოველთა სათნოებათა წესი და კანონი ხოლო კათალიკოზი იგი ფრად აძულებდა და არა განუტევებდა კელ-

თავან... ხოლო მან წარავლინა იგი საყდარსა წილკანისასა, რომელსა შინა დამტკიცებულ არს ეკლესიად. ყოვლად უბიწოსა მის დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა....“

შიო და ევაგრეს „ცხოვრებიდან“⁵⁸ აქვეს აღებული ბესარიონ ორბელიშვილს შემდეგი ადგილიც:

„ამისა შემდგომად მიხედნა წმიდამან იოანე ღირსსა ისეს და პრქუა: მაშაო, მწყემსო კეთილო სიტყუერთა ცხოვართაო, გუნებაეს, რაათა კურთხევაჲ მივიღოთ შენგანცა, რომელი გუაქუნდეს საცსენებელად შენდა.

ხოლო იგი ვინაჲთავან მორჩილებასა განსწავლულ იყო და აღსავეს სულითა წმიდითა ყოვლად არა ურჩ ექმნა ღირსსა იოანეს, არამედ მყის სიტყუასავე თანა აღდგა და აღიპყრნა ჯელნი თვისნი ზეცად მიმართ და მყოვარ ჟამ ევედრებოდა ღმერთსა მღუმრიად. ამისა შემდგომად ქუეყანად დავრდომილი ცრემლითა დაალტობდა იატაკსა. და მერმე პრქუა ბერსა: ლოცვა-ყავ ჩემთვის, წმიდაო მაშაო, და მცირედ შემომიდეგ მე დამიკმართა წმიდამან ისე მდინარედ მიმართ, რომელსა ეწოდებინ ქსანი, ღირსთა მათ მამათა თანა.

და ვითარცა მიიწივნე!:

„მერმელა აწუა წმიდასა ამას და საკრველთმოქმედსა ისეს, რაათა მანცა აჩუენოს ესევითარი რაჲმე საკრველი. ხოლო იგი მორჩილქმნილი ძმისა მის სულიერისა. მყის აღდგა იგიცა მტკიცედ პყრობითა სრულისა და მიუდრეკელისა სარწმუნოებისათა. არა პაერთა შინა განტევებითა ჭიჭისათა, არცა ნებთა ზედა აღებითა ნაკუერცხლისათა, დალაცათუ საკრველებანი ესე დიდ იყვნეს, არამედ ესეცა აღვილ იყო მის წინაშე ქმნად და ამისა უმეტესსაცა; ხოლო ამან მსგავსად მოსესა წყლითა მიერ და წყალთა ზედა იწყო ქმნად სასწაულთა საკრველთა, ვითარცა მან, ეგრეთცა ამან კუერთხითა. რაჲმეთუ კუერთხი აღიღო, რომლითა მწყყსიდა სამწყყსოთა თვისთა და რომლითა პყოფდა სასწაულთა საკრველთა და იორტებდა უხილავთა მათ ანლთა, რომელსა ზედა გამოსახულ იყო პატიოსანი ჭუარი. მით ჯელთა მქონებელი

⁵⁸ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძუელი რედაქციებო, გამოსცა ი. აბულაძემ, 1955, გვ. 87—89.

წყალსა მას ზედა ყოვლად ქუბულნი ესე და საკურველთმოქმედნი, კუალად იწყო წმიდამან ისე ლოცვად და მოუწოდდა შეწვენად მისა სახიერსა უფალსა და ყოვლად უბიწოსა ქალწულსა ღმრთისშობელსა... რამთა წყალი ესე დამემორჩილოს და შემომიღგეს მე, ვინამცა-იგი ვიდოდი. და ვითარ მიმყოვრებულად ილოცა, განმარტა მდინარისა მიმართ კუერთხი იგი, რომელი აქუნდა ველითა თვსთა და თქუა: სახელითა უფლისა ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა შენ გეტყვ მდინარესა ამას, წოდებისაებრ შენისა კსინვით ვიდრე-მე კსინვედი, გარნა კუერთხსა ჩემსა შემოუღდეგ. ხოლო წყალი იგი, მ საკურველბათა შენთა, ქრისტე, უჩუველსა გზასა და უვალსა მისგან პირველად ვიდოდა შედგომილი ღმერთშემოსილთა წმიდათა მათ მამათა, რამეთუ ქუეყანამ იგი, მყარი უწინარეს და ეკლოგანი, განიპებოდა და დაღრმდებოდა თუნიერ რომლისავე აღმომთხრელისა. ვითარცა კუერთხი იგი მიეთრია ღირსსა ისეს, უკუანა მივიდოდა წყალი იგი მდინარე, მსმენელი ბრძანებასა წმიდისასა, და ესრეთ მიყვანებულ იქნა მახლობლად ტაძარსა ღმრთისა დედისასა წილკანს, რომელიცა ვიდრე აქამომდე

წარვიდა ზემოდათ კერძო მდინარესა მას, რომელსა ეწოდების კსანი, და შეუდგეს მას მუნ მყოფნი იგი წმიდანი მამანი და სხუსა ერისა სიმრავლე ფრიადი, რამეთუ გულსავესებით უწყოდეს მისგან სასწაულისა რამსამე ქმნად, რამეთუ მრავალგზის ეხილვა მის მიერ საკურველებანი დიდნი.

ხოლო მი-რაჲ-წინეს მუნ მდინარესა მას ზემოკსენებულსა, აღ[ი]პყრა კუერთხი იგი მარჯუენითა ველითა და გამოსახა მით სახე პატრიოსნისა ჭუარისა, დასცა მით წყალთა მათ ზედა და ეტყოდა: „მდინარეო, სახელითა უფლისა ჩუენისა. იესუ ქრისტესითა, გიბრძანებს მემ მიერ კსინვით ვიდოდე და შემომიდეგ, ვიდრეცა ვიდოდე“. ეჲ, ძლიერებათა შენთა, ქრისტე, რომელმან მსახური შენი ესრეთ აღიდე: ეჲ, უცხო საკურველი, მყის მორჩილ ექმნა მდინარე იგი მძაფრი და წინადაუდგრომელი და კსინვით ვიდოდა და შეუდგა ბრძანებასა მისსა, ვიდრეცა ვიდოდა წმიდამ იგი და მისდევედა მას. ხოლო წმიდამ იგი მგზავრი გალობდა ფსალმუნთა და იტყოდა: აღიღეს მდინარეთა, თუალო, აღიღეს მდინარეთა კმანი მათნი, აღდგეს მდინარენი სლევასა თვსსა ვმითა წყალთა მრავალთამთა. საკურველარიან განცხრომანი ზღუსანი,

დის სადიდებელად ღმრთისა ჩუენისა და ცხადმყოფელად ღმრთისა მიმართსა კადნიერებასა წმიდისა ისესსა.

ესე სასწაული საკვრველი იხილეს ყოველთავე მკვდრთა მცხეთისათა და მახლობელთა დაბათა და განკვრეებითა შეპყრობილნი აღიდებდეს ღმერთსა და მოქმედსა დიდთა საკვრველებათასა, რომელმან მისცა ესევეითარი ძალი მონასა თვსსა სანატრელსა ისესსა⁵⁹.

საკვრველ არს მაღალთა შინა უფალი. წამებანი შენნი უფალო, სარწმუნო იქმნეს ფრიად“. ესრეთ უძლოდა წმიდა იგი წყალთა მათ და იგი სრბით მისდევდა, რამეთუ ლბილი იგი და ქუედაშვიდველი ბუნებაა უფალსა და უჩუეველსა გზასა სრბით მისდევდა და მიწა იგი მყარი და ფიცხელი და ადგილ-ადგილ კლდოვანი და ეკლოვანი თვნიერ სათხროლისა და მკუეთელისა რამსავე ქუე დაღრმდებოდა და წყალი იგი თვთ მავალობდა, იძულებული წმიდისა მისგან. მოვლო სრულიად მრგლივ მუხნარი (მუხრანი) და ვიდრე ეკლესიადმდე წილკანისა მიიწეოდა და გარე მოვლიდა, რამეთუ ფრიად ურწყული იყო ადგილი იგი, და სრულიად კერძო მუხნარისა (მუხრანისა), რომელსა ზედა წარვლო მდინარემან მან და ვიდრე დღეინდელად დღედმდე დის და მწყურნებაონ ყოფს ადგილთა მათ, ვითარცა ხედვენ თუალნი ყოველთანი და ახარებს სლვა მდინარეთა“.

ბესარიონი თავის თხზულებაში ქარბად იყენებს ჰიმნოგრაფიისა და საგალობლების პოეტურ სახეებს, სიტყვიერ მასალას და ფრაზეოლოგიას.

ბესარიონ ორბელიშვილს მივაკუთვნებთ ჩვენ ისე წილკნელის შესახებ არსებულ სვინქსარულ საკითხავს და საგალობელს⁶⁰, რომლებიც თავისი ფაქტურით ვრცელ თხზულებაზეა დამყარებულნი.

⁵⁹ ილ. აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა... გვ. 120—122.

⁶⁰ მ. ქავთარია, ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან, XVII—XVIII სს. 1977, გვ. 173—182.

ორი ათეული წლის წინ გაირკვა, რომ არჩილ მეფისა და რაყედნ პირველმოწამის მარტილობათა ვრცელი რედაქციები ეკუთვნის ბესარიონ ორბელიშვილის კალამს⁶¹ და რომ ისინი XVIII სუკ. დასაწყისის ძეგლებია და არა XII—XIII ს.

არჩილ მეფის წამება მოკლედ მოთხრობილი აქვს ლეონტი მროველს და იგი ჩართულია ქართლის ცხოვრების ტექსტში⁶². ბესარიონის თხზულება ფაქტობრივი მასალის გადმოცემის თვალსაზრისით თითქმის მთლიანად დაფუძნებულია ლეონტი მროველის ტექსტზე და ნაწილობრივ ჯუანშერზე. ლეონტი მროველის თხზულებიდან ბესარიონს არ გამოუტოვებია არცერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ეპიზოდი და ფაქტი. ბესარიონი არც ამ შემთხვევაში დალატობს თავის მეთოდს. იგი თითქმის სიტყვასიტყვით იწერს ადგილებს წყაროდან (ლეონტი მროველიდან) და შემდეგ ავრცობს მას მეტაფრასტული პავიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ხერხებით. ალბათ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ბესარიონი ისტორიულ მასალას ლიტერატურულად ამუშავებს და აფორმებს, ემოციურად მეტად ტვირთავს ფრაზას და თანაც მას არ ავიწყდება ეპოქის განწყობა. ბესარიონი არ მალავს თავის ძირითად წყაროს. იგი დიდი მოკრძალებით ეკიდება მას და მის ავტორს. მეორე შემთხვევაში კი ჯუანშერს უშუალოდ არ ასახელებს: „ყოველნი მაქებელნი თჳსნი ძლეულად გამოჩინებულ არიან, რამეთუ ღირსებითა ქებათა ვერავენ მკადრე ქმნილ არს თჳნიერ მის ჟამისა“⁶³ წმიდისა ეპისკოპოსისა ლეონტი მრუელისა, რომელსაცა მისი სანატრელი ცხორებად და ლუაწლი ვრცლად დაუწერია, ვითარცა მოგუთხრობს მატთანე ქართველთა ცხოვრებისა. არამედ იგი ჟამთა მიმოყოფრებითა ვიდრე ჩუენდამდე არა მოწვეწულ არს, არცა გუზილავს, არამედ მისვე ქართველთა ცხორებისაგან, რომელი მისთვის სულ მცირედ წერილ არს“.

ბესარიონი არჩილის ბიოგრაფიის გადმოცემისას თავისებურ

61 მ. ჭავჭავაძე, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხელნაწერთა ინსტიტუტის შოამბე, ტ. I, 1959, გვ. 89—90.

62 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955, გვ. 244—248.

63 ბესარიონი აქ შეცდომას უშვებს, როდესაც ლეონტი მროველს არჩილის თანამედროვედ მიიჩნევს. შტრ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 352.

